

ილია ჭავჭავაძე

ნერილუბი



აზნაფეთის სასაზღვაო
1949 წ.

ილია ჭავჭავაძე

წერილები

წიგნი

I

იოსებ გოცვაძის

რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით




2

სოხუმი

აფხაზეთის სახელგამი

1949



წინასიტყვაობა

ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის საფუძვლიანი შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს თითქმის ყველა იმ მასალას, რომელიც ჩვენი მუზეუმებისა და არქივების სეიფებში ინახება. განსაკუთრებით ეს ითქმის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა კერძო წერილებზე. ეს წერილები ღრმა უშუალოდობით ხასიათდებიან და ხშირ შემთხვევაში გვაწვდიან მეტად საგულისხმიერო ცნობებს, როგორც ადრესანტთა, ისე ადრესატთა შესახებ და არკვევენ ბურჟუაზიის მოცულ ზოგიერთ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ—ისტორიულ მოვლენათა საიდუმლოებას.

XIX საუკუნის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა კერძო წერილებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ილია ჭავჭავაძის წერილები სხვა და სხვა პირებისადმი.

ილია ჭავჭავაძის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მხოლოდ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიასთან, არამედ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ წვრილმანთანაც კი. არ ყოფილა ჩვენი ცხოვრების არცერთი მხარე, არცერთი მოვლენა, რომ მასში ილ. ჭავჭავაძეს მონაწილეობა არ მიეღო და თავისი დინჯი, დამაჯერებელი და მოფიქრებული სიტყვა არ ეთქვა.

წინამდებარე კრებული შეიცავს ილ. ჭავჭავაძის 117 წერილს მიწერილს ახლო ნათესავ-მეგობრებთან და ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან.

ამ წერილების საზოგადოებრივ-ლიტერატურული მნიშვნელობა საკმაოდ დიდია: ისინი გვაწვდიან საყურადღებო ცნობებს მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, იძლევიან იმდროინდელი საქართველოს სოციალ-პოლიტი-

კური ვითარების ცოცხალ სურათს და გამოხატავენ ავტორის შეხედულებას ამა თუ იმ მოვლენისა, თუ საკითხის ირგვლივ.

თვით ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავდა ამგვარი წერილების უდიდეს მნიშვნელობას და, უგზავნიდა რა კირილე ლორთქიფანიძეს გამოსაქვეყნებლად ნიკოლოზ ბარათაშვილის ოთხ კერძო წერილს 1872 წელს სწერდა: უდიდესი „მნიშვნელობა აქვს ამგვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულების ახსნისათვის“.

კრებულში შესული წერილები გადმოწერილია ილ. ჭავჭავაძის იმ ავტოგრაფებიდან, რომელნიც დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, საქ. სსრ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის, ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში. ჩვენ კრებულში არ შევიტანეთ ილ. ჭავჭავაძის წერილები მეულისადმი (ოლგა გურამიშვილი—ჭავჭავაძისადმი), რომლის მდიდარი კოლექციაც აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება და მკვლევარ პ. ინგოროყვას მიერ გამოსაცემად არის გამზადებული.¹

კრებულის სისრულისათვის მასში შევიტანეთ აგრეთვე ის წერილები, რომელნიც, სამწუხაროდ, ჩვენ სიძველეთა საცავებში აღარ ინახება. ასეთებია ილ. ჭავჭავაძის წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი (№№ 10, 11, 12, 16 და 17) და ნიკო ნიკოლაძისადმი (№№ 35 და 36). ეს წერილები შენიშვნებითურთ გამოაქვეყნა განსვენებულმა პროფ. სიმონ ხუნდაძემ (იხ. „მნათობი“ 1938 წ. № 9—8). ჩვენ შვიდივე წერილი „მნათობიდან“ ამოვიწერეთ იმ სახით, როგორც იქ იყო დაბეჭდილი და ოდნავი ცვლილებებით დავურთეთ იგივე შენიშვნები, რაც პროფ. სიმ. ხუნდაძეს ჰქონდა გაკეთებული. სიმ. ხუნდაძის შენიშვნა სრულიად უცვლელად გამოვიყენეთ ოცდამეთექვსმეტე წერილისათვის.

წერილებში სავესებით დაცულია ავტორის მართლწერა და პუნქტუაცია. ამ შემთხვევაში ჩვენ დავიცავით ილ. ჭავ-

¹) იხ. ი. ჭავჭავაძის საიუბილეო კრებული, გვ. 83.

ჭავჭავაძის მოთხოვნილება, წაყენებული კერძო წერილების პუბლიკაციისათვის, რომ ასეთი წერილები „შეუშლელად და შეუმცდარად უნდა იბეჭდებოდეს“ და რომ „მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულიად შეუმცდარად დედნისა“ უნდა იყოს.

ის უნებლიეთი შეცდომები, რაც ილ. ჭავჭავაძეს წერის დროს დაუშვია ამა თუ იმ ასოს გამოტოვებით, ჩვენ ტექსტშივე ჩავასწორეთ და გამოტოვებული ასო [] ფრჩხილებში ჩავსვით. კვადრატული ფრჩხილებითა და მრავალწერტილით [.] აღვნიშნეთ ის ადგილები, სადაც სიტყვის ამოკითხვა შეუძლებელი შეიქნა წერილის დაზიანებისა თუ ქაშაფითარების მიერ ნაწერის გახუნების გამო. ასეთსავე ფრჩხილებში [] ჩავსვით წერილის დაწერის თარიღი, რომელიც ჩვენს მიერ არის დადგენილი. საერთოდ, უნდა აღნიშნოს, რომ ილ. ჭავჭავაძეს, სამწუხაროდ, არ ახასიათებს ზუსტი თარიღის აღნიშვნა. წერილების დიდი რაოდენობა ან სრულიად უთარიღოა, ან მხოლოდ თვე და რიცხვია აღნიშნული, წელი კი იშვიათად.

წერილები დალაგებულია შემდეგნაირად: ერთად მოვაქციეთ ცალკეული პირისადმი მიწერილი წერილები და შევეცადეთ დაგველაგებინა ისინი ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით, რამდენადაც ავტორისა და ჩვენს მიერ დადგენილი თარიღი და აგრეთვე წერილის შინაარსი ამის შესაძლებლობას იძლეოდა.

წერილების ამ წესით დალაგება უკეთესად ვცანით, რადგან მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნება ადრესანტისა და ადრესატის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ჩვენს სიძველეთასაცავებში კიდევ არ აღმოჩნდეს ილია ჭავჭავაძის წერილები. ასეთი წერილების აღმოჩენა განსაკუთრებით მოსალოდნელია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახელმწიფო მუზეუმის სეიფებში, სადაც რიგი ფონდებისა ჯერ კიდევ დაუმუშავებელია.

გულითად მადლობას მოვახსენებ საქ. სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორს პოეტ გ. ლეონიძეს

და სეიფის გამგეს **გ. ბერძენიშვილს**, ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების გამგეს **დოც. კ. გრიგოლიას** და უმცროს მეცნიერ თანამშრომელს **ზ. გოშალიშვილს**, რომელთაც ხელი შემიწყვეს გავცნობადი მუზეუმში დაცულ ილ. ქაჯკავაძის წერილების ავტოგრაფებს.

ი. ლ. ბოცვაძე.

ძმე უნა! ამდ წამად წაიხი მ-მწმ. ზოგადი, მ
 იყო, თუკანა ზეგნა ათადობა, ხმ იმ წამად აღეგ
 იმდ სიგნა. , ხე - ამდ თუგნა: ჯ ზეგნი გზითა. გზა -
 ზამ. ,, 1826 წამდოგნა. ნიკა - ამდ ჯ კლდობითა
 ვიგნა მუ თუგნა ზეგნა ჯ კლდობითა ავუთა
 ზოგადი თუგნა, ნიკა - ამდ ავუთა ზეგნა. მამდ
 თუგნა მამდ ჯ კლდობითა, ხმ იმ წამად აღეგ
 იმდ სიგნა, ხმ იმ წამად აღეგ იმდ სიგნა, ხმ
 იმდ სიგნა, ხმ იმ წამად აღეგ იმდ სიგნა, ხმ
 იმდ სიგნა, ხმ იმ წამად აღეგ იმდ სიგნა.

წამდ თუგნა

21 აგვისტო, 1873 წ.

მამდ

ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფი.
 (წერილი ვასილ მაჩაბელთან).

1. აღრეული ბარათი¹

... ვაპირობ წასვლას რუსეთში, მაგრამ, შენმა გარდამ, ისე მეძნელება დატევა ამა ჩვენ ყვარელისა, ნამეტნავად ამ ჩვენს სახლისა, სადაც ყოველი ნაწილი ალაგისა, მომაგონებენ ხოლმე ჩემს დაუდევრელ ყმაწვილობის დროს, სადაც ყოველი ხე არის ძვირფასი² ჩემთვის სასიამოვნო მოგონებითა. ერთი სიტყვით ვესალმები ყოველის ფერს რააც არის ჩემის გულიდამ დაუფიწყარი და მივდივარ ერთს უცხო ქვეყანას, სადაც ერთი ტკბილი ნათესავური სიტყვა სავსე სიყვარულითა ელირება ჩემთვის ნეტარებათ, სადაც უბედურობაში არავინ მეყოლება ნუგეშმცემელი და სიამოვნებაში ჩემთან მოხარული. მაგრამ ყოველი ჩემებრივი, რომელსაც მომავალ დროს შავლრუბელში აღუპრწყინდება ბედნიერების ვასკვლავი და რომელსაც სურს შეეყაროს იმ ბედის ვარსკლავს, ყოველთვის ტკბილს მდგომიარობას დაუტევეს და სიმწარით განვლის გზას მისთვის რომ უფრო უტკბილესად შეხვდეს თავის ბედნიერებას. შენ თითონ იცი ვარდსა წინ მიუძღვის ეკალი, ვისაც სურს ვარდის მოწყვეტა არ უნდა შიშობდეს ეკლისაგან.

[1857 წ.]

2. ნენე ანდრონიკაშვილისადმი

13-სა მარიამობისათვის
1858-სა წელსა
ს. ტიარლავო.

პატივსაცემელო და საყვარელო დაო ნენე!¹

ჩემი ვალთა წინათვე განგიცხადოთ და გთხოვოთ ამ თაბახის სიდიდით ნუ შეშინდებით, რაც შემეძლება ენას კბილ ქვეშ მოვიტან, რომ ცოტა იყბედოს და მით მოგარ-

ჩინოთ თქვენ უსიამოვნებას, რომელსაც ჩემის ანგარიში იპოვნით ჩემს ეპისტოლეში. ენა ჩემი, როგორათაც ენა ჰავეჰადისა, რაკი დაუვლის ბუქნით აღარ გაათავებს ხოლმე. მაგრამ მერწმუნეთ ღირსეულ საზღვარში მოვამწყვდევე. ხუმრობას თავი დავანებოთ და თქვენც აიჭურვებით მოთმინებით (მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენიო) მოსასმენელათ. . . . ჩემის ცივის სიტყვისა, თუმცა ყოველი სიტყვა ამა წერილისა მხურვალ ძმურის სიყვარულით მეზადებიან და რაღაც მანქანებით ცივობენ წიგნში. არ ვიცი როგორ გამოვთქვა ჩემი სიამოვნება თქვენის წიგნით გაღვიძებული, ყოველი სიტყვა უხმო და უაზრო იქნება გამოსათქმელათ ჩემის სიამოვნებისა. აბა, იფიქრეთ: პირველათ გავითბე რა ჯიბე წითლოვანებით, ჯიბის მხრით გახარებულმან მოვინდომე გულის სიმხიარულეც და პირველი საგანი რომელსაცა ჩემმა გულმა მიაწერა აღსრულება თვის სურვილისა—იყო წიგნი თქვენი. გმადლობ, საყვარელო დაო, რომ ერთის წლის განშორებამ არ დაგავიწყათ თქვენი, როგორც მწეროთ, პატარა ძამია, რომლისაც გულშია ღრმათა [. .] თქვენდამი პატივისცემა და ნათესავური სიყვარული. გმადლობ ღმერთსა მშვიდობითა ხარო ყველანი ჩემი მონათესავეები; აყვავდით, აყვავდით და გამრავლდით ჰავეჰადის ჩამომავლობაჲ! ჩემი ამბავი რა მოგწეროთ, ხომ იცით ჰავეჰადის სისუსტე სად არის—ჯიბეში და ისევ ჯიბეში; უხ! ხანდისხან რა უგრძნო ქარიშხალი წამოაუბერავს ხოლმე ჯიბით, რა რუსეთული თავგები შედგებიან ხოლმე ყალყზედ თითქო ძალათ დაცარიელებულს ჯიბეში; მაგრამ კი სასოწარკვეთილებაში არ შევალ ხოლმე, ნუგეშ-ვიცემ და ამას ვეტყვი ხოლმე ჩემს თავს: ნუ გეშინიან, ერთხელაც იქნება. რომ ჩვენც გაგვიბრწყინდეს მზე მეთქი და ჩემი თავი ჩვეულებრივ სიცივით მიპასუხებს ხოლმე: პაპაშენიც მაგას ამბობდაო, მაგრამ კი შენი ჯიბე მაინც არ გათბავო. მეც თავი გავიქნევ ხოლმე და ჩვეულებრივ სასოებით შევეყურებ პირლია ცას თითქოს იქიდან მოველოდე გაქლიბულ ქრელ-ქრულ მანეთებს; მაგრამ თქვენც იცით ცას რა რიგათ ჰსძულს ვერცხლი, მაშასადამე ლოდნა ჩემი ციდან ფულისა ამაოა.

მწერდით ელენეს² ამბავი მომწერო. როგორათაც ელენე, აგრეთვე მისი მეუღლე ილიკო სასახლეში დიდის პატივით მიიღესო, ძალიან პატივით, რომ მეტი არ შეიძლება, ასე ამბობენ. კარგათაცა ცხოვრობენ, მაგრამ ეხლა ძალიან შეწუხებულები არიან ორნივე თავის ქალის სიკვდილზედ. რა უგრძნო რამ არის სიკვდილი; აბა, პატარა გაუშლელ კოკორ[ს] რად აშორებს დედის გულს და მიაქვს საუკუნოთ. თუმცა ყველა ჩვენგანი დარწმუნებული არის, რომ საიქიო უფრო ტკბილია თავის განუსაზღვრებელ ნეტარებით, ნუგეშით და სიწმინდით, თუმცა დარწმუნებული ვართ რომ ის გაუშლელი კოკორი გასაშლელათ უფრო მშვენიერს ბაღნარში გადასახლდა, მაგრამ მაინც დედა შესაბრაღისია შვილის საუკუნოთ განშორებაზედ. ელენე ძალიან ჰსწუხს, როგორათაც დედა, რომელსაცა წაერთვა ერთი ძვირფასი ამა ცრუ-სოფლის ნუგეში; ცოცხლები იყვნენ, თორემ ღმერთი მოწყალეა, ერთი დაჰკარგა, სხვას აჩუქებს ღმერთი.

ბატონ[ი] ს, რომელსაც ვახლდი, ნიკოსი⁴ მითხრა ცრუ არისო ძალიანო, მე მოვახსენე ახალი გაგება გახლავსთ მეთქი, ჰავჰავაძე და ცრუ ჩემს ღღეში არ მინახავს მეთქი. აბა, რასაკვირველია არ დამიჯერა, ნამეტნავათ რომ მხედავდა, რომ თვალწინ ვატყუებ. მიბძანა სიცრუვე ბოროტი თვისება არისო, შენ გარდას ნუ დაეჩვევიო. დიახ, ბოროტი გახლავსთ მეთქი და გულში გავიფიქრე: გვიანი დარიგება არის მეთქი, ნეტავი ერთი ათი წლის წინ ჩაეგონებინათ ეგ მეთქი ჩემთვის. მაგრამ ათ[ი] წლის წინათაც უსარგებლო იქნებოდა იმისთვის, რომ ტყუილის გულა დაბადებითვე ჰავჰავაძეს ილლიას ქვეშ დაჰყვება ხოლმე. თქვენ, ნენეჯან, ნუ გამიწყრებით ამ ქეშმარიტების თქმაზედ; თქვენც ჰავჰავაძის ქალი ხართ, მაგრამ თქვენ არ გრევთ ჩვენში, ვინც ცოდვილნი ვართ. თქვენ გამორიცხვა ბრძანდებით ცრუების გაჰრელებული სიიდან, ჩვენ ვართ კაცები რაცა ვართ, ტომრები ტყუილებისა. სხვა რა დავიყბედო არ ვიცი. ჰო, მართლა! ეგ ვინ მადამა გაგჩენიათ ყვარელში, ბარაქალა ყვარელო! ვერ უყურებთ, კვირაში ორჯელ ვეჩევრი ვის გაუგონია ყვარელში. ქვეყნის უბედურებას დახე! ყვარელში ვეჩერები!.. არ გაუწყრეს ღმერთი ყვარელს და ტიატრებიც

არ გაიჩინოს და არ დაამციროს რუსეთის სატახტო-ქალაქი.
დაილუბა ქვეყანა, ყვარელში ორჯელ კვირაში ვეჩერი?

ვიცი რომ აქამდისინაც მოგაწყინეთ თავი ყბედობით,
მაგრამ მაინც მსურს თქვენთან უხმო წიგნით ლაპარაკი. ახ!
ნეტავი ახლა მანდ ვიყო თქვენთან, რომ ჩვეულებრივ ვილ-
რიქო და ვიცინო თქვენთან, ჩემი კატუხა მგონი კატუხა
აღარ იქნება, ახლა კნიაჟნა ეკატერინე დიმიტროვნა არის;
ჩვენი პოხრო ვანო ისევ ისე ცელქია, როგორც ჩემ დროს
იყო, თუ გადარბაისლდა, ვითარცა მე. ლელო, ცემი ლელუსკა,
პაწაწა ლელუსკა მგონი ეხლა ჩემზედ მაღალია. რა დამა-
ვიწყდა, ქვეყნის მშვენიერების გვირგვინი, ედემის ვარდი,
განხორციელებული ანგელოზი თქვენი პატარა ქალი რასა
იქს, გაუფრთხილდით მზე არ მოეკიდოს მის განსპეტაქე-
ბულს პირს. მიამა სიძე დიმიტრის⁶ დიამბეგობა. ჰო! დიამ-
ბეგი მეგობარია ჯიბისა, ჩემსავით კი არ აყივნებს ჯიბეს,
თქვენმა, ნენეჯან, მზემ, რომ ვხუმრობ, ისე გასაცივნელათ
გითხარით, დიამბეგის და ჯიბის მეგობრობა ვის გაუგონია;
ნუ გეწყინებათ, როგორც ჰავჭავაძე ტყუილს არ იტყვის,
დიამბეგიც ქრთამს არ აიღებს. ნუ გეწყინებათ ეს ჩემი
ხუმრობა და მიიღეთ როგორც ლაზღანდარობა თქვენის პა-
ტივისმცემელის პატარა (მარამ პატარა აღარა ვარ) ძმისა

ფუტკრის ბაირალ-ტარისა ილიკო ჰავჭავაძისა.

ძალუა ნატალია, თავის კატოთი მომიკითხე; აგრეთვე
სიძე და ძია დიმიტრი. სადა ბძანდება მამა თქვენი, შინა
ბძანდება მარტო, თუ თქვენთან. თუ შინ არის შეწუხდება
მარტოობით და მოწყენით. ვინც კი მახსენოს თქვენთან იმ
წუთშივე ჩემგან მოკითხვა უთხარით, თუ არ მახსენოს და
ნურც თქვენ ეტყვით ნურაფერს გაჯავრებული. ბევრი ენა-
ღვლებათ კი. იყავით კარგათ, ბედნიერათ, ტკბილათ და ნუ
დავიწყებთ, რომ სამი ათასის ვერსტის სივრცის იქით გყავთ
ერთი პატივმცემელი ძმა ილიკო ჰავჭავაძე.

1858-სა წელსა
13-სა ივლისს.

მ ი ნ ა წ ე რ ი :

აბა კრელ კრელი წიგნებს მოველი თქვენგან, ჩემო
კარგო დაო ნენევ. მომწერეთ ყოველი ფერი; ძველი ახალი

ერთათ აუტრით და კრიანტელი გამოვა. უჰ! მაყვლის ქრისტეანული კრიანტელი რათაც უნდა ღირს ახლა. პირში ნერწყვი მომივიდა კრიანტელის მოგონებაზედ. მშვიდობით და გთხოვთ პასუხით გაახაროთ თქვენი ძმა

ილიკო ჭავჭავაძე.

3. ანიკო ვაჩნაძისადმი¹

საყვარელო დაო ანიკო!

ათასჯერ გმადლობ, დაო ჩემო, რომ აქამდის კიდეც გახსოვარ. შენმა წიგნმა ისე მასიამოვნა, რომ თითქმის გადმომასახლა შენ მშვენიერ კოლაკში და სულ დამავიწყა ეს ოხერი ცივი ქვეყანა, სადაც ჩემმა ბედმა გადმომავდო. ვმადლობ ღმერთსა მშვიდობითა ხარ. ქალო! რა დაგემართა ერთი ქმარი ვერსად იშოვე, აგერ ღიზა² ჯამბაკურიანიც გახდა, მალე შვილიც ეყოლება და შენ კი ისევ ისე ვაჩნაძის ასული ბძანდები. მარამ ნუ გეშინიან იჯექ ზღვის პირას [.] იქნება შენკენაც ბედი დაჰქროლებს თავისი ცელქის ნიათით. ამასწინათ სოსიკოს წიგნი მომივიდა. ძალიანაც მიამა, ბევრ რაღაცეებსა მწერდა და [. . .] რაღაცეების შორის მოეწერა, რომ შენ ერთხელაც კიდეც მოგეწერა ჩემთან წიგნი, მაგრამ, შენუ მომიკვდები არ მომსვლია შენგან ერთი წიგნის მეტი, რომლისა პასუხსაც ამჟამათ გწერ. სოსიკო მწერდა, რომ ვაპირობ რუსეთში წამოსვლასო. არ იქნება ურიგო რომ წამოვიდეს; ხომ იცი, საყვარელო დაო, რომ სწავლისთანა ამ ქვეყანაში გამოსადეგი არა არისრა, მაშასადამე ცოდვა არის სწავლის მსურველს არ მისცე საშუალობა. მე კი წიგნი ვერ მოვსწერე სოსიკოს, რა ვქნა? ეს წყეული სიზარმაცე ვერაფრით ვერ მოვიშორე თავიდან, როგორც კატას ძაღლი, ისე მეც მეჯავრება წიგნის წერა. სხვა რა მოგწერო. ეს პეტერბურლი საშინელი, უდიდესი ქალაქია, ბევრი მხიარულება, ბევრი შექცევა, მაგრამ ჩემთვის კი სულ ფუჭია, მისთვის რო მე ყოველს ჟამს და ყოველს წუთს ჯიბესთან მწყრალათა ვარ და აბა, ამ ჯიბის მწყრალობით ფეხსაც ვერ გადასდგამს კაცი. რაც უნდა კარგი იყოს პეტერბურლი მერწმუნე,

შენს აქლემივით კოზაკიან კოლაკს არა ემჯობინება და ჩემს ყვარელს ხომ რა თქმა უნდა. ოხ! ნეტავი ეხლა ეშმაკმა ამიტაცოს და მანდ ახლო მახლო დამაგდოს სადმე, თუნდ ძუნწ და საძაგელ ჩალაუბანში, ვაჩნადიანთ სამფლობელოში, ან თუ არა ჩემ წყლიან ყვარელის შარაში. რა მადლობელი ვიქნებოდი იმ კუდიან ეშმაკისა!

მომიტევე წიგნის სიმცირეზედ და წინდაუხედავად ბლაჯვაზედ. ეხლა ვეჩქარები და მერე ბევრ, ბევრ რალაცეებს, აქაურს მოგწერ და გასიამოვნებ.

ვინძლო, ჩემო კარგო დაო ანიკო, არ დამივიწყო, ხომ იცით ჩემი ყოველი მონათესავე რა რიგათ მიყვარს და თქვენც ნუ დამაგდებთ უკმაყოფილოთ. ყველამ მიგულეთ, როგორც უერთგულესი ძმა, თქვენი პატივის მცემელი და ბედნიერების მსურველი

ილიკო კავჭავაძე.

ვინც ლამაზი ქალი ნახო უცნობი თუ ნაცნობი მომიკითხე და ნენეს ბუჭულები კატოდამ მოყოლებული ჩამიკოცნე იმთვეწერ, რომ კავები დაგაგლიჯონ გაჯავრებით.

[13 აგვისტო, 1858 წელი] ².

4. ბ. სულხანიშვილისადმი ¹

... ამას წინეთ მგონი შენი სტატიები ² იყო ცისკარში და მოლაყბედ ³ აცხადებდი შენ თავს. შენ იყავ თუ სხვა, პირფერობით არ ვიტყვი, კარგი რამ იყო. რაც კი შეეხება ენას სწორეთ ფენომენი იყო ჩვენს გორიზონტზედ. ჰაზრითაც არ იყო დასაწუნი. დასაწუნი მეთქი? დასაწუნი კი არა, ძლიერ მოსაწონიც იყო. რა მახვილათ დაეცა მოლაყბე ქართველობას, რა კარგად დაიწყო ქართველის უბედურებაზე დაცილება და რა ლამაზ ქართულ ჯარაზე დართული სიტყვებით ტიტინებდა! რა სიხარბით ვკითხულობდი მარტივ სიტყვასა კარგის გულიდამ გამოსულს. უნდა გენახა, რა სიჩქარით გადადიოდა ხელიდამ ხელში ის ბედნიერი ცისკარის ნომრები, სადაც მოლაყბის ფურცლები ბრწყინავდნენ სხვათა შორის?...

[1858 წ.]



მიხეილ თუშანიშვილი (მოლაყბე)
(1818 — 1875 წ.).

5. ნინო აფხაზისადმი

18 თებერვალს.
1859 წელსა.

სულხედ უტკესო დაო ნინო! ¹

ძლივს დავამარცხე ჩემი ზარმაცობა და როგორც ხედავ გწერ წიგნსა. რა არის ნინუცი რომ იწერებით წიგნს და ახალ მანდაურ ამბებს არა მწერთ ხოლმე. დაიწყობ, ბატონო, ჩემ დამტირებელ თვალებს დაგ[ი]კოცნით და დამტირებელ თვალებითვე გაათავებ ხოლმე. ან მოსავალზედ თქვით რამე, ან მანდაურ შექცევაზედ ან კუტრობაზედ, მარამ კუტრობა წამომცდა, კუტრობაზედ ნურას მომწერთ, თითონ მე კარგათ ვიცნობ რა წითელი კოჭიცა ბრძანდება. ჩემ ჯიბეში ნეტავი ჩამოვახედა, რა ამბავია, რუსეთულ თაგვებს ისეთი ჯირითი გააქვთ რომ მეტი არ იქნება. ღმერთმანი კრელ კრელ მანეთებს წამოჰკრამენ ფეხს, შენუ-მოუკვდე ჩემს თავს! ისეთი მოწმენდილია იქაურობა, რომ ყაბახის მოედანზედ არ იქნება ისე. ნეტავი ახლა მანდ ვიყო, რომ გავძლე ყბედობით, ასეთი ლაპარაკი ჰსცოდნია და ჰყვარებია ჯიბე ცარიელობას, რომ ველარ მომითმენია. ნეტავი ეხლა შენს ტახტზედ ვიყო წამოწოლილი და შენი განათლებული ბონჟურა პირის მთქნარებით და თავის ქე-ქით ნაცარქექიას ზღაპარს მეუბნებოდეს და შენი პატარა გიგლო დარბაისელ ბიძას მშვენიერ ლანძღვის სიტყვებით მამკობდეს. რასა იქ, როგორა ხარ, ჩემო ნინუცი, სახლი აიშენე თუ არა? ან შენი ქმარი და ჩემი სიძე რასა იქს? არა სცხვენიან, რომ ერთხელ არ გამიხსენებს. ნუ თუ[. . .]²

ახლა ხან მამიდა სალომეს წიგნი მივიღე, ძალიან მიამა და ძალიან მადლობელიცა ვარ. ღმერთმა აცოცხლოს დიდ-ხანს. მარამ ჩემ მაგიერ მოტევენა სთხოვე, რომ ეხლა წიგნს ვერა ვსწერ შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა. კობტა³ ძალიან კარგათ არის აგრეთვე მისი ბიძა მიხაკო. შენ და ნიკოლოზს მოკითხვას გიგზავნიან.

სხვა რა მოგწერო ჩემო კარგო დავ, პეტერბურლი ისევ პეტერბურლია, ცივი, ქვით მოსიპული და უზარმაზარი. ახლი ამბები არ არის რა ჩემი ჯიბის კუტრობის მეტი, მარამ ეს

დიდიხნის ამბავია. ილიკო ჩოლოყაშვილის ცოლი გავიცან. ძალიან ჭკვიანი და კარგი ქალი ყოფილა, გამაჰვირვა იმის ლაპარაკმა და განსჯამ.

ერთი რამა მაქვს შენთვის სათხოვარი და თუ გიყვარდე, თუ ჩემი მცირედი სიყვარული გაქვს ამისრულე. ერთმა ქალმა⁴ ქალური ვერცხლისა ქამარი მთხოვა ხანჯლით და დაეპირდი, შენი ჭირიმე ნინუცი ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან, მერე უნდა იცოდე, რა ქალია! იმათ ოჯახში როგორც შეილი ისე ვარ მიღებული. ასეთი დედ-მამა ჰყავს, რომ თავი შემაყვარეს. თუ შეიძლება, შენი სულის ჭირიმე ნინო, სააღდგომოთ გამომიგზავნე: ვიცი რომ გიყვარვარ, თუმცა ცოტა ხელის მოჭერა გიყვარს, მაგრამ ჩემი სიყვარული გაგაბედვინებს.

იყავი მშვიდობით, წიგნი მომწერე ხოლმე ხშირათ მანდაური ამბები, დროს როგორ ატარებთ, როგორ შეეჭყევეით და უფრო რითა სწამლობთ კუთრობას მეც მასწავლეთ.

შენი ძმა ილიკო.

მ ი ნ ა წ ე რ ი:

იანვრის ცისკარში⁶ ჩემი ლექსია დაბეჭდილი⁷ წაიკითხე თუ არა. აი გინდოდა ჩემი ლექსები გენახა ცისკარში და აგისრულე, თორემ შენ რომ არ გსურებოდა არც მაგას დავაბეჭდინებდი იმიტომ, რომა ჩვენი ცისკარი ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა.

ნინუცი! მეგონა ეს წიგნი გამოგიგზავნე შენ და ეხლა ვიპოვნე ქალაღლებში, აქ დამრჩენია თურმე და ეხლა გიგზავნი. ნუ დამცინებ ჩემ დაუდევნელობაზედ, მეც იმისთანა ქართველი [ვარ] ვითარცა სხვა. ამის გამო მომეტევება ვითარცა ცათა შინა ეგრეთცა ქვეყანასაზედა აწ და მარადის, უკუნითი უკუნისაღმე, ამინ!

მშვიდობით შენი ილიკო ჭავჭავაძე.

თიკო თუ მანდ იყოს მოკითხვას მოვახსენებ. კოლა ძალიან კარგად არის.

შენი ბიჭ ბუჭულები და უზესთაესთა ხერხბიმი მაიკო ჩამიკოცნე. გიგლოს კი ყური გაუწიე, ჭკვას ისწავლის.

18-სა მარტსა 1859 წელსა.

6. მასკი

საყვარელო დაო ნინო! მგონი რა რიგადა ჰსჯავრობ, რომ ამოდენა ხანია ჩემგან არაფერი ამბავი არ მოგსვლია. ეს კი ნუგეშად მაქვს, რომ შეცა მაქვს საბუთი შენზედ სამღურავისა. ჩემი ადრესი იცი და აქამომდე ერთი წიგნი არ მომაწოდე. ბარი ბარში. შენი ჭირიმე, ნინო, მომწერე პირველი თქვენი მშვიდობიანობის ამბავი და მეორე—ჩემი სახლის ვითარება. რა რიგი მოსავალი მომივიდა პურისა, ვენახები როგორ არის? რა ქნეს შენობისა? აშენდა რამე თუ არა? დაითხოვა ნიკოლოზმა¹ ჩემი მოურავი, თუ არა? ყველაფერი შენებურად დალაგებით დაწვრილებით მომწერე. მე ეს თვენახევარია რაც მოსკოვში ვარ და ის საქმე, რაზედაც მე აქ წამოვეთრივე როგორღაც ხელთ არ მოდის, თუმცა ჩვენი ბანკი მტკიცდება.

შენ იცი, რომ მე სხვათა შორის იმისთვის ვარ აქ გამოგზავნილი, რომ ბანკის საქმე აქაურ ბანკებში დაწვრილებით შევისწავლო, მაგრამ ჭირი ეს არის, რომ ჩვენ არც ერთს ბანკში არ შეგვიშვეს და გზას არ გვაძლევენ, თუმცა კი ჯერ სრული იმედი არ დამკარგვია. ამას ვწუხვარ, რომ დრო მიდის, ფულის აფალი მისუსტდება და ჯერ იმედი ცხოვლად არსადიამ ამოდის. მაინც მე ჩემსას ვცდილობ, ვნახო რა გამოვა.

ერთი, შენი ჭირიმე, შემატყობინე: შეიძლება რამე იმედი ვიქონიო ჩემის მამულის შემოსავალზედ, თუ არა? თუ როგორმე ერთს ოციოდ თუმანს მომიხერხებთ, სწორედ შიმშილისაგან დამიხსნით. იქნება როგორმე და რაიმე შემოსავლიდამ გამიყიდოთ და ფული მომაშველოთ, თორემ ცუდად ჩემი საქმე. შენი ჭირიმე, ყოველი ღონისძიება იხმარეთ, რომ მალე ფული მომაშველოთ. ვიცი შენ ფული არ გაქვს და თუნდ რომაც გქონდეს შენ ფული არ გეთხოვება. იქნება მოსავალი რამე გაყიდოთ, მეთქი. ამ წიგნის პასუხი ისევ უწინდელის ადრესით მალე მომწერეთ. შენი შვილები დამიკოცნე.

შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე

[1873]²

7. მამილა მაკრინესაღმი

1860 წელსა
14 მაისს დღესა

საყვარელო მამილაჲ! ¹

თქვენი წიგნი მომივიდა ფულით და როგორც სჩანს მაშინ არ გცოდნიათ ჩემი უბედურობა. მამილაჯან! რა და-უშავეთ ეგრეთი ღმერთსა, რომ ეგრე უწყალოთ და შეუბრალებლათ გვიწამლავს დღეებს ამთვეს ტანჯვით. ჩემი პატარა თემურა ზადლარის, მამილაჯან! დავკარგე საუკუნოთ პირველი და უკანასკნელი ძმა, მერე რა ძმა?!... ველარ გნახავთ საწყალი და უბედური; ნეტავი თავის ქვეყანაში, გარშემორტყმული ნათესავეებით მაინც მიცვალებულიყო. ვაიმე ჩემო პატარა ძმაო, ჩემო კარგო და ჰკვიანო თემურა, რაზედ გამაობლე და დამაგდე, შენ წახვედი, მოგვშორდი და შენ მაგიერ დაგვიგდე ნუგეშათ ცრემლი და წუხილი.

მაგრამ რაღას უშველით, მამილაჯან! ღვთის ნება და ღვთის რისხვა აღსრულდა ჩვენზედ! რა ვქნათ! რაც გამოვზდილვარ სულ სიკვდილი მესმის გარშემოდამ, სიკვდილის მეტი ბედი არ დაგვყოლია ჩვენ, მადლობა ღმერთს ამ გვარ ბედისათვის. ნუ იწუხებთ მამილაჯან, ამ ცხოვრების [. . . .] ვისაგან ბევრი მოგითმენიათ და ესეც მოითმინეთ. [.] ვერა ვარ კარგათ, ჩემი სიმრთელეც ძალიან დაშლილია, [.] მა ბოლო არ მამილო კულავ ამ დროს დავბრუნდები [.] გათავებული. მაგრამ მარტო მე მოვალ შინ მამილაჯან, [.] რა თემურა საუკუნოთ დარჩება აქა.

თქვენი უბედური ილია.

მ ი ნ ა წ ე რ ი :

ვაიმე საწყალო თემურ! აღარ გაიხარებენ შენ ბედნიერობაზედ არც ძმა შენი უბედური, ველარც მამილა და ველარც დები შენი. სად წახველ ჩემო საყვარელო ძმაჲ! შემომხედე მე და შემობრალე, რომ უშენოთ ასე ვიტანჯები.

თქვენი უბედური ილია.

8. მ ა ს ვ ი

საყვარელო მამიდაჯან!

რაც გეზოდებინათ დიდის მადლობით და სიამოვნებით მივიღე, მაგრამ თქვენმა მხიარულმა წიგნმა და კარგს ქეიფზედ ყოფნამ, როგორც წიგნიდამა ჰსჩანს, ჩემი სიხარული და სიამოვნება ჩვეულებრივს წრეს გადააცილა. ღმერთმა ყოველთვის მშვიდობით, ბედნიერად და სიამოვნებით გაცხოვროდ ჩვენდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ. მაგრამ, მამიდაჯან, არ ვიცი უთქვენობა, რომ მე თქვენ არ გახლავარ, რად მაწუხებს აგრე? ღმერთი მოწამეა, რუსეთში ვყოფილვარ უფრო პატარა, რამოდენა ხანია ასე გარედ ვეთრევი, რომ თრევით დავიღალე და როგორც დაღლილი მგზავრი ველი როდის მომცემს ბედი ნებას რომ ჩემი თავი ჩემს ქოხს შევაფარო—ეს ამთვენი ხანია გარეთა ვარ უთქვენოდ, მაგრამ ესე როგორც ეხლა თქვენი ნახვა მე მინდა, ჩემს დღეში არ მომდომია. არ ვიცი ეს რისგან არის? იმისაგან თუ, რომ ეხლა ბედმა ცოტად მაინც გამიღიმა (ცოლიც კარგი მყავს), ლუკმა პურსაც ჩემის ცოდვილობით ვშოვობ და მაქვს, იქნება ამისაგან მინდა, რომ ამ ყოფაში თქვენა მნახოთ მხიარული, ბედნიერი და თქვენც ჩვენის ამ ყოფით ისიამოვნოთ. მე თქვენთან ყოფნა რომ მინდა, იმისთვის მამიდაჯან, რომ ბოლოს ვინც თქვენ პატარაობაში დიდის მზრუნველობით გამოზარდეთ, ახლა იმან თქენისათას ნაირ შრომისათვის ხელის გულზედ ერბო კვერცხი იწვას და ისე გაცხოვროთ. სიკეთე, მამიდაჯან, დაუფიწყარია და რაც თქვენ ჩვენთვის სიკეთე გიქნიათ, ეგ უფრო განსაკუთრებით უკვდავი არის ჩემთვის. მე რომ მინდა მანდ გადმოსვლა, იმიტომ უფრო მამიდაჯან, რომ თქვენთან გახლდე და ჩემი დღენი თქვენს პატივისცემაში, სიამოვნებაში დავლიო. ღვთის წინაშე, მოგახსენებ მართალსა. ეხლა, რაკი ცოტაოდენი სამსახურისაგან ღონისძიება მომეცა, შინ რომ ვიქნები ეგ სულ პენსიასავით გახდება და ორასი თუმანი ჩემს სახლში რომ მქონდეს და თქვენც იქა-ბძანდებოდეთ, ღმერთს ვფიცავ, ცივს ნიავსაც არ მოგადენთ. ესე, ჩემო მამიდაჯან!

რაც სასყიდლები გეზმანებინათ ყველა მზად გახლდება, რა კი მეტითონ ქალაქში ჩავალ. მე ეხლა ავად გახლდი ხელმეორედ და ძალიან მძიმეთაც, დათიკომ კიდევ ქვეშაგებში მომასწრო ეს ორი დღეა რაც ავდექი და მაინც წამალში ვარ და საშინლად სუსტადაც ყველაფრით ასე იფიქრეთ, თუ დიდ ხანს ან ვიკითხე, ანა ვჰსწერე, თვალთაც მიზნელდება სი სუსტისაგან.

კაცი ფულს გამოვიტან, მამიდაჯან, მაგრამ ლიზამ მთხოვა და იმას ვაძლევ სრულიად. ასე რომ იქიდან ჩვე არა გვერგება რა ეხლა სახლებს ვაკეთებ ქალაქში ორას ოცი თუმანი მეტი მიჯდება არ ვიცი როგორ გაუძლვე მაგრამ თუ კი გავაკეთე, წელიწადში ას ოცდა ათს თუმანი შემომიტანს. და იმის ქირას ვაპირობ ზოგს ვალებში, ზოგს კიდევ ლიზომ თვე და თვე ჯამაგირისავეთ აიღოს. მაშინ, მამიდაჯან, ჩვენი საქმე გაჩარხდება. ეხლა ამ ვალებისაგან ილაჯად არ არის, თუმცა პრიკაზიდან რომ ფული ავიღე ექვსას ორმოცი თუმანი მოვიშორე, მაგრამ ასიოდ თუმანი კიდევ დამრჩა და თვეში ათ თუმნობით, რვა თუმნობით სულ ვალებში მიდის, თორემ ესე კუტრად არ ვიქნებოდით ეხლა კიდევ ამ სახლის კეთებაში ჩავები და არ ვიცი როგორის ჯიბით გამოვალ. ხარჯი დიდი მაქვს, საწყალ ლიზოს ისე არ ჩავალ ქალაქში ორი თუმანი, ხუთმეტი მანეთი არ მივჰსცე, ამას წინეთ ხუთის თუმნის რაღაცეები უყიდვ თუმცა ჯავრობდა შენ რა გაქვს, რო მე მაძლევო, მაგრამ მეტი რა ჩარა იყო. ძალიან კაი ქალია, მამიდაჯან! ეგვი თქვენი ბეჭედი. ასეა, ასე სოფელი, მამიდაჯან!

თქვენი უმორჩილესი და მარადის ღრმად
პატივისმცემელი შვილი ილია კავჭავაძე.

9.—ილია წინამძღვრიშვილისადმი

საყვარელო ძმაო და მეგობარო ილიკო! ¹

აი ამ სტატიას ² გიგზავნი, ჩემი საკუთარია, თუმცა სხვა გვარი აწერია; მე არ მინდა გამოვაჩინო, რომ ეს ჩემი დაწერილია მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. შენც ძალიან



კირ. ლორთქიფანიძე
(1839—1918)

შეგეხვეწები რომ არ გამომ[ა]შკარაო [. . .] არავისთან, ხელალებით არავისთან იმისთვისაც არ მინდა, რომ შენ მიუტანო კერესელიძეს³ ეს სტატია, რადგანაც ის მიხვდება, რომ შენ ჩემის მეტი არა ვინ გიგზავნის სტატიებსა. ისე უნდა მოიქცე რომ თითონ რედაქტორს და ცენზორსაც არ შეატყობინო; კანონით იმათ უთუოდ უნდა იცოდნენ, მაგრამ შენ როგორც იყოს სხვის მხრით დააჯერე ისინი, რა მართლა და აზნაური ზუმბერიძე⁴ მართალი გვარია და არა მოგონილი.

ამას გარდა, თუ ვინცობაა კერესელიძემ არ დაბეჭდოს უთხარ როგორმე, რომ ეს ზუმბერიძე რომელიმე რუსის ჟურნალში ან გაზეთში გიჩვილებს თქო ქართველებთან და გაგირჩევს შენ საკუთარ ლექსებსა თქო. ვიცი კერესელიძეს თ. რ. შ. ერისთავისა⁵ ეშინიან და იქნება იმისთვის არ დაბეჭდოს. ეს სტატია ჩიკვაიძეს მიხაკოს⁶ უნდა მიუტანო, აქამდის ის ქალაქში იქნება მოსული. ესე შენი კირიმე და შენი კუჭისა, როგორც გეუბნები ისე მოიქეც, ჩიკვაიძესთვის მე აქ ყველაფერი მითქომს, იმან თითონ იცის, როგორც მიუტანოს კერესელიძეს

შენი ძმა და მეგობარი

ილიკო ქავჭავაძე.

ეს ლექსები კი შენ მიუტანე კერესელიძეს. ერთი წიგნი მომწერე ჩემი აჩრდილი⁷ და ხაჯი აბრეკი⁸ რა ყოფაში არიან.

ვანო პოლტარაძე⁹ მომიკითხე და უთხარ რა დაუშავე, რომ წიგნ არა მწერს?

[1860 წ.]

10. კირილე ლორთქიფანიძისადმი¹

1864. 24 აგვისტო. ქუთაისი.

დიდი სიხარულით წავიკითხე შენი წიგნი ჩემთან მო. წერილი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს ყოველს მაგისტანას საქმეში, რომელიც ყველასათვის ერთნაირად სასიამოვნოა²

მეც ჩემის მხრივ მადლობას გეუბნები, რომ მაგისტანტ კეთილ საქმეში ჩემი ხელიც გაურიე: საკვლაოდაც თუ ჩემ დახმარება რაშიმე ივარგებს და დაგჭირდება, გთხოვ: ყოველთვის და ყველგან მიგულვო სულით და გულიც გამზადებული.

რაც გითხოვია, მათთა შორის რაც უპირატესი აღგისრულებ, ე. ი. ლექსებს, თუ ივარგებს ოცდა ცხრა: ამ თვეს მოგართმევ. ძალიან ვწუხვარ, რომ ადრე არ შემატყობინე, იქნება ახალი რამ მომემზადებინა. მაქვს კიდევლი იმისთანა ლექსები, რომელი ჯერ არ დაბეჭდილა მათგანს ყველას გამოგიგზავნი. ამას კი გთხოვ: არც ერთ ლექს[ს] ჩემი სახელი არ მიაწერო: ნეტაი ლექსმა ივარგოს თორემ სახელი რა საქირაო. თუ ძალიან და ძალიან გინდა რომ მაგ წიგნში ჩემი სახელიც იყოს, შეგიძლიან თავში საზოგადოდ მოიხსენიო, რომ სხვათა შორის ამ წიგნში ჭაჭაჭაძის ლექსებიც არისთქო და რომელი ლექსია ჭაჭაჭაძისა თვითვეულად და სახელდობრ ნუ მოიხსენიებ. ამისთვის მე პატივსადები საბუთი მაქვს.

ფულისას იწერები. ნეტა ჩემო ძმაო, იმოდენა ფული აიღო, რომ შენი შრომის და წიგნის ხარჯი გამოგივიდეს და სხვაზედ ნურას ნაღვლობ. თუნდ რომ ბევრი ფული დაგრჩეს, მაინც მე წინადვე ვარი მიყვია: შენ თითო მოიხმარე—ეგ უკეთესი იქნება, ან სხვას მოახმარე, იმის თანას, რომელიც გაჭირვებულია. მანდ ჩვენი ამხანაგები ბევრნი იმისთანანი არიან, რომელთაც დღიური ლუკმა(უჭირსთ, პირველი ჩვენი შრომის შემოსავალი იმათი კუთვნილია. იმათ გადაეცი: ჩვენი ლექსები, დამიჯერე, უკეთეს ვერას იზამენ. არ ვიცი სხვა რას ფიქრობს და ჩემთვის კისიც სამყოფია, რომ ჩემმა ლექსმა სხვათა შორის ისიც შეიძლოს, რომ ერთს ჩვენთაგანს უფრო გაჭირებულს ეროთვეს მაინც მუცელი გაუძლოს. ამას გევედრები, რომ ამის თანა რამ ჩემის სახელით არ იყოს. ეს წიგნიც რომ დახიო ურიგო არ იქნება.

მაგ შენგან დაპირებულის ლექსების წიგნის სახელი არ მომწონს: ჰსჯობს, „ქართული ლექსების კონა“ დაარქვა.

„კრება“ სხვა რიგად ესმის ქართველსა და რუსულიდამთარგმნულსა ჰგავს. სხვაფრივ მსურს ბედნიერად შესრულება მაგ საქმისა.

შენი ილიკო ჰავჭავაძე.

11. მ ა ს ვ ე

აი რის გამოგზანა ეხლა შევიძელი. „ქართლის დედას“ არ გიგზავნი, მიტომ, რომ ვერას გზით ვერ გავასწორე, გაუსწორებლად კი ვერ გამოგიგზავნე იმიტო—რომ შიგდაშიგ უფრო რიტორიკაა, ვიდრე სხვა რამე. „რამდენიმე სურათი“ ანუ „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“¹ მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ. თუნდ მანდ როგორმე მოახერხო და ნების დართვა აიღო² აქ მთელ წიგნს ამიკრძალავენ, ეს მე ნამდვილად ვიცი. მეც ბევრი ვეცადე აქაურ ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს. დასაწყისი მაგისი, როდენიც „საქართველოს მოამბეშია“³ თუ გნებავს, დაბეჭდე, სხვა ახალი ლექსი, პატიოსან სიტყვას გაძლევ, სრულიად არა მაქვს, მაქვს უწინდელი ზოგიერთი სატრფიალო ლექსები ჯერ დაუბეჭდავი, ვიცი შენ არ გამოგადგება და იმიტომ არ გიგზავნი.

12. მ ა ს ვ ე

1868 წ. 19 დეკემბერი. დუშეთი.

ძმაო კირილე! მოგეწერა, რომ „კაცია ადამიანის“¹ დაბეჭდვა მოვიწადინეთო და ნების დართვა მთხოვე. ² მაგას რალა თხოვნა უნდოდა: მომიცია სრული ნება დაბეჭდვისა და თუ ძალიან გსურთ, ჩემი სახელიც ჩაურთეთ ჯიმშერიძის მაგიერად. ³ წინასიტყვაობისა უნდა მოგახსენო, რომ მე იგი ცალკეთ არ დამიწერია. ⁴ მართალია როცა ეგ მოთხოვნა გავათავე, მინდოდა ცალკე წინასიტყვაობაც დამეჯღაბნა,

მაგრამ როცა გადავიკითხე, გამოჩნდა, რომ რაც წინასიტყვაობაში მინდოდა შეთქვა სულ ყოველისფერი შიგ მოთხრობას (აჩნდა) ჩემდა უნებურად. მგონი ყურადღებით წაკითხვა ამას შენც დაგარწმუნებს.

პატივცემა ყველას ჩემგანს ჩემმიერ
შენი ილიკო ჭავჭავაძე.

13. მ ა ს ვ ე

ძმაო კირილე! გიგზავნი ჩემს გლახის ნაამბობს.¹ ჯერ ვიდრე დაჰბეჭდდე, შენებურად გადაიკითხე და შენი პირ-მოუფერებელი აზრი მაცნობე. რაკი არ მომეშვი აი „ტრფიალების“ ლექსს ჩემსას გიგზავნი² და ერთს ნ. ბარათაშვილისას³ თუ ჭკვაში მოგივიდეს, დაბეჭდე. ხანდისხან ამისთანა ლექსებიც ჰსდომებია ამ უდარდელს! და ცრუდ-მოტრფიალეს ქეყანას.

ეს ლექსი³ როგორც დედანშია, ისე აქ არის გადმოწერილი. შენი ჭირიმე კირილე, ჩემი გლახის ნაამბობის ფურცლები არ დამიკარგო, მაგის მეტი არც თეთრი მაქვს და აღარც შავი. მესხს⁴ უთხარი, რომ შენი წიგნი დღეს მივიღეთქო. მე თუ თავი როგრმე დავალწიე, იქნება ჩვიდმეტს ამ თვეს ჩამოვიღე ქალაქში და მაშინ მოვილაპარაკოთ თქო. იმ დრომდე არას გზით მანდ ჩამოსვლა არ შემიძლიან.

თუ ეს ლექსები არ მოგეწონოს, უმიკოვს⁵ ჩემი „აჩრდილი“ აქვს, ახლად გადაკეთებული, იქიდან VII, VIII და IX მუხლი დაბეჭდე იმ სათაურით, როგორც ადრე იყო დაბეჭდილი კრებულში.

რედაქციას ჩემი სტატია, „ზოგიერთი რამ“⁶ უნდა ჰქონდეს. მაცნობე ჰბეჭდავთ მაგ სტატიას თუ არა. ოღონდ ეგ დაიბეჭდოს და შეიძლება ცენზორს ბევრი დაუთმოთ. ჩემ გლახის ნაამბობზე შენი აზრი მალე მაცნობე.

შენია ილიკო ჭავჭავაძე

14. მ ა ს ვ ე

ძმაო კირილე! გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. ¹ შენ იცი და შენმა რიგიანობამ როგორც კარგად შეუშლელად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ. მართლ წერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედანისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს. საკვირველია, რომ ჩვენგან გაკიცხულს ასოებს არც ნიკ. ბარათაშვილი ხმარობს მაგრე რიგად. ჰსჩანს მაგ ასოებს არც ის ეწყობოდა. შესანიშნავია. გთხოვ მაგ წიგნებს ამისთანა შენიშვნა გაუქეთო:

„ეს ოთხი წიგნი, ნიკ. ბარათაშვილისაგან ერთ და იგივე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენ ერთმა პატივცემულმა პირმა ქართულის ენისა და მწერლობის მოყვარემა. ვისაც ესმის-რა გვარი მნიშვნელობა აქვსთ ამ გვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულებისა და თვისების ახსნისათვის,—იგი ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მაგა წიგნების პატივცემულს გარდმომცემელსა“ ².

ამ გვარი კმევს საჭიროა, ჩემო კირილე! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: Мир управляется слабостями людскими.

დღეს მივყავ ხელი გლახის ნაამბობის გაგრძელებას. ღვთით რომელიც შენ არ გწამს, დასრულდება. გლახის ნაამბობის კორრექტურა უკანასკნელი მე უნდა გავშინჯო. ყმაწვილებს მოკითხვა უთხარი.

9 დეკემბერ. [1872 წ.]

15. მ ა ს ვ ე

კირილე! მაპატივე, რომ, რაც დაგპირდი, ვერ შეგისრულე: ვერ მოვიცალე. ხვალ დილაზე ლექსებს გამოგიგზავნი. გლახის ნაამბობი შესრულებულია.

29 იანვარ [1873 წ.]

შენი ილია ჯავახიძე

16. მ ა ს ვ ი

ძმაო კირილე! გიგზავნი გლეხურ სიმღერებს.¹ ოცდა ათზე მეტია. გამოიზოგე. სხვა ლექსებს ველარ გიგზავნი მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. ჯერ ეს იმყოფე, კაი სიმღერებია.

გლახის ნაამბობი დავასრულე და თებერვლის ათამდინ გამოგიგზავნი, რაც დებეჭდილია იმაზედ, თუ არ მეტი, ნაკლები არ გამოვა. დიდი ხანია ეგ ნაამბობი გულში მედო და ძლივს მოვიშორე. არ ვიცი როგორ მოგეწონებათ. ზოგიერთი ადგილები, მაინც, მე მგონი კარგი უნდა იყოს. მაგრამ რაც არის, ღმერთმა მშვიდობა მიჰსცეს, მე ხომ თავიდან მოვიშორე და!

ჩემი საქმე მეტად ცუდად მოდის: ნიკო ჭავჭავაძემ² ბანკის თაობისა გამო მიმტრო. მაგას გაუძლებ, ცუდ-კაცობა იმას შერჩება და მე ისევ ის ვიქნები, რაც ვარ. ვაი რადიდგულის თოფებს ისვრიან ისინი, ვინც მე ბანკის თაობაზე გადავიმტერე! შურის-ძიებაზედ მე შორსა ვარ, მე მარტო მეცივნება იმათ უილაჯობის საქციელზედ.

ნიკოლაძეს მიულოცე ჩემ მაგიერ საქმის მოგება.⁴

ბარათაშვილის წიგნები როგორც არის ისე დააბეჭდინე.

29 იანვარი 1873 წ.

შენი ილია ჭავჭავაძე

17. მ ა ს ვ ი

ძმაო კირილე! 29 გვერდზე ქვევიდან 3, 4, 5 და 6 სტრიქონებში, სადაც არეულობაა ჩემს ნაწერთან გასინჯე და ისე გაასწორე.¹

შენი ჰირილე კირილე! თუ ივანოვის ბიბლიოთეკაში იყოს ეს წიგნი უსათუოდ გამომიგზავნე: *Философия и наука. Очерки из современных Европейских писателей. Издание Вольфа.*

თუ არ ჰქონდეს, მაღაზიებში იკითხე, მკყიდე და გამომიგზავნე. ფულს მოგართმევ დიდის მადლობით. მალე კი უნდა გამომიგზავნო და მაცნობო ამ თხოვნის პასუხი.

14 მარტა [1873 წ.]

შენი ილია ჭავჭავაძე.

ესეც გამომიგზავნე თუ ივანოვსა აქვს: Всеобщая землеописания география, для чтения и справок. По плану [.] и т. д.

18. მ ა ს ვ ი

კირილე! მე დღეს ცოტა შეუძლოთა ვარ და ბანკში ვერ მოვალ. თუ საჭირო ვიყო მაცნობეთ და მაშინვე გამოვცხადდები.

ილია ჭავჭავაძე.

22 ივლისი.

19. ღაპით მრისთავისადმი

დათიკო! ¹ გიგზავნი გამოცანებს. ² რომ წაიკითხავ და დააკვირდები, მგონია, მიხვდე ვინც არიან აწერილნი. საქმე იმაშია, რომ არავინ-არც შენმა მახლობელმა და არც ჩემმა არ უნდა იცოდეს ვისგან არის დაწერილი და ხალხში გავრცელებული შენ იცი როგორც შეინახავ ჩემს სახელს საიდუმლოდ. დაბეჭდვა მაგ ლექსისა არ იქნება,—ეგ ისე უნდა გავრცელდეს ქალაქში. მაგ გავრცელებაშიაც ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე, თორემ ჩვენდა სამტროდ „ისინი“ ყოველს ფერს სიმურტლეს იკადრებენ და მაშინ ჩიტი პრტყვნად აღარ ეღირება.

გამომიცხადებია, რომ შენს მეტს მანდ ქალაქში არავის ვანდე ეგ ჩემი ლექსი. შენ იცი როგორ უპატრონებ.

ამას წინად ვახტანგ თულაევის წიგნი მომივიდა, რომლითაც იგი მთხოვს მონაწილეობა მივიღო სალიტერატურო საღამოშია. ასეთი ზრდილობიანი წიგნია, რომ გიგზავნი

წასაკითხად. თვალი ადევნე იმ აზრებს და სიტყვებს, რომელთა ქვეშაც ჩემგან ხაზები აქვთ გასმული. თავის თავმოყვარების მყრალს გუბეში ისეთნაირად ჩაფლულია, რომ თავის თავს ნება მიჰსცა ამის მოწერისა: Отлично знал и знаю, что тебя очень легко подбить на все хорошее и благородное. Главное: Вахтанг Тулаев подбивает меня на все хорошее и благородное. როგორ მოგწონს? თავი დავანებოთ მაგ ვახტანგ თულაშვილს, შენ ამას გთხოვ, რომ დაწვრილებით მომწერო: 1) ვინ არიან მკითხველნი; 2) შენც ურევიხარ, თუ არა; 3) შინაურული მოწყობილობა ექმნება იმ სალამოს, თუ საგარეო. ამის პასუხი ძალიან მალე მაცნობე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

11 დეკემბერი
[1871]⁴

P. S. ვახტანგის წიგნი უკანვე დამიბრუნე.

20. მ ა ს ვ ე

ძმაო დათიკო! შენი წიგნი თარგმანითურთ მივიღე. ზოგიერთი ხანა, ძალიან კარგად არის ნათარგმნი. მაგალითებრ: 1) პირველი ოთხი სტრიქონი IV გამოცანისა, 2) პირველი რვა სტრიქონი VI-სა, 3) მეორე გამოცანა უკანასკნელ სტრიქონს გარდა მშვენიერად არის ნათარგმნი. 4) პირველი ოთხი სტრიქონი III-სა და 5) პირველი რვა სტრიქონი V-სა. მიკვირს მე-VIII გამოცანა რატომ აღარ გადაგიღია? მე შევიტყე რომ პასუხი, პასუხის პასუხი¹ და სხვანი გადაგიღია. თუ გიყვარდე გამომიგზავნე, ან გადმოდი და თან წამომიღე. მე ოცდაორს ივლისიდან ოცდაექვსამდე შინ ვიქნები. თუ ღმერთი გწამს (რა კაცი გიხსენებ ღმერთსა!..) გადმოდი, ერთი მასლაათით სული მოვიბრუნოთ.

მე არაფერს არ ვწერ. ამ აჩრდილმა ტყავი გამაძრო. ისტორიულს ნაწილზედ გაქირა ვირსავით შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ველარ წავდგი. არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ ამ აჩრდილს თავი დავანებო მეტქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტო-

რია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს. მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიმიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხებარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსით არი. ერთი გადმოდი, ლაზარეთიანი მასლაათი გავწიოთ. უკაცურობამ ლამის მომიღნოს. მართალია ლესსინგი.² მწერალმა საზოგადოებაში უნდა იცხოვროსო. თუ არ ცხოვრების მორევში საგანს სად იპოვნის წერისათვის. აბა ჩემი თარგმანიცა ნახე კაშნიკად გიგზავნი.

I

Он плешив и усат,
 Руколиз и бас густой.
 Хоть и карлик, а забияка,
 С бестолковой головой.
 Мал он ростом, но ведь важен...
 Во всем прочем остальном—
 На дела родного края
 Ему плюнуть нипочем.

II

Франтик он, да и пролаза,
 Мал тож ростом, худощав,
 Ключонос он, вечно хмурый,
 Нелюдим и крутонрав.
 В нем истерлись ум и сердце,
 Праздно дремлет в мире сем,
 И ему на дело края
 Плюнуть также нипочем.

შენი ილია კავკავაძე.

ჩემმა კნენამ³ მოგიკითხა

[1872 წ.]⁴

21. მ ა ს კ ე

თუ კოტე ყიფიანი როგორმე ნახოთ, უთხარით დღეს ჩემთან მოვიდეს ორის ნახევრამდე ბანკში ვიქნები და მას შემდეგ შინ რვა საათამდე. მაღლობელი ვარ ხომ იცით რძისთვის.

22. პეტრი ნაკაშიძისადმი

პეტრე!¹ გიგზავნი ხელახლად გადაკეთებულს შენდამი ნაძღვნევს ჩემს „ქართლის დედას“². თუ მოგეწონება მიეცი ნიკოლაძეს³ დასაბეჭდათ. გთხოვ შენი პირმოთურიდებელი აზრი მაცნობო ამ პატარა თხზულებაზედა. კარგად კი წაიკითხე. მე ყველაზედ უფრო ჯარის სიმღერა მომწონს, გლეხურ კი-ლოზედ მოწყობილია. თუ მოგეწონოს დასაბეჭდად, შენთან მოწერილი ძღვნობის ლექსიც⁴ დააბეჭდინე ამასთან ერთად. კორექტურა შენთვის მომინდვია.

შენი ილია ჭავჭავაძე.

[1871 წ. 19 მარტი]⁵

23. პეტრი უმიკაშვილისადმი¹

პეტრუს ბეგ! შენი წიგნი მამივიდა, მაგრამ პასუხი დავაგვიანე. მამიტევე. რაც წიგნში მოგეწერა, ყველაფერზედ ჩემი სრული თანხმობა გამომიცხადებია. ახლის რისამე გამოგზავნას მენუკვი, მაგრამ ახალი მე გათავებული, ანუ უკეთ ვპოქვათ შესრულებული არა მაქვს რა, რომ დასა-ბეჭდად ღირსი იყოს. გაგიკვირდება ჩემი ზარმაცობა, მაგ-რამ დამიჯერე, რომ ზარმაცობით არ მამდის. მე, სწორედ გითხრა, ცუდის აგებულების კაცი ვარ. დიდი მოსვენება და შალავათი მინდა, რომ დავწერო რამე და მინამ მე ჩინოვ-ნიკობას² თავს არ დავანებებ—ეგ მოსვენება და შელავათი ჩემთვის სიზმარია. თუ დავიწყე რამე და არაფერმა არ და-მიშალა დაწყობილს მალე შევასრულებ და თუ დაწყობილი



პეტრე ნაკაშიძე.

შემაწყვეტინა რამემ, გათავდა: მე იმ დაწყობილს ველარ მოვუბრუნდები. ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოცალეობა არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდ დღის ცხოვრება. დიად ვწუხვარ ამგვარ მდგომარეობისათვის, მაგრამ შველა არსით არი. ვფიქრობ თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რით ვიცხოვრო. ვაი თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა პურის შოვნის დევნაშია, სამსახურს რომ თავი დავანებო. ესეა ჩემი ვითარება. მაგრამ მაინც კიდევ ვეცდები როგორმე დავწერო რამე. წინადაცე არას გპირდები, იმიტომ რომ ბევრჯელ დაპირებული ვერ ავასრულე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

[21 ივნისი 1872 წ.]³

24. მ ა ს ვ ე

შენი წიგნი დღეს მივიღე და დღესვე პასუხსა გწერ¹. ჩემი აზრი ეს არის: კრებული² უნდა არსებობდეს უსათუოდ. ვიცი ამ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩვენ ვართ, ძნელია მაგ კრებულს ნოყიერი საზრდო მიეცეთ, რადგანაც ნიჭიერი მწერლები მაინც და მაინც არა გვყავს. იქნება მაგ კრებულის საქმე რიგიანად წასულიყო, რომ მწერლებს ჟურნალის გარდა სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონდეთ, მაგალ. რომ ქალაქში ერთი იმისთანა სახლი მოხერხებულყო, საცა მსახილო, ყოფილიყო მწერლებისა და სხვა თანამგრძნობელთ ერთად თავის მოყრა თვითთვის გონების საუნჯის ალებ-მოცემობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ არც ესა ხერხდება. მართალი ხარ შენ: გაფანტულობა და დაქსაქსულობა გვლუბავს ჩვენ. მაგრამ მაინც და მაინც კრებული უნდა არსებობდეს, თუმცა დიდს შემწეობას მე ვერა გპირდები. მწერალს დამოუკიდებლობა უნდა, მწერალს თავისი დრო სულ მას უნდა ეკუთვნოდეს. სხვისა არ ვიცი და მე კი ასეთის აგებულებისა ვარ.

მწერ, მოახერხეო როგორმეო, უეჭველად ქალაქში გადმოხვიდეთ.³ ეგ ჩემი გადმოხვლა ადვილია, თუ ვაკანსია

გაიხსნება, დაპირებულიც არიან. მაგრამ ჩემს დამოუკიდებლობას ეგ რას უშველის, თუ კიდევ სამსახურში ვიქნები მე უნდა სამსახურს გარედ ვიყო. სამსახურის თავის დანებება ჩემთვის ამ ჟამად დიდი არაფერია. და თუ სამსახურიდამ გამოვალ მარტო იმისათვის რომ ჟურნალი გამოვქცე. ვაჭიქრობ ვაჭიქრობ და ეგ გამოცემა ვერ მომიხერხებია¹. აი სრულიადი დაბრკოლება ჩემი, რომელიც ხელსა და ფეხს მიკრავს. თუ ორიოდ და სამიოდ რიგიანს (სად არიან?) მწერალზედ იმედი მექნება, ანუ უკეთ მომეცემა მაშინვე დავეკრავ ფეხს, გადავარდები ბახტრიონ გალავანზედა.

იერარქიას გოდება როგორღაც თავში ვერ მომდის და ამისათვის არ გაგიღექსე: სწორედ გითხრა იმიტომ არ მამივიდა, რომ არ მესმის, თუმცა დიდის ყურადღებით წავეკითხე. საძაგლად არის თარგმნილი ჩვენს დაბადებაში, თუმცა ალაგ ალაგ კარგია.

კორესპონდენტად, ანუ უკეთ, კომმისიონერად წიგნების გასასყიდად, დუშეთში გიშოვნე სანდო კაცი: ზურა! სვიმონის-ძე მორთულაძე. ეს მოგიხერხებს წიგნების გასყიდვას.

მომავლის ნომრისათვის ჩემი აჩრდილი დაბეჭდო პირველი სამი ხანა. მეტი არა მაქვს რა.

მუხრანსკის ბროშურა⁵ წავეკითხე. აი ჩემი პასუხი: *Лишь право сильного раб свято почитает.*

მაგ ბროშურის პასუხად აი რა დავწერე და გთხოვ დროებაში⁶ დააბეჭდინო, ჩემს გვარს ნუ მოაწერ.

რჩევა

თუ გინდა ძმაო იგემო

ამა ქვეყნისა შეგბანი.⁷

მ ი ნ ა წ ე რ ი :

როგორ არ გრცხვენიან, რომ რაც ქართული წიგნები გამოდის, არ მიგზავნი? აი ქალებს რომ უთარგმნიათ,¹ გამომიგზავნე. ფული არ დაგეკარგება.

[1 სექტემბერი 1872].

25. მ ა ს ვ ე

ჩვენი დედა-ბოძო და არა ბოზო პეტრუს-ბეგ! ჩვენი¹ ნათარგმნი ლირი² აქამომდე მიღებული გექმნება და გადაკითხულიც. მაშინ მოგწერეთ, რომ დააბეჭდინე³ მეთქი კრებულში. ეხლა ორს შეუცვლელს პირობას გიღებ: 1) ისე უნდა დაბეჭდონ რომ ლექსი არ გატეხონ, ესე იგი, მთელი სტრიქონი ერთს სტრიქონზედ უნდა დაჰსტიონ და 2) რომ ეგ პირველი მოქმედება ერთს ნომერში სრულად, ხელუხლებლად დაბეჭდონ და კორრექტურა კი შენს გაფაციცებულს თვალს მიანდონ.

ცუდი არ იქნება, რომ მაგ თარგმანზედ შენი ჩვეულებრივი პირუთენელი აზრი მოიწერო ამ აღრესით: Студенту СПБ университета Ивану Георгиевичу Мачабелли с передачею Илье Чавчавадзе.

სანდრო ერისთავი ამ წიგნის მიღებისავე უმაღ ნახე და უთხარი, რომ დამლუპავს თუ, რაც დამპირდა, არ აღასრულა.

შენი ილია ჭავჭავაძე.

[1873 წ.]

თუ ეგ ნათარგმნი მოგეწონა, მაშინ იმასაც გახარებ, რომ მეორე მოქმედებაც დღეს გავათავეთ და პირველს მოქმედებას სიკეკლუტით არ ჩამოუვარდება.

26. მ ა ს ვ ე

ძმაო პეტრე! ჩემო კარგო მეგობარო! დღეს წასვლა გელარ მომიხდა. ხვალ, ესე იგი, შაბათს დილის პოეზდით წავიდეთ თუ-გიყვარდე, ხვალ დილის პოეზდისათვის ვაგზალში დამხვდი. თუ არ მოხვალ, არც მე და არც შენ. თუ გინდა დღესვე შეგიძლიან წასვლა. მცხეთაში ცხენები დაგხვდება. ჩემს კნეინას ძალიან იამება შენი მისვლა. სახვალით მე მცხეთას ცხენებს გამომიგზავნით.

შენი ილია ჭავჭავაძე.

14 сентябрь

[1885]¹

27. მასკა

ძმაო პეტრე! ჩემდა საოცრად მე შევიტყე, რომ შენ რალაცაზე ხარ ჩემზე გაჯავრებული და ეს მით უფრო მე საწუხებელია ჩემთვის, რომ ვერ მომისაზრებია რა უნდა იყოს ამისი მიზეზი. შენგან მიკვირს, რომ თუ რამ მიზეზი გაქვს, აქამომდე პირდაპირ არ მითხარი. ამას ჰიბოლობს ჩვენი დიდი ხნის მეგობრობა. თუ გიყვარდე და ჩემი მცირეოდენი პატივისცემა კიდევ შეგრჩენია, ამაღამ ჩემთან მოდი გასახსნილებლად. აქ ყმაწვილები იქნებიან, ივერიაზე გვექნება ლაპარაკი და მინდა რომ შენც დაესწრო და შენც რჩევა გავიგონო, თუ სამუდამოდ ჩემი შემოწყრომა და ჩემზე ხელის აღება არ გინდა, გეხვეწები უარი არ მითხრა და უსათუოდ მოხვიდე.

შენი ერთგული ილია კავკავაძე.

31 მარტი

1890 წ. ტფილისს.

დიდ შათათს.

28. მასილ მაჩაბლისადმი

ძმაო ვასო!¹ ამას წინად მდივანს² მოვსწერე ვინაობა აქაურის ბანკების უპრაველიუშჩებისა (მმართველებისა) და ვჰსთხოვე, რო მის ნაცნობთა შუამდგომლობით, ანუ ბარიატინსკის³ მეოხებით რაიმე ღონისძიება მოგვენიჭოს აქაურ ბანკებში შესვლის თაობაზედ. არ ვიცი რა მიზეზია, რომ აქანდის მდივნისაგან პასუხი ვერ მივიღე. იქნება ჩემი წიგნი არ მოუვიდა? უსათუოდ ეს მიზეზია, თორემ მდივნის რიგიანობის ამბავი რომ ვიცი თითონ მდივნის ბრალი არ იქნება, რომ აქამომდე პასუხი ვერ მომაწოდა. ვწუხვარ, ყოვლად ვწუხვარ!...

საქმის წინ წაგდებისათვის, მე აღარავის, მოვეუცადე, ავიღე თავი და პირდაპირ მოსკოვის ბანკის უპრაველიუშჩთან (ვილაც ვოლკოვი გდია) შევეხეტე. ვუამბე ყოველივე ჩემი ნალველი შესაფერის წინა-სიტყვაობითა, ვეცადე რომ იმის

კაცობრიული გული ამეძრა ჩვენდა საკეთილოდ, მაგრამ ცერცვი კედელს. ვერაფრით ვერ მოვიბირე, ასეთი ბრწყინვალე რამ ყოფილა. გადაწყვეტილად უარი მითხრა, ვერას გზით ნებას არ მოგცემო, რომ ჩვენი წესი შეისწავლო. მომეკვითნა ფრთენი და ღალად — ვყავ უდაბნოსა შინა. ცუდად არის ჩვენი საქმე. ვერც ვანოს წიგნებმა გაჰსჭრა. კროტკოვი მოსკოვში არ არის, პერფილიევი თუმცა ცდილობს, მაგრამ იმედ-გადაწყვეტილია. გუშინ იყო ჩემთან და ზოგიერთი რამ ნუგეში მომცა მასზედ, რომ იქნება ტულის ბანკში კარი გაგიღო. მაგრამ იმის ნუგეშინში უიმედობა ისმოდა. ერთი კვირა პაემანი მომცა საქმის გადაწყვეტილად შეტყობისათვის ენახოთ რასა იქს? თუ აქედამაც არა გახდა რა, ვაი შენს მტერს, ჩვენ საქმე მოგვივა. ვოლკოვი მოსკოვის ბანკში უბრავლიაუშჩის თანამდებობას დროებით ასრულებს; ნამდვილი უბრავლიაუშჩი Князь Владимир Александрович Черкасский — ია. ძალიან კარგ კაცს აქებენ, ამბობენ, რომ თუ ვინმე დაგვეხმარა ჩერკასკი ნებას მოგვცემსო. ჩვენდა საუბედუროდ ჩერკასკი ეხლა აქ არ არის, მალე კი მოვაო. იქნება ბარიატინსკის ძმა იცნობდეს ჩერკასკისა, მდივანსა ჰსთხოვე ერთი ძმურად დაფაცურდეს, რომ ბარიატინსკის ძმამ წიგნი მომცეს ჩერკასკისთან. დიდს სიკეთეს მიზამთ, — ეს რომ მოახერხოთ. ეს ის ჩერკასკია, რომელიც მოსკოვის გოლოვად იყო ერთს დროს. შენი ჭირიმე, ვასო, რაც შეგეძლოთ მალე მომეშველენით, თორემ დრო უბრალოდ მიდის და ამის გარდაც სხვა გზით შევლა არსაით არის. ტულის ბანკის უბრავლიაუშჩი Александр Васильевич Яковлев — ია. იქნება იმისი მცნობიც იყოს ვინმე და იქნება იმ მცნობმა რეკომენდაციის წიგნი მომცეს მასთან. ერთის სიტყვით რაც ეხერხებოდეს ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას, ის მოუხერხეთ.

ცენტრალნი ბანკისა რა შეიტყე? ჩემი სიმამრის⁴ საქმის ამბავი დაწვრილებით მომწერე. შენის საქმიანობისა და ჩიგანობის იმედი მაქვს, რომ ამ წიგნის პასუხს მალე პომწერ და ამასთანავე შემატყობინებ რა თადარიგს დაიჭერთ და რა განკარგულებას მოახდენთ ყოველ იმ საგანზედ, რომელიც ამ წიგნში მოხსენებულია.

გარეგანა ილინიშნას⁵ და გიორგის⁶ ჩემს ერთგულეზ;
პატივისცემას განუცხადებ.
მიგულე შენდა მეგობრად

ილია ჭავჭავაძე.

3 აგვისტო

[1873 წ.]⁷

29. მ ა ს ვ ე

ძმაო ვასო! ამას წინად წიგნი მოგწერე, არ ვიცო, მი
იღე, თუ არა ხვეწნა აღარ გინდა, რომ წიგნის თხოვ
ამისრულო. ეხლა ამას გეხვეწები: ჩვენი გაზეთის „დროების
№ 26 გამომოგზავნე. ნიკოლაძისა და ლოლობერიძის¹ კრიტიკა
მეც უნდა ჩავერიო და ცოტა ოდენი ქვაც ავურიო. ორი
ცულობულობენ, ნიკოლაძე კი უფრო ბევრსა. მაინც უსაქმო
ვგდივარ და დავწერ რასმეს მაინცა. ეხლა ცოტა იმედ
მომეცა, რომ ჩემს საქმეს გავარიგებ. კაცი ვიშოვე, რომ
ლიც დამპირდა შემწეობასა; ხვალ დაბოლოვდება ჩემ
იმედოვნების აღსრულება და გამტკუნება.

შენი ილია ჭავჭავაძე.

21 აგვისტო, 1873 წ.

მოსკოვი.

30. მ ა ს ვ ე

ძმაო ვასო! შენი წიგნი და სანდროსი¹ გუშინ მივიღე
მე ვიდრე თქვენი წიგნები მომივიდოდა გავირიგე ბანკ
შესვლა, ხოლო პოზემელნი ბანკში კი არა Московском кре
дитном обществе в существенных чертах, схожим с нашим
будущим банком. აქ შევისწავლი, თუ არა რაც საჭირო
მაინც წამოვალ, რომ в обществе взаимного поземельного
кредита შევისწავლო ის, რაც დამაკლდება. რადგანაც ჩემ

საქმე ასე მორიგდა, ამისათვის, სანდროს წიგნები ჩემთვის საკირო აღარ არის. ჩემი სიმაჰრის² წიგნი მომივიდა. მწერს რომ ორმოც თუმანს მივცემო, ვინც ჩემს საქმეს კარგად წაიყვანსო... თუ გაჭირდა მომეტებულიც შეიძლება. ასე ცოტას იმისათვის ნიშნავს, რომ საქმე თითქმის მოგებულაო, შენი ჭირიმე დაფაცურდით. თუმცა პირობის წერილი არ გამოუგზავნია, მაგრამ პირობის წერილს მე თვითონ მივსცემ ჩემის სიმაჰრის რწმუნების წერილის ძალით, ანუ საკუთარის ჩემის სახელით. მომწერე ამ საგანზე რა თადა-რიგს დაიჭერ და მალეც მომწერე. ამას გარდა გთხოვ კრე-დიტის კანცელარიაში, რომელიც ხელმწიფის სასახლის პირ-და პირ არის, მიხვიდე და შეიტყო გაგზავნეს თუ არა გო-სუდარსტვენი სოვეტში ჩვენი უსტავი. კიდევ ერთი სათხო-ვარი მაქვს: გიგზავნი პატარა წერილს, რომლის მეოხებითაც შეგიძლიან შეიტყო ან ოკრუჟნოი სუდში ანუ პალატაში მაგ წერილში მოხსენებულის საქმეების მდგომარეობა. მე-სამე საქმეს არ ვიცი როგორ იპოვი (. 360 py-ნეცკ.), ამიტომ რომ ვინ იცის რომელ მიროვოი სუდშია. პირველს ორ საქმეს კი ადვილად იპოვი ოკრუჟნოი სუდში. ადვოკატს ჩიჩაგოვს დაუტოვებია ეგ საქმეები და აქამდის არაფერს ატყობინებს პატრონს. ეხლა ელენე ზახაროვის მემკვიდრედ არის მედიცინის დოქტორი კონსტანტინე ივა-ნიჩი ზაქაროვი, რომლის შემწეობითაც მე ბანკის კარები გამეღო და რომელიც ჩემი ქვისლის სტაროსელსკის³ დიდი მეგობარია. ამანა მთხოვა, რომ საქმეების დაწვრილებით ამბავი შეეიტყო. რადგანაც შენ მანდ მეგულებოდით და შენს გულკეთილობას სამზღვარი არა აქვს, ამიტომაც დავპირდი, რომ შეგიტყოფ მეტქი. შენიჭირიმე, მალე შემეიტყვე და მომწერე.

შენი ილია ქავჭავაძე.

25 აგვისტო.

[1873 წ.]

31. მ ა ს ვ ი

ძმაო ვასო! რად დამივიწყე? შენის რიგიანობისა და ფაციფუცობისა განა ეგ იმედი მქონდა? შენი ჰირიმე, აწიგნის მიღების უმაღლეს კრედიტნი კანცელარიაში შემიტყუე გაგზავნეს, თუ არა ჩვენი უსტავი გასუდარსტვენნი სოვეტში. გეთაყვა, დაწვრილებით შემიტყუე მაგ უსტავის ყოფა და აწინდელი მდგომარეობა და დაწვრილებითვე ამ ორ დღეში მაცნობე. უსათუდ უნდა ძალიან მალე ამისრულო ეს თხოვნა ფრიად საჭიროა ჩემის მომავალის გაწყობისათვის.

ჩემის სიმამრის საქმისა რა ჰქენი? შემოუთვლია ორმოც თუმანს მიეცემო, ვინც მაგას გამირიგებსო. ასე ცოტა იმისთ (ვი)—ნა ვნიშნამო, რომ საქმე თითქმის მოგებულიაო.

Общество взаимного поземельного кредита მიმიშვებს თუ არა, რომ მაგათი რიგი და წესი შევისწავლო? ესე მალე მომწერე. მე ათს სექტემბრამდინ აქაურს კრედიტ ბანკში ყველაფერს შევათავსებ და მანდ წამოვალ, თუ საჭიროება მოითხოვს.

სანდრო ერისთავი რამდენ ხანს დარჩება მანდ? მომიკითხე და მდივანიც, შენი ძმაც.¹ ჩემი პატივისცემა ვარვარ ილინიშნას და მოკითხვა კნიაზს გიორგის.

შენი ილია ჯავჭავაძე.

1 სექტემბერი. [1873 წ.]

პასუხი მალე მომაშველე.

32. მ ა ს ვ ი

10 მარტი.

საყვარელო ძმაო ვასო! მოგართვი შენგან დაბარებულ ივერია. აბა შენ იცი როგორც დავგვხმარები იწერები ვანო უნდა გავუგზავნო. თუ გიყვარდე, იმისი ადრესი მომწერე და მე თვითონ გავუგზავნი პირდაპირ აქედამ რედაქციის მხრივ. შენ შენი ნომერი გაზეთისა შენ იქონიე.

ვანოს წიგნების ქებას იწერები. ვიდრე ამას შენ მოიწერებოდი, ჩვენმა აეალოვმა¹ დიდი ქება მითხრა მაგ წიგნებისა. რა კარგი იქნება, რომ ეგ წიგნები დამაბეჭდინო, თუ შესაძლებელია და თუ ვანო ნებას მოგცემს. მიჰსწერე შენად და ჩემად მოგვეშველოს როგორმე. ჭკვიანი ბიჭია და ამასთანაც კარგის კალმის პატრონი-ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება. ჰსთხოვე და არამც თუ ჰსთხოვე შეეხვეწე ჩემმაგიერ რომ სტატიები რამ გამოგიგზავნოს.

მეფე ლირი დავბეჭდეთ. გამოგიგზავნი ამ დღეებში. ვანოს ადრესს რომ მივიღებ, იმასაც გავუგზავნი. ცოტა კორრექტურის შეცდომებით დაიბეჭდა, მაგრამ არა უშავს რა.

ჩვენი დავით იესესძე 'ჩუბინოვი' ნახე. გაზეთი მოვართვი როგორც ჩვენს უზუტცესს მწიგნობარსა. ჰსთხოვე ჩემმაგიერ ლაზისტანზედ რომ რუსულად ნაწერი აქვს, გამომიგზავნოს მე თვითონ ვჰსთარგმნი და ისე დავბეჭდავ. შენი ჭირიმი, ამ წიგნის მიღებისავე უმალ მიდი და ჩემმაგიერ ჰსთხოვე მალე გამომიგზავნოს. დაპირებულიც არის. ჩვენი ალექსანდრე ცაგარელიც³ შეაფუცხუნე—გვიშველოს რამე. ეცადე, შენ გეთაყვანე, მანდ—მოსწავლეთაგან მცირე სალიტერატურო წრე შეადგინე, მათთან მისვლა-მოსვლას ნუ დაიზარებ. შენ იცი და შენმა გულშემატკივრობამ ამ ჩემს თხოვნას რა ყურადღებას მიაქციევ.

სანდრო ერისთავი ნახე. უთხარი სირცხვილია თქო, რომ ქალაქი არ გამომიგზავნე თქო და ამოდენა ტყუილ-უბრალო ხარჯში ჩამსვითქო. თუ შეიძლება ფული უკანვე დამიბრუნოს, ან შენ მოგცეს და შენ მიყიდე ისეთი ქალაქი როგორც „Неделя“-ს⁴ ქალაქია.

აქაური არა არის რა შენთვის ღირსსაცნობი.

იყავ მშვიდობით, ჩემო კარგო ვასო, და ისურვე ჩვენთან ერთად ჩვენის ივერიის სიკეთე და დღეგრძელობა.

შენი ილია ჭავჭავაძე.

გულფიცხო, მაგრამ მაინც კარგო ჩემო მეგობარო ვასო!

შენი რისხვით მქუხარე წიგნი მივიღე დიდიხანია, მაგრამ მიხარია რომ მარტო მეგობრული საყვედური ამოვიკითხე იმა რისხვიდამ და არა გაბოროტების ბრაზი. მე წინააღმდეგ ვიცი რომ ჩემი ტელეგრამმა შენ ფრიალ და ფრიალ გეწყინებოდა, მაგრამ, ნათქვამია, ისევ შენი წყენა ვირჩიე, ვიდრე საზოგადო საქმის დაყენება. მე მიწამებია და მწამს შენში ერთი დიდი სიკეთე: საზოგადო საქმეში შენს საკუთარ წყენას უპირატესობას არ აძლევ ხოლმე. ესაა მწამს, ამით მამართლე და ნუ გამჟღავნებ, ჩემო კიდევ გულფიცხო, მაგრამ კარგო მეგობარო ვასო!

მე და შენ რომ მართლად ქართველები არ ვიყვნეთ დავიჯერებდით რომ „სხვა სხვის ომში ბრძენი“ შენ ჩემო ძამიავე, საქმეს მაინდამა სინჯამ და იმიტომ გგონია რომ საქმის დაყენება შეიძლებოდა. არ რასგზით არ შეიძლებოდა, იმიტომ რომ ეგ რომ დაყენებულიყო უნდა დაყენებულიყო თვით თბავდ-აზნაურობის კრება, უნდა გადადებოდა თვით ბანკის გახსნა და სხვანი და სხვანი. შენი პირველი ტელეგრამმა ძალიან გვიან მომივიდა, ჩემი სახელი შეეცვალათ და მალე ვერ მომაგნეს. შენ ვერ დაგეკითხე ტელეგრამით, იმიტომ, რომ, რაკი შენი წიგნი ჩვენის პირობისამებრ, ჩემს მოსვლის დროსვე აქ არ დამხვდა, ყოველივე კითხვა და მიწერ-მოწერა უქმი და წყლის ნაყვ იქმნებოდა, რადგანაც აღარაფერი აღარ მოგვესწრობოდა. შე კაი კაცო, მანდვე გთხოვე რომ თუ რასმეს გაარიგებ, უნდა ეცადო გარიგდეს ჩემს იქმოსვლამდის მეთქი და ამასთანაც შენი წიგნი ამ საგანზედ იქ უნდა დამხვდეს მეთქი. თუ მართლა ქართველი არა ხარ, რატომ არ დამიჯერე, რომ ეს სიტყვა უმიზეზო და უსაბუთო არ იყო. ნეტა როდის იქმნება ჩამოვარდეს ჩვენში მტკიცე ჩვეულებად, რომ თქმული კაცმა თქმულად მიიღოს და პირველშივე არ იფიქროს, რომ თქმულს აქედანაც გადაეხვევა და იქითაც. მართალია, ბანკირთან საქმის დაჭერა და გათავება ბევრს დროს ითხოვს და არც ადვილია, მაგრამ მიკვირს შენის კეთილ-

გონიერებისაგან, რომ, რაკი ამ შემთხვევაში უმთავრესს პირობად და აუცილებლად საჭირო სიჩქარე იყო და ეს სიჩქარე ვერ მოხერხდებოდა, რატომ თავი არ დაანებე და რილასთვის განაგრძე მოლაპარაკება ვინეკენთან. მე ამას იმიტომ კი არ გწერ, რომ მაგითი ვითომ საქმე წაგებდინოს, არამედ იმიტომ, რომ შენმა მართლმსაჯულებამ დაინახოს ვინ არის დამნაშავე ამ შემთხვევაში, მე თუ შენ, შენ თუ მე, ერთის სიმღერისა არ იყოს.

მწერ, უნდა გცოდნოდეთ, რომ ამისთანა საქმე მალე არ გარიგდებოდაო, მაშასადამე ისე მალე, როგორც შენ გინდოდაო, ვერ გათავდებოდაო. მე თუ არ ვიცოდი, შენ ხომ იცოდი; მეტყოდი მაგას, მეც კისრად ავიღებდი და დავდუმდებოდი, ჩემო კარგო!

ეს აპელაციის არზა მომირთმევია შენთვის შენსავე გადაწყვეტილობაზედ. გასჭრის ეს არზა, თუ არა არ ვიცი, ეს კია, რომ მე გულწრფელად მსურს ყოველს ჟამს და ყოველს შემთხვევაში მიგულო შენდამი პატივისმცემლად და მეგობრად.

ეს აქ დავუტევოთ და მცირე რამ აქაური ამბები მოვიხსენიოთ. ჩვენი ბანკი კუისავით მილოლავს ჯერჯერობით; მეფე ლირს ცალკე წიგნად ვაბეჭდინებ. დაბეჭდის შემდეგ უნდა საზოგადოდ წაეიკითხოთ (т. е. устроить чтение в листах на проу) ყველამ თავისი როლი. ამბობენ, დავით ყიფიანის (მიროვოი სუდიის) და¹ თავისთავად ემზადება კორდელიის როლისათვის და საოცრად თურმე არდგენს. გადაუწერია შარშანვე მთელი ლირი და ისე მოჰსწონებია, რომ კორდელიის როლი შეუსწავლია თავისის საკუთარის ატაცებისაგან და არა სხვა რაიმე განზრახვითა. მე ჯერ არ მინახავს დგ ამბობენ ქვეყანას განაცვიფრებსო. შენ უყურე, თუ მართლა საქართველომ შესძლო ნამდვილი კორდელიის წარმოდგენა, მაშინ როდესაც კრიტიკოსები ამბობენ, ჯერ მაგისათვის აკტრისა არ დაბადებულაო!...

ჩემს უბედურობასაც შეიტყობდი: ვიდრე რუსეთიდან მოვიდოდი ჩემი სიმამრი გადაცვლილიყო. ივანე მუხრანსკიმ² მამულისა და მემკვიდრეობის თაობაზედ დიდი დავიდარაბა აგვიტეხა მე და სტაროსელსკისა.³ ქალაქში ამის თაობაზედ დიდი აყალმაყალია.

სხვა არ ვიცი, რა მოგწერო. ასეთი უგემურობა და უუამურობა სუფევს ამ ჟამად ქალაქში, რომ ვერ წარმოიდგენ. ერთი შესანიშნავი ამბავი არ არის, რომ შენი ღირსი იყოს.

ის რაღაც ქალაქლები რომ მომეცი, აი ვარვარა ილინიშნამ რომ ითხოვა, ის საქმე გავარიგე და მგონი იმ საქმის თაობაზედ საჭირო ქალაქლები აქამდის მიღებული გექმნება კიდევ.

მშვიდობით მეორე წიგნამდე, ჩემო ვასო! მომიკითხე შენი ძმა ვანო და ყველა ყმაწვილები.

გთხოვ დარწმუნებული იყო, რომ კავკასიის მთების იქით ერთი ერთგული მეგობარი გყავს, რომელსაც ეძახიან

ილიკო ჭავჭავაძეს.

15-სა

მარტსა

34. მ ა ს ვ ი

მამულის შვილსა მამულის შვილი შორიდან სალამს გიყუფავ ძმაო ვასილ! არა გრცხვენია, კაცო, რომ ჩვენის ბანკის ვითარება ჯერ პირველად ვიღაც სანაქსაროვისაგან შევიტყუეთ, მაშინ როდესაც ეგ შენ უნდა გეგისრნა და აღგესრულებინა! გული მეტკინა რომ ეგ აგრე მოხდა, მაგრამ რაც იყო, იყო, ეხლა აღარა ეშველება რა: სანაქსაროვს უნდა ვარგუნოთ სამახარობლო და გულითადი მადლობა განუცხადოთ. ეს კია რომ სანაქსაროვის ტელეგრაფმა მეტად ბუნდად არის დაწერილი, ასე რომ ეჭვში ჩავვაგდო. იწერებოდა: „7-го мая последовал высочайший приказ М-р финансов об утверждении устава дворянского банка. Мы не поняли, что значит приказ об утверждении? Разве не сам госуд. совет утверждает, то после такого приказа м-

имеет ли возможность не утвердить устав? Ввиду всего этого губ. предводитель нашел вынужденным обратиться телеграммой к директору Цимену, прося „благоволить ускорить присылку утвержденного 7-го мая дворянского устава“. Цимен на это отвечает: „Об скорейшем напечатании устава я обратился в сенат“. И этот ответ не разъяснил нам вопроса желательным образом. В сущности мы хотели знать, утвержден ли устав или нет, а на это прямого ответа не было.

За этим-то прямым ответом и обратились к тебе. Ты же пишешь нам, что устав едва-ли утвердится раньше декабря. Что это значит? Значит устав еще не утвержден? Ради бога, выведи нас из неприятного положения и дай нам категорический ответ на следующие вопросы: 1) Рассмотрен ли наш устав г-м советом; 2) Если рассмотрен, то какое последовало распоряжение; 3) Если действительно последовал высочайший приказ м-ру финансов об утверждении, то м-р может ли не утвердить; 4) Если не может не утвердить, то зачем такая остановка и медленность (до декабря). შენი ჭირიმე, ვასიკო, ერთი შენებურად ციბრუტივით დატრიალდი და დაგვიხსენ ჩვენ ამდენის უგემურის იქნეულობისაგან. მალე მოიწერე პასუხი. კრედიტნი კანცელარიაში მიდი და ციმენს ჰსთხოვე შემდეგი: Вы князю Чавчавадзе обещали выдать копию или оттиск с напечатанного в г-м совете устава, теперь он просит оказать ему это одолжение. გამოართვი და გამომიგზავნე, რასაკვირველია, ეს თხოვნა შენებურად გაამშვენიერე და ზრდილობით გალესილი შალაშინი წაუსვი.

ვანოს გულითადს მოკითხვას მოვახსენებ. ვანოს უთხარი, რომ ლირი მივეცი კრებულში დასაბეჭდვათ. ყველას მოსწონს აკაკი წერეთლის გარდა. დღეს საღამოზედ დიდი ყრილობაა და იქა ვკითხულობ ლირსა. თუ ჩემებურად გაქირი ვქენ, ვერაფერი კითხვა მომივა. ქუთაისში გამოსვლაზედ, წავიკითხე, ძალიან ცუდად და საძაგლად მონივიდა კითხვა. თქვენ რომ იქ ყოფილიყავით შემიბრალეობით, ისე საძაგლად ვიყავი. ვნახოთ ამაღამდელი ღამე რას იტყვის.

ყაზბეგთან კინალამ ის არ მომივიდა, რაც მე და შე
ვიცოდით. ბოლოს შეგვარიგეს და მე შალვიაჩეს დამნაშა
ვედ. ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელს
ნედლადა, ამბობს რუსთაველი, უსამართლობა კი ნედლსა
გაახმობს, მაგრამ რა უყოთ? თურმე სოფელი ესეა.

მიგულე მარად შენდა მეგობრად ილია ჭავჭავაძე

15 ივნისი. ტფილისი.


ჩემი ადრესი: В Телав, князью Михаилу Петрович
Андроникову с передачею кн. Илье Григорьевичу Чавчавадзе

35. ნიკო ნიკოლაძისადმი

18 იანვარს
[1873]

ძმაო ნიკო!¹ უკანასკნელის შენი წიგნის საპასუხო
გაუწყებ შემდეგსა: ტყუილ-უბრალოდ შეუწუხებიხართ გლ
ხის ნაამბობის კორექტურის თაობაზედ. მე გთხოვეთ მარტ
უკანასკნელი კორექტურა გამომიგზავნოთ იმ პირობით, რ
მეორე დღეს უკანვე დაგიბრუნდეთ. გლახის ნაამბობი
გასწორება ფიქრად აღბრა მაქვს, როგორც დაბეჭდილი
ისე გადაბეჭდეთ. დეე მაგ პირმშო ძემან ჩემმან ისე იარო
ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილა. ვისაც
მოეწონოს, გზა აუქციოს.

განგრძელება მზადდება, ოთხი თავი, რომელიც უდრ
35 გვერდს საქართველოს მოამბისას, მზად არის კიდე
„კრებულის“ სამსახურისათვის. მე მგონია, რომ შესრულ
ბისათვის ერთი ამოდენა კიდევ დამჭირდეს ასე, რომ თ
ბერვლისა და მარტის კრებულსა თავ-საყრელად ეყოფ
ვწერ კი, მაგრამ არ ვიცი როგორი მოსაწონი გამოვა. ც
დი საქმე მიყავით, რომ ეგრე ცოტა დრო მომეცით ნა
ბობის შესასრულებლად. რაც ახალი დამიწერია, მინდოდ
შენთვის გამომეგზავნა, რომ შენ და კირილეს² თვალი გადა
გველოთ და მის შემდეგ თქვენი პირუთვნელი აზრი ჩემთვის
გეცნობებინათ. ამ განზრახვასაც თავი დავანებე. რაც იქნებ
ის მოხდეს. ჩვენი პოეტისაგან ნათქვამია³ ბრძენი სიფრ



ნიკო ნიკოლაძე.
(სკანდელი) 70-იან წლებში.

ხილით წახდებო, მაგრამ ღლეული ვაჟკაცი ან მოჰკლავს ან შეაკედებო. ქართველი კაცი ვარ და უჯერებ ჩვენს ქართველს პოეტსა. რაც მინდოდა იმას კი ვიტყვი ჩემს გლახის ნაამბობში და კარგად ვიტყვი, თუ ცუდად—ამის დარდი ბევრი არა მაქვს. დღეს ველი რევიზორს. აბა იფიქრე რა რიგად მოუხდება რევიზორი ჩემს გლახის ნაამბობს.

ჩემი აჩრდილის პირველ ნაწილს გიგზავნი, თუ მოგეწონოთ სრულად დაბეჭდეთ. ვიცი რომ XVI ხანის⁴ უკანასკნელ ოთხ სტრიქონს ცენზორი ამოშლის. ისევ ისა ჰსჯობია ჩვენ წინაღვე დავასწოროთ, რომ სხვაზე მაინც არ ღელდეს.

ბარათაშვილის ოთხი წიგნის მეტი ჩემს დას და სიძეს არ ჰქონდათ და ოთხივე მანდ გამოგიზავნეთ.

შენი ილია ჭავჭავაძე.

სხვადასხვა მიზეზთა გამო ჯერ ხნობით აჩრდილს არ გიგზავნით.

36. მ ა ს ვ ე

ძმაო ნიკო! წავიკითხე შენი გამოსაღმება,¹—წავიკითხე, მაგრამ წაკითხული აქამდისაც არ მჯერა. ნუთუ მართლა შენ დასწერე ის, ის რასაც შენი არ უსახილო სახელი აწერია ქვეშ? ნუთუ მართლა შეუშინდი ჭიალუებს და იმათ ბზუილზე გაფრთხი? მე იმდენად შენ პატივსა გცემ, რომ იმის დაჯერება არ მინდა, რასაც შენ ეგრე გაცხარებით გვაჯერებ. არ დავიჯერებ, რომ შენისთანა საიმედო კაცი მაგისთანა სულმოკლეობამ დაიბრიყოს. მე მგონია, რომ ეგ ფელეტონი წუთიერი მღელვარების შედეგია და არა დამჯდარის გონების დასკვნა. წუთიერის მღელვარებით გატაცება შენისთანა მღელვარე კაცის თვისებაა. მარტო ამით თუ გავამართლებ შენს ფელეტონს, თორემ სხვა გასამართლებელი არა აქვს რა.

ვის ესაღმები და რას ესაღმები? სად მიხვალ, სად? ² იქით, ამბობს შენი ფელეტონი, სადაც უკეთესი ცხოვრებააო. არა, ერთი მითხარ, მაგას ლუარსაბ თათქარიძე კი ვერ იზამდა. ვითომ რა არის მანდ საკვირველი? არაფერი გარდა

ერთისა: მანდ საკვირველი ის არის, რომ შენისთანა კაც ბრძოლას ექცევა და თბილ ოთახში აპირებს გადაგორა დმოგორებასა. მერე იცი რა კბილი ჩაეარდება იმ რაზე რომელშიაც შენ ფალანად გვეგულები და ყველას ვინც შენი თანაზიარი იყო. ჯერ რიგიანი ბრძოლაც არ გამართლა და შენ კი ეხლავე გინდა თავს უშველო. ეგ ვერაფერ ძალგულოვნებაა. განა წინადვე არ იცოდი, რომ მაგ გზაზე რომელსაც, შენ დაადგე ათასი ვაივაგლახი, ბეზლი, ცილი ლანძღვა და თრევა დაგხვდებოდა ჯილდოთ შენის შრომის და მოღვაწეობისა? ეგ ამბავი არ ახალია, ძველია, ვითომ რად გიკვირს რომ მოსალოდნელი მოვიდა და რა არ გიხარიან, რომ იმოდენა ძალა გქონია, რომ მკვდრები კი ააყაყანე. მეტი რა გინდა? ძალიან ჰყარსო, სჩივი შენ მძოვრი ყოველთვისა ყარს და მაშინ უფრო, როცა სადღის წასჩვლელა. დავიჯერო რომ ეს ყოველი შენ წინადვე გცოდნოდეს? და თუ იცოდი, ესეთი მოულოდნელი რა დაგხვდა მაგ უმადურს ეკლიანს გზაზედ, რომ როგორც მხდელი ისე გაგაფრთხო? ექცევი რას და ვისა? შენს ქვეყანას შენს შრომას, შენს მეგობრებს და თანამოაზრეთა. ნუ თკაცობა იყოს ეგე რას შერები, რას? შენ მაგითი ისე სირცხვილს იღებ თავზე, რომ ველარაფრით ჩამოირეცხა შემდგომში. პირმოთენობაში არ ჩამომართვა, და შენ პტივსა გცემდი როგორც ნიჭიერს, რიგიანს, გამბედავს და უშრომელს მოღვაწესა, როგორც კაცსა, რომელზედა კაცურ-კაცის თვალი იმედით შეჩერდებოდა და რომელთანაც დამეგობრება და ერთად უღელში შებმა სახარბიელოა. თუმცა ჩვენ „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ერთ მანეთი ისე არ გაგვიცვნიან, რომ სული სულში გაგვეყაროს მაგრამ იმდენად კი გიცნობ, რომ არ დავიჯერო იგი ცილ რასაც შენს თავს ეგრე მოუბრუნებლად და წინდაუხედავად შენვე სწამებ. ვითომ შენ ეგ იყო, რასაც შენი ფელეტონი შენდა საუბედუროდ, ამბობს! არა და ათასჯერ არა! შე ჩემს თვალში მაინც ისეთი კაცი ხარ, რომლის გულშიაც კაცი თუ მონახავს, მადანს იპოვის და ამის გამო აი რა გთხოვ:

თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც ისე თამამად დუშიშრად იღწვოდი, თუ ის ყოველიფერი, რისთვისაც შე

მოსაწონი ხარ, ქარის მოტანილი არ არის, ნუ აღასრულებ მას, რასაც გვიქადი. დარჩი მაგ უბედურს ქვეყანაში; მაგრე სამარცხვინოდ ბოლოს ნუ მოუღებ მას, რაც ეგრე რიგინად, შენ თითონვე დაიწყე. დარჩი და იშრომე,—და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვნაში, რომ მარტო უბედურთ უნდათ შველა და არა ვის სხვასა; კვლავ მოჰკიდე ხელი შენს პატიოსანს საქმეს და შენ, ჩვენს მოძმეს, ცოტაოდნად წაბარბაცებულს ვაპატიებ წუთიერ სისუსტეს და ხელმოკლეობას და თვით შენს შეურაცმყოფელს ფელეტონს დავიწყებას მივცემთ. თუ ამას არ იქმ, მაშინ გეტყვით: ეჰ, ქარის მოტანილი ყოფილხარ და დეე ქარმავე წაგიღოს; გეტყვით ამას, მაგრამ გულში კი ერთი ძარღვი ჩაგვწყდება. თუ შენ ის სკანდელი³ ხარ, როგორიც იყავი მაშინ მიხედები რა სურვილი და რა გრძნობა მაწერიანებს ამ წერილსა. დასასრულ ამასაც გეტყვი, რომ ქართველი გამოსალმების დროსაც ერთს მშვენიერს სიტყვას ხმარობს: „გამარჯვებითო“. მაგრამ სალამს გამოთხოვებისას თავის დღეში არ აღირსებს მას, ვინც ბრძოლიდამ გარბის: იმას „მშვიდობითო“ ეტყვიან, მსურს, რომ შენ ისე მოიქცე რომ შეგვეძლოს შენთვის თქმა „გამარჯვებით“ და არა „მშვიდობით“.

შენი ილია ჭავჭავაძე.

[1873].

37. ალ. საბინაშვილისადმი

ბატონო ალექსანდრე დიმიტრიჩ! ¹

მინისტრმა ხვალ ათს საათზედ დაგვინიშნა დეპუტაციის მიღება. ცხრა საათზე სრულის ფორმით მობძანდით ლონდონის გასტინიცაში ნიკო ჭავჭავაძესთან და იქიდან ყველანი ერთად წავალთ. იმედი გვაქვს არ დაიზარებთ და მობძანდებით.

თქვენი მარად ერთგული

ილია ჭავჭავაძე.

3 ოქტომბერი.

მოწყალეო ბატონო

კნენა ნინო!¹

ხელზედ კოცნას მოგახსენებთ წერილის ბოძებისათვის. მარტო ერთს რასმე ვწუხვარ: რად გიფიქრიათ, რომ მე თქვენი გძლად საუბარი მეწყინებოდა? ბძანებთ, მსურდა გრძლად საუბარი, მაგრამ მეშინიან თქვენის წყრომისაო. კარგს ნაცნობთან გრძლად საუბარი გრძლადაც საამურია და ნება მიბოძეთ ჩემი გულნატყენობა გამოგიცხადოთ, რომ სიამოვნება ამ ხანად მომაკელით. იმედი მაქვს,—უმიზეზო შიშს შემდეგში იმოდენა ნებას არ მისცემთ, რომ თქვენი წერილი შეგამოკლებინოთ და მასთან ერთად ჩემი სიამოვნებაცა. ვინატრი, რომ ეს პირველი წერილი თქვენი არ იყოს უკანასკნელიცა და გთხოვთ წინადვე იცოდეთ, რომ რაც უფრო დიდი წერილი იქნება, მით უფრო დიდს სიამოვნებას მომმადლებთ.

ეს რა ამბავია ამოდენა ქება-დიდება, რომელიც ჩემთვის შემოგითვლიათ? მე თქვენმა ბევრის მხრით ლამაზმა წერილმა ამ მხრით ცოტა არ იყოს ძალიან ჩამაფიქრა. ნუთუ მართლა ამ ქება-დიდების ღირსი ვყოფილვარ და მე კი აქამომდე არ ვიცოდი? ჩემის ფიქრით, ქება-დიდება იმისთანა განძია, რომელიც ძალიან ძვირად და იშვიათად უნდა, იხარჯებოდეს და თუ კაცი გაიმეტებს, იმოდენად უნდა რომ ზედგამოჭრილი იყოს ქებულის ღირსებაზედ. უსაფუძვლო წუნს ადამიანი უფრო ადვილად შეიფერებს, ვიდრე უსაფუძვლო ქებას. რა თქმა უნდა, ეს ამოდენა ქება-დიდება თქვენს ხელს გაშლილს გულუხვობას უნდა დაეაბრალო და არა ჩემს ხელმოკლე ღირსებას. მომიტევეთ, რომ ამას გიბედავთ და გიბედავთ იმიტომ, რომ ჩემი ღირსება დედა ბუდიანად ერთის თხილის ნაჭუჭშიაც თავისუფლად მოთავ-

სდება და თქვენ მიერ შემოთვლილს ქება-დიდებას-კი საძნეურემიც ვერ დაიტევს.

თქვენი წერილი რომ წავიკითხე, სხვა არა დამრჩა რა იმის მეტი, რომ შენატრა: ნეტავი მართლა მაგეთი კაცი ვიყო-მეთქი. მაგრამ რაღა დროს! ჩემი მზე უკვე გადახრილია და ჩადის და ვინატროთ ყოველივე ეს იმისათვის, ვისიც მზე ახლა ამოდის. მაინც და მაინც ჩემთვის სასიკაძულაოა, რომ თქვენს თვალში ეგრე სანატრელად გამოვყევარ ბედსა, რომელსაც—ჩვენში კი ითქვას—სწორად სიბრმავესაც სწამობენ ხოლმე და მამასადამე ცდომასაც.

მიბძანებთ, გურასპიშვილს² როგორმე გზა მიეცით ან ყირიმში წავიდეს სასწავლებლად, ან სემინარიაში შევიდეს სახელმწიფო ხარჯითო. ყოველივე ეს ყოვლად შეუძლებელია ამ წლობით მაინც. სემინარიაში, მიიხრეს, გლეხ-კაცის შვილს არ მიიღებენ სახელმწიფო ხარჯითო. ყირიმში კი შესაძლოა გაგზავნა. მაგრამ იქაც საკუთარი ხარჯით უნდა და ვისის ხარჯით გავგზავნოთ? თუ ბანკის იმედია, ბანკს ეხლა ნება არა აქვს მაგისტანა ხარჯი გასწიოს, რადგანაც მაგისტანებისათვის გადადებული ფული თავ-თავის კუთვნილებისამებრ უკვე განაწილებულია წარსულის კრებისაგან და ახალი კრება-კი მერმის მაისს მოხდება მხოლოდ და ისიც—ვინ იცის—მაშინ მაინც ეღირსება თუ არა გურასპიშვილს ეგ ბედი. მთხოვნელები ბევრნი არიან ხოლმე და მათ შორის უკეთესებს ირჩევენ. ერთი ღონეა თქვენ წყალობილს ეშველოს რამე და თუ ეშველება დიდად მოხარული ვიქნები, იმიტომ-რომ ჩემ საკუთარ სიამოვნების გარდა თქვენც გასიამოვნებთ. აქ ქალაქში ერთი სამეურნეო სკოლაა, მუშტაიდის ბაღთან. იქ შესაძლოა, მიიბარონ სახელმწიფო ხარჯით. თუ გურასპიშვილი მოისურვებს, მე ყოველს ჩემს მეცადინეობას ვიხმარებ, როგორმე მივაღებინო. სკოლა არ არის ურიგო და იქიდან გამოსული ბევრით ნაკლები არ არის ნიკიტინის სკოლიდან გამოსულზედ. დაეკითხეთ გურასპიშვილს და პასუხი მიბძანეთ. სამ რიგად სასიხარულო იქნება ჩემთვის თქვენი პასუხი: ერთი რომ გლეხ-კაცს, სწავლის მწყურვალს იქნება ჩემგან ეშველოს რამე, მეორე-თქვენი ბძანება ჩემ მიერ შესრულდება, თუ ღმერთი

შეგვეწევა და მესამე—თქვენი წერილი კიდევ მეღირსება. ამ სამს რიგს კეთილში რომელი რომელს სჯობია ძნელი გამოსაცნობია და სამივე ერთად-კი, ერთ კონად შეკრული, ფასდაუდებელია ჩემთვის მაინც და სხვისა კი არ ვიცი.

თქვენი ღრმად და გულითადად პატივისცემელი

ილია ჭავჭავაძე.

კნიაზ ილიკოს³ ჩემი პატივისცემა მოახსენეთ. ოლიკომ⁴ მადლობა მოგახსენათ მოკითხვისათვის.

39. კოტე ყივნიანისადმი

Многоуважаемый Константин Дмитриевич! Очень и очень прискорбно, что наше театральное дело в таком застое. Все члены товарищества разъехались и нет человека, который мог бы взять на себя заботу относительно пополнения труппы. Я лично рассчитывал на Вас, но и Вы, как видно из Вашего письма, желаете освободить себя от этой необходимой работы. Вполне разделяю Ваше мнение, что к 15-му августа вся труппа должна быть налицо. Но как это устроить,—не знаю. Главное, мне неизвестны лица, которые полезны для дела и могли бы быть приглашены в труппу. Указать их можете только Вы один, а потому прошу Вас сообщить мне их имена и адреса. Я сам спишусь с ними, авось, дело какнибудь выгорит.

Ваша опытность в театральном деле слишком большая подмога для меня. В виду этого, если Вы дали бы мне возможность воспользоваться Вашими советами, оказали бы большую любезность. Я пробуду в Сагурамо до 3-го августа. Вы бы доставили мне большое удовольствие, если бы пожаловали ко мне. Для этого Вам следует приехать во Мцхет, там спросить духанщика Артема и тот даст Вам средства приехать ко мне в Сагурамо.

Прошу передать мой почтительный поклон Нине Егоровне² и Дмитрию Ивановичу.³

Илья Чавчавадзе.

27 июля.

Сагурамо

[1880]⁴

40. ილია ოქრომჭედლიშვილისადმი¹

საყვარელო მეგობარო ილიავ!

წარსულ ხუთშაბათს შენის წიგნის საგანი შესახებ „წერა-კითხვის საზოგადოებისა“² წარვუდგინე საზოგადოების გამგეობას, გადავწყვიტეს, რომ ყველაზედ უწინარეს ვისრამიანი³ უნდა დაიბეჭდოს, ამოირჩიეს კომისია, რომ სია შეადგინონ დანარჩენის წიგნებისაც, რომელნიც ერთი ერთმანეთზედ უნდა შენის შემწეობით, დაიბეჭდონ. გარდა ამისა იმავე კომისიას მიანდეს გამოიკვლიონ ვისრამიანის დაბეჭდვას, წიგნის აკინძვას და სხვას ამგვარსა რა მოუხდება ფული და მას მერედ შენ გაცნობონ. კომისიამ გამოიკვლია და ამ ცოტა ხანში მაცნობა, რომ ვისრამიანის დაბეჭდვას მოუხდება არა ნაკლებ ასის თუმნისა. თუ შენი ნება იქნება და ასი თუმანი ფული თავისუფლად გექნება, გამოუგზავნე „Обществу распространения грамотности среди грузинского населения наместничества кавказского“ და მიეყოფთ ხელს ჩვენცა ვისრამიანის ბეჭვდას.

დანარჩენის ძველის წიგნების სიას შეადგენენ თუ არა, დაუყოვნებლივ მოგართმევ. ჩვენმა გამგეობამ დიდის მადლობით მიიღო შენი უხვი წინადადება, პროტოკოლი მოისმინა და რასაკვირველია, პირველსავე საზოგადო ყრილობაზედ საპატიო წევრად დაგნიშვნენ.

თუ ქალაქს მაინდამ გამოგზავნი, იქნება ცოტაოდენი ხარჯი ვისრამიანისა შემცირდეს, მაგრამ ბევრით კი არა. მაინც და მაინც ეგ შენს ნებაზეა მიგდებული. თუ რამ საჭიროდ დაინახო შენგან აღძრულ საქმის წარმატები-

სათვის და უკეთესად დაწყობისათვის მაცნობე და მაშინვე წარუდგენ გამგეობას. ჩვენ კი ჯერ ხანად ამაზედ მეტი განაჩენი არ შეგვიდგენია.

თეატრის საქმეს კითხულობდი. ავად შენი მტერი იყოს, ავად ეგ საქმეა, ორმა აქტიორმა აბაშიძემ⁴ და მესხიმ⁵ ანტრეპრენიორობა იკისრეს, აწინდელი მათი ტრუპა ძალიან კარგია, კომიკურის როლებისათვის კაცი თუ ქალი ასეთი კარგნი არიან, რომ ამ ჟამად უკეთესი არ უნდა ჩვენს საზოგადოებას. ამ მოკლე ხანში ერთი დრამატიული აქტიორიც შეიძინეს კახელი ალექსიე-მესხიევი.⁶ პირველ დებიუტშივე ყველანი აღტაცებაში მოიყვანა. ტრუპა, სწორედ გითხრა, ლაზათიანია და ახალ ანტრეპრენიორებს ძალიან რიგიანად მიჰყავთ საქმე. მაგრამ რას იქ? ხალხი არ დადის იმოდენად, რომ ხარჯი მაინც აღდგეს.

მე, ამისი მნახველი, აქედ ვეცი, იქით ვეცი და როგორც იყო, ძალად თუ ნებით, აბონემენტი დავუბრუნე. ერთი თორმეტი ლოჯა გავასაღე და ოცდა ორი კრესლა. მაგრამ მაინც ცოტაა, ამითი ჩვენს ტრუპას სულს ვერ მოვაბრუნებინებთ. ცოდვაა, ღმერთმან იცის, მომაკვდინებელი ცოდვაა, რომ უღონობით და უილაჯობით ჩვენი თეატრი გაუქმდეს. წელიწადში ერთი სამასი თუმანი რომ გარედამ როგორმე მიგვეშველებინა, თეატრის საქმე გაიჩარხებოდა და ფეხს მოიმადგრებდა. თუ რამ შეგიძლიან, ძმაო ილიკო, ნუ დაზოგავ ხომ იცი თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის. მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა. ეგ ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გამოიღოს, თორემ თეატრს ხომ სხვაც ბევრი სიკეთე მოსდევს. შენ იცი, ძმაო, თუ შენს უხვს და მოწყალე ხელს გამოუწვდი ამ სულმილეულს საქმეს, რიამელსაც უილაჯობის სულთა მხუთავი თავს აღდას და დღესა თუ ხვალ სულს ამოართმევს. იმედი მაქვს უპასუხოდ არ დამაგდებ.

მაგ უხეირო ჩუბინოვმა⁷ რა საქმე გვიყო? საქვეყნოდ დაგვბირდა ბიბლიოთეკას თქვენს საზოგადოებას ვაჩუქებო, მერე აიღო ფეხი და ისე გაიპარა ქალაქიდან, რომ არავის არ შეგვიტყვია. სასაცილო საქმე ჩაიდინა: შეგვეყარა ყველანი,

ქალღმერთი დაგვაწერინა, რომ ბიბლიოთეკას ჩვენს საზოგადოებას უთმობს და ხელის მოწერაზედ რომ მიდგა საქმე, პირში ჩალა გამოგვაგლო. პირლიად კი დავრჩით ყველანი.

სხვა აქაური ამბები რა მოგწერო: ყოველიფერი ძველებურად არის, ჩვენებურად: იგივე მთა, იგივე ბარი და იგივე გულაცრუებული ერი. კაცი არ არის გარეშემოში, რომ ადამიანის ნიშან-წყალი ჰქონდეს. ცყრივართ ისე—როგორც ნახირო ბაკში.

შენი ილია ჭავჭავაძე.

7 ნოემბერი.

[1881]⁸

41. მ ა ს ვ ე

ძმაო ილიავ! ამასწინად, შენგან გამოგზავნილი ასს სამოცდაათი თუმანი რომ მივიღე წიგნი მოგწერე და აქამომდე პასუხი არ მიმიღია. არ ვიცი, მოგივიდა ჩემი წიგნი თუ არა. უსათუოდ არ მოგსვლია, თორემ ორიოდ სტრიქონს არ დაიშურებდი. პასუხი საჭირო იყო აი რა მიზეზითა:

ასის აუშნის დანიშნულება პირდაპირ განსასღვრული იყო შენგან, ხოლო სამოცდაათ თუმანზე ჰოჭმანი შევქენ. არ ვიცოდი და არც აქამომდე ვიცი, ანტრეპრენიორებს აჩუქე ეგ ფული, თუ თეატრის საზოგადო საჭიროების დასახმარებლად შეჰსწირე. შენის წიგნიდამ უფრო მეორე აზრი გამოვიყვანე. პირველი იმიტომ—რომ ეგ ფული პირდაპირ ანტრეპრენიორებს არ გამოუგზავნე და მწერდი არ ვიცნობ რა კაცი არიანო და შენ გიგზავნიო. მეორე იმიტომ—რომ შენ თვითონ, როგორც ჩვენ ყველანი, თეატრის საზოგადო საჭიროებას ხელს უფრო შეუწყობდი, ვიდრე ცალკედ და კერძოდ შეჰსწირავდი ანტრეპრენიორებს. მაგრამ მაინც და მაინც მოგწერე გადაწყვეტილად შეგეტყობინებინა ჩემთვის ეგ ფული როგორ მოგვეხმარა ამის პასუხი ფრიად საჭირო იყო და დღესაც არის.

მომწერე როგორ მოვიქცე. რომ ამ შემთხვევაში წინ რამე საბუთი გაიმძღვარო, მოგახსენებ შემდეგს:

1) ანტრეპრენიორები ძალიან უჩივიან უფულობას. ამაზედ ცოტა იჭვი მაქვს, ესე იგი, ის ეჭვი, რომ იმათ შემოსავალი უნდა ჰყოფნიდეს, იმიტომ რომ ხალხი, თუმცა ძალიან ბევრი კი არა, მაგრამ იმოდენა მაინც დაიარება, რომ ჯამაგირებს გაუძღვეს და ანტრეპრენიორებმაც თავისი გასამრჯელო აიღონ. მართალია სეკტემბერში ცოტად იზარალეს, მაგრამ სხვა შემდეგს თთვეებში კი რიგიანი შემოსავალი ჰქონდათ და შემდეგში ხომ უფრო ექნებათ და ექნებათ.

2) თეატრს, საკუთრივ ჩვენს თეატრს, ბევრი სამუდამო საჭიროება აქვს. ტანისამოსი და ერთობ რეკვიზიტი მეტად ნაკლები აქვს. შენგან გამოგზავნილი ფული ამ მხრით დიდად გამოსაყენი იქნება და სამუდამო საშველიცა. ანტრეპრენიორებისათვის ეგ სამოცდაათი თუმანი ერთის თვის ლუკმა და მერე ისინი იმავე ყოფაში იქნებოდნენ, რაყოფაშიაც შენს ფულებამდე იყვნენ და ამ გვარად ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეგ ფულები წყალში გადაყრილი ფულები იქნებოდა. მაშინ როდესაც მაგ ფულით ბევრი რამ შეეძინებოდა: თეატრს საზოგადოთ, თუ მის საზოგადო საჭიროებისათვის გამოიზოგება.

ამის მიხედვით, აი მე რა აზრზედ დავდეგი: ეგ ფულები მოვახმაროთ რეპერტუარის გამდიდრებას, ტანისამოსის და რეკვიზიტის შევსებას და სხვა წვრილმანს სიჭიროებას, რომელიც საკუთრად თეატრს უნდა და არა ანტრეპრენიორებს რადგანაც შემოსავალი არტისტების ჯამაგირებს (თვითონ ანტრეპრენიორებიც ამათ რიცხვში არიან) ჰყოფნის, ეგ ფულები ცოტ ცოტად მივაშველიოთ ხოლმე ყოველს წარმოდგენას, ესე იგი, თთვეში ოთხჯერ მაინც. ეს მიშველება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ნახევარი თეატრის ქირა მაქ ფულებით გადიხდებოდეს ხოლმე.

რადგანაც შენი პასუხი არ მომივიდა, მე ამ ხაზით მოვიქეცი როგორცა გწერ. საჭირო იყო ტანისამოსი, ათის თუმნის ტანისამოსი შეიკერა თეატრმა და ოცდარვა თუმანი კიდევ თეატრის ქირაში მივეცი. იმ ათისთუმნისა და ან ოცდარვა თუმნის ბარათი ჩამოვართვი ანტრეპრენიორებს რადგანაც ეს ფული სრულად იმათ ჩაიბარეს. შენის ფული დამ თეატრისათვის გამოგზავნილი დარჩა ჩემთან კიდევ



იონა მეუნარგია.

ოცდათორმეტი თუმანი. თუ თანახმა იქნები ჩემს აზრზედ, ამ ფულს ისე გამოვუზოგებ როგორცა გწერ და უფრო დიდხანს ეყოფა ჩვენს თეატრს.

ვისრამიანს სამი კაცი ვასწორებთ, ლექსიკონსაც ვუკეთებთ შენის აზრისამებრ და ამ ორ კვირაზედ დაბეჭვდასაც შევუდგებით. ველი შენს წიგნს.

შენი ილია ჭავჭავაძე.

5 იანვარს.

42. იონა მეუნარბიასადმი

20 დეკემბერი 1885 წ.

ტფილისი.

დაგვანებე, ჩემო იონავ, ¹ თავი და დაგვაობლე ამისთანა გაჭირვების დღეს. . . მაგრამ რა გაეწყობა? თურმე სოფელი ასეა. თუმცა შენ ბევრს გვაკლიხარ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და ვჩხირკედელაობთ 1-ს იანვრისთვის. ვნახოთ ღერძი ბედისა როგორ დაიწყებს ტრიალსო. გიგზავნი გამოცხადებულს და ყველგან გაგზავნილ უწყებას ჩვენი ახალი გაზეთის ² გამოცემის თაობაზედ. ზოგიერთმა ჩვენგან ახლად შემოღებულმა სიტყვებმა და ტერმინებმა მოწონებისა და დაწუნების ღალადი მოჰფინეს ჩვენს სალიტერატურო არე-მარეს. ჩვენ ვნუგეშობთ და ვამბობთ: *Значит, свет нас заметил.* უარარაობას კიდევ ესა სჯობია. ახ, ნეტავი ეხლა ჩვენთან იყო, ყინვამ მაგ უმადურ და უსიხარულო ქვეყნისამ გული არ გაგიყინოს და არ დაგვღუპოს შენდამი მსასოებელნი.

შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმი: 1. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“, თუმცა გრძელია, მაგრამ შენთვის ზედ გამოჭრილია; 2. „აბელი“, ვითომ ნაკვესმა შენ ცეცხლი მოგიკიდა, როგორც აბელს და შენ ჩვენ გადმოგვეცი. ეს უკანასკნელი კარგია, მაგრამ აკაკი წერეთელს საბუთს მისცემს ქართული აბელი რუსულ *Онед*—ად გადააქციოს; მაშინ შენ სხვის სადილების მაძებარს გე-

ძახოდა და დაგცინოდა. ორში ერთი ამოირჩიე და ტელეგრამით მაცნობე.

ასოებისთვის ფული საჭირო არ არის, რადგანაც თვითონ ასოები აქ ჩამოვასხმევიანეთ და ძალიან ცოტა განსხვავება აქვს მანდაურებთან; წიგნები რაც საჭირო იყო დაეიბარეთ ვიდრე შენი წერილი მომივიდოდა.

ნიკოლაძესა³ სთხოვე და შეეხვეწე ჩემს მაგიერ ჩვენს გაზეთს თავისი ნაწერებით შეეწიოს. მომიტევეს ამ უმად რომ საკუთარს წერილს არ ვსწერ, ეგ იმისთანა კაცი არ არის, რომ ამის გამო გაგვიწილდეს და გულიდან ამოიღოს ჩვენი გაზეთი, წერილმანმა წერილმანს მოუკიდოს ცეცხლი.

ქალაქის თაობაზე სერებრიაკოვს⁴ წერილი მივწერ და პასუხს ველი. ჯერ-ხანად „Новое обозрение“-ს⁵ ქალაქს ვიხმარო.

კაცო, რატომ არ გვწერ ეგ ჩვენი მუხრან-ბატონი⁶ რას სჩადის და როგორ მიჰყავს ჩვენი საზოგადო საქმიებები? შენ გან მიკვირს და მეოცება. ღმერთს ეთხოვ, რომ სამერმისოდ არც ერთი შემემთხვევას შენგან და არც მეორე. ასე, ჩემი იონავ, იყავ მშვიდობით და დღეგრძელობით და არ დაივიწყო, რომ შენ ერთად-ერთი მეგობარი გყავს და ის ერთად ერთი.

შენი ილია პავკავაძეა.

მოუთმენლად ველი შენს სტატიას. ოლიკომ⁷ მოგოკითხე მოიკითხე ყველა ჩემი ნაცნობები.

43. მ ა ს ვ ე

საყვარელო ძმაო იონავ, შენი წერილი მივიღე და ვწუხვარ, რომ ვერაფერს სანუგეშოს ვერ მოგწერ. აი საქმე რაშია: ჩვენ ყოველს გასასესხს ვაგზავნით დასამტკიცებლად სამინისტროში, რომელსაც უნდა ვაჩვენოთ რამოდენა შემოსავალი აქვს მამულს; ეს შემოსავალი ერთი 12/1 (2-დ უნდა იქნებოდა და ის იქნება ფასი მამულისა. ამ ფასისა 60%—მდ შეგვიძლიან სესხად მივცეთ. რუსულად მოგწერ, რომ უფრო კარგად გაგაგებინო: Чистый годовой доход помножается



აკაკი წერეთელი.

на $12\frac{1}{2}$ и произведение определяет стоимость имения.
С этой стоимости выдается 60% .

პრინციპსა¹ მამულს შემოსავალი აქვს, შენ იწერები, 4000 მანეთი, აქედამ კანონით უნდა გამოვიდეთ 20% სხვადასხვა ხარჯისათვის, დარჩება 3200 მანეთი. ეს 3200 მანეთი უნდა ავიღოთ $12\frac{1}{2}$ -ჯერ და გამოვა 40.000 მანეთი. მთელი ფასი მამულისა. აქედამ 60% შეიქმს 24.000 მანეთსა. ჩვენ ზოგიერთის მოსაზრებით ამაზე მეტი დავნიშნეთ, სახელდობრ, 28. 500 მანეთი და ამასაც ვშიშობთ,—ვაი თუ სამინისტრომ არ დაამტკიცოს. ბევრიც რომ მოვინდომოთ, ზემოხსენებულ ანგარიშს ვერ წავუვალოთ და ვერც ვერაფერს გავხდებით, რაკი შემოსავალი 4000 მანეთზე მეტი არარის. სამწუხაროდ ჩემდა, შენს წერილზე ამაზე უკეთესს და მეტს პასუხს ვერ მოგახსენებ: რაც არ შეიძლება, იმას ჩვენი გამგეობა ვერ იქმს.

შენი ერთგული ილია ჰავჭავაძე.

44. აბაბი წერიტელისადმი

5 იანვარი 1886 წ.

ძმაო აბაკი, მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მობარტყე ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთად-ერთი აბაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისამ მაიძულა ჩვენი ქვეყნის რჩეულისათვის რჩეული, განსაკუთრებითი წერილი მომეერთმია. და მეთხოვნა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა. თუ აქამდე ეს წერილი დავაგვიანე, მაგას ნურც ჩემს განთქმულს ზარმაცობას მიაწერ, ნურც რომელსამე ავგუნებთან მოძრაობას ჩემის გულისას, რომელსაც შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც საუკეთესო მეომარი, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის თავ-განწირული. მიზეზი ის იყო, რომ არ ვიცოდი სად იმყოფებოდი. ჯერ აქ მეგონე, ახალ წლის წინა ღამეს მოგიწვიე და პასუხად მომიტანეს,—ქალაქში არ არისო. დღეს შევიტყე რომ ჩამოსულხარ და გწერ კიდევ.

გწერ და არ ვიცი, რა გთხოვო, და როგორ გთხოვო, რაც ხანი ჟურნალი „ივერია“ გამოდიოდა, შენ ძალიან შორს უვლიდი, არ ეკარებოდი: ¹ ეგ ჩემთვის თუმცა დანაკლისი იყო, მაგრამ საწყენი კა არა, რადგანაც ვფიქრობდი,—იქნება ჩემი მიმართულება არ მოსწონს-მეთქი. ეს ისეთ სამართლიანი საბუთია, რომ ვერა გონიერი და პატიოსანი კაცი წუნს ვერ დასდებს, წინ ვერ აღუდგება, სიტყვას ვერ შეუბრუნებს, რაკი ეს ვიგულისხმე, მეც „კისრად ვიღე და დაედუმდი“.

დღესაც ამ ყოფაში ვარ შენ წინაშე, რადგანაც ჩვენ ახალ გაზეთს იგივე მიმართულება ექნება, რაც ძველ ჟურნალსა ჰქონდა და მეც იგივე, რაც უწინ, გულითადი წადილი მაქვს, რომ შენმა სახელმა დაამშვენოს ჩვენი გაზეთი; გული მერჩის გთხოვო შემწეობა და გულის ხმათ აღებული საბუთი კი მაფრთხობს: ვაი თუ ეს თხოვნა ზნეობითი ძალდატანება იყოს და იმ კაცს ჰოს თქმა გავუძნელო და არასიცა მეთქი.


მე ჩემი სათქმელი გულახდილად გითხარი, გულახდილადვე ზედ ვუმატებ, რომ უშენობა ჩემის გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება, ეხლა შენ იცი. მაინც და მაინც გთხოვ—დარწმუნებული იყო, რომ შემეწევი თუ არ შემეწევი ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის, მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები.

შენი კეთილის მსურველი

ილია ჭავჭავაძე.

45. ღიმიტრი ყიფიანისადმი

მოწყალეო ბატონო, ღიმიტრი ივანეს-ძე! სიხარულით მომილოცნია თქვენი მარშლად დამტკიცება. ¹ მომილოცნია მარტო თქვენთვის კი არა, იმერეთისათვის ცალკე და ჩვენის ქვეყნისათვის, საერთოდ. ღმერთმა მოგიმართოთ ხელი, რომ თქვენი სურვილნი ისე აღსრულდნენ, როგორც თქვენ და ჩვენც თქვენთან ერთად ესასოებთ და ვნატრულობთ. თქვენი არჩევანი იმერეთში დიდი



დმიტრი ყიფიანი.

იმედია საზოგადოდ ჩვენთვის. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი საკუთარი სურვილი ჩვენს იმედსაც გადაემეტება, მხოლოდ ღმერთსა ვთხოვთ, რომ გარემოებამაც ხელი მოგიწყოთ და სურვილნი თქვენნი აღგასრულებინოთ.²

ვგონებ, აქამომდე მოგეხსენებოდათ, რომ თქვენს მედიკატორებს გაუთავებიათ თქვენი საქმე და განაჩენი გაყრილობისა წარუდგენიათ ოკრუჟნოი სუდში. აღმოჩენილია, რომ სულ 340 დესეტინა გრგებიან. მაშასადამე, ბანკში დასაგირაველად მარტო ეგ რიცხვი დესეტინებისა იქნება წარმოდგენილი და ძალიან საეჭვოა ბანკიდან იმოდენა ფული მიიღოთ, რომ ფორაქოვს გაუწვორდეთ მარტო მაგ გზითა. შექველია, დაგჭირდებათ სხვა ღონეც მოიძებნოს ფორაქოვის გასასტუმრებლად. მე მგონია, რომ არც ის „სხვა ღონეა“ შორს საძებნელი. მე შევიტყე, დიდს მთავარს, მიხეილ ნიკოლოზის-ძეს მანდ ბორჯომის მიჯნაზე თქვენის მამულის სყიდვა ძალიან მოუწადინებია. იმედია, კაი ფასს მოგართმევთ, და ამიტომაც ვისწრაფი გაუწყოთ ეს, მაინც და მაინც თქვენთვის საყურადღებო ამბავი იმ განზრახვით, რომ, თუ აქამომდე ეს ამბავი თქვენთვის არ მოუხსენებიათ, წინადაცე უწყებულ ბრძანებულებიყავით და სალაპრაკოდ მომზადებული, რადგანაც ამ საგანზედ აპირობენ თქვენთან გამოლაპარაკებას უსათუოდ ამ მოკლე ხანში.

დიდს ბოდიშს ვიხდი, რომ გავკადნიერდი და თქვენის შინაურის საქმეების გამო გავიბედეთ სიტყვა. ამ შემთხვევაში მე მამოქმედებს ჯერ ის, ჩემთვის სასიქადულო, ნდობა თქვენი, რომლითაც მე ღირს მყავით არა ერთხელ ფორაქოვის საქმის გამო; მეორე ის, რომ ყოველთვის ჩემი გულითადი სურვილი ყოფილა თქვენი საკუთარი საქმეები კეთილად მოეწყოს და მით მოგეცესთ უფრო მეტი მოცალეობა, რომ თქვენი დრო და მზრუნველობა დაუბრკოლებლივ და მთლად მოხმარდეს ჩვენს ქვეყანასა, რომლის სიყვარულიც თქვენ არა ერთხელ დაგიმტკიცებიათ.

თქვენი მარად პატივისმცემელი

ილია ჭავჭავაძე.

1885 წ. აგვისტოს 28.

1887 წელსა

9 ივლისის დღესა. ტფილის

ბატონო სოფრონ! ¹

თქვენი წერილი ² მივიღე და, სწორედ მოგახსენო
ცოტა არ იყოს მეოცა. თქვენა მწერთ „მე დამარწმუნეს
რომ თქვენ გამლანძღეთ და მერე ისევე მეთაურს წერილს
გამოსთქვითო“ და სხვანი. ვინც დაგარწმუნათ, რომ
გლანძღეთ, მაგისი პასუხი იმასვე უნდა მოჰკითხოთ. მე
ვარ ჩვეული ენამტანიობით გაფუჭებული საქმე ვიძიო
ან ვისმე ამის გამო პასუხი ვუგო. რუსები ამბობენ: „
в всякое чихание не наздравствуешься“. კორებს ჩემ დღეში
გავმკლავებივარ და არც ოდესმე გავემკლავები—ეს მე უკად
რისობად მიმაჩნია. ამიტომაც ნუ მიწყენთ, რომ იმაზე არ
ვითარ პასუხს არ ვიძლევი, რაზედაც თქვენ ვილაცას და
ურწმუნებინართ.

რაც შეეხება მეთაურ წერილს, იგი თქვენს წინ არ
და მიკვირს სხვის დარწმუნება რალად დაგკირებიათ, როც
გულდინჯად რომ გაგესიხჯათ, მაგ მეთაურს იმას არ და
აბრალებდით რასაც სხვისის დარწმუნებით აბრალებ
მთელი მეთაური იმ საძაგელს და ყოველად საზიზღარს პ
სქვილზეა დაწერილი, რომელიც მანდ თურმე დადის, რ
მელსაც მანდაური საზოგადოება სამართლიანის ზიზღით
მოეპყრო და რომელიც, ჩვენდა სამწუხაროთ, დასახელებულ
იყო თქვენს კორრესპონდენციაში. სწორედ მოგახსენო
წინასწარ რომ მცოდნოდა, რომ თქვენგან წოდებული „ქალ
ვაჟიანის“ ლექსი რითიმე მოაგონებდა კაცს იმ საზიზღარ
პასქვილს, არას გზით იმის ხსენებას კორრესპონდენციაში
არავითარ ადგილს არ დაუთმობდი, თუნდ ამის გამო
თქვენიდანა სასურველი და პატივ-საცემი თანამშრომელ
დამეკარგნა. თქვენც დამეთანხმებით, რომ იმ პასქვილი
ხსენება, ცარიელი ხსენებაც კი გაზეთისათვის ³ დიდი ჩამო
უბანელი ჭუჭყია. რაკი ის ყოველ წრეს გარდასული პასქვე
ლი ახსენეთ, თქვენ, რასაკვირველია, გეცოდინებოდათ რა



საფრომ მაღალობიშვილი.

ახსენებდით და ამიტომაც მოვალენი იყავით ან შესაფერი დალი დაგესოთ, ან სულ არ გეხსენებინათ. ეხლა კი ისე გამოდის თითქო გაზეთმა რეკლამა გაუკეთა და ვისაც გუ-ნებაშია ანა ჰქონია, იმასაც კი მადა გაუხსნა იმ პასკვი-ლის წაკითხვისათვის. ეს აშკარაა, რომ გაზეთში ხსენებით იმ პასკვილს გასავრცელებლად გზა გაეხსნა და ნუთუ ეს შემადრწუნებელი ამბავი არ არის გაზეთისათვის. მე ყოველს ეჭვგარეშად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამისთანა გან-ზრახვა არა გქონიათ, მაგრამ მით შეცდომა შეცდომად ჰრჩება და მე ჩემდაუწმინდეს მოვალეობად ვიცან საქვეყნოდ გამომეცხადებინა, რომ ჩვენს გაზეთს იმ ყოველად მუკალს პასკვილთან არავითარი კავშირი არა აქვს და თუ ჩვენს გა-ზეთში მისი ხსენებაა, ეგ ჩვენ არცოდნით მოგვივიდა, რად-განაც თქვენ არას იწერებოდით და ჩვენ გულთმისნები არ ვიყავით.

ითხვოვთ, რომ რედაქციამ „ან დაამტკიცოს ჩემი უნამუსო-ბა, უპატიოსნობა უსინდისობა და ქურდ-ბაცაცობა, ან შეურა-ცხყოფისათვის პასუხი მაგოსო“. არ ვიცი, ეს სიტყვები რას-ჰნიშნავს და რას მოასწავებენ? ნუ თუ პასკვილის დამწერი თქვენა ხარო! თუ მაგისთანა ეპიტეტებია ხმარებული მე-თაურში, ხომ მარტო პასკვილანტის შესახებ არის და თქვენ რა გზით და რა მოსაზრებით მიგიღიათ თქვენს თავზედ? ჩვენ, ჩვენდა სასიხარულოდ, ვიცით, რომ პასკვილი თქვენი არ არის და თქვენი მართებულობაც იმდენად გვწამს, რომ მაგას თავის დღეში არ იკადრებდით და საიღამ სადაო. მწეროთ სხვებმა დამარწმუნესო და აბა იფიქრეთ კაცმა კაცს რომ პასუხი მოსთხოვოს მასზედ, რაზედაც სხვანი დაარწმუ-ნებენ,—სად წავა? იქნება ბევრმა ბევრს სხვა რამეზედაც დაგარწმუნოთ და მე რომ ამაების პასუხი ვუგო, მარტო კო-რების უკან დევნასლა მოვუნდები და ჩემს საკუთარ საქმეზედ კი ხელი უნდა ავიღო. გადიკითხეთ მეთაური, სხვის დარწმუ-ნება რად გინდათ,—და მაშინ ჰნახავთ, რომ თქვენ მარტო იმაზე ხართ გაკინწლული, რომ ჩვენ გაზეთს ახსენებინეთ ის, რის ცარიელი ხსენებაც კი ჩირქია მართებულის გაზეთი-სათვის.

ნუ მიწყენთ, რომ ასე გულახდილად გელაპარაკებით თქვენს განუზრახველს და უნებურს დანაშაულობაზედ. მე

ჩემს თავს ამის ნებას ვაძლევ, იმიტომ, რომ მეგულვები ჩემს კარგ ნაცნობად და პატივისცემე კაცად. მე თქვენს დიდი პატივისცემა მაქვს და ეს პატივის-ცემა დღეს აქამოდე არ შერყეულა და ვერც ეს სამწუხარო ინციდენტი შეარყევს. ხოლო იგივე პატივის-ცემა მაიმულებს არ დაგიმალოთ და პირდაპირ მოგახსენოთ: დიდად საწყენი იყო, რომ თქვენს წერილში ეგ მყრალი და საძაგელი პასქვილი ღირსეულ დაღდაუსმელად დასახელებული იყო და ამით გაზეთის ბრალი უნდა დასდებოდა, რომ მის მიერ პასქვილს ცოტად თუ ბევრად გზა ეხსნება სასიარულოდ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ მოუფიქრებლობით მოგივიდათ და არა განგებ და, რადგანაც გული წმინდა გქონდათ, ფიქრადაც არ მოგივიდოდათ აგეწონათ-მარტო ერთი დასახელება პასქვილისა რას მოასწავებს ამ შემთხვევაში. ეს ჩვენ კარგად ვიცოდით, მაგრამ გაზეთისათვის კი უნდა გვენაღვლა, რომ შორიდანაც არავითარი ჩირქი არ მოსცხოვრდა და გუმანსაც კი თავისი ბრწყალთ არ დაეკაწრა წმინდა სახელი გაზეთისა. იქნება სთქვან: ეგ მეტის მეტი სიფრთხილეაო, მაგრამ ჩემის აზრით, ამისთანა შემთხვევაში გადაჭარბებული სიფრთხილე სჯობია წინ დაუხედავს სითამამეს. თუ ჩვენს გაზეთში, ჩვენდა უნებურად, თქვენი საწყენი რამ გამოერია, გთხოვთ, როგორც ჩემს კარგს ნაცნობს და ჩვენის გაზეთის გულშემატკივარს თქვენს წყენა ჩვენს განზრახვას არ მიაწეროთ, არამედ მეტის-მეტ სიფრთხილეს, რომ ჩვენის გაზეთის სიწმინდე ქორებსა და პასქვილებში გარეგით არ შეიბღალვოს.

იწერებით გაზეთშივე გამოაცხადეთ, რომ მეთაური ივერიისა ჩემის ფელეტონით არ არის გამოწვეულიო. რას ეგვანება? ვინ რას იტყვის? ეგ ხომ პირდაპირი მითითება იქნება თქვენზედ. განა არ იკითხავენ: თუ აქ ცეცხლი არ არის წაკიდებული, ეს ბოლი საიდან გაჩნდაო. მე კი მეთაურში ვცდილობდი არავინ მიხვედრილიყო ვინ შეგვიყვანა უნებურად შეცდომაში. ამიტომაც ფელეტონად კი არ ვახსენეთ თქვენი მოწერილი, არამედ რაღაც მოთხრობად, მაშინ-როდესაც თქვენს მოწერილს მოთხრობისა არა ეცხობა და უფრო კორარესპონდენცია იყო, სიდიდისა გამო ფელეტონად დაბეჭდილი.

გთხოვთ, შესაფერის ზიზლით მოირიდოთ ყოველივე ჯორი და იმდენად პატივიმცეთ მე, რომ თავის დღეში არ იგულისხმოთ, ვითომც მე ყოველ გაძვლელ-გამომვლელ მატ-რაკვეცას ჩვენს გულის-ნადებს ხელის გულზედ ვუშლიდე მოედანზედ საბურთალოდ. თქვენ უნდა კარგად იცოდეთ, რომ მე მეტის-მეტად ძვირფასად მიმაჩნია ყოვლის კაცის ღირსება და პატიოსნება და ნამეტნავად ჩემის კარგის ნაც-ნობისა. ამიტომაც მე ამაებში ყოველთვის ფრთხილი და მორიდებული ვარ და თავის დღეში არ ვიკადრებ, რომ აღამიანის პატიოსნება ჯორის სათამაშო ბურთად გავხადო.

არც კი ამას დაგიმაღავთ, რომ მე არ ავჩქარებულვი-ყავი და რიგიანად დაფვიქრებოდი ჩემთან მოტანილ ამბავს, თქვენ შესახებ ჩვენის მეთაურის სიფიცხე ცოტად განელე-ბული იქმნებოდა. მაგრამ აქ ქალის ნამუსი და პატიოსნება იყო ხელშეხებული და ამიტომაც ზიზლმა და აღშფოთებამ გადამავიწყა, რომ ზოგჯერ სიწყნარე გმობილი

სჯობს სიჩქარესა ქებულსა.

თქვენი პატივის-მცემელი ილია ჭავჭავაძე.

—

47. მარჯორ უორდროპისადმი¹

20 სექტემბერი 1894

მოწყალეო ხელმწიფავ!

დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს „განდეგილს“ თქვენი ყურადღება მიუქცევია. სასახლოდ მიმაჩნია, რომ მოგიწა-დინებიათ და გადავითარგმნიათ ინგლისურად.

ინგლისმა მეტად ცოტა რამ იცის ჩვენის უბედურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთს დროს თავისი სახელოვანი წარსული ჰქონია, თავისი გმირნი, მეცნიერნი, მწერალნი და პოეტები ჰყოლია და მათის მეო-ხებით გულდაგულ დახვედრია განათლების მტრებს—ბარ-ბაროზებს.

ყოველს ქართველს თავ-მოსაწონებელად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულ ძმას² ჩვენი ყველასაგან და-
ვიწყებული ქვეყანა შეგყვარებიათ და მოგინებებიათ თქვენს
ერს მისი ავი და კარგი აუწყოთ იმ სიყვარულით რომე-
ლიც ასე ამშვენებს ადამიანს და გულის ტკივილით, რომე-
ლიც დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან დაჩაგრულთათვის.

სასურველია, ერმა ინგლისისამ იცოდეს, რომ ან
ჩვენ პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული,
რომ აქაცა აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი; რომ
აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთესს დღეთათვის
და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოებიან.

ყოველივე ეს ზედ დაჩნეული აქვს ჩვენს პატარა მწერ-
ლობას, რამოდენადაც კი გარემოება ნებას იძლევა. ამიტო-
მაც გადაღება ინგლისურად ჩვენი მწერლობისა გადაღება
ჩვენი გულისცემისა,—ჩვენი გულითადის ნატვრისა, ჩვენი
ჭირისა და ლხინისა, ჩვენი გონების და გრძნობის ძალ-
ლონისა საყოველთაოვო საცნობელად.

ამ მხრით თქვენი განათლებული და გულშემატკივარ
მეცადინეობა ჩვენი გონების ნაწარმოებთა თარგმანისათვის
დიდ სამსახურად მიჩნეულ იქნება ყოველის ქართველისაგან
და ჩვენს მაღლობას თქვენდამი სამზღვარი არ ექმნება.

ჩემი „განდეგილი“ მომირთმევია თქვენთვის, როგორც
გენებოთ ისე იმსახურეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს
ნაწერს თქვენზე უკეთესს პატრონს და მფარველს ვერ აუ-
ჩენდი.

გვპირდებით ჩვენში მობრძანებას, სიხარულით დაგი-
ხედებით და უმორჩილესად გთხოვთ წინადადე გვაცნობო-
როდის და რა გზით მობრძანდებით. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი
უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და
დაგანახვებთ, რომ იგი ღირსია თქვენის ყურადღების
და სიყვარულისა.

თქვენის მობრძანების სიხარულით მომლოდინე და
ღრმად პატივისცემელი

ილია ჭავჭავაძე.

48. ალექსანდრე ნანეიშვილისადმი

ბატონო ალექსანდრე¹

დღეს უმიკაშვილის ბარათი მომივიდა და მწერს, რომ მანდ საჭიროდ დაგინახავთ ჩემი მეთაური წერილები მანდაურ ბანკის² თაობაზედ ცალკე ბროშურად დაჰბეჭდოთ. მე თანახმა ვარ დაბეჭდვისა, თანახმა ვარ იმისიც, რომ ჩემი სახელი მოსწერდეს ამ წერილებს. მხოლოდ რედაქციის სახელით ნუ გამოსცემთ, იმიტომ რომ სასურველია მიზეზი არავის მიეცეთ იმისი, ვითომც რედაქციას ცალკე ვისიმე მომხრობა უნდა. მე კიდევ ვაპირებ ზოგიერთის რასმის თქმას ყრილობის წინა დღეებში და არ ვარგა რომ იფიქრონ ვითომცდა რედაქცია ვისთვისმე პროპაგანდობს. მე გირჩევთ, გამომცემელი არ დაასახელოთ და ისე გამოსცეთ. არც იმას გირჩევთ, რომ უფასოდ დაუბრუნოთ. ამასაც აზრს რასმე მისცემენ და საქმეს წაახდენს. სჯობია, ბროშურას თუნდ სამი კაპეიკი ფასი დაუნიშნოთ და მერე თქვენ თვითონ თუნდა მუქთად დაუბრუნეთ, მერე ისე, ვითომ ეგ მუქთად დარიგება თქვენგან ვისგანმე არის და არა გამომცემლისაგან.

თქვენი ილია ჭავჭავაძე.

31 აგვისტო.

49. მ ა ს ვ ე

ბატონო ალექსანდრე

თქვენი ბარათი ქალაქში დამხვდა. რადგანაც უმთავრესს საგანზე პასუხი უკვე მოწერილი მაქვს, ეხლა მარტო ერთი რამ მსურს დავუმატო. ჩემის მეთაურების წიგნაკს გთხოვთ ზედ დააწეროთ: „ავტორის ნება-რთვით“ და ბოლოს ხომ ჩემს სახელსა და გვარსაც მოაწერო. ძალიან კარგი იქნება, რომ მანდაურის ვისიმე სახელით გამოიცეს წიგნაკი. მე მგონია შემდეგისათვის ჩემს სიტყვას ძალა აღარ ექმნება, თუ მე შემწამებენ ცდას მაგ წიგნაკის გავრცელებას.

ბისას. საქმის სიკვთე ითხოვს, რომ ჩემზე ასე არ იფიქროს და ამიტომაც სასურველია, რომ მაგ წიგნაკის დაბეჭდვად გამოცემა მე არ დამბრალდეს. თქვენც დამეთანხმებიან ამაზე.

თქვენი ილია პავჭავაძე.

5 სექტემბერი.

ტფილისი.

50. მ ა ს ვ ე

31 ოქტომბერი 95 წ.

ბატონო ალექსანდრე, ავიღეთ-დავიღეთ თქვენი წინა დადება და აი რაზედ დავდეგი: თქვენ უსათუოთ მოგიწვიოთ თანა-რედაქტორად; ჯამაგირი დაგენიშნოთ 150 მან (თხუთმეტი თუმანი თთვეში; ლასხიშვილიც¹ მოწვეულ იქმნას უსათუოდ და ჯამაგირიც მოემატოს, ოცი თუმანი თთვეში გარეშე თანამშრომელთათვის შეუძლებელია რედაქციამ ხარჯად დაიდვას, ამ მხრით ხარჯს ისე მოეკიდოთ როგორც საქმეთა მსვლელობა და შემოსავალი სახსარს მოგვცემს. თანამშრომელთა მოწვევა ჩემისა და თქვენი თანხმობით იქმნას ხოლმე; პირობა დაიდვას ჩემსა და თქვენ შორის, რომ ვიდრე გაზეთი არსებობს თქვენ თქვენი ჯამაგირი გეძლიოთ იმის და მიუხედავად იქნება მაგდენი შემოსავალი თუ არა და თქვენც მოვალე იყოთ იშრომით.

რადგანაც თქვენი რედაქციაში შემოსვლა ფრიად საჭიროა, შესაძლოა ამისთანა პირობაც დავდეთ ჩვენ შორის მე და თქვენ თანასწორის უფლებების რედაქტორები და გამომცემლები ვიყვნეთ; რაც რამ რედაქციას შემოსავალი ექმნება შუაზედ გავიყოთ; თთვე და თთვე ამ ანგარიშზე გეძლიოთ არა ნაკლებ თხუთმეტის თუმნისა, რომელიც მე უნდა გეძლიოთ ყოველ შემთხვევაში—დარჩება მაგდენი შემოსავალიდამ თუ არა; ღვთით შემოსავალმა იქამდე იმატა რომ ყოველი ხარჯი გაისტუმრა და წელიწადში ას ოთხმოცი თუმანი თქვენ გერგოთ და ას ოთხმოცი თუმანი მე

დანარჩენის წმინდა შემოსავლიდამ ნახევარი აქამომდე და-
ნარჯულის დასაბრუნებლად გადიდვას და ნახევარი ან გა-
ზეთის განსაკარგებლად და თანამშრომელთა მოსაწყევად
და ან თუ ამ მხრით გაზეთი საკმაოდ მოწყობილი იქნება;
სანახევროდ ჩვენდა შორის გასაყოფად, ან კიდევ შიგ—რე-
დაქციაში მყოფ თანამშრომელთა დივიდენდად. ამ თანამ-
შრომელთა რიცხვში, რასაკვირველია, თქვენცა და მეც უნდა
ჩათვლილ ვიქმნეთ. ყოველ ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ
მე კვირაში სამი დღე მაინც რედაქციაში უნდა ვიყო, იშ-
ვიათთ შემთხვევათა გარდა, როცა ჩემი სამსახური ბანკში
ამას მოითხოვს,—და მძიმე უღელი თანამშრომლობისა, მეც
უნდა თქვენთან ერთად ვსწიო.

მე მგონია, ეს უკანასკნელი წინადადება უფრო სამჯო-
ბინარი იყოს, რადგანაც თქვენცა და მეც ერთნაირი სურ-
ვილი და წყურვილი გვექნება გაზეთის შინაგანის განკარგე-
ბით ჩვენც ჩვენი გასამრჯელო მივიღოთ და სხვა თანამშრო-
მელთაც წაახალისებს დივიდენდის მიღება, თუ ზემოხსენე-
ბულ დანარჩენს შემოსავლისას ამისათვის გადავდებთ.

მოუთმენლად ველი თქვენს პასუხს ყოველს ამაზედ. კი-
დეც ვიმეორებ: მე და თქვენ, რომ სწორის უფლების რე-
დაქტორები და გამომცემლები ვიყვნეთ,—არცერთი ჩვენგანი
არ იზარალებს, ნამეტნავად თქვენ, რომელსაც თხუთ-
მეტი თუმანი თთვეში—არის თუ არ არის—უნდა გე-
ძლიოთ ჩემგან. ამ მხრით თქვენ უფრო მეტი გარანტია
გეძლევათ, ვიდრე სხვა მხრით რითიმე, რადგანაც თქვენ
პირდაპირ მონაწილე იქნებით რედაქტორობაში და გამომ-
ცემლობაში, ვითარცა თანასწორი გამგე და ამხანაგი.

ილია ჭავჭავაძე.

თუ რამ წვრილმანი ამ წერილში დანახული და განსაზ-
ღვრული არ არის,—ამას აღვილად მოევლება. საქმე იმაშია,
რომ ან ერთი საფუძველი მიიღოთ ჩვენ შორის საქმის და-
საწყობად, ან მეორე: წვრილმანებზე აღვილად მოვრი-
გდებით.

51. პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი

მოწყალეო ბატონებო, მე დიდ პატივად მიმაჩნია, რომ პეტერბურგის ქართველმა სტუდენტობამ იწება და ჩემი სარჩიელი მოითხოვა. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან უგულისითადესი მადლობა ამ ნაირ პატივისცემისათვის. ხოლო ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენმა წერილმა ორ ცეცხლ შუა დამაყენა. ერთის მხრით დიდებული აზრი დამიდგა თვალწინ, აზრი საქვეყნო, აზრი ბრწყინვალე და პატიოსანი, რომლის წინაშე აღტაცებით და სასოებით მუხლი უნდა მოიდრიკოს ყოველმა — რიგიანმა კაცმა და რომელიც შემძლებელია გული შესძრას მხურვალე გამომეტყველებისათვის. მე მივხვდი და ვიწამე, რომ ამ კეთილ-შობილებით აღსავსე გულთა ძვრამ აღმოგიშობათ სურვილი ქება-დიდებით და ლოცვა კურთხევით მიჰმართოთ ჩაგრულთა, რომელთაც თავი დაუდევიათ ხსნისათვის. ძნელია პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერს და ყოვლად თავმოსაწონებელს გულთა ძვრას და განსამხნევებლად, თუ ხელი არა, გული მინც მიაწოდოს შორიდან დიდებულ საქმის მომქმედთა, რომელთა ხელის ღონე არ შესწევს ძლიერებას გულისას. კაცთა სამწუხაროდ, დღევანდელი დღე მუშტისაა, ძალა ჰხნავს აღმართსა. ამით უფრო საქება-სადიდებელია უღონო ჩაგრულთა მოქმედება. მე არ ვეჭვებ, რომ დრო მოვა და თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელით დღეს ბერძნები გამოდიან, დაემჯობინება მთელ სპა-ლაშქარსა და ერთისაც და მეორის წინაშეც ხმას გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი. აქ არის ყოვლად მხსნელი ღონე და სოსოება ჩაგრულთა და დევნილთა და დღეს ამის მაგალითს თვალწინ გვიყენებს ერთი მუჟა ერი საბერძნეთისა. არ მიკვირს, რომ ამის მნახველს ქართველ სტუდენტობას გული ანთებით თანაგრძნობით და, სხვა რამ რომ არა აქვთ რა ხელთ, კვნესით შეჰნატრიან ბერძნებს და ლოცვა კურთხევას უთვლიან. ძნელია კაცმა ამ მხურვალე და ბრწყინვალე გრძნობას ადამიანისას, ასეთის პატიოსან გულთა ძვრისაგან მოვლინებულს, ცივი ანგარიში დაუყენოს წინ.

მაგრამ, რაკი პატივი დამდევით და ჩემი აზრი მომთხოვეთ, არ შემიდლიან ამ ცივს ანგარიშს არ მივცე თავი და

ჩემი გულის-ნადები არ მოგახსენოთ გულ ახდილად. ჩვენი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზე ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველია. აქ არავისის ძრახვას და საყვედურს ნუ შევუშინდებით. ასეა ადამიანი გაჩენილი: თავისიანს უფრო ჰრჩეობს, ვიდრე სხვას. თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ რა ხართ თქვენ, უმაღლესის სწავლისათვის გადახვეწილნი ქართველნი ჩვენი ქვეყნისათვის. მთელი სასოება ჩვენი ქვეყნისა თქვენზეა დამყარებული, ჩვენი ხვალე, ჩვენი მერმისი. თქვენა ხართ. თქვენ რომ თქვენი უუშინდესი საქმე არ შეგასრულებინონ და ამის გამო სრულის, რამოდენადაც შესაძლოა, სწავლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ თქვენს ქვეყანას, ვის-ლა იმედზე დარჩეს? აშკარაა იგი რაც თქვენ მოგიწადინებიათ, არ მოეწონება ვისაც ჯერ არს და ვაი თუ ამით გეზიანოთ რამ. თქვენი ზიანი ჩვენი ქვეყნის ზიანია. გარდა ამისა, დღეს გაფიცებული დავიდარაბა აგვიჩნდა აქაურ სომხებთან და ამ დროს რომ მიზეზი რამ მივცეთ მთავრობა ჩვენზე ავისთვალთ მოახედონ, ჩვენი საქმე მეტად უკან დაიხვეს, თუ მთლად არ დაგველუპება. თქვენ მიერ განზრახული საქციელი თუ ასრულდა, საიდუმლოდ არ დარჩება და დიდი შიშია რომ ჩვენმა მტრებმა ჩვენდა თავში საცემლად არ გამოიყენონ. განსაცდელი და საფრთხე დიდია. განა საფიქრებელი არ არის, რომ თქვენი ბედი და მაშასადამე თქვენის ქვეყნისაც ამ საფრთხეშია და განსაცდელში არ ჩავარდეს იმისთანა საქციელით, რომელსაც სხვა სიკეთე ხელში დასაჭერი და გამოსაყენებელი არა მოსდევს რა, გარდა გულთა ძვრისა და გულთა თქმის გარედ გამოფენისა და მაშასადამე, საკუთარის თავის კმაყოფისა. კიდევ მოგახსენებთ მე მესმის მთელი პატიოსნება და კეთილშობილება თქვენ მიერ მოწადინებულ საქციელისა და არც თავის დღეში ეჭვი შემსვლია რომ ყოველ პატიოსნურ საქმისათვის ჩვენს ყმაწვილ კაცობას გული არ ერჩოდეს. გული არ [.], მაგრამ რა ვქნათ? ბედმა იმისთანა დღეში ჩაგვაგდო, რომ ჩვენი სიკეთისაგან სხვისთვის ვერას გავწირავთ, ყოველივე ჩვენი კეთილი ჩვენს ქვეყანას უნდა მოვახმაროთ და ამისთვის ყველა სხვა წყურვილი უნდა მოვიკლათ.

ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ: სასწავლებლად წასულ-
ხარო, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერ ხანად ნურც აქედ
გადიხვეთ, ნურც იქით, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ
თქვენი ღღენი და ამ ორის უუძლიერესის ფარხმალთ ეპა-
ტრონეთ თქვენდა მოსავს ქვეყანასა, რომელსაც სხვა სავედ-
რებელი თქვენს წინაშე არა აქვს-რა და რომელიც ამ გზით
მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას. ქვეყანა იმითი
კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ
მცოდნე გონება-გახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა
ჰყავს. აი თქვენი თავი რად გვიღირს ეგრე ძვირად და სი-
ძუნწეში ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთს
თქვენგანს ვერ ვიმეტებთ. თქვენი ქვეყნისათვისა ხარო სა-
ჭირონი. იქნება დამძრახოთ, და იქ, საცა ერთის მხრით
სამშობლოა და მეორეს მხრით სხვა, სხვას მარტო ნამეტა-
ნობისაგან უნდა მიეცეს. ნამეტანობამდე, ჩვენდა საუბედუ-
როდ, ჯერ შორსა ვართ და რაც ჩვენი საკმარიც არ არის,
ჩვენთვისვე საჭიროა, ის ჩვენს სამშობლოს უნდა გამოვუ-
ზოგოთ და შევწიროთ. აქ დიდად მოსარიდეგელია მცირეო-
დენი განსაცდელიც კი, რომელიც თქვენს სწავლა-ცოდნის
წყურვილს წყაროს დაუშრობს. თუ აქ ჩემი განსაცდელის
წინასწარხედვა ცდომაა, ისევ ისა სჯობია განსაცდელის
ხედვაში შესცდეს კაცი, ოღონდ მოერიდოს-კი. ეს განსაც-
დელი რომ ძვირად არ უჯდებოდეს ჩვენს ქვეყანას, ხმასაც
არ ამოვიღებდი და ამაზე არ მიგიითითებდით.

[1897 წ.]

52. ლუარსაბ ბოცვაძისადმი

13 ენკენისთვეს 1897 წ.

ქ. თბილისი

მოწყალეო ხელმწიფევ

ლუარსაბ გერასიმეს-ძევ!¹

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამ-
გეობამ, მოისმინა რა თავის სხდომაზე 9 ამთვისას მოხსენება
მდივნისა იმის შესახებ, რომ თქვენ გამგეობის მინდობი-



ლუარსაბ ბოცვაძე.

ლობისამებრ დაესწარით ამ ზაფხულს ტფილისში სამრევლო სკოლათა მასწავლებელთათვის გამართულს პედაგოგიურს კურსებზე და აძლედით სამაგალითო გაკვეთილებს, დაადგინა გამოგეცხადოსთ მადლობა შრომისათვის.

საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე.²

53. მ ა ს ვ ე

ბატონო ლუარსაბ!

დიდი სიამოვნებით ვბეჭდავთ თქვენს წერილს ჟურნალ ჯეჯილზედა¹. ასეთი მიმოხილვები დიდად და დიდად საჭიროა ჩვენთვის. საბავშვო მწერლობის გაჯანსაღება და მკვიდრ საფუძველზე დამყარება დიდი მნიშვნელობის საქმეა ჩვენი ყმაწვილების გონივრულად აღზრდისათვისა. უმორჩილესადა გთხოვთ ნუ მოაკლებთ თქვენს ფხიზელს ყურადღებას ჩვენს საბავშვო მწერლობასა და ხშირად გამოგვიგზავნეთ თქვენი კალმის ნაღვაწი.

დავშთები მარად თქვენი პატივისმცემელი

ილია ჭავჭავაძე.
[1898 წ.]

54. ანთიმოზ ჯუღელისადმი¹

1899 წ. 25 აპრილი

დიდად პატივცემულო

ბატონო ანთიმოზ ივანისაჲ!

მადლობელი ვარ რომ პატივი მომანიჭეთ და ჩემს აზრს ჰკითხულობთ შესახებ ალექსანდრე სარაჯიშვილისა.² ჩემის ფიქრით უკეთესს კაცს ვერ იშოვით სოხუმის მოურავად. კაცი დარბაისელია, ჰკვიანი, განვითარებული და ძალიან გამოცდილი. ყოველ ამასთან ჰქმარიტი და თავდადებული ქართველია, მოჭირნახულე და მხნე გამრჯელი. ხოლო უნდა ეცადნეთ, რომ უსათუოდ ამორჩეულ იქნას და ტყუილ-უბრალოდ არ გააბიაბურონ, პატიოსანი კაცი. მე სწორედ დღევანდელს დღეს მქონდა იმასთან ლაპარაკი და ძალიან გამიხარდა, რომ არ უარობს და თანახმაა სოხუმს ემსახუ-

როს. ეხლა ყველაფერი თქვენზე არის დამოკიდებული; ვინძლო არ შეგვირცხვინოთ და არ გაგვიშავოთ. თუ ამ ალექსანდრე სარაჯიშვილის არჩევანი მოხერხდა; მე წინადადე მომილოცნია სოხუმისათვის ცალკე და ქართველობისათვის საერთოდ, რომ ამისთანა კაცს ერთი ჩვენი უდიდესი საქმეთაგანი ებარება. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, სწორედ შესაფერისი კაცისათვის მიგიგნიათ.

თქვენი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.

55. კოლა მრისთავისადმი

კოლაჯან!¹ ეხლა შეყრილნი ვართ ლონდონში, ცალკე კაბინეტში, თუ გინდა რომ კაცი გახდე, ან წახდე მოდი და ბლომა ფული მოიტანე. ისეთი ამქარია რომ შენი მოწონებული. გელით, უსათუოდ მოდი ეხლავ.

შენი ილია ჭავჭავაძე.

23 თებერვალი.

56. მასვე

კოლა, მე არ შემძლიან, თორემ შემოვიდოდი. აბა, თუ ბიჭი ხარ, შენ მოდი: ლამაზი სტოლი გელი[ს] და გახურებული ბუხარი დუღს და გადმოდის. კნეინას მოახსენე, არც ეგეთი ეგოისტობა ვარგათქო, რომ თქვენის მშვენიერის მეუღლის ნახვით არა გნებავთ სხვაც ვინმე დასტკბესთქო.

შენი ილია ჭავჭავაძე.

57. მასვე

კოლა! აბა თუ ბიჭი ხარ, მოხვალ ჩემთან. მეც ეს სამი დღეა ავად ვარ, კარში არ გამოვდივარ. მოდი ერთი ლაზათიანი ბეზიკი გავჭიმოთ. კნეინას მოახსენე, რომ ექიმმა კნიაზ კოლა ერისთავის ნახვა წამლად დამიწერა და თუ ამ წამალს დაიშურებთ ჩემთვის, თქვენ იცით-თქო და თქვენმა სულგრძელობამა.

შენი ილია ჭავჭავაძე.

58. მ ა ს ვ ე

კოლაე! აბა თუ დარდიმანდი ხარ, მოდი მნახე: ასეთს ბეზიკს გაგიმართავ, რომ სულ თითები ილოკო. ჯანი გავარდეს ჩემს ალთქმას გადავალ, ოლონდ შენის ნილვით და ნახვით მეღირსოს დატკობა. ადრე კი მოდი.

შენი ილია ჭავჭავაძე.

59. მ ა ს ვ ე

კოლა, თუ არ გაჯავრდები და დღეს სადილად შინა ხარ, მოვალ და ერთი შენი მოწონებული და ჩემი დამლუპველი ბეზიკი გავეცემოთ.

შენი ილია ჭავჭავაძე.

25 ოქტომბერი.

თუ გინდა ეხლავ მოვალ: წინ წასწრობილი საქმე სჯობია, მოლა მასრადინისა არ იყოს.

60. მ ა ს ვ ე

კოლაე, თუმცა კნეინა ძალიან გამიწყრა გუშინ სალამოს, მაგრამ დღეს სადილად მაინც შენთან მინდა მოვიდე და მაცნობე შესაძლოა თუ არა.

შენი ილია ჭავჭავაძე.

61. ნიკო ხიზანიშვილისადმი

ყოვლად მოწყალე ბატონს

გაუმადლარ ნიკო

ხიზანიშვილს¹

ჩემო კარგო ნიკო! მოდი სადილად ჩემთან ჩამოდი. იმოდენად შენი გაძლობა არ მინდა, რამოდენადაც შენი ნახვა ერთ საჭირო საქმისათვის. რადგანაც შენ საქმე ისე არ გავიტაცებს, როგორც საქმელი, ამიტომ გახარებ, რომ დღეს ძალიან კარგი ორავული გვაქვს. ერთის სიტყვით, ორავულია

ისეთი, რომ შახტები და შემოტრიალდები სიმსუხარით, თუ შენი ჩვეულებრივი დარბაისლობა არ დაგიშლის ამ შეხტომას და შემოტრიალებას.

შენი ილია ქავჭავაძე.
კვირა, 2-ს ნოემბერი.

62. მ ა ს ვ ე

ძმაო ნიკო! აბა თუ კაი მეგობარი ხარ, დღეს სამს საათზე ვოგზალში მოდი და საგურამოს წავიდეთ. ჯერ ერთი რომ ორშაბადს უქმეა და მეორე კაი კამპანია მოდის: გიგა¹ და საშა ყიფშიძე². ასე ლამაზად გავატარებთ ამ ორ დღეს, რომ მერე მარტო მოგონება პირში ნერწყვს მოგვგვრის და თითების კვნეტას დაიწყებ. აბა თუ ბიჭი ხარ, ნუ მიმტყუნებ ჯერ მე და მერე შენს მეგობრობას.

შენი ილია ქავჭავაძე.
19 ოქტომბერი.

63. მ ა ს ვ ე

უმორჩილესად ესთხოვ ბრწყინვალეობასა თქვენსა, რათა აღიღოთ ცოდვიანი ფერხნი თქვენნი და შემოდგათ სახლსა შინა ჩემსა, რადგანაც გესურს სტომაქმა თქვენმა ბწრყინვალემა მიიღოს მონაწილეობა ტრაპეზსა ზედა ჩვენსა. ამინ.

ილია ქავჭავაძე.

64. მ ა ს ვ ე

ნიკოჯან! ერთი ორიოდ მინუტით გადმოირბინე ჩემთან, ძალიან საჭირო საქმე მაქვს. უსათუოდ უნდა მობძანდე, ეხლავ, თორემ ხვალ გვიან-ლა იქნება.

შენი ილია ქავჭავაძე.
5 დეკემბერი.

65. ბრიგოლ საყვარელიძისადმი

მოწყალეო ხელმწიფე! მე თქვენმა წერილმა¹ გამაოცა. იწერებით: „აი ეხლა მეძლევა შემთხვევა და ესარგებლოდ ამით, რომ პატარა ხარკი დაგადოთო“. და მართლაც, ხარკს მადებთ, ისიც თქვენდა საკუთარ სასარგებლოდ. ასეთი კადნიერი წერილი ან ძალიან მახლობელი ნაცნობისაგან უნდა იყოს, რომ კაცმა არ იწყინოს, ან ბატონმა ყმას უნდა მისწეროს. მე არ ვიცი, რა შემთხვევა მოგცემიათ ისეთი, რომ თქვენი თავი რაღაცა ხარკის მიმღებლად გიცვნიათ და მე თქვენდა საკუთარ ყურ-მოკრილ მოხარკედ გაგიხდივართ, მაშინ, როდესაც არც კი მაქვს ბედნიერება თქვენი ცნობისა. ასეთი მოხარკეობა მაშინაც სათაკილო იყო ადამიანის ღირსებისათვის, როცა ბატონყმობა არსებობდა და ახლა ხომ მეტისმეტია. მიიღეთ უკანვე თქვენგან ასე კადნიერად გამოგზავნილი ბილეთები და უმორჩილესად გთხოვთ იცოდეთ ამას იქით, რომ მე არც არავისი ყმა ვარ, არც არავისი მოხარკე და რომ უცნობ კაცთა საკუთარ სასარგებლოდ მე ფული არც მქონია და არც არასოდეს მექნება.

ილია ჭავჭავაძე.

66. ბრიგოლ ყიფშიძისადმი

ბატონო გიგო!¹ თქვენი ჭირივე, ის ივერიები გამომიგზავნეთ, საცა ვაჟა ფშაველას აფშინაა, გოგოთური² და სხვა პოემები, ერთის სიტყვით, ყველა ის ივერიები, საცა პოემებია.

ილია ჭავჭავაძე.

67. მ ა ს ვ ე

ბატონო გიგავ! დღეს Медицинское общество-ში კრებაა ავქალის წყლის თაობაზე: ფრიად საინტერესოა და რომ წაბრძანდეთ ჩვენის გაზეთისათვის ანგარიში დასწეროთ, ურიგო არ იქნება. აღრესი ამ Общество-სი საპიორის ქუჩაა,

საცა Медицинское управление ჰსადგურებს. ხეალ კიდეე საქალეხო გიმნაზიის ზალაში მეორე კრებაა ქალეხისა, ანა-სტასია თუმანიშვილის¹ თავმჯდომარეობით. ამისიც რომ ვიცოდეთ რამე ურიგო არ იქნება.

თქვენი ილია ჭავჭავაძე.

68. მ ა ს ვ ე

ბატონო გიგავ, მაჩხანელმა¹ წერილით ფული მთხო-ვა და ამასთან დამავალა, რომ თქვენ გაუწყოთ პასუხი თხოვნისა. მე სესხად ფულის მიცემა არას გზით არ შე-მიძლიან და თუ გონორარს ითხოვს, ეგ თქვენ უნდა მოგე-ლაპარაკოთ. უკაცრავოდ რომ გაწუხებთ, მაგრამ მაჩხა-ნელმა დამავალა თქვენის პირით პასუხი შემეთვალა.

თქვენი ილია ჭავჭავაძე.

69. მ ა ს ვ ე

ბატონო გიგავ! მოთხრობა წავიკითხე და არ ვარგა. მეტის-მეტად უჯერო ეპიზოდებია და უაზრო ერთობ. არ დაიბეჭდება. თუ ფელეტონები დაგაკლდეთ ჰთარგმნეთ რამე მაინცა. ეს არ ვარგა. ფული დამავიწყდა ვერ მოგეცით. სულ ერთია 1-ს აგვისტოს ერთის დღით ჩამოვალ და მო-გართმევთ. ორ დღეში ერთხელ ადამა გამოჰგზავნეთ მცხეთას გაბო ხერუმოვთან, გაზეთები გამომიგზავნეთ ხოლმე და უბრძანეთ, მინამ ჩემგან კაცი არ მოვიდეს, მცხეთას მიცა-დოს ხოლმე. ხუთმეტს მანეთს ვგზავნი და ადრესისამებრ გაუგ-ზავნეთ.

ილია ჭავჭავაძე.

გაზეთში რაც აქ გაიგონეთ ილია სერებრიაკოვის¹ და-პირების თაობაზედ არაფერი მოიხსენიოთ.

P. S. ტყუილათ მოვცდი ამ მოთხრობის გადასინჯვასა და გადასწორებაში.

70. მ ა ს ვ ე

ბატონო გიგავ, გასინჯეთ, მგონი არ ვარგა.¹ მე არ მომწონს. თუ ცოტა რასმე მაინცა ჰგავს, გაგზავნეთ ასაწყობადა. თუ ეს წავა, მეთაური აღარ იქნება, თუ არ წავა, მაშინ ვეცდები დავწერო.

[1890 წ.]

71. მ ა ს ვ ე

ბატონო გიგავ, თუ შეიძლება ან რუსული, ან ქართული ზუბალოვისაგან თქმული საბჭოში სიტყვა გამომიგზავნეთ, იქნება დავჯღაბნო რამე.

ილია ჭავჭავაძე.

72. მ ა ს ვ ე

ბატონო გიგავ! დიდად და დიდადა გთხოვთ დღეს ექვსის ნახევარზედ ჩემთან მოხდნდეთ: ძალიან და ძალიან საჭირო საქმე მაქვს და ერთს წუთსაც ვერ გადაიდება. ზაგურსკიმ რომ „ვოპროსები“ დაგვაწერინა ისინიც მაიტანეთ თან.

ილია ჭავჭავაძე.

73. მ ა ს ვ ე

ბატონო გიგავ, ხვალინდელ „ზურნაში“ ღამბაშიძის თაობაზე ნურასფერს დაბეჭდავთ და გთხოვთ სახელდობრივ სასაცილოდ არაფერ იყოს აგდებული.

ილია ჭავჭავაძე.

74. მ ა ს ვ ე

ბატონო გიგავ! ივერიაში წავიკითხე, რომ ლონდონი-დამ რალაც წერილი მოგსვლიათ ღვინის თაობაზე. ხომ მოგეხსენებათ, რა საინტერესოა ეგ ამბავი ჩემთვის და

გთხოვთ თვით წერილიც მიბოძოთ წასაკითხად და თუ რამ სხვა ამბავიც იცოდეთ მაცნობეთ.

თქვენი ილია ჭავჭავაძე.

წერილი მოსეს მიეცით და ეგ გამომიგზავნის.

75. მ ა ს ვ ე

ბატონო გიგო! გიგზავნით არჩილ მეფის ლექსებსა. ჩემგან დაწერილი სათაური მიეცით და თვით არჩილის სათაური სხოლიოში გადაიტანეთ, რაც ჩემის ხელით დაწერილია, იმის ზედ-ჩართვით. სტუდენტების წერილსაც გიგზავნით.

ილია ჭავჭავაძე.

თუ რომელიმე სიტყვა ვერ გაარჩიოთ, წერა-კათხვის ბიბლიოთეკის ეგზემპლიარიდან შეასწორეთ. ეცადეთ შეუცდომლად დაიბეჭდოს.

76. მ ა ს ვ ე

ბატონო გიგავ! არ მესმის, ღმერთმან იცის, თქვენი საქმე და ამის გამო ჩემიცა. მაგალითებზე, დღეს ერთი სტრიქონიც არ იყო მზად სახვალიოდ და ერთმა თქვენგანმა არც კი დაინახა საჭიროდ წუხელ შემოსულიყო. საკვირაოდ ერთი სტრიქონი არ არის მზად და აი მეცხრე საათია და არც ერთი თქვენგანი რედაქციას ახლო არ ეკარება. მე ილაჯი გამიწყდა ამდენის თქმითა და ტყუილის ლოდინითა. ის მაინც წინაღვე მითხარით ხოლმე, რომ არა გსურთ სიარული რედაქციაში საღამოობით, მაშინ ჩემს თავს როგორმე მოუვლი, თორემ ასე უთავ-ბოლოდ საქმის წაყვანა შეუძლებელია. დღე არ გადის თითქმის ისე, რომ შიში არ იყოს ნომრის გამოუსვლელიობისა სახვალიოდ და მინამ თქვენის აქ მოსვლით შიში გადიყრება ხოლმე, მე ჩემი მემართება. თუ არა გსურთ და მოგწყინდათ რედაქციაში მუშაობა, მითხარით, ამ იანვრამდე როგორმე გვეტოტიალებინა საქმე კარგი იქნება და მერე კი მეც თვითონ ხელს ვიღებ.

ილია ჭავჭავაძე.

14 იული

ბერლინ

[1900]

ძმაო ნიკო,¹ აღსრულდა შენი მეგობრული სურვილი და ეს თითქმის მესამე კვირაა, რაც ბერლინში ვარ² ლეიდენთან.³ მე რომ აქ ბერლინში მოვედი დათიკო სარაჯოვი⁴ აქ არ იყო, სამ თუ ოთხ დღეს შემდეგ მოვიდა. ლეიდენის კლინიკაში მომზადებული ოთახები დამხვდა და პირველ დღესვე იმ კლინიკაში დავბინავდი. ეკატერინე ივანოვნას⁵ მადლობას ვუძღვნი, რომ მისის მეოხებით აქ ყველანი დიდის პატივისცემით დაგვხვდნენ. თვითონ ლეიდენიც დიდის ყურადღებით გვექცევა. ლეიდენს ჩემის სნეულების მიზეზი აოცებს. არავითარი ზიანი არ გაქვსო, გული და მაჯა საღის და ჯანმრთელის კაცისა გაქვსო და რისგან მოგდის ეგ გულის ხუთვა, და სულის შეგუბება ვერ გამიგიაო. ამიტომ პირველ დღიდანვე დღეს აქამოდ გულის ყურს მადევნებს, რომ მიზეზი შეიტყოს. მე როგორც უკანასკნელ ხანებში ვიყავ მანდ, თითქმის ისევ ისე ვარ. სხვანი-კი მარწმუნებენ, რომ სახით, გარეგნობით ძალიან მოჰყეთდიო. მგონია, ამ ერთის კვირის შემდეგ, ესე იგი, 25-ს ამ თვეს იქნება კარლსბადში გამისტუმროს ლეიდენმა. მარწმუნებს, რომ, ასე იქნება თუ ისე, სალსალამად გაგისტუმრებ შინაო. ღმერთმა ჰქმნას! სიარულს მიშლის, დღეში ერთი საათის მეტს ნუ ივლიო, ისიც ორ გზობით ნახევარ-ნახევარ საათით. გუშინ-კი მითხრა, დღეში ორჯერ ქვევით ეტაჟიდან მეოთხე ეტაჟაში ადი ხოლმე, ერთი დილით, ერთი საღამოთიო. არას ფერს წამალს არ მასმევს ლიმონის წვენის მეტს, დღეში სამ სტაქანს მასმევს. რძე ამიკრძალა. მეც ვსვამ ამ ლიმონის წვენს და ქვევიდან ზემო ეტაჟებში დავდივარ. მარტო ამას ვწუხნავ, რომ ბევრი დრო არ მეძლევა,— ერთი კარგად მომეჩხრიკნა აქაურობა. ჯერ მარტო ეს წარმოიდგინე, რომ დღეში ხუთჯერ გვაქმევინ და თვითეულ ჰამაზე უსათუოდ უნდა დაესწრო, თორემ სწყინთ და ჯავრობენ, ჰამიდან ჰამამდე იმდენი დრო არ არის, რომ წახვი-

დე სადმე. ბერლინი ისეთი დიდია, რომ მინაჲ წახვალ და მოხვალ ჰამის დროც მოდის და ნახვისა და მოჩხრეკისათვის დრო აღარ რჩება.

შენი ჰირიმე, ნიკო, ერთი მეგობრობა კიდევ გამიწიე და მრავალ სხვასთან ეს ერთიც კისერზე დამაწერე. ლევან ჯანდიერი⁶ ჰნახე. Товарищество садовладельцев „Кахетия“-მ მე ფული უნდა მომცეს და უთხარ ლევანს მოგცეს ან შენ, ან ქრისტეფორე მამაცოვს:⁷ ძალიან საჭიროა. არ მოეშვა, მინამ არ მოგცემენ. თუ შენ გამოართმევ ქრისტეფორე მამაცოვს ჩააბარე და იმან იცის, როგორ მოიხმაროს. ეგ ფული უნდა ადრევე მოეცათ, მაგრამ დამპირდნენ ივლისში მოგცემთო. ძალიან ეცადე, რომ გამოართვა.

სხვა, იყავ მშვიდობით შენის ქალითურთ. ჩვენებმა პატივისცემა მოგახსენეთ. იაკობი⁸ და ლეისტი⁹ მომიკითხედ და განსაკუთრებით კიკოძე.¹⁰

შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე.

78. მ ა ს ვ ი

19 აგვისტო
1900 წ.

ძმაო ნიკო!

კაცო, განა ასე დავიწყება იქნება, რომ ერთი-ორის კალმის მოსმითაც არ გამიკითხე. მე ბერლინიდამ წიგნი მოგწერე და შენ პასუხიც არ მაღირსე. მე ეხლა ევროპიელი ვარ და ამისთანა ქართველობა შენი ვერა ფრად მეჰაშნიკება. ერთი გაახარე დათიკო სარაჯოვი, რომ მე ასე მაღე გავეევროპიელდი და ამას იქით თავისის ევროპიელობით აბეზარს ველარ მომიყვანს და ნიშანს ვერ მომიგებს.

ახლა ჩვენი ამბავი. მე ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან ცუდად შევიქენ და ჩემმა ასეთმა მდგომარეობამ კარგა ჩაფიქრიანა. ამიტუდა საშინელი ქშენა, ხელისა და ფეხის განძრევაზე ისე მიგუბდებოდა სული, რომ არ ვიცოდი რა მექნა. ერთი ორი ნაბიჯი რომ გადამედგა, სუნთქვა ისე

შემეკეროდა, რომ ველარ ვლავარაკობდი, რადგანაც სულს ვერ ვიბრუნებდი. შეეჩივლე ჩემი ასეთი წახედენა ჩემს მკურნალს, რომელიც თვითონ ლეიდენმა ამირჩია. შემიწუნდა თვითონ მკურნალიც და ბოლოს მითხრა: მიზეზი არ მესმისო, უსათუოდ პაპიროზის ბრალია და თქვენს თავს აქედამ უნდა უშველოთო. თუ პაპიროზზე ხელს აიღებთ, ხომ რა კარგი, თუ არა და ისევ ის სჯობიან წამლობას თავი დაანებოთ, ტყუილი ხარჯი და მოცდენააო: პატიოსანი სიტყვა ჩამომართვა მერე ისეთის ხვეწნით და მუდარებით, რომ კინალამ გული ამომიჯდა. ვთქვი ჩემს გულში: ნეტა ამას რა სჯის, რომ ასეთის სიყვარულით მეხვეწება და მემუდარება-მეთქი. სხვა გზა არ იყო, პატიოსანი სიტყვა მივეცი და მას დღეს აქედ პაპიროზის გემო აღარ ვიცი. არ გამოსულა სამი ოთხი დღე მას შემდეგ, რომ ლაზათიანად მოვჯობინდი და ეხლა ისე კარგადა ვარ, როგორც დასნეულებამდე ვიყავი, თუ არ უკეთესად. დღეს 19 აგვისტოს (ჩვენებურად) მკურნალმა სიხარულით მანუგეშა: თუ ესე კარგად წავიდა შენი საქმეო, ორს (ჩვენებურად) სექტემბერს კარლსბადიდან გაგისტუმრებო სალ-სალამათადაო და მკითხა: საით აპირობ წასვლასო. მე ვუთხარი, პარიჟში მივდივარ და იქიდან შინ წავალ-მეთქი. შეხტა და შემოტრიალდა ამაზე ჩემი ექიმბაში. კარლსბადიდან წყლების შემდეგ დიდი შესვენება გინდაო, ერთი ორი თვე მაინც ძალიან მშვიდობიან და მყუდრო ადგილას უნდა იცხოვროო, რომ არც ხმაურობა, არც ჟღერიამული, არც დიდი გართვა, არც არავითარი საქმე და არეულ-დარეულობა არ უნდა გაწუხებდესო. შენი პარიჟში წასვლა და ამოდენა ღვაწლის ამოდ ჩავლა ერთი იქნებაო. მე ვფიქრობ, ვაი თუ უფრო უარესად გახდე, ვიდრე ამასწინად იყავიო. პარიჟში ყოველი ბიჯი სამაცდურაო, ყოველ ბიჯზე ახალი რამ სანახავია, ახალი რამ სასმენელია და ამოდენა აუარებელს საგრძნობსა, სახილაველსა და სასმენელსა დიდად ჯანმრთელი კაცი ძლივს უძლებს და შენ ნაავადმყოფარი და მერე ისეთი ნერვებ აშლილი, როგორც შენა, როგორ გაუძლებ და აიტანო. არამც და არამც პარიჟში არ წახვიდეო, უარესს საწამლავს შენი მოსისხლე მტერიც ვერ აგირჩევსო. დამინიშნა შვეიცარია. მე დიდი უარი ვუთხარი. მაშ თუ ეგრეა, აქედამ ვენაზე გაიარე,

იქა ვენის მიდამოებში ძალიან კარგი, მყუდრო და მივარდნილი ადგილებია, იქ ერთი-ორი კვირა კარგად შეისვენე, მოლონიერდი და ისე წადი საქართველოში. გზაზე სამგან მაინც შეისვენე თითო დღე. საქართველოშიც სოფლად უნდა წახვიდე სადმე კარგს ჰაერში და ერთი ორი თთვე უზრუნველად, უდარდელად და უწყინრად იცხოვრო და მერე შეგიძლიან ქალაქშიც ჩახვიდე და შენს საქმეს მოჰკიდო ხელიო. თუ გინდა რომ ჯანსაღი იყო და შენი სნეულება აღარ დაგიბრუნდეს, ასე უნდა მოიქცეო.

მეტი რა გზაა,—პარიჟზე ხელი ავიდე. წარმოიდგინე, პარიჟი თითქმის ცხვირწინ არის და მე კი მისი უნახავი უნდა წამოვიდე. დარდუბალაც ამას ჰქვია. მაგრამ რას იზამ? ამდენი ვაი ვაგლახი და წამლობა გამოვიარე, ძლივს გამოვკეთდი და ყველა ეს პარიჟის ნახვას როგორ ვანაცვალო?

ამ სახით, ჩემო ნიკო, ორს (ჩვენებურად) სექტემბერს კარლსბადს გამოვეთხოვებით. ამ წიგნის პასუხი აქ კარლსბადში ველარ მომისწრობს რადგანაც წერილს ერთ გზობაზე რვა დღე უნდება. დათიკო სარაჯოვი თავისის მეუღლით მომიკითხე სიყვარულით. დეპეშით მოკითხვისათვის გმადლობთ. ყველას მოკითხვა.

79. მ ა ს ვ ე

ძმაო ნიკო, ერთი დაწვრილებით შემატყობინე — რისთვის ჩამომათრიეთ? ვინ არიან დეპუტატიაში და როდის არის დანიშნული წარდგენა დეპუტატისა?

შენი ილია ჭავჭავაძე.

1 ოკტომბერი.

80. ალექსი გულისაშვილისადმი

14 ნოემბერი.

მოწყალო ბატონო

მამაო ალექსი,¹

უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ სოლომონა ბიჭინაშვილს, თეოდორე მამადაშვილს, გრიგოლ ალიაშვილს და ლაზარე ლევერაშვილს, რომ სვიმონიანთ ხევში მამული კიაზო ჩოლოყაშვილისა სამოცდა თერთმეტი დესეტინაა. იგი მამული ისევ კიაზო ჩოლოყაშვილმა დაიბრუნა და ამიტომაც ბანკი თავისით იმ მამულს ველარ გაჰყიდის. თუ კიაზო ჩოლოყაშვილი მოინდომებს გაყიდვას, ბანკის დაუკითხვად მაგას ვერ შეიძლებს და ბანკისაგან მოწმობა უნდა აიღოს ნების დართვისა. რასაკვირველია, ბანკი ნებას არ მისცემს, თუ კიაზო ჩოლოყაშვილი მოინდომებს მამულის გაყიდვას იმაზე ნაკლებ რაც ბანკში შემოსატანია.

თქვენი პატივისცემელი ილია ჭავჭავაძე.

81. მიხეილ ჩიკვაძისადმი

ძმაო მიხაკო,¹ ჩემი ავან-ჩავანი ტერ-მინასოვი წყლებზე წასულა ორის თთვით და მწერს, რომ 4-ს ივლისს აზოვსკის ბანკში ჩემი ასის თუმნის ვექსილის ვადა არისო.

ეს ბარათი მინასოვის სწორედ დღეს, 4 ივლისს მამივიდა ქალაქიდან. შენი მტერი ჩავარდეს იმ მდგომარეობაში, რა ყოფაშიაც მე ჩავარდი.

ახლა ვშიშობ, ვაი თუ პროტესტში ჩააგდეს ჩემი ვექსილი და მინამ შენი პასუხი მომივა, დიდს მწუხარებასა და შიშში ვიქნები. პროტესტი რომ გაუქეთონ, სულ მთლად დავიღუპები, ყველა ვექსილები სულ პროტესტში წავა და კრედიტი შემეკვრის და დავიღუპები კიდევ დედა-ბუდიანად.

ჩემი თხოვნა ეს არის, ძმაო და მეგობრობა გამიწიე და ჯერ ყველაზე უწინარეს აზოვსკი ბანკში წადი და უფროსს გამგებელს ბანკისას სთხოვე ჩემმაგიერ მადროვოს მინამ ახალს ვექსილს თავისის სარგებლით წარვადგენდე.

ამას მოუწოდებდა სულ ბევრი ორი დღე, რადგანაც რაც სა-
ჭირო ქალაქები იქნება აქ გამომიგზავნი და აქ მოვაწერ
ხელს და მაშინვე დაგიბრუნებ ბანკში წარსადგენად. ეს
ერთი ნაწილია საქმისა. ბანკის გამგებელს აუხსენ, რომ
ვექსილის გამოცვლა იმიტომ დამიგვიანდა, რომ მე სო-
ფელში ვარ და ვექსილის ვადის მოსვლა გვიან შემატო-
ბინა ჩემმა ვექილმა. თუ გამგებელი ბანკისა და-
იყოლიე ამაზე, მაშინვე პეტრე გრუზინსკი² ნახე, ვექსილი
იმან უნდა მამცეს და მე ბლანკი უნდა გავუტეთო და ამი-
ტომ ვექსილი პეტრე გრუზინსკისა აქ უნდა გამომიგზავნო
ხელის მოსაწერად.

თუ ბაბაღი ბარათოვისა³ მანდ ქალაქშია, სთხოვე ჩემი
ფული და იქიდან მოიშორე სარგებელი და სხვა ხარჯი
ვექსილისა.

თუ ვინიცობაა პეტრე გრუ [ზინ] სკი ქალაქში [არ არის],
კოჯორში იქნება, და, შენი ჭირიმე, ნუ დაიზარებ, კოჯორ-
ში აღი და იქ მოაწერიან ხელი ვექსილს. მაინც და მაინც
ჩვენს ბანკში მიდი, პეტრე გრუზინსკის ძმას, მიხეილს ჰკი-
თხე, — სად არის-თქო და ისე მოახერხე, რომ ვექსილს
ხელი მოაწეროს.

შენი ჭირიმე, მიხაკო, ამ საქმეში შემეწიე და რასაც ამ
წერილში გთხოვ და გეხვეწები შემისრულე. შენგან ბევრი
კარგი მახსოვს და იმედი მაქვს ამ სიკეთესაც არ დაიშურებ
ჩემთვის და საუკუნოდ დამავალე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

4 ივლისი.

82. იოსებ ორბელიანისადმი

15 იანვარს.

ძმაო იოსებ!¹ თქვენი წიგნი მივიღე და ძალიან ვწუხ-
ვარ, რომ ამჟამად არას გზით არ შემიძლიან მანდ ჩამოსვლა.
ხომ მოგეხსენებათ, სამსახურის კაცი ვარ და ყოველს ჟამს
სამსახურის თავის დანებება ჩემს ხელთ არ არის. ან რა
საჭიროა ჩემი მანდ ჩამოსვლა: რაკი იმ საქმეში, რომლის

თაობაზედაც მე მიბარებთ, თქვენ გარეუღხარო, სრული იმედია, რომ ღირსეულად და რიგიანად წავა საქმე. თქვენი სახელი და პატიოსნება იმის თავდებია, რომ თქვენ ჩემს დას ჩემზედ მომეტებულს ძმობას გაუწევთ და არც ერთს მხარეს უსამართლობას არ უზამთ. მე დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს დას თქვენის შუამავლობით, შემწეობით და მფარველობით დაუწყვია თავისი საქმე მაზლთან.

თქვენა მწერო, რომ სანდრო² სამასის თუმნის ვექსილს აძლევს ლიზოს,³ გარდა ამისა ორმოცდაათს თუმანს მაშინაო, როცა კალონიის ფული გამოვარო და მანამ იმ სამასს თუმანს ჩააბარებსო, წელიწადში ოცდახუთს თუმანს სარგებელს მისცემსო.

ეგ პირობები, თუ ღიზა დასჯერდება, არ არის ურიგო, მაგრამ, თქვენც მოგეხსენებათ, რომ პირობა ყოველი მაშინ არის კარგი, როცა შესრულდება. რა გარანტიას აძლევს სანდრო ჩემს დას, რომ ეგ პირობები უდავიდარაბოთ შესრულდება? ცარიელ ვექსილს შუა და მის აღსრულების შუა დიდი სივრცეა. ცარიელი ვექსილი და მერე უვადო რა გარანტიაა ლიზოსათვის მაშინ, როდესაც თქვენვე მწერო, რომ სანდროს მამული სხვის ვალებსაც ვერ აუღდებაო. მაშ საიდან უნდა მიიღოს ლიზომ თავისი ფული? ეს საქმე რომ ვექსილით დაბოლოვდეს, მე ვგონებ ბოლოს სადავიდარაბოდ გახდება. თუ სანდრო გულწრფელად მოწადინებულია და შინაურულად უნდა გათავება ამ საქმისა, აღარ უნდა ისურვოს, რომ ბოლოს ეს საქმე ისევ სადავიდარაბოდ გახდეს. შინაურულად მორიგება ძალიან კარგია მხოლოდ მაშინ, როცა საქმე ისე დაბოლოვდება, რომ მომავლისათვის შიგ სადავიდარაბოდ აღარა დარჩება რა. განუსაზღვრელად და ბუნდად გადაწყვეტა საქმისა სამაცდურია იმისათვის, ვინც ბოლოს ამ საქმეს და მის გადაწყვეტილობას თავისათვის საზარალოდ დაინახავს და ამგვარი—მდგომარეობა უსათუოდ დავიდარაბის ასატეხად წააქეზებს გულნაკლულსა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამ საქმის გათავებას არ მოინდომებთ ისე, რომ ბოლოს ისევ სადავიდარაბოთ გახდეს. წარმოიდგინეთ, რომ ლიზომ მიიღო სანდროსაგან უვადო ვექსილი; წარმოიდგინეთ ისიც, რომ ლიზომ ჰსთხოვა

სანდროს გექსილის ძალით ფული და სანდრო არ აძლევს. მაშინ რა უნდა ქმნას ლიზომ? უჩივლოს? ხომ ისევ ასტყდა დავიდარაბა, რომელსაც ახლა ისე ვერიდებით თქვენცა და ჩვენც. რომ ეს ასე არ მოხდეს, აი, ჩემის აზრით რა პირობებია საჭირო: 1) სანდრომ ჩემს დას დაუნიშნოს ორი წელიწადი ვადა მაგ სამასის თუმნის მისაცემად; 2) გარანტიათ მიჰსცეს ზაკლადნოით ღირებული გირაო იმ პირობით, რომ თუ ვინიცობაა ორის წლის განმავლობაში სანდრომ ლიზოს ის ფული არ მიჰსცეს, ლიზოს ნება ჰქონდეს იმ გირაოს კანონისამებრ მოეპყრას; 3) ამ ორ წელიწადში სანდრომ წელიწადში ოცდახუთი თუმანი აძლიოს в виде содержания вдовы, а не процентов, которые в указанном количестве воспрещены законом; 4) გარდა ამისა ნაღდად მიჰსცეს ლიზას ორმოცდა ათი თუმანი, როცა კალონიის ფული გამოუვა, რომელიც სანდრომ ულიზაოდ არ მიიღოს; 5) ლიზას დაუხსნან თავისი ნივთები ეხლავე.

ვერც ამაზედ მეტს და ვერც ნაკლებს, ჩემის ფიქრით ვერ მოვსთხოვთ ვერც სანდროსა და ვერც ჩემს დას. ჩემს დას ამასთანავე ვწერ წიგნს და რაც თქვენთვის მომიხსენებია, იმასაც იმას ურჩევ.

თქვენი მარად ღრმად პატივის მცემელი

ილია ჭავჭავაძე.

83. ელისაბედ საბინაშვილისადმი

ლიზო! ¹ ხვალ დილის თერთმეტ საათზედ გრიგოლ ორბელიანთან ² შეიყრებიან ლევან მელიქოვი, ³ გიორგი ერისთავი ატამანი, ⁴ ივანე მუხრანსკი ⁵ და ბევრი სხვანი ერთი დიდის საქმის თაობაზედ. დღეს ამ საქმის დამწყობი ჩემთან შემოვიდა და მთხოვა, რომ სიძე ალექსანდრეს ⁶ ეპსთხოვო, რომ უსათუოდ ისიც დაესწროს და მიზანდეს დანიშნულ საათს გრიგოლ ორბელიანთან. სიძეს ჰსთხოვე ჩემმაგვირაც, რომ არ დაიზაროს და უსათუოდ წაბძანდეს.

როგორა ხარ? მომწერე, მე ჯერ კიდევ შინა ვარ დამწვდელი.

შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე.

29 იანვარს.

ლიზო! მომილოცავ[ს] ქრისტეს აღზდები შენთვის და შენის სახლობისათვის. მე ეხლახან ჩამოვედი ვლადიკავკასიდან, ოლიკო¹ კი იქ დარჩა. ისიც იმ კვირას მოვა.

ამასწინად ხუთი თუმანი გამოგიგზავნე, რომ ნატალია ჩოლოყავეის[ათვის] გარდაეცა და არ ვიცი მიიღე თუ არა. ნიკო მანსვეტოვსა² ჰსთხოვე ქვევითა მდგმურს გამოგვირთვას რაც ფული გვერგება იმისაგან და ის ფული სრულად ნატალია ჩოლოყავეისას გარდაეცი და ბარათები ჩამოართვი. შენი კირიმე, ლიზო, ძალიან შეეხვეწე მანსვეტოვს, რომ რაც ქვევითა მდგმურისაგან გვერგება გამოართოს, რომ ეგ წყეული დედაკაცი მოვიშორო. რატომ არ ამოდიხარ? როცა წამოსვლა დააპირო მომწერე და ტარანტასს გამოგიგზავნი თავის ბიჭით და გოგოთი.

შენი ძმა ილიკო ჭავჭავაძე.

დიმიტრი ვეზიროვს ჰუთხარი, რომ თქვენი ქალღდეები ვლადიკავკასიდან რომ ჩამოვედი, მაშინ მივიღეთო. ესეც უთხარი, რომ მინამ სრულის გარდაწყვეტილობის კოპიოს არ გამომიგზავნის მინამდინ მაგის საქმეზედ ვერასფერს რჩევას ვერ მიცემ.

საყვარელო დაო ლიზო! შენი წიგნი მომივიდა და ძალიანაც მიამა, რომ არ მომსვლოდა, დეპეშის გამოგზავნას ვაპირებდი შენისა და ალექსანდრეს ამბის შესატყობად. აქამდინ პასუხი ვერ მოგწერე, რადგანაც ყოველ დღე ველი ჩემს მოადგილეს და ყოველ დღე ვაპირებდი და კიდევაც ვაპირებ ქალაქში ჩამოსვლასა. მე კარგადა ვარ, მაგრამ საშინლად მოწყენილი ვარ მარტოობითა. ზუბალაანიც¹ სამზღვარ გარედ წავიდნენ ეს მეორე კვირაა და სრულიად მარტო დავრჩი იმა მოუთმენელის ლოდინითა, რომ აი ან დღეს ან ხვალა ჩემი მოადგილე მოვა და წამოვალ. დღეის აქამომდე ჩემი ლოდინი ლოდინადა რჩება და ძალიან ვწუხვარ.

შეხი წიგნი გარდავეცი პელაგიას და ერთი თუმანი ფულიც მოწერილობისამებრ, მივართვით.

შენი ჭირიმე, ლიზო, მანდ ჩემი ახალი შლიაპა არის დასაკეცი. იმ შლიაპას, არ ვიცი მარცხენა თუ მარჯვენა მხარეს, მართული წაუხდა, უბძანე ბიჭსა მეშლიაპეს მიუტანოს, რომ მართული გაუკეთონ, ვიდრე მე ჩამოვალ, თორემ უშლიაპოდ დავრჩები.

ალექსანდრეს ჩემს გულითად პატივისცემას და სიყვარულს განუცხადებ.

იყავით მშვიდობით და სიმრთელითა

შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე.

23 მაისი.

ლუშეთი.

86. მ ა ს ვ ი

ჩემო კარგო და საყვარელო ლიზავ!

მე ძალიან დამნაშავე ვარ შენს წინაშე, რომ აქამდე პასუხი ვერ მოგწერე პირველ წერილზე. ვიცი მაპატივებ და ამიტომ ამის თაობაზე არა ვხედავ საჭიროდ სიტყვა განვაგრძო.

ჩვენ თუ გვიკითხავთ, ღვთის მადლით, კარგადა ვართ და რადგანაც ერთობ თქვენი კარგამყოფობაც ვიცი, ერთი ორად კარგადა ვარ. აქ ჯერ, მადლობა ღმერთს, დიდი შიში არ არის: ხოლერა კანტი-კუნტად დაიარება. ნურც თქვენ შეშინდებით, ღვთის მადლით, მშვიდობით ჩაივლის ყოველის ფერი.

მე ამას წინად რევაზ ვახვახოვის შვილს ეუთხარი, რომ ღვინო ტიტკოს გადასცეს. დამპირდა რა წამსაც მივალ, მამაჩემს ვეტყვიო და ავასრულებო. მიკვირს, რად არ აუხარუ[ლ]ებია დანაპირები. ყვარლის ღვინოები ჯერ ხანად როგორც არის ისე დარჩეს, მაინც ოცის მკათათვისათვის აღარ მოგვესწრობა.

შენი სახლების ამბავი ეს არის: ჩიკვაიძეს ნება მიუცია მებელისა და ავეჯის დაწყობისა ყიფიანისათვის. ეხლა თვი-

თონ სადღაც გადიქსაქსნენ და მებელი და ავეჯი აქ უყრიათ, კარებდაკეტილში. მაინც რაც შეიძლება, ვაკეთებინებ, ზოგიერთი ოთახები დავაცარიელეთ და იქ, რაც საჭიროა ვაკეთებინებთ.

გიგზავნით რევაზ ვახვახოვთან წერილსა, გადაეცი და ღვინო მიიღეთ, ათი ჩაფი მითხრა აქ რომ იყო.

იყავით მშვიდობით

შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე.

9 ივლისი.

87. მ ა ს ვ ი

ჩემო საყვარელო დაო ლიზავ!

ძალიან მიამა, რომ მშვიდობის მგზავრობა გქონია და კარგად, შეუწუხებლად მისულხარ გურზაფში. უფრო ის მიამა, რომ კმასაყოფილად დაბინავებულხარ და მანდაურობა მოგწონებია. ჩვენ ღვთის მადლით, კარგადა ვართ. დღეს აქამომდე მე ქალაქში ვარ მომწყვდეული და ხეალ დილაზე მივდივარ საგურამოს. დიდი მზადება აქვს ოლიკოს ჩემ ღლეობისათვის. ამბობენ, დიდი ხალხი აპირობს მოსვლასაო. მუზიკაც მოგვივიდა, ერთის სიტყვით, დიდის ზარითა და ზეიმით დავხვდებით ილიაობას. მარტო ერთი დანაკლისი ის არის, რომ შენ და კატო ჩვენთან არ იქნებით ამ დღეს. მაგრამ ერთის მხრით ეს დანაკლისი ჰნელდება, რაკი შენ კარგადა და კმასაყოფილად მეგულები მანდ.

მწერ, სამოცი თუმანი კიდევ მომინდებოა. ეხლა გიგზავნი ოცს თუმანს, ოცსაც გამოგიგზავნი მარიამობის თთვეში და დანარჩენს ოცს საგზაოდ შეგინახავ. თუ ეს ჩემი განკარგულება არ მოგწონს, მომწერე და რასაც მიბრძანებ ისე მოვიქცევი.

საძაგელმა ზალიკომ¹ თავის ქალი ისევ საწყალს ოლიკოს მოახვია თავზე, ოლიკო ჯავრობს, მეც ყელში სისხლი მომდის, მაგრამ რას ვიზა(ვ)[მ]თ კიდევ რალაც სკანდალი აუტეხნია და ამას წინად ზალიკოს წიგნი მოუვიდა, რომ საცა გინდა იქ წაბძანდით, მე შენს მამობაზე ხელს ვიღებო.

კარგი იქნება, რომ თავისი ქალი ჩვენ დაგვამწყრალოს. ზალიკოსაგან ყველაფერი მოსალოდნელია და შესაძლებელი. წიგნი მომწერე ხოლმე. შენი წიგნი დიდის სიამოვნებით წავიკითხე.

კატო დამიკოცნე.

შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე.

18 ივლისი.

88. მ ა ს ვ ე

საყვარელო დაო ლიზავ! დაგვანებე განა თავი და წახვედი ვარშავაში და, დახე, აღარც-კი გვწერ წიგნსა. მართალია, არც მე ვარ შენთან პირნათლად, მაგრამ მე იმოდენად არ მომეკითხება ეს დანაშაული, რამოდენადაც შენ. მე ამოდენა საქმეებში ვარ გაბმული, რომ თავბედისა აღარა გამეგებარა. შენ-კი უფრო მოცლილი ხარ და შენ რომ ათჯერ მოიწერო და მე ერთხელ მე მაინც მეპატივება. ხუმრობა გაშვებით და რატომ არასა მწერ მანდაურობისას. გურზუფიდან შენი ლამაზი და გრძელი წიგნი სიამოვნებით წავიკითხე და ნუთუ ვარშავაში გურზუფის ოდენა არა ნახე რა, რომ არ მომწერე. როგორ გასიამოვნა მაგ სიშორე მოგზაურობამ და მაგ უცხო ქვეყნის ნახვამ.

როგორ დაგხვდა მაკო და ტიტუკო? ხომ კარგად არიან, ან ჩვენი კატუნია რა ქეიფზეა, ხომ არ გაჯავრებს. ჩემმა-გიერ უთხარი, ჰა, არავინ არ გააჯავროთქო.

შენი სახლები სულ გავაქირავე: ქვეითი ეტაჟა მივე ორმოცდა ორ თუმან ნახევრად, შუა ეტაჟა სამოც თუმნად და ზევითი ეტაჟა სამოცდაათად. მეტი არავინ მოგვცა და სწორედ გითხრა კაი ფასებია. ის პატარა სახლი, რომელიც გაბაშვილისათვის გინდოდა, ლამაზად გადავაკეთე, მთხოვნელები ბევრნი არიან, მაგრამ არავის ვაძლევ, რადგანაც შენ გინდოდა გაბაშვილის ქვრივი დაგეყენებინა. როგორც მიბძანებ, ისე მოვიქცევი, ოღონდ მომწერე-კი მოვუცადო გაბაშვილის ქვრივს, თუ სხვას მივცე.

იქით ქუჩაზედაც ვაპირობთ სახლების აშენებას, უკვე ის ძველძეული შენობა დავაქცევინე და ღვთით ამ ცოტას

ხანში შენობას შევუდგებით. ფოდრიაჩიკთან მაქვს მოლაპარაკება და ჯერ არ გამითავებია ლაპარაკი. ამ დღეებში ესეც გათავდება და შენობას ხელს მივყოფთ.

ჩვენ ჯერ კიდევ სოფლადა ვართ, ესე იგი ოლიკო ჯერ არ გადმოსულა საგურამოდამ.

გიგზავნი შენის პენსიის წიგნსა. სენოს ადრესი ეს არის: Воронеж-Ростовская [.] дорога, станция Подгорная. თუ წიგნის მიწერა გინდა, ამ ადრესით მისწერე და თუ მაინდამ ამ გზით წამოხვალ ამ სტანციაზე იკითხე და აქვე ეკიპაჟს იშოვი და სენასთან მიგიყვანენ. ის კი სჯობია დეპეშით აცნობო წინაღვე და თვითონ მოგაგებებს ეკიპაჟსა. შენს დღეობასა დეპეშა შეცდომით გურზუფში გამოგვზავნეთ და უკანვე მოგვივიდა.

მომწერე შენი ამბავი და ისიც როდის გვეწვევით დედაბუდიანად. მაკო და ტიტუკო დამიოცნე. კატუნის კი ჩემმაგიერ ყური გაუწიე, იამება.

შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე.

22 სექტემბერი.

89. მ ა ს კ ე

საყვარელო დაო ლიზავ! გუშინწინ მივიღე შენი წიგნი და ალექსანდრესი. მიამა ძალიან, რომ შენ კარგადა ხარ. ღმერთმა შენცა და ალექსანდრეც ყოველ ჟამს კარგად გამოყოფოთ.

შენი და ალექსანდრეს სამღურავი დიდის გულდადინებით მოვისმინე და მით ვინუგეშე რომ სწორედ ღირსი ვიყავი და ვარ მაგგვარის სამღურავისა, რადგანაც ამდენი ხანი აქა ვარ და წიგნი არ მოგწერეთ. დამძომაში სამღურავს ხანგრძელობა არა აქვს და ამით ვიძელოვნებ, რომ ჩემს დანაშაულს შენცა და ალექსანდრეც მაპატიებთ.

მე ამჟამად მოსკოვში ვარ, ფრიად და ყოვლად უსაქმოდ, იმიტომ რომ არც ერთს ბანკში არ შეგვიშვეს, რომ შეგვესწავლა ის, რაც ჩვენთვის საჭიროა. მაგრამ ჯერ კიდევ იმედი სრულად არა გვაქვს დაკარგული. ბევრი თრევა და გაძვრენ-გამოძვრენა უნდა, რომ როგორმე სხვის მეოხებით

ბანკის კარები გაგვეღოს. აქა-იქა დავეთრევი და იმედი მაქვს, რომ ზოგიერთი გულკეთილი ადამიანები დამეხმარებიან და ბანკში შესვლის ნებართვას მომანიჭებენ. ეხლა აი რასა გთხოვ, ჩემო ლიზო! მანდაურს გასუდარსტენი ბანკის ოტდელენიაში ორი ბილეთი გვაქს დაგირავებული. თერთმეტს ღვინობისთვის ვადა გადის. თუ მანამდე არ დავისენით, დაგვეკარგება და ათიოდ თუმანს ვიზარალებთ. რომ ეს ასე არ მოხდეს, უნდა ეგ ბილეთები მანამდის დავიხსნათ და იქავ ჩემს სახელზედ დავაგირავოთ იმავე ღღეს. ამას სულ ცხრა მანეთი ხარჯი აქვს. ოლიკოსაგან მომივიდა შენი კვიტანცია ბანკისა. ეგ კვიტანცია ცხრას ღვინობისთვის წარადგინებინე ვისმე ხელით ბანკში, რომ გამოიხსნას ჩვენი ბილეთები და ისევ იმ ღღესვე იქ დააგირავოს ჩემს სახელზედვე, თორემ გადაგირავების ნებას არ მოგცემენ. ამ დაგირავებაში და გადაგირავებაში ცხრა მანეთის მეტი ხარჯი არ მოგივა. როცა მოვალ დიდის მადლობით მოგართმევ. თუ შენ ეგ გაგიძნელდეს იასე ჰავჰავაძე¹ დაიბარე, გარდაეც ეგ კვიტანცია და ეს წიგნი წააკითხე. ის მოახერხებს მაგ საქმეს. მანსვეტოვთან შემიტყვე ჩვენი სახლების ამბავი: იყიდება თუ არა, ძველი ღმერთი თუ გავიდა დადგა ვინმე ახალი?

ამ წერილის პასუხი ისევ ძველის ადრესით მოიწერე. ალექსანდრე სიყვარულით მოიკითხე. არ დამივიწყოთ.

შენი ერთგული ძმა ილია ჰავჰავაძე.

18 აგვისტოს.

მოსკოვი [1873 წ.].

90. მ ა ს კ ე

საყვარელო დაო ლიზო! მე კარგადა ვარ ღვთის მადლით და თქვენც კარგად იყავით. შეიტყობდით მანდ რაც ნიკომ 1. საქმე ჩაიღინა ჩემის დათხოვნის თაობაზედ. მას აქედ, რაც მაგან თავზე ლაფი დაისხა საქვეყნოდ ბანკის თაობაზედ, მე მაგისას ყველაფერსა დავიჯერებდი, მაგრამ ამას კი არა, რომ მაგისთანა სასაცილო მტრობას დამიწყობდა. თურმე ყოველს ჩლენს ცალ-ცალკე ეხვეწებოდა, რომ ჩემს ოტპუსკ-

ზედ თანახმა არ გამხდარიყვნენ. მე ეს ისე არ მწყინს, როგორც მეცინება მაგის სასაცილობაზედ და სულმოკლეობაზედ.

ამას წინად ოლგას წიგნი მომივიდა, კარგად არის და თქვენგან მოკითხვას იწერებოდა. მარტოობამ ძალიან შემაწუხა, მინდა ქალაქში ჩამოსვლა და ვერ მომიხერხებია.

ალექსანდრეს ჩემი გულითადი სიყვარული და პატივისცემა მოახსენე. შევიტყე, რომ ნიკოს საქციელი მეტად ჰსწყენია და ნიკოსათვის სამღურავის თქმა უნდა. შეეხვეწე ალექსანდრეს ნიკოს ხმა არ გასცეს, ჩიტი პრტყვნად არ ღირდაო, დევნა მეტი იყოვო. აბა ღირს, რომ მაგგვარ საქმეში კაცი კაცს წაებასოს!.. ნიკოს ჰგონია, რომ მაგით ჩემი ჯავარი ამოიყარა და დიდი მტრობა მიყო. მე თითონ ნიკოს მსგავსი ვიქნები რომ ეგ შევიმჩნივო. წიგნი მომწერე.

ეს წიგნი მანსვეტოვს გაუგზავნე.

შენი მარად ერთგული ძმა ილია პავლევიჩი.

[1873]²

91. მ ა ს ვ ე

საყვარელო დაო ლიზავ! შენი წიგნი და ოცი თუმანი ფული მომივიდა და სწორედ გითხრა სულის მოსწრებაზედ მომივიდა ერთიცა და მეორეც. დიდი მადლობელი ვარ დიდი და დიდი!... მარტო ამას ვწუხვარ რომ შენ შეგაწუხეს და ხუთი თუმანი შენ დაგაყრევინეს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მაგ ხუთს თუმანს დაგიბრუნებ. ძმებმა ანგარიში ქმნეს და მაინცა ძმურად დარჩნენო, ნათქვამია. მეორე ჩემი დიდი მადლობა მომიხსენებია შენთვის და ალექსანდრესათვის ბილეთების დახსნის თაობაზედ. ამასა გთხოვ რომ თვალყური გეჰქროს ვადა არ გაუფიდე და ეგ ბილეთები არ დაიკარგოს, ვიდრე მე არ მოვალ.

ჩვენი ბანკის საქმე ამ უკანასკნელს კვირაში ძალიან კარგად წავიდა. თუმცა მანდატურები მიზეზთა გამო სხვისა და სხვისა არამც თუ ხელს მიმართავენ, ცდილობენ რომ რაიმე და როგორმე დამაბრკოლონ, მაგრამ იმედია რომ

ყველა განსაცდელს გადაეურჩე. საქმე ჩემდა მონდობილი აღვასრულო და მანდაურებს კი ავკაცობა შერჩეთ. დიდი სამღურავის წიგნი მოვწერე კნიაზ რევაზს,¹ რომ უმიზეზოდ მე გული მატიკინეს და შეურაცხმყვეს, რაღაც ეჭვი მომაცხეს. ღმერთმა მშვიდობა მიჰსცეთ. ქვეყანა ასრე ყოფილა, არის და იქნება. მაგრამ როცა დრო მოვა, ყველა მიჰსცემს პასუხს ჩვენს უბედურს ქვეყანასა და უფრო უბედურს საზოგადოებასა. მაშინ ვნახავთ, ვისი გული იქნება წმინდა და ჩირქ—მოუტყებელი. მადლობის მაგიერ ჩემი შეურაცყოფა და ჩემდამი შურიანობა იაფად არ დაუჯდებათ იმათ, ვიც ეხლა მე ორმოს მითხრის და ბადეს მიგებს, დრო გამოაჩენს ყველაფერსა და მაშინ იქმნეს „გოდება და ღრჭნა კბილითა“. დიდად და დიდად ვმადლობ კნიაზს რევაზს ანდრონიკოსს, რომ იმანაც არ დამინდო და ნებით თუ უნებლიეთ ჩემი გულის ტკენა მოინდომა სხვისა სიტყვით და მეცადინეობით. მაგასაც გავუძლებთ და ჩვენებურად საქვეყნოდ გადაუხდით სამაგიეროსა.

ამ კვირია ჩვენი ბანკის საქმე გოსუდარსტვენი სოვეტში უსათუოდ გადავა. ეს იყო ძნელი და რაკი ეს მოხერხდა, უფრო იმედია რომ საქმე ჩვენი სურვილისამებრ დაბოლოვდება ნოემბრის გასვლამდე. ძნელი ეს იყო, რომ ეგ ექმნათ, რაკი ეგა ჰქმნეს, ახლა დიდი იმედია, რომ უსტავს დაგვიმტკიცებენ. ახ, ერთი დაამტკიცონ... მაშინ უყურე ჩემის კეთილის მყოფელების ყოფას. რა დღესაც დაამტკიცებენ, იმავე დღეს მანდ წომოვალ ზურგ-მაგარი და აღარავის შეეგებოვები.

ალექსანდრე დიდის სიყვარულით მომიკითხე და ჩემმა-გიერ დიდი მადლობა მოახსენე, რომ ბილეთების საქმე გამირიგა.

თქვენი ბედნიერად და მრავალ ჟამიერ სიცოცხლის მსურველი ერთის ძმა და მეორის ცოლის ძმა

ილიკო ჭავჭავაძე.

15 ღვინობისთვე.

[1874]

ჩემი ადრესი: Петербург, на Караванной улице, дом № 18, квартира № 17.

საყვარელო დაო ლიზავ! არა გრცხვენიან, ესე როგორ დამივიწყე, რომ ერთი წიგნი არ მომაწოდე. ეგრე უნდა განა? მე ძალიან ვწუხვარ, რომ შენი ამბავი არა ვიცი რა და არც ალექსანდრესი.

შეიტყობდი რომ ოლიკო ეხლა კარდანახშია. ეს ამბავი ძალიან კარგად მოხდა, იმიტომ რომ ოლიკოს მოსწყინდა ბაქო და ეხლა კარდანახში, როგორც ახალს ადგილში, ცოტად მაინც გაერთობა.

ჩემი ამბავი თუ გინდა შეიტყო, მე კარგადა ვარ, ხოლოდ საშინლად მომწყინდა აქ გდება. ამ დამპალს და მყარალს ქვეყანაში. სამი თვეა მზე თვალით არ მინახავს. საშინლად მინდა მანდ წამოსვლა, მაგრამ საქმის გარემოება ჯერ ხანად ნებას არ მაძლევს. იმედი კი მაქვს, რომ იანვარში ყველაფერი კარგად თუ ავად გათავდეს, მაშინ კერტს დღესაც არ დავდგები, მაშინვე წამოვალ.

მოუთმენლად ველი შენსა და შენის ქმრის მშვიდობიანობის ამბავს ამ ადრესით: *Петербург, на Караванной улице, дом № 18, квартира 7.*

ალექსანდრე პატივისცემით და სიყვარულით მომიკითხე

შენი ძმა ილია ჭავჭავაძე

15 დეკემბერი. [1874].

93. მ ა ს ვ ე

დაო ლიზავ, შენ ვერ წარმოიდგენ რა რიგად შემაწუხა შენმა წერილმა. იმიტომ კი არა, რომ საბუთი არ მიგიძღვის მომაგონო ის, რაც მე ყოველ ცის ამარა დღეს მაფიქრებს და მაწუხებს, არამედ ისა, რომ არაქათი გავიწყვიტე და ვერას გავხდი. მამულებიდან, როგორც მოგეხსენება არაფერი შემოდის. პენსია მაქვს და თთვეში ოცდაათს თუმანს ჩვენს ბანკში მიჭერენ თავნისა და სარგებელში. თუ არა გჯერა ბანკში იკითხე. მე მარტო თთვეში ხუთმეტის თუმანიტლა ვცხოვრობ და რადგანაც ეს არა მყოფნის ვალს ვიღებ. აი ახლაც რუსეთში წასასვლელი მიხა ჩიკვაიძემ¹

მიშოვნა ოცდაათი თუმანი, თორემ წაუსვლელი დავრჩებო-
დი. მაპატიე, თუ კიდევ და-ძმური გული შეგერჩა შენდობი-
სათვის. მაინც და შენ კიდევ რაღაც ოთხას თუმანზე ლაპა-
რაკობ. ჩემი ანგარიში გაქვს შენა, რაცა მმართვეს და რაც
მამიცია. იმ ანგარიშს შემდეგ კიდევ ოცდაათი თუმანი გა-
მოგიგზავნე ნიკოლოზის ხელით და შენ ბარათის მოცემა არ
ინებე. მე ეს ორი დღეა იმ ანგარიშს ვეძებ და სადღაც
ქალაქებში მიმეძალა. შენა გთხოვ ჩემი ანგარიში გადაწე-
რე და გამომიგზავნე, რომ სახეში ვიქონიო, თუ სადმე რას-
მე გაეხდით. ჩვენ ხუთშაბადს მივდივართ. ნიკოლოზი მომი-
კითხე. იყავი კარგად და მშვიდობით და კიდევ გთხოვ,
შემინდე, რომ ამდენი ხანია და შენი ვალი ვერ გადაგიხადე.

მაინც შენი ძმა **ილია ჭავჭავაძე.**

14 თებერვალი.

94. მ ა ს ვ ე

საყვარელო დაო ლიზო.

შენი წერილი მომიტანა ჩიკვაძემ და ძალიან მიამა-
სე მგონია, აქამომდე სადღაც გადაკარგულები ვიყავით მე
და შენ და ეხლა ვიპოვეთ ერთმანეთი დაძმობისათვის. მად-
ლობელი ვარ, რომ მოგაგონდით და წერილი მოგვაწოდე.
ოლგას დიდად იამა შენი მოკითხვა თუმცა თქვენ ერთმა-
ნეთს დაშორდით, მაგრამ ოლგას კიდევ უყვარხარ და შენ-
თვის გული სტკივა.

საწყალ ნიკოლოზის სიკვდილი ძალიან შეგაწუხებდა და
ეგ შეწუხება იქნება მიზეზი შენის ავადმყოფობისა. ნუ გე-
შინიან, ღმერთი მოწყალეა, ეგ მწუხარებაც მალე გაივლის
და თან შენი ავადმყოფობაც გადაჰყვება, ღვთის მადლით.
იყავ კარგად და მშვიდობით

შენი ერთგული ძმა

ილია ჭავჭავაძე.

24 აპრილი.

1907 წ.

95. მ ა ს ვ ე

19 აპრილს.

საყვარელო დაო ლიზა!

მე და ოლიკო აქ დავრჩით, რადგანაც კატო დაწვა და ცოტად შეუძლოთ არის. კატოს ვაჟი ჰყავს. მომილოცნია შენთვისა და ალექსანდრესათვის ქრისტეს აღზდეგი. ღმერთმა მრავალს ამ დროს დაგასწროთ ორივენი სიმრავლით და დღეგრძელობით.

შენი ჰირომე ლიზო, იასესთან¹ კაცი გაჰგზავნე, იქ დურგალია ყვარელიდამ, რომელსაც მე სახლის მასალას ვუარიგდები. დაიბარე და უთხარი ჩემთან აქ საგურამო[ვ]ს ამოვიდეს ხვალვე საქმის გასათავებლად. უსათუოდ ამოვიდეს. ოლიკომ პირს გააკოცა და ალექსანდრეს მოკითხვა მოახსენა.

შენი ძმა ილია ჭავჭავაძე.

96. მ ა ს ვ ე

ლიზო, ორგან, საცა კარანდაშით ჯვრებია დასმული, ხელი მოაწერე ასე: ქვრივი ლენერალ-ლეიტენანტისა ელისაბედ გრიგოლის ასული საგინოვისა.

შენი ილია ჭავჭავაძე.

97. მ ა ს ვ ე

დაო ლიზავ!

კლეონკაში შეკრულია სამართებლები და საპარსი იარაღი, კაბინეთში, პირველ ფანჯარაზე სდევს და ამ ბიჭის ხელით გამომიჭზავნეთ.

შენი ილია ჭავჭავაძე.

ხილს გიგზავნი. ოლგამ თავისი ბეწვი, რომელსაც ისე უფრთხილდებოდა, მცხეთასა და საგურამოს შუა დაჰკარგა და ველარ ვიპოვეთ.

დაო ლიზავ! შენც კარგად იცი, რომ მეც თითონ თქვენის ღვდლის ფული მმართვეს, ვადა მოსულია და ვერ მიმიცია. სად მექნება ფული რომ სხვას ვასესხო!... მეც თითონ მიჭირს და ვერ მიშოვნია.

შენი ილია ჭავჭავაძე.

99. ეპატარინე სტაროსელსკაიასადმი

საყვარელო დაო კატო!¹ პირველად ღმერთსა ვთხოვ თქვენს მშვიდობით განთავისუფლებას, მეორედ თქვენს მალე ტფილისში ჩამობრძანებას, მესამედ გემთხვევით ხელზედ და მეოთხედ ბოდიშს ვიხდი, რომ აქომამდე თქვენის წიგნების პასუხი ვერ მოგწერეთ.

ოლიკოს წიგნიდამ ჰსცნობდით, რომ მე, თქვენდა უკითხავად, გუბერნატორსა არზითა ვჰსთხოვე ცაცოს² შემოწმებაცა, ვჰსთხოვე იმ რიგად, რომ არც თქვენ და არც დიმიტრის³ ჩემზედ გაჯავრება და სამღურავი არ შეგიძლიანთ. თხოვნა მარტო ჩემის სახელით არა, როგორც ოლიკოს ვეჭილისა. რისთვის მოვიქეც ასე. ამის მიზეზები ოლიკოს მივწერე. ეხლა კი მარტო ამას მოგახსენებთ, რომ თქვენ დოვერენნოსტი ჩემთვის არ მოგეცათ, თქვენის შვილების ბედი ჩემთვის არ ჩაგებარებინათ, მე ცაცოზედ ჩემ თავად არ ვითხოვდი შემოწმებას. მაგრამ რაკი თქვენის შვილების ბედი მე მომანდეთ, მე თქვენს შვილებს ვერ ვუღალატებდი, იმათ ცოდვას კისრად ვერ ავიღებდი და პირიდან ლუკმას ვერ წავართმევდი და სულელებს ვერ მიუბოძებდი. Я очень рад, что в данном случае интересы Ваших детей не противоречат ни совести, ни справедливости. Что Падо на самом деле глупа,—в этом разве может сомневаться ктонибудь из Вас. Если она действительно глупа, то в праве ли я был умолчать об этом, когда это молчание повредило бы интересам Ваших детей, судьбу которых Вы мне доверили? Ведь это могло бы позволить их ограбить и нешевелинуть при этом даже пальцем. Я на это не мог решиться.

არ ვიცი დამიჯერებ თუ არა, და თავდებათ ჩემს პატიოსნებას გაძლევთ, რომ თქვენის შვილების ბედი ჩემთვის არ მოგენდოთ მე ჩემ თავად ცაცოზედ ხმას არ ამოვიღებდი, იმიტომ კი არა რომ ეგ უსამართლობა მგონია, არამედ იმიტომ, რომ მე ჩემს საკუთარს საქმეში ისეთი ბეჯითი არა ვარ, როგორც სხვის საქმეში. სულელობაა ეს ჩემგან, თუ ჭკვიანობა, ეგ მე არ ვიცი; მხოლოდ ესე კია. ამას იმისთვის კი არა გწერთ, რომ თქვენმა დოვერენოსტობამ მე რითიმე დამამძიმა. არა, მე დიდად მოხარული ვარ, რომ მე მომეცა შემთხვევა ცოტა რამ მაინც სამსახური გაგიწიოთ, რადგანაც მე თქვენ მიყვარხართ ჩემს დებზედ თუ არა მეტად არა ნაკლებ და ამას გარდა თქვენგან მრავალ გზით დავალებული ვარ. მე გთხოვთ რომ ყოველივე ჩემი სიტყვა მიიღოთ ისე როგორც სიტყვა თქვენის ღვიძლის ძმისა და პატიოსანის კაცისა და არამც თუ ამ საქმეში, ყოველთვის და ყოველგან მიგულოთ მზად თქვენთვის და თქვენის სახლობისათვის თავსადებად. ასე, ჩემო კარგო დაო, იქნება მე ჯერ არ მიცნობდეთ, ღვთის მოწყალებით დრო ბევრია, გამიცნობთ და მაშინ იმედი მაქვს უფრო დამიჯერებთ, რომ რასაც ვამბობ, ვამბობ გულით და არა უგემურის ზრდილობისა გამო.

თუ ცაცოს შემოწმებაზედაც თქვენც თანახმა იქნებით ახალი დოვერენოსტი გამომიგზავნეთ с правом передоверить другому და თქვენი არზა ზალიკოზე² და ცაცოზედ გუბერნატორის სახელზედ მაინდამეე გამოგზავნეთ.

ახლა ჭორები მოგწეროთ: დღეს შევიტყე, რომ პლატონ იოსელიანს და ივანე მუხრანსკის ცოლს თურმე უნდა ზალიკოს დაქორწინება, ვითომ იმ განზრახვით, რომ გურამოვის გვარი არ დაილიოს იმ მამულშიო.

ხვალ სალამოზედ მე მივდივარ საგურამოს: სირაჯი წასულა ღვინოების ამოსაღებად. თქვენი დედინაცვალი დღევანდლამდე ქალაქში იყო და რაკი შეუტყვია, რომ სირაჯი საგურამოს მისულა, დღესვე საჩქაროდ წასულა საგურამოს.

გუშინ კენიანს ძმა დიასამიძე⁴ ჩემთან იყო იმ განზრახვით, რომ შინაურულად გაათავეთ საქმეო. მე ვუთხარი, რომ შინაურულად საქმის გათავება შეუძლებელია მეთქი,

ვიდრე კანონი ცაცოს და ზალიკოს არ შეამოწმებს. ვერ ექაშნიკა ეს ამბავი. მერე მითხრა რომ მოდი შეისყიდეთ შენა და სტაროსელსკიმაო ჩემის დისა და იმის შვილების წილიო. მე ვუთხარი, კნენინას წილს შევისყიდით მეთქი და ცაცოსი და ზალიკოს წილი კი მუქთად დარჩებათ ოლიკოსა და კატოს და რად იყიდიან მეთქი.

დღესაც იყო ჩემთან და ბევრი მელაპარაკა იმ განზრახვით, რომ გამომცადოს რა გვინდა ჩვენ. ბოლოს ესეც მითხრა: მოდით თქვენი წილი მოგვეყიდეთო. მე უთხარი, ბატონი ხარ იყიდეთ, მაგრამ ჯერ თქვით რამოდენა გგონიათ ჩვენი წილი. მიპასუხა მეთოთხმეტი ერთისა და მეორისაც მაგდენიო. მე ვუპასუხე, რომ ნახევარი ერთისი და ნახევარი მეორისა, თუ გაჰყიდიან ამ წილს გაჰყიდიან და არა სხვასა მეთქი. ერთის სიტყვით ტყუილ უბრალოდ ვიყბედეთ და ბოლოს განვშორდით.

ტყის შენახვას იწერებოდით. მე პირველშივე ბიჭებს ავუკრძალე ტყის გასყიდვა, ხოლო რაც კნიაზის დროს მოჭრილი იყო იმას გაიტანენ, სხვა კი იანვარშივე ავუკრძალე და გზებიც გავაფუჭებინე, რომ არაფერ არა გამოიტანოს რა.

ბევრს გაკოცებთ ხელზედ თქვენ, დიმიტრი და თქვენი შვილები დამიკოცნეთ.

თქვენი ერთგული ძმა **ილია ჭავჭავაძე.**

26 თებერვალი.

100. მ ა ს ვ ი

მომილოცნია, საყვირელო დაო კატო, თქვენი მშვიდობით განთავისუფლება. ღმერთმა ყოველთვის ეგრე ძლევამოსილად გამოგიყვანოთ ყოველის უსიამოვნო მდგომარეობიდან. მიხარიან თქვენი ვაჟიანობა პირველ იმიტომ, რომ შვილი მოგემატათ, მეორე იმიტომ, რომ სენას, კოლას და გივს მარტოდ არ დააწვებათ თქვენი ვალები, ეხლა მეოთხეც შემწედ ეყოლება ასე, რომ რაც უნდა იყოს ვალების გაყოფა ოთხად უფრო სასარგებლოა, ვიდრე სამად. თუ ღვთის მოწყალებით თქვენ ეგრე იარეთ, იმედია, საქმე იქამდე მივიდეს, რომ თვითო შვილს თქვენის ვალიდამ ათი

თუმანიც არ შეხვდეს. მიხარიან და ამასთანაც მიკვირს, რომ მიხარის დროს სულ ვაჟიანობას მიჰყავით ხელი.

მაგრამ ხუმრობას თავი დავანებოთ, სჯობს მოისმინოთ შემდეგი: ოლიკოს წიგნიდამ ჰსცნობდით ჩემი და ივანე მუხრანსკის დატაკებასა. ივანე მუხრანსკიმ იმოდენა შეჰსმლო, რომ გუბერნატორი შეაცდინა და полицейское дознание მოახდენინა ყოვლის კანონის წინააღმდეგ იმიტომ, რომ ამგვარ საქმეში, როგორც სჩვევიათ, ყველა მაგისტანა დოზნანიე, აღკრძალულია. თბილისის უეზდის ნაჩაღნიკმა კნასმა იოსებ თუმანოვმა მოახდინა დოზნანია და ამისთანა აზრი თავისი წარუდგინა გუბერნატორს: Они вообще не безумные, а такие, как все князья грузинские. სასაცილოა, თუ მართალია ეს ამბავი. დღეს მითხრეს, რომ ასე წარუდგენია და მე კი ჯერ არ წამიკითხავს. ასეა თუ არა, იმ დოზნანიის ძალით და ივანე მუხრანსკის მეცადინეობით, გუბერნსკის პრავლენიის სოვეტნიკმა ზისსერმანმა გამომიცხადა, რომ ჩვენ ვაპირობთო უარი გითხრათ თქვენს თხოვნაზედაო. რათა მეტეი. იმიტომ რომაო во 1-х дознание не подтвердило правдоподобность вашего заявления и во 2-х потому, что закон обязывает приступить к освидетельствованию только в том случае, когда об этом будет предъявлена просьба от семейства, в котором находятся безумные, а ваша жена не принадлежит к тому семейству в котором безумные находятся. აღიმული ამივიდა სახეზე, როცა ეს მითხრა. შევატყე, რომ ეს ყოველიფერი ივანე მუხრანსკის ეშმაკობაა. მე პასუხად ვუთხარი, რომ полицейское дознание на этот раз показало, что подведомственная вам полиция не способна находить шила в мешке და ბევრი სხვა ამგვარი დავუმატე. ბოლოს მორბილდა და მითხრამ: впрочем мы распорядились отобрать от матери безумных, отзыв об умственном состоянии ее детей, — и если она подтвердит ваше заявление, то мы немедленно приступим к освидетельствованию. მე საშინლად გამეცინა და მიზეზი სიცილისა ისე პირდაპირ და ბრიყვულად ავუხსენი, ამასთანაც დავატანე: доведите свои незаконные действия до конца, я пока не помешаю но предупреждаю вас, что все, что вы не сделаете в отступление законов, я доведу до всеобщего

сведения. Ни пред какими средствами не останавлиюсь, чтобы довести до сведения общества и кого следует возмутительный факт поспирания законов если они кем бы то ни было будут поспираться по настоящему делу. ეს ვუთხარი თუ არა, ძალიან დამიმშვიდდა და მითხრა: я собственно стою за то мнение, что следовало сейчас же после вашего заявления приступить к освидетельствованию и, вероятно, вам в этом и теперь не откажут. ჯერ რა მითხრა და მერე რა. შევატყე, რომ ეს ძალღობს. თავი დავანებე და ისე გაჯავრებული შევედი გუბერნატორთან. გუბერნატორმაც ზისსერმანსავით მითხრა. ამასაც ერთი ორიოდ თქვენი მოწონებული სიტყვა ვუთხარი, წამოვედი შინ და ერთი საშინელი არზა დავწერე პირველის არზის დასამტკიცებლად. მივუტანე ეგ არზა და მივეცი გუბერნატორს. ჩემთანვე წაიკითხა და გაწყრა.. მე აბა რას შეუშინდებოდი. Вы откуда знаете, что мы собирались вам отказать, митхრა იმან წყრომით.

От вас лично и от г. Зиссермана, — მეტქი მეც ვუთხარი. Да наконец самый ход дела направлен не позакону, след., я мог думать, что незаконный ход дела приведет к незаконному концу и в предупреждение этого я вынужденным нашелся подать настоящее прошение.

Так знайте же, на будущей неделе будет освидетельствование, но их не признают безумными, признают слабоумными.

Я это хочу слышать от присутствия, составленного в порядке, указанном 386 ст. X т. 1 ч.

Всякое другое мнение для меня не обязательно тем более, что оно преждевременно. სულელებმა არ იციან, რომ კანონისათვის безумный и слабоумный ორივე ერთი წითელი კოჭები არიან.

ერთი სიტყვით, ამ კვირია, ესე იგი, 17—22-ამ თვემდე ჩვენს ბრძენებს შეამოწმებენ. ივანე მუხრანსკი თურმე თმას იგლეჯს, რომ მე უარი არ მითხრეს. სხვათა ექიმთა შორის სციპურა მინკევიჩიც იქნება. მე ნებას არ მაძლევენ რომ ვიყო. ახ ნეტავი მალე მობრძანდეთ, რამდენს რამეებს გიამბობდით. „Все это было бы смешно, если не было так

ПОДЛО“. ერთი მალე მოდით, თუ ღმერთი გწამთ. თქვენი სახელით ჯერ არაფერი არ დამიწყებია, მე და ოლიკოს სახელით მოდის მთელი საქმე. რა კარგი ჰქმენით, რომ არ დამიჯერეთ და მაინდამ პირდაპირვე არზა არ გამოგზავნეთ ჩემის თხოვნისამებრ. ესლა ძალიან ვინანებდი, რომ დაგე-ჯერათ: აბა საჭირო არ იყო, უმაგისოდაც საქმე ღვთის მადლით გარიგდება და ტყუილად თქვენი თავი და თქვენი ოჯახი საწყევლელად და ივანე მუხრანსკის ცილის საწამებ-ლად გახდებოდა. ქვეყანა და ივანე მუხრანსკი ესლა. თურ-მე ის სულელები მოჰყავს და ასწავლის რა უთხრან და როგორ მოიქცნენ შემოწმების დროს. უფრო გადირევიან უბედურები. ოლიკო არა მგონია მანდლა იყოს, თუ ამ წიგნმა მოასწრო, ერთი ყური გაუწიეთ, რომ თქვენის სახ-ლობის ამბავს და მშვიდობიანობას ვრცლად არა მწერს. დიმიტრის, თქვენ და თქვენს შვილებს მოვებევი.

თქვენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე.

მარტის 17. [1875 ან 1876 წ.]¹

101. მ ა ს ვ მ

თქვენო აღმატებულებავე, ბაქოს ლუ-ბერნატორის მეუღლევ, დიდთა გურამ კუ-რატ-პალატთა ჩამომავლო, ბრწყინვალე თავადის ილია ჭავჭავაძის ცოლის დავ, დი-დის იმპერატრიცის ეკატერინეს სანატრელო თანა-მოსახლევ, ყუბანისა და ფოთის მბრ-ძანებელო და თვითმპყრობელო, უბილეთო შალიკოვის ყოვლად მფარველო და მოწყა-ლევ!

თქვენი უღირსი ძმა ილია ჭავჭავაძე კეთილ-მორწმუნე ღუშეთიდან უმდაბლესს სალამს გიძღვნით და ყოვლად მოწყა-ლევ ღვთის მიერ ითხოვს თქვენის აღმატებულების კეთილ-განწყობილად სუფევას ქმრითა და შვილებითურთ.

ფრიად მოხარულნი ვართ ჩვენ, რომ თქვენ ეგ ურჯუ-ლეთი¹ მოგწონებიათ. საკვირველიც არ არის: ეგ განათლე-

ბული სპარსეთი მომიჯნავედ, ეგ მშვენიერი ზღვა, აგრო-
ნოვიჩის დიდი უღვაშები, ციმბირელი შალიკოვის² გრძალ
გაბტყელებული ცხვირი — ვის არ მოიყვანს ალტაცებაში.
დაგნატრიტ, რომ თქვენ მაგ მშვენიერს სურათებს ყოველ-
დღე ხედავთ. როცა ოცი ათასს თუმანს მოვიგებთ, უსათუოდ
მოვალთ ბაქოს, რათა მაგ სურათების ხილვით ჩვენც დაე-
ქსტებოდ.

თუ აქაურს ახალს ამბებს იკითხავთ, ახალი ამბავიც ეს
არის: მზე ყოველ დღე ამოდის და ჩადის, დღისიხ ვარსკე-
ლავნი არა ჩანან და ღამით კი ხანდისხან, ცა ისეთი ლურ-
ჯის ფერისაა, როგორც თქვენს დროს იყო. ზურაბ შორ-
თულაძეს ის ვარანცოვული ტომარა რო ეცვა, რომელსაც
ის სერტუკს ეძახდა, იდაყვებში გაცვდა და დიდათა ჰსწუხს.

102. მოსე მემარნიშვილისადმი

მოსე¹, თუ მანდ გარეშე სოფლებში იშოვი მოჯამა-
გირებეს, ძალიან კარგს იხამ. იწერები მეეპატრონეთ აქაო-
ბასო. მე შეუძლოდა ვარ და იქნება ხვალ თუ ხვალზევით
გარედ გამოვიდე და ამისთანა დღეებში მანდ ვერ ამოვალ.
ან თუნდ ამოვიდე, რას გავაწყობ. წინადაც მოგწერე და
ეხლაც გწერ, რომ ეგ ამბავი რაც მანდ არის, მთელს საქარ-
თველოშია მოდებული. მანდ კიდევ, მადლობა ღმერთს,
მარტო ტყეს მიესივნენ. სამწუხარო ეს არის, რომ დღეს
თუ ხვალ მაგ საწყლებს დიდიდამ პატარამდე დააწიოკებენ.
შენ, როგორც გეტყობა, ცოტა არ იყოს შეგშინებია. მაგო-
დენად ჰკუდიდამ როგორ შეიშლებიან ეგ უბედურები, რომ
შენ შეგამთხვიონ რამე. შენ მანდ ვერას გერჩიან, მე ამას
იმიტომ კი არ გწერ, რომ ჩემის გულისათვის თავი ვისმე
შეაქალ მეთქი. ღვთის მადლით, მანამდე საქმე არც მისულა
და არც მივა. მანდ საკმაო ხალხი გყავს, ვერას შემოგბედენ,
ჯერ იმიტომ რომ შემოგბედვა ავაზაკობაში ჩამოერთმევალ
და დიდად დაისჯებიან და მეორე იმიტომ, რომ ეგენიც
ადამიანები არიან, ჰკუა და გონება აქვთ, ადამიანს სააჟა-
ცოდ არ გამო (იმე) ტებენ, რადგანაც იციან კაცის გაფუ-
ჭებას ვერავენ შეარჩენს.

შენ მანდ დამშვიდებით იყავი, მაგათის მუქარისა ნუ
რა გეფიქრება-რა და თუ მაინც და მაინც საქმე გაგიჭირონ,
მაშინ შენი ნებაა, რაც გიჯობდეს, ისა ქენი, ოღონდ მანდა-
ურობა კი ჩააბარე ვისმე, რომ არაფერი დამეკარგოს ჩვე-
ნის დაუდევრობით.

სტრატეგიკებისათვის კრუპას გიგზავნი ზაქარას ხელით
ხუთს გირვანქას. თუ კიდევ მოგიწოდეს, მცხეთილამ გამოა-
ტანიე.

103. მ ა ს ვ ი

8 მარტს 1905 წ.

მოსე, ეგ ამბავი, რასაც შენ იწერები დღეს ყველგან
არის: გლეხკაცები ყველგან მაგ ამბავში არიან დღეს. მე-
ცოდებიან საწყლები: დღეს-ხვალ მთავრობა თურმე აპირებს
ჯარები მიუსიოს გაბრიყვებულს გლეხკაცობას და ნაცარ-
ტუტა აადინონ. თავად-აზნაურობა ჰცდილობს ეს ჯარების
მისევა როგორმე ააცდინოს გლეხ-კაცობას და ღმერთმა
ჰქმნას მთავრობას ხელი ააღებინოს ჯარების გაგზავნაზე.
ისინი-კი ვინც ამოჩნდებიან მოთავენი უსათუოდ სასტიკად
დაისჯებიან, როცა იქნება დღესა თუ ხვალე. შენ მხოლოდ
ეცადე, რომ მშვიდობიანად მოელაპაკრო და ცეცხლს წყა-
ლის მაგიერ ნავთი არ დაასხა. დღეს თუ ხვალ დაწყნარდე-
ბიან, იმიტომ, რომ მაგისტანა ამბავს ბოლო მოელება
ნებით იქნება, თუ ძალით.

ილია ჭავჭავაძე.

104. მ ა ს ვ ი

მოსე, თექვსმეტი თუმანი იოსებას ხელით მივიღე. თუ
ვინცობაა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ
ჩადი და ვინც უფროსია ჩემმაგიერ სთხოვე ხალხი არ და-
აწიოკონ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებითქო. თუ მაინცა და
მაიც-თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაეტონი გამომიგზავნე,

მე თვითონ ამოვალ და მე თვითონა ვთხოვ უფროსს მანდ არა იმოქმედონ-რა და ხალხი ტყუილ უბრალოდ არ გააფუჭონ.

ილია ჭავჭავაძე.

105. მ ა ს ვ ი

მოსე, პრისტავს აცნობე, რომ მე ნახევარი ვაპატივე და ნახევარი კი უსათუოდ აზღვევინოს და შენის თანადასწრებით და სოფლელების თანადასწრებით ღარიბსა და ობოლ-ქვრივს დაურიგოს. სთხოვე პრისტავს, რომ ვისაც რას დაურიგებს იმისი სახელი და გვარები შემატყობინოს.

ილია ჭავჭავაძე.

2 თებერვალი
1906 წელსა.

106. მ ა ს ვ ი

მოსე დანიელასაც დავაბარე და ახლაც გწერ: თუ ჩვენი მემცხვარე უნდილაშვილი აურ-ზაურობს, ცხვარი ჩამოართვი და ან საკუთარი მწყემსი დაიჭირე, ან გააბარე, როგორც უნდილაშვილი იყო იმ წესით. მე და კნეინა იმ კვირია მიედივართ რუსეთს ორი თვით, ორ თვეს შემდეგ ისევ დავბრუნდებით თუ მშვიდობაა.

მე კახეთს ველარ წავედი, თავისუფალი დრო ვერ ჩავიგდე. მანდ მინდოდა ამოსვლა და წვიმებსა და ლაფებს შევეშინდი.

გლეხებს ძალიან ნუ აუხირდები, ნურაფერს ნუ გააფუჭებინებ კი და უბრალოზე კი ნუ გამოეკიდები. დრო მოვა და ყველაფერი დაწყნარდება და ყველაფერი გასწორდება. ეს ისეთი დრო დადგა, რომ ბევრი რამ უნდა ვითიმნოთ, ბევრს რასმეს ისე უნდა აუაროთ გვერდი, თითქო არ ვხედავდეთ. რა თქმა უნდა არც ალვირის მიშვება უნდა ყველაფერში და არც უბრალო რასმეზე გამოკიდება.

ეხლა ვენახების წამლობის დრო მოდის და წამალი უნდა დაეიკვეთოთ. იანგარიშე რამდენი შაბიამანი გვაქვს და რამდენი კიდეც დაგვჭირდება. აქ შევუკვეთ და როცა დრო იქნება წააღებინებ.

ფეშქაშად გიგზავნი ჩემს ქურქს

ილია ჭავჭავაძე.

26 აპრილი

1906 წ.

107. მოურავისადმი

სანდრო! ¹ ვილაც ავჭალელი სჭრის თურმე ჩვენს ტყეში წიწამურში. ვის მიუცია ნება? წადი, შეიტყე და მოჭრილი არამც და არამც არ დაანებო. ეგ ოხერი მეველეები რას უყრიან მანდ, რომ ტყეს თურმე ქურდულად ეზიდებიან ღამ-ღამობით. თუ ეგ მეველეები არ ვარგანან, გაყარე და სხვანი დაიჭირე. ერთი კაცი განუწყვეტლივ წიწამურში უნდა იყოს და იქაურობას ჰყარაულობდეს. ამისი თავდარიგი დაიჭირე. ამ მიხას რაღაცა ხეები უნდა, წადი, გასინჯე რა უნდა და რა ზომის ხეები და ისე მოურიგდი.

ილია ჭავჭავაძე.

108. მ ა ს ვ ი

სანდრო! მეველეებს უთხარი, რომ არამც და არამც არ გააფუჭებინონ ყანები. თუ ცხვარს ყანაში მოასწრონ გამო-რეკონ და თითო ცხვარი წაართვან ხოლმე. მერე მაგის ფასს თვითონ რუხიას გადავახდევინებ. ესე უთხარი რუხიას, რომ მოსწრობილს ცხვარს დაგაკვლევინებთქო და მერე ეგრე წართმეულს ცხვარს შენ გაზღვევინებთქო.

მარტიას უთხარი ხვალვე უთუოდ ჩამოვიდეს, მაგის ვექსილის ვადაა ხვალ და თუ არ ჩამოვიდა და ფული არ ჩამოიტანა, რაც უსიამოვნებას მე მაგის გულისათვის მომაყენებენ, მაგისავე კისრიდამ ამოვიღებ.

ამ დღეებში ძველი მოურავი ამოვა მანდ, ყველაფერი ჩაიბარე სიით და სიაზე შენც და ძველმა მოურავმაც ხელი მოაწერეთ.

გიგზავნი 1 ფუტს ნავთსა, რვა წყვლის აბეურსა, სამს ცალს სავარცხელსა კამეჩებისათვის, ნახევარ ფუტს ლურსმანს. ვინძლო ბელელი კარგად გააკეთებინო. რაც ფიცარი მორჩება, მშრალად შეინახე საქალამნეები ან შენ აყიდვინე, ან გაბოსაგან დაიბარე ბარათით-კი უბარათოთ გაბოსთან არა დახარჯო რა.

ილია ჭავჭავაძე.

109. მ ა ს ვ ე

სანდრო, მანდ ერთი კაცი გვყვანდა, მგონია ყრუ გიორგის ეძახდნენ ჯერ ხაბაზადა გვყვანდა, მერე სარქალად; ახალ სოფლელი კაცია, მანდაური საგურამოელი ქალი შეიერთო. მოიკითხე მანდ დაწვრილებით და დააბარებინე მის სიმამრს, რომ ამ დღეებში ჩემთან ქალაქში ჩამოვიდეს. ოქრო შოთნიაშვილია იმისი სიმამრი.

ილია ჭავჭავაძე.

110. მ ა ს ვ ე

სანდრო! ან ამ ხალხს რაზედ აწუხებ, რომ ამ სიშორეზე ჰგზავნი, ან მე რად მაწუხებ. აქედამ მე რა უნდა გაეარიგო. ვის რა უქირავს და რა სჭერია, — მე საიდან უნდა ვიცოდე. რასაკვირველია, არც შენ გეცოდინება ჯერ ხანად, ახლადა ხარ მანდ მისული, მაგრამ ბიჭები არიან, მეველეები. მამულებისა და მიწების საქმე მანდ უნდა გამოჰკითხო და ისე შეიტყო. თუ მართლა ბუღუკაძე ძალად იჭერს ჩვენს მიწებს და იძახის არავის მოვახვეწებინებო, არამც თუ ჩვენს მიწებს ნუ დაანებებ, ჩვენს მამულებშიაც არსად ფეხი არ გააქაჩანებინო. თუ ღმერთი გწამს მამულების და მიწების

თაობაზედ აქ არავინ ჰგზავნო ხოლმე, ცოდონი არიან მით უფრო რომ აქედამ მე ვერას ვუშველი.

ილია ჭავჭავაძე.

21 მარტი.

111. ნოშრევან ჯაფარიძისადმი

ნოშრევან,¹ ღვინოები გავყიდე რვა-რვა თუმნად საპალნე ოცდათორმეტ ჩაფიანი, უღარძლო ჩაფით უნდა ამოიღონ და დაუსხმელად. ამიტომ ამ ბარათის მომტანს ღვინოები დააბეჭდინე. ჩემთვის ცალკე დაყენებულიც დააბეჭდინე თეთრიც და წითელიც, ხოლო უთხარი, რომ ამ ღვინოებიდან ერთს საპალნეს თეთრს და ერთს საპალნეს წითელს ჩემთვის დავიგდებ და დანარჩენი მაგათვე მიეწყება. ციხის სახურავის სასყიდლად საჭიროა ვიცოდე ციხის სიგძე-სიგანე თავისის ბალკონითა. გაზომე და მალე შემატყობინე, რომ ზომის კვალობაზე სახურავი ჟესტი ვიყიდო და გამოვგზავნო. ზომა რომ მომივა აქ სახურავის პლანს შევადგენინებ ნიშნობლივ და გამოგიგზავნი.

ილია ჭავჭავაძე.

12 აპრილს

1904 წ.

112. მ ა ს ვ ი

ნოშრევან, ლაზარეს, როგორც ეტყობა, ოცდაათის თუმნის ფიცარი და სხვა ტყე მოუჭრია და ჩემ მაგიერ უთხარ, ძალიან მიუქარავს. მე მთხოვა სახლისათვის ცოტა ოდენი ხეტყე დამჭირდება და მიბოძეო; მე მეგონა ერთ ოთხს-ხუთს კოკს მოსჭრიდა და ეხლა აუღია და მაგოდენა მასალა ძირს დაუცია. არას გზით არ დაანებო არცერთი წკირი. რაც დაჰხარჯვია მოჭრასა და დახერხვაზე უანგარიშე და შემატყობინე, მე გავუსწორდები. მე ჩემთვის არ ვიმეტებდი ტყესა და მაგან კი ეს ყოფა დააწია ტყეს.

რატომ არას იწერები,—გლებებთან გაათავე, თუ არა ტყის საქმე, ან ბოქკის ფიცარს რომ სკრიდნენ, რა ჰქმნეს, მოსჭრეს თუ არა.

კოშკი¹ რომ აქამდე ასე დაუსრულებელი დარჩა, ძალიან ვწუხვარ სახურავი ისევ ის კრამიტი დაახურო, რაცა აქვს, ხოლო გთხოვ რომ კრამიტი კირით დაახურო. მართალია სახურავი მძიმე მოვა, მაგრამ არა უშავს—რა, სქელი კედლები აქვს ციხეს, გაუძლებს. თავლაც რომ შეაკეთო და კრამიტით დახურო, ძალიან სიკეთეს მიზამ. ვენახებს წამლობა თავთავის დროზე არ დააკლო. სხვა შენ იცი და შენმა კაი კა-ცობამ.

29 მაისი 1904 წ.

ილია ჭავჭავაძე.

113. მ ა ს ვ ი

9 ივლისი
1904 წ.

ნოშრევან, ლაზარეს დაანებე რაც გაუკეთებია ჩემს ტყეში, ხოლო დაუთვალე რამდენი რა მასალაა და ანუხებ თვითო მასალის სიგძე-სიგანე და სისქე და ქალაღლით მაცნობე. ლაზარეს რომ მიუთვალო და სიგძე, სიგანე და სისქე მასალისა დანიშნო, ბარათი ჩამოართვი, ბარათში მოიხსენიე რამდენი რა მიაქვს თავისის სიგძე-სიგანითა და ისიც ჩაწერე, რომ თუ ვინცობაა კნიაზმა არ გაჩუქოსთქო, შენ, ლაზარე, მოვალე ხარ ამ მასალის ფასი გადაიხადო, რაც მასალა კუთვნილებისამებრ დაფასდება-თქო.

ოსკანოვს ამას წინად შენთან წერილი გამოვაცანე და არ ვიცი რატომ აქომამდე არ მიგიღია. ოსკანოვი შემპირდა მე ჩემი ღვინოები მინდა წამოვიღო და მისწერე ნოშრევანს თქვენთვის გამოსაგზავნი ღვინო მომცეს და მე წამოვიღებო ჩემის ბოჭკებითაო. მეც მოგწერე ღვინო ოსკანოვს გამოატანე მეთქი და არ ვიცი რად მოვ[უ]ტყუებულვარ. აბა კარგად შეიტყე ოსკანოვს მოაქვს თუ არა ჩემი ღვინოები

და თუ გამოცრუვდა, შენ როგორმე შეეცადე და გამომიგზავნე 18-ის მკათათვემდე.

ბოჭკები ან იქირავე, ან იყიდე, ან თხოვრით გამოართვი ვისმე და, რასაკვირველია, ღვინის წამოსაღებად—ან ფურგონს იქირავე, ან ურემს, ქირას აქ მივცემ. ოსკანოვს გამოატან ღვინოს, თუ ქირით გამოჰგზავნი ორსავე შემთხვევაში ბოჭკები კარგად დაარეცხინე, კარგად დაბეჭდე და ისე გამოგზავნე. მე ბანკში მიკითხონ, ან ანდრეევს ქუჩაზე, სახლის № 22.

წამალს იწერები ვენახებისათვის და არ მატყობინებ—კი რამდენი გინდა. შემატყობინე რამდენი დაგჭირდება. კალატოზი ხუთმეტ თუმანსა მთხოვსო, რაში გთხოვს: სამ ფანჯარის და ერთის კარის გადიდებაში, თუ კიდეც სხვა რამეშიაც. შენ მარტო ფანჯრების და კარის გადიდებას გაურიგდი და დანარჩენი, ესე იგი, გალესვა გარედამ შერე იყოს. ფული ეხლა არა მაქვს და ვერაფერს გამოგიგზავნი, ჩვენი კლობკების ფული რატომ არ ავიღია, თუ მოსჭრეს, რატომ არ მოუციათ ფული. სახურავის საქმისას ამას მოგწერ: ისევ კრამატი ვარჩიე დარჩეს, ოღონდ ეცადე კარგად და მაგრად იყოს დახურული.

ილია ჭავჭავაძე.

114. მ ა ს ვ ი

ნოშრევან, ვგზავნი წისქვილის ქვებს, რომელიც სხვათა შორის შენი მოწონებულიც არის. ქვები ყველამ მიქო, ვისაც-კი გავასინჯე და არ ვიცი როგორი გამოდგება.

დებეშით მწერდი, რომ ღვინოებს ყიდულობენ საპანეს ექვს თუმან ნახევრადო. მეც ნება დაგრთე, მაგ ფასად გაჰყიდე-მეთქი. შერე წიგნი მოგწერე და დაგავალე ორი საპანე ერთი თეთრი და ერთი წითელი თავი ღვინოები ჩემთვის შეინახე-მეთქი. იმედი მაქვს შენახული გექნება და ამ ურმებს გამოატანე. ამ ურმებსვე გამოაყოლე ზაქი, სანდროს რომ მოუცილა.

ღვინის ფული სულ აქ უნდა ჩამაბარონ, ან პერეველით გამოგზავნონ და მინამ ჩემი ბარათი არ მოგივიდეს ღვინო არ ამოაღებინო.

დაწვრილებით მომწერე ღვინო რა პირობით გაჰყიდე, ფული როდის უნდა მოგიტანონ, ან ამოწყვა როგორი უნდა იყოს. ამოწყვაში სანდრო მაყაშვილი დაისწარი, რომ მერე ქორი -მორი არ იყოს-რა: ყველა ეგ მეჯავრება.

ქვები რა წამსაც მიიღო, დააწყობინე, ერთი კოდი პური დააყრევინებინე და დანიშნე რამდენს ხანს დაჰფქავს და მომწერე.

ამ სტეფანეს ტიკპორა აქვს და აუვსე და ისე გა-
მოატანე.

ილია ჭავჭავაძე.

1905 წ.

იენისი 10-სა დღესა.

115. მ ა ს ვ ე

ნოშრევან, სართი დასწრებისააო რომ იტყვიან, სწო-
რედ შენ მოგივიდა. ძალიან გულზე მოსულხარ, რომ იურას
წიგნი მოგწერე და ჩემი შიში და ფიქრი შევატყობინე, მაშ
რა უნდა მექმნა?.. ერთი დეპეშა მოგწერე, პასუხისათვისაც-
კი ფული გავაღე და პასუხი არ მომწერე. გამოგიგზავნე
მეორე დეპეშა, არ[ც] ამ მეორე დეპეშაზე მაღირსე პასუხი.
მესამედ წიგნი მოგწერე და აქაც თითქოს ყურებში თითი
დაიეც და ხმა არ გამეცი. რა გგონია, მაშ რა უნდა მეფიქ-
რნა და როგორ უნდა მოვქცეულიყავ. ამ შემთხვევაში შენ
ისე მომექცე თითქო მე არსად ვიყო, თითქო შენს ანგარი-
შში ჩასაგდები არა ვარ და თითქო ჩემდამი შენ არავითარი
მოვალეობა არ გედვას კისრად. თუ წყენაა სადმე, მე უნდა
მეწყინოს შენგან ამისთანა შენი საქციელი და სწორედ
გითხრათ მწყინს კიდევ.

შევცდი და დეპეშის პასუხი საშა ჭავჭავაძეს მოგწერეო.
ვთქვით პირველ დეპეშის პასუხი შეცდომით სხვას გაუგზავ-
ნე მეორე დეპეშისას რაღას იტყვი, წერილის პასუხი რა-
ტომ აღარ მოიწერე?

ყოველ ამის გამო, სწორედ გითხრა, დიდი შიში და
ფიქრი მომეცა და ეს შიში და ფიქრი იურას მოგწერე,
რაკი სხვა გზით ვერა შევიტყერა და რაკი შენ საპიროდ არ

დიანახე ჩემთვის პასუხი გელირსებინა ორს დეპეშაზე და ერთს წერილზე.

რაც იყო იყო, ღმერთს მადლობა შევწიროთ, რომ შენც პირნათლად გამოხვედი და მეც ყოველი შიში და ფიქრი გამიქარწყულდა.

მწერ, რა ფასად გავყიდო ღვინოებიო. საპალნე რვა თუმან ნაკლებ არ გაჰყიდო და რასაც მეტად გაჰყიდი, შენ იცი.

ილია ჭავჭავაძე.

1 აგვისტო 1907 წ.

საგურამო.

116. ბიზო აფხაზისადმი

დიდის ყვარლის მებატონის დიდო მოურავო ბრწინვალეო თავადო გიგო¹ პირველად უფალსა ჩვენსა ვჰსთხოვ თქვენის ბრწყინვალეების ბედნიერებით სუფევას და მეორედ გახარებთ მას, რომ კუტრობასა ზედა თქვენმა ჩივილმა გასჭრა, ამა გაჭრამ გახსნა ჩემი ჯიბე თქვენდა საკეთილოდ და ამის გამო გიგზავნით სამს თუმანს. ამას წინად სიუხვემან ჩემმან მოგართვათ თქვენ ერთი თუმანი გოგია ღონიაშვილის ხელით. დარწმუნებული ვარ რომ რისხვა თქვენი აქამომდე როზგს დაჰკარგავდა იმ უბედურს თუმანსა და იმ თუმანიდამ ნაფლეთებიც აღარ იქმნება.

მილოცავ ჩვენის დიდის ღორის მშვიდობით განთავისუფლებას და შვილიერებას. მიხარის ეს ამბავი ფრიად და ფრიადაც მშურს რომ — ჩვენის ღორის ძეობაში მარტო თქვენ დაესწრობით.

წოურის ვენახისას აი რას ბძანებს ჩვენი მაღალგონიერება: თუ გიორგიმ დაგიშალა გაკეთება, ამაზედ აქტი შეადგენინე მამასახლისს, აგრეთვე მოიქეც თუ გზა შეგიკრა. ის აქტი ჩვენს ხარატის შვილს გამოატანე ჩემთან და მე აქედამ საჩივარს გამოვგზავნი. გიორგი თავის კაი კაცობით იმოდენა სიკეთეს მიზამს, რომ ყოველს ზიანს ყოველ წლივ გადამიხდის და ამრიგად მაგ წოურის ვენახიდან დაუსეტყვავი მოსავალი მექნება. თუ შეგზვდეს გიორგისთან ლაპა-

რაკი ჩემმაგიერ უთხარი, რომ რაკი ძალით წართმევა წოუ-
რისა გულში განუზრახავს, ჩემს სრულს ღონისძიებას ზედ
გადავაგებ და მაგას კი არ დავებრიყვებინები. უთხარი რომ
დღეის ამას იქით ნურას ფერში ნუ დამინდობს და თუ
მტრობა უნდა პირდაპირ მიმტროს. იქნება ჩვენც შევიძლოთ
პასუხის გაცემა. ჩატყდა მე და მაგას შუა ხიდი, თუმცა მე
სრული მეცადინეობა ვიხმარე რომ არ ჩატეხილიყო, მაგრამ
რაკი მაგან ეგ მოინდომა, ბაშუსტა, ეს ბურთი და ეს
მოედანი.

ბიჭიას უთხარი. რომ რაკი ყვარლის ურმები ჩამოვა,
მაშინვე ვიყიდი წყვილს ქვას და გამოვგზავნი. მხოლოდ
გთხოვ ჰკითხო მანდ კარგს ვისმე მეწისქვილეს რამოდენა
სიგანის ქვები მოუწოდება და მოუხერხდება ჩვენს წისქვილს
რომ იმოღვანა ვიყიდო.

სხვებზე ბრძანდებოდე მშვიდობით, დიდო მოურავო
პატარის მამულისავ, და მიგულე მე მზად თქვენის სამსა-
ხურისათვის

ილია ჭავჭავაძე.

დუგანა და შარაბანი² ჯერ მანდ იყოს, გაზაფხულზედ
ჩამომიგზავნე.

ღვინოები, თუ მუშტარი იყოს, გაყიდე-ოცდა თორმეტ
თუმნად ურემი იმ პირობით კი რომ ღარძლიან ჩაფით არ
ამოიღონ და ზედ დასასხმელი არ ითხოვონ.

ცუცნა თავის ცოლით მომიკითხე.

27 თებერვალი.

117. ბიორბი უშრულისადმი

დიდათ პატივცემულო ბატონო გიორგი!¹

ყოვლად უწინარეს ბოდიშს გიხდით, რომ პასუხი და-
გიგვიანეთ. სწორედ და გადაწყვეტილი ვერა შევიტყე რა
იმ საქმის შესახებ, რომელსაც მე მეკითხებოდით. იგი თა-
ნამდებობა, რომელსაც თქვენ იხსენიებთ ძალიან კარგი
თანამდებობაა, როგორც ჩვენის ქვეყნისათვის ისეც საქუთ-
რივ თქვენთვის: კარგი ჯამაგირია და მშვიდობიანი სამსა-
ხური. პირფერობაში ნუ ჩამომართმევთ და თქვენისთანა

კაცი ამისთანა სამსახურში ბევრს კარგს შესძენს ჩვენს ქვეყანასა (ხოლო საქმე იმაშია, რომ ყველა ადგილები უკვე დაჭერილია, როგორც მიხაილოვმა² მითხრა). ხმა დადის რომ ერთის წევრის ადგილი დაიცვება ამ ორ თვეზე და დაცლილი ადგილისათვის კანდიდატად ასახელებენ მიტო ჩოლოყაშვილს.³ ამ ორის დღის წინათ მიტოსა ვკითხე და მითხრა, რომ ჩემს კანდიდატურაზე ჩამიჩუმიც არ არის. ეს კი ნამდვილად ვიცი, ხსენებულის თანამდებობის მიღება ძალიან უნდა და ამის თაობაზედ მეც კი მიმაგზავნა ერთ კატთან (გთხოვთ ეს ამბავი ჩვენში დარჩეს). იწერებით სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების ხანა კარზე მოგვადგა და ჩვენ კი არაფერი ვიცით, როგორ მოვიქცეთო. განა ჩვენ კი ვიცით! საქმიანობაში ჯერ აქამომდე ჩვენ, ქართველები, რანი ვიყავით, და ახლა ამ არეულ-დარეულობაში რა უნარი გამოგვეჩინა? ჩვენ აქ ყბედობის მეტი არა ვართ რა. ცარიელი სიტყვების წეწვა-გლეჯა გვაქვს და საქმე ღვთის ანაბარად არის მიგდებული. რაც პეტერბურგიდამ მოვედი სულ ჩვენ ჯერ კიდევ შარშანვე შედგენილ პროგრამაზე გვაქვს თავის ხეთქა. არ იქნა, ამ უკვე გათავებულ საქმეს ბოლო არ მოელო. მაინც და მაინც როგორც იქნა დღეს იბეჭდება იგი პროგრამა და, თუ კიდევ ხელი არავეინ შეგვიშალა, დაიბეჭდოს თუ არა, რამოდენსამე ცალს მოგართმევთ გავრცელებისათვის და წევრების მოწვევისათვის.

თქვენი მარად პატივისცემული ილია ჭავჭავაძე.

6 მარტი

1906 წ.

გუშინწინ შეიყარნენ ჩვენი თავად-აზნაურთა კომისია, რომელსაც მიანდვეს გამოარკვიოს,—ვინ გაგზავნოს На съезд дворян для выбора из их среды членов государственного совета . . . და ვინ არის სასურველი, რომ წევრად იმ „совет“-სა ჩვენგანი ამორჩეულ იქმნას. კომისიის დადგენილებას ხვალ 7 მარტს გააჩევეს კერძო კრება. კომისიამ დაადგინა: ამომრჩეველად გაიგზავნოს ილია ჭავჭავაძე და დოქტორი გედევანოვი.⁴ მე უარი გამოუცხადე გადაჭრილად, მაინც არ მეშვებოდა.⁵

შენი შვილი

1.

1. ეს ბარათის ნახევრი წარმოადგენს ილიას ერთ-ერთ ადრეულ წერილს. წერილის თავი და ბოლო დაკარგულია, ამიტომ გაურკვეველია ადრესატის ვინაობა. როგორც შინა-არსიდან ირკვევა წერილი დაწერილა პეტერბურგში გამგზავრების წინა ხანებში (1857 წ.) და ნათლად გამოხატავს უმაღლესი განათლების მისაღებად მომზადებული ყმაწვილი კაცის სურსისკვეთებას.

2. დედანშია „წვირფასი“.

2.

1. ნენე დიმიტრის ასული ანდრონიკაშვილი.

2. ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი.

3. ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილი — გენერალი. მსახურობდა პეტერბურგში—ხელმწიფის ამაღლაში. როდესაც ილ. ჭავჭავაძემ ჯვარი დაიწერა ოლგა თადეოზის ასულ გურამიშვილის ქალზე (1863 წ.) ილია ჩოლოყაშვილი მეჯვარედ გაჰყვა მას.

4. იგულისხმება ნიკო ჭავჭავაძე, ილიას ნათესავი.

5. სიძე დიმიტრი—დიმიტრი ანდრონიკაშვილი (?).

3.

1. ანიკო (ანა) ვაჩნაძე — ილიას ნათესავი.

2. ლიზა—ილიას და, ელისაბედი, ჯერ ჯამბაკურ—ორბელიანის, შემდეგ ალექსანდრე საგინაშვილის მეუღლე.

3. ეს წერილი წარმოადგენს ნენე დიმიტრის ასულ ანდრონიკაშვილისადმი მიწერილი წერილის გაგრძელებას. საფოსტო ქაღალდის ორი გვერდი ნენეს წერილს უჭირავს, ხოლო მესამე გვერდიდან იწყება წერილი ანიკო ვაჩნაძისადმი. წერილი საგრძნობლად დაზიანებულია.

1. ეს წერილი პირველად 1863 წლის „ცისკარში“ გამოაქვეყნეს. (იხ. „ცისკარი“ № 7. გვ. 370—371, **ქერელი ბექა**ს (ანტონ ფურცელაძის) წერილი „ქართული ლიტერატურა“). ჟურნალში წერილის მხოლოდ ნაწილია დაბეჭდილი, დანარჩენი ნაწილი დაკარგულია.

ეს წერილი „ცისკრის“ რედაქციამ შემდეგ პირობებში გამოაქვეყნა: როგორც ცნობილია, 1861 წელს ძველ და ახალ თაობას შორის ცხარე კამათი გაჩაღდა. პირველ წლებში (1861—1862) კამათი თვით „ცისკრის“ ფურცლებზე წარმოებდა. შემდეგში, როდესაც 1863 წელს ილია ჭავჭავაძის ჯგუფმა თავისი საკუთარი ორგანო („საქართველოს მოამბე“) დაარსა, ხოლო „ცისკრის“ უახლოესი თანამშრომლობა იკისრა **ანტონ ფურცელაძემ**, კამათმა უფრო მწვავე და მკაცრი ხასიათი მიიღო. ანტონ ფურცელაძემ სხვა და სხვა ფსევდონიმით (ქერელი ბექა, თავზედი, ულოლიკო) მთელი რიგი წერილისა მოათავსა „საქ. მოამბის“ ჯგუფის წინააღმდეგ. ერთ წერილში იგი წერდა:

„ვსთქვათ მოლაყბე შესცდა.. მაგრამ მოამბე“ ველარ არის წყალობის თვალთ მოლაყბეზედა, რადგანაც თანამშრომელია ცისკრისა, რომელსაც სდევნის ყოვლის მეტადინეობით. ერთ დროს თითონ ილია ჭავჭავაძე სხვაფრივ გაიძახოდა ამ ლიტერატორზე...“ (იხ. ცისკარი“ 1863 წ. № 7. გვ. 370.71. **ქერელი ბექა**: „ქართული ლიტერატურა“).

ამ ადგილს „ცისკრის“ რედაქცია შემდეგ შენიშვნას უკეთებს:

„ცისკრის რედაქცია საჭიროთ რაცხს დაიბეჭდოს ამ სხოლიოში თ. ილია ჭავჭავაძისაგან მოწერილი წიგნი მოლაყბის შესახებ, დასამტკიცებლად იმისა, — რომ უფ. მოამბის რედაქტორი (ე. ი. ილია ჭავჭავაძე — ს. ხ.) არა სდგას არასოდეს ერთ აზრზედ — აი რასა სწერს...“ (იქვე, გვ. 370).

ამის შემდეგ მოყვანილია ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი ილ. ჭავჭავაძის წერილიდან. „საქართველოს მოამბეში“ და-

ბეჭდილი პასუხიდან გამოიკვეთა შემდეგი: 1) აღნიშნული წერილი მიწერილი ყოფილა გ. სულხანოვისადმი, 2) იგი გამოგზავნილი ყოფილა პეტერბურგიდან 1858 წელს და 3) შეეხებოდა მრჩეულ ბიროველის ძე თუმანიშვილს, მოუესმინოთ გ. სულხანოვს:

„უფ. ცისკარის რედაქტორო! ეგ წიგნი ჩემთან იყო მოწერილი და თქვენ რა უფლება გაქვთ, რომ სხვისგან და სხვასთან მიწერილს წიგნსა დაუკითხავათა ბეჭდამთ?.. მაგ წიგნით უნდა გეჩვენებინათ, რომ ქავ-ქავადე ერთ აზრზედ არა დვასო, რადგანაც მაშინ მოლაყბეს აქებდაო და ეხლა კი აძაგებსო: მაგ წიგნის თარიღი რომ გამოგეცხადებინათ, მაშინ თქვენი ცილისშეწამება თავისთავად დაირღვეოდა, ამას მიმხვდარხართ, რომ თარიღი წიგნთან არ დაგიბეჭდიათ. თქვენ ძალიან კარგათ იცით, რომ მოლაყბის სახელითა ბევრი სხვადასხვა კაცი ჰსწერდა თქვენს ცისკარში. ისიც კარგად იცით, რომ პირველი ორი სტატია (უნდა იყოს სამი. ს. ხ.), ერთი მგონია 1857 დეკემბრის და მეორე 1858 იანვრის ცისკარში მოლაყბის სახელით რომ დაიბეჭდა, ასეთი კარგნი იყვნენ, რომ მრავალნი მიმბაძავი გააჩინეს და იმ მიმბაძავებმა მოლაყბის სახელით დაიწყეს წერა. იმაში მგონია თითონ თქვენც (ე. ი. ივანე კერესელიძე. ს. ხ.) ერიენით. მაგრამ ეს მიბაძვანი იმ პირველ მოლაყბესთან გროზად არ ღირდნენ, რომელმაც იმ ორ სტატიის შემდეგ ერთი სტრიქონიც აღარ აღირსა თქვენს ცისკარსა. უფ. ქავჭავაძე იმ პირველს, იმ ორ სტატიის დამწერს აქებს მაგ წიგნით, რომელსაც თქვენ და თქვენი რაზმი ისე უხეიროდ ჰბაძავდა და ვერ მიჰბაძა კი. ამას თითონ წიგნის თარიღი დაგიმტკიცებთ. ეგ წიგნი პეტერბურგიდამ მგონი თებერვალში, თუ-

მარტში არის მოწერილი 1858 წელსა. მაგ
დრომდინ იმ ორ სტატიის დამწერის გარ-
და სხვა არავენ იყო მოლაყბე“ (გაბრიელ
სულხანოვი: „შენიშვნა“—საქ. მოამბე“ № 7.
გვ. 105—6 1863 წ.).

სულხანოვის ცნობა იმ მხრივთაც არის საინტერესო,
რომ გვაწვდის ცნობებს „ცისკარის“ მწერლებისა და ფსევდო-
ნიმების შესახებ.

2. გ. სულხანოვს თავის წერილში შეცდომით აქვს აღ-
ნიშნული ორი წერილი. 1858 წლის თებერვლამდე დაბეჭ-
დილი იყო სამი წერილი. მათი საერთო სათაურია „სალაყ-
ბო ფურცელი“ (იხ. „ცისკარი“ № 11, 12, 1857 წ. და № 1,
1858 წ. ან რჩეული ლექსები მიხ. თუმანიშვილისა გვ.
29—55, 1881 წ.)

3. ეს მოლაყბე ფსევდონიმი იყო არა გაბრიელ სულ-
ხანოვისა, როგორც ეს ილიას ეგონა, არამედ მიხ. ბირთვ.
თუმანიშვილისა (1818—1875 წ.). იგი იყო პუბლიცისტი და
პოეტი; წერილებს წერდა რუსულად და ქართულად. 1836
წლიდან სახელმწიფო სამსახურში იყო. 1864 წ. ის დანიშ-
ნეს გლეხთა გათავისუფლების კანცელარიის უფროსად და
1874 წ. მეფის მოადგილის საბჭოს წევრადაც იყო დანი-
შნული.

5

1. ნინო იყო ილ. ჭავჭავაძის უფროსი და, რომელიც
ცოლად ჰყავდა ნიკოლოზ აფხაზს. ნინოს ილიასთან მეტად
ნაზი მეგობრობა ჰქონდა. იგი დიდი ყურადღებით ექცეო-
და ილიას სამწერლო მოღვაწეობის პირველ ნაბიჯებს.

2. აქ წერილის ბოლო წაჭრილია.

3. კოხტა—იგულისხმება კოხტა აბხაზი, ილიას მეგო-
ბარი. კ. აბხაზმა დაგვიტოვა საინტერესო მოგონებანი ილ. ჭავ-
ჭავაძის შესახებ.

4. ერთმა ქალმა—უნდა ვიგულისხმოთ, რომ ილიას აქ
მხედველობაში ჰყავს ცნობილი რუსი კომპოზიტორის

ჩაიკოვსკის და, გენერალ ჩაიკოვსკის ქალიშვილი, რომელსაც ილიამ უძღვნა გრძნობით აღსავსე ლექსები „ს.... ჩ... სას“, „ჩ... სას“ და „ჩემო მკვლელო“. თავის მოგონებაში კობტა აბზახი ხაზს უსვამს ილიას რომანს ამ ქალთან და წერს:

„პეტერბურგში ილია მეტად აღტაცებული იყო გენერალ ჩაიკოვსკის (რუსი კომპოზიტორის და) ქალით. ამ ოჯახში ხშირად დავიარებოდით და კარგადაც გვიღებდნენ და გვექცეოდნენ“-ო.

6. „ცისკარი“ — ყოველთვიური ჟურნალი. გამოვიდა 1852 წ. გ. ერისთავის რედაქტორობით. მისი გამოცემა შეწყდა 1853 წლის დასასრულს. 1857 წ. „ცისკარი“ კვლავ განახლდა. რედაქტორობდა ივ. კერესელიძე. „ცისკარმა“ იარსება 1875 წლამდე. ჟურნალი არსებითად წარმოადგენდა „მამების“ ორგანოს და თავისი მიმართულებით უმთავრესად კონსერვატული შინაარსის შემცველი იყო. „ცისკარში“ თანამშრომლობდნენ: ლ. არდაზიანი, გრ. ორბელიანი, თუმა-ნიშვილი, ივ. კერესელიძე, დ. ბერიევი, დიმ. ყიფიანი, ალ. ორბელიანი, ბ. ჯორჯაძე, რევ. ერისთავი და სხვ...

7. ილიას ლექსი პირველად „ცისკარში“ დაიბეჭდა 1859 წელს (იხ. № 1, გვ. 7.) ეს იყო ლექსი „ჩიტი“. (შემდეგ ილია დროგამოშვებით ათავსებდა „ცისკარში“ ლექსებს, როგორც ორიგინალურს, ისე თარგმანებსაც). საყურადღებოა, რომ ამ ლექსით ილია „ცისკრის“ რედაქტორის მიერ ერთ-ერთ მოწინავე მწერლად იქნა აღიარებული. 1859 წლის შექვესე ნომერში „ცისკრის“ რედაქტორი ასეთ შენიშვნას ათავსებს:

„როგორც უწყიან პატივცემულთა ჩვენი ქართულ სალიტერატურო ჟურნალის „ცისკრის“ მკითხველთა, ჟურნალის გამოცემა დავიწყეთ პირველის იანვრითგან ამა 1857 წელსა, მაშასადამე, ექვსი თვეა, რაც გამოდის ეს ჟურნალი, როგორც ხედავენ უფალნი, მკითხველნი, თავის დროს.

ამ დროების განმავლობაში რედაქციას მიუღია სხვა და სხვა პირთაგან ოცდათხუთმეტი ლექსებამდე, ხოლო მოთხოვნა ცხრამდენ, თხზულებათაგან ზოგნი ერთნი ღირსეულ იქმნენ და დაიბეჭდნენ ჩვენს ჟურნალში.

ლექსებთაგან ვბეჭდეთ იმგვარნი, რომელნიცა ღირს არიან სახსოვრისა თავიანთის მშვენიერის აზრისა გამო“.

ამ „მშვენიერის აზრის“ ლექსთა შორის რედაქტორი იხსენიებს ილიას „ჩიტსაც“ და განაგრძობს:

„რედაქცია მოვალედ რაცხს განუცხადოს უგულისათდესი მადლობა თანამედროვეთა ჩვენთა მწერალთა: ს. ალექსიევი მესხიევს, დ. ბაქრაძეს, ს. დოდაევს, თ. რ. ერისთავს, დ. მგალობელოვს, თ. დ. მაჩაბელს, თ. ბ. ჩ., გ. კოლხიდეშელს, თ. ვ. ორბელიანს, თ. ალ. ორბელიანს, გ. რჩეულოვს, ალ. სავანელს, თ. ალ. ჩიქოვანს და თ. ილ. ჭავჭავაძეს.

გარნა გთხოვთ არ დაგვაგდებდნენ და კვლად გამოგზავნიდნენ თავიანთა მშვენიერთა თხზულებათა...“

6.

1. იგულისხმება ნიკოლოზ აბხაზი, ილიას სიძე.

2. წერილი უთარიღოა, მაგრამ იგი უნდა ეკუთვნოდეს 1873 წელს, რადგან. ილ, ჭავჭავაძე საბანკო საქმის შესასწავლად და ბანკის წესდების დასამტკიცებლად საქართველოს თავად-აზნაურობამ 1873 წლის გაზაფხულზე გაგზავნა რუსეთში. ამის შესახებ ილიას ბიოგრაფი გ. ყიფშიძე წერდა:

„თავად-აზნაურობის მორიგ კრებაზედ 1873 წელს საბოლოოდ გადაწყდა ბანკის ტიპი და საბანკო ოპერაციების წვლილთა შესასწავლად გაგზავნილ იქნა რუსეთში ილია, რომელმაც სამსახურს დაანება თავი. იმავე წლის ზაფხულს ილია უკვე მოსკოვშია და იქ სცდილობს რომელსამე საადგილ — მამულო ბანკში შესდგას ფეხი და გაიცნოს მისი მექანიზმი. მაგრამ ეს საქმე ადვილი არ აღმოჩნდა, არცერთმა ბანკმა

ამის ნება—რთვა არ მისცა. დიდხანს, დიდ-
ხანს ეცადა ილია ამ საქმეს, ბევრ დიდკაც-
საც მიჰმართა შემწეობისა და რეკომენდა-
ციისათვის, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ხან-
გრძლივსა და დაუდგრომელის მეცადინეო-
ბის შემდეგ მიიღო ეგ ნებართვა“ (იხ. ილ-
კავჭავაძის თხზულებანი ტ. I მიხ. გედევა-
ნიშვილის გამოცემა 1914 წ. გვ. VII—VIII).

ის ტანჯვა, რომელიც ილიამ გაიარა რუსეთის რომე-
ლიმე ბანკში შესვლის ნებართვის მიღებისათვის, სამაგალი-
თოდ ჩანს ილიას წერილებიდან ვასილ მაჩაბლისადმი. (იხ.
წერილები ვ. მაჩაბელთან).

7.

1. **მაკრინე პაატას ახ. კავჭავაძე**, ილიას მამიდა, იყო
მეუღლე ივანე არაგვის-ერისთავისა. მაკრინე ადრე დაქვრი-
ვდა. ილიას მამამ, ცოლის სიკვდილის შემდეგ, (1848 წ.)
მაკრინე თავის ოჯახში გადაიყვანა და ბავშვების აღზრდა
სთხოვა. მაკრინემ თვალსაჩინო როლი ითამაშა გრიგოლ კავ-
ჭავაძის შვილების და კერძოდ ილიას აღზრდის საქმეში.
მაკრინემ, მოგვითხრობს ილ. კავჭავაძის და ელისაბედი,
„მიიღო დედობრივი მზრუნველობა ობლებზე. ფრიად კე-
თილი, ღვთის მოყვარე, ქართულ მწიგნობრობაში, სა-
ღმრთო წერილში განვითარებულს, ყოვლად პატივცემულ
ადამიანთან აღვიზარდენითო“.

2. **თემურა**—თეიმურაზ კავჭავაძე, ილიას ძმა, სწავლო-
ბდა პეტერბურგში, კადეტთა კორპუსში. გარდაიცვალა 1860
წელს. ამის სიკვდილმა საშინლად იმოქმედა ილიაზე. ამ
წელს არის დაწერილი თეიმურაზისადმი მიძღვნილი ლექსი
„ძმის სიკვდილზე“.

3. **წერილი დაზიანებულია**. ქალაღდის მარცხენა ქვედა
კუთხე მოხეულია და ბოლო ხუთი სტრიქონის დასაწყისი
ღარ იკითხება.

8.

1. **იგულისხმება ილიას და ელისაბედი.**

1. **ილია წინამძღვრიშვილი** (1834—1920). საზოგადო მოღვაწე. პედაგოგი, აგრონომი. 1883 წელს სოფ. წინამძღვრიანთ კარში (საგურამოს მახლობლად) დააარსა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, სადაც გლეხის ბავშვები უსასყიდლოდ მეცადინეობდნენ. ი. წინამძღვრიშვილი მსახურობდა მომრიგებელ მოსამართლედაც, ბოლოს—ნოტარიუსად თბილისში. ბეჭდავდა წერილებს „ხორეშანა გვერდწითელის“ ფსევდონიმით. დასაფლავებულია წინამძღვრიანთ კარში.

2. **„ამ სტატიას გიგზავნი...“** ლაპარაკია ილ. ქავჭავაძის პირველ კრიტიკულ წერილზე: „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას-ძის ერისთავის მიერ კოზლოვის შემოღების თარგმანზედა“.

ეს წერილი ილიას დაუწერია სტუდენტობის წლებში, 1860 წლის 5 ნოემბერს და ილ. წინამძღვრიშვილისათვის გამოუგზავნია პეტერბურგიდან „ცისკარში“ დასაბეჭდად, მაგრამ მისი დაბეჭდვა იმ ხანად ვერ მოხერხდა. წერილი დაიბეჭდა მხოლოდ 1861 წელს „ცისკარის“ IV ნომერში. ილიას ეს კრიტიკული სტატია ყუმბარასავით გასკდა ჩვენი მიძინებული ცხოვრების წიაღში. ამ წერილით უკვე აშკარად დაიწყო ბრძოლა „მამათა“ და „შვილთა“ შორის. ილიას წინააღმდეგ „ცისკარში“ დაიბეჭდა მთელი რიგი საპასუხო წერილებისა, რასაც შედეგად მოჰყვა ილიას მეორე წერილი „პასუხი“.

3. **ივანე ივანეს-ძე კერესელიძე** (1829—1893) ქართული ლიტერატურისა და ქართული მწიგნობრობის დიდი მოამბე. ჟურნ. „ცისკარის“ გამომცემელი და რედაქტორი 1857-დან 1875 წლამდე. პუბლიცისტი, პოეტი, დრამატურგი, პედაგოგი და ისტორიკოსი. მის მიერ გამოცემულია მრავალი წიგნი, მათ შორის „კალმასობა“ (I წიგნი) და „მოკეთე სიტყვისა“ (ქართული ანბანი).

4. **ზუმბერიძე**—ილია ქავჭავაძის ფსევდონიმი იყო. ამ ფსევდონიმით და აგრეთვე „ახალმოსულის“, „ჯიბრაელის“ და „ივერიელის“ ხელისმოწერით ბეჭდავდა ილია პუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილებს ლიტერატურის შესახებ.

5. **თ. რ. შ. ერისთავი** — ჟურნ. „ცისკრის“ თანამშრომელი, „მამათა“ ბანაკის აქტიური წარმომადგენელი. ლიტერატურაში კონსერვატულ—რეაქციული მსოფლმხედველობის მატარებელი იყო. აღიარებდა სანტიმენტალიზმ—რომანტიზმის, სამი სტილის არსებობის და ანტონ კათალიკოზის გრამატიკისა და თეორეტიკის უპირატესობას.

6. **მიხეილ ფილიპესძე ჩიკვაძე** — ილიას ამხანაგი პეტერბურგის უნივერსიტეტიდან. მსახურობდა დუშეთის სამხარტოლოში აღმასრულებლად.

7. **„აჩრდილი“** — ილ. ჰავჭავაძის პოემა, ჩვენამდე ოთხი ვარიანტით შემონახულა. პირველი ვარიანტი შესრულებულია 1858—59 წ. წ., მეორე—1859—60 წ. წ., მესამე—1872 წ., ხოლო მეოთხე—1872—1881 წ. წ.

1860 წელს ილიას „აჩრდილის“ მეორე ვარიანტის და „პაჯი აბრეკის“ გამოცემა ერთ წიგნად განუზრახავს. ტექსტი დაუმზადებია და გამოუგზავნია ილ. წინამძღვრიშვილისათვის, მაგრამ ცენზურას „აჩრდილის“ დაბეჭდვის ნება არ მიუცია.

8. **„პაჯი აბრეკი“** — მ. ი. ლერმონტოვის პოემა. პოეტმა იგი დაწერა 1832 წ. ილიას უთარგმნია 1859—60 წ. წ.

9. **ივანე პოლტარაცკი**, ტომით პოლონელი. დაიბადა და აღიზარდა თბილისში. იყო ილიას უახლოესი მეგობარი გიმნაზიიდან.

10.

1. **კირილე ლორთქიფანიძე** (1839—1918). ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. ეკუთვნოდა 60-იანი წლების მოწინავე ახალგაზრდობის ჯგუფს. თანამშრომლობდა „ცისკარში“ (1862 წ.), შემდეგ „საქართველოს მოამბეში“. 1873—74 წლებში რედაქტორობდა გაზ. „დროებას“. 1881—83 წლებში თანამშრომლობდა გაზ. „შრომაში“, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა. ფსევდონიმებად ხმარობდა: **თერგდალეული**, **თომა კარგარეთელი**, **უცხო**, **კილოკავიძე** და სხვ. იყო ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დირექტორად.

2. 1864 წელს კ. ლორთქიფანიძემ განიზრახა პეტერბურგში გამოეცა ლექსთა კრებული „ჩონგურის“ სა-

ხელწოდებით. კ. ლორთქიფანიძემ წერილში ილიას სთხოვა მიეღო მონაწილეობა აღნიშნულ კრებულში. ი. ჯავჭავაძემ კ. ლორთქიფანიძეს პეტერბურგში დასაბეჭდად გაუგზავნა მთელი რიგი თავისი ლექსებისა.

11.

1. ეს პოემა ილ. ჯავჭავაძეს დაწერილი აქვს 1860 წელს პეტერბურგში. როგორც ავტოგრაფებიდან ჩანს, შემდეგ იგი პოეტს აღარ შეუკეთებია. „კაკო ყაჩაღი“ ხელნაწერის სახით ძლიერ გავრცელებული იყო 60-იანი წლების ინტელიგენციაში. საინტერესოა ამ პოემის შესახებ ილიას მეგობრისა და ახლო ნათესავის **კობტა აბხაზის** მოგონება. იგი წერს:

„რაც შეეხება მის (ი. ჯავჭავაძის. ი. ბ.) შემოქმედებას, მე მხოლოდ „კაკო ყაჩაღის“ შესახებ მახსოვს კარგად, რომ კაკო პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული. კაკო გახლავთ ერთი კარდანახელი გლეხი ვინმე გაუხარაშვილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიღაც ვაჟნაძეს) და ყაჩაღად გავარდა. იმალებოდა კარდანახის ტყეში და გამვლელ-გამომვლელს სცარცვავდა. ხმა და სახელი დიდი ჰქონდა გავარდნილი. ერთხელ ილია სწორეთ იმ გზით მიდიოდა ჩვენსა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი. უცბად ერთ ალაგას წინ გადასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხავს ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუგია ჯავჭავაძის გვარი, უკითხამს ჯავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო. ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აბხაზთან მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გაჰმასპინძლებია და დაუთვრია კიდევ. ასე რომ როდესაც ილია ჩვენსა მოვიდა ბარბაცებდა და მარტო იმას გაიძახოდა ენის ბორძიკით: „დამაძინეთ, დამაძინეთო!“ მე-

ორე დღეს კი გვიაზო თავის თავგადასავალი, ხოლო დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონებს სწყევლის და აგინებს“-ო.

2. პეტერბურგში ქართული ნაწერების ცენზურას პროფ. **დ. ჩუბინაშვილს** ანდობდნენ და ილია, ალბათ, ამიტომ ფიქრობს, რომ შესაძლოა დაბეჭდვის ნება დართონო.

3. „კაკო ყაჩალი“ დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“ 1863 წლის ოქტომბრის ნომერში, მაგრამ არა მთლიანად, არამედ მხოლოდ პირველი ნაწილი (სიტყვებამდე: „ჯერ არ მენახე, მაგრამ გიცნობდი) ილია ცდილობდა, რომ პოემა მთლიანად გამოექვეყნებინა, მაგრამ როგორც კ. ლორთქიფანიძისადმი მინაწერი ამ წერილიდან ირკვევა, პოეტს ცენზურის ბორკილები ვერ აუტყდენია.

1864 წ. კ. ლორთქიფანიძის მიერ პეტერბურგში გამოცემულ ლექსთა კრებულში, „ჩონგურში“, დაიბეჭდა ამ პოემის ნახევარზე მეტი, ვიდრე სიტყვებამდე: „მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი“.

„კაკო ყაჩალი“ სრული სახით დაიბეჭდა მხოლოდ 1879 წელს ჟურნ. „ივერიაში“ (№ 5).

12.

1. „კაცია ადამიანი?!“ პირველად დაიბეჭდა 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ (იხ. აპრილის, მაისის და ივნისის ნომრები).

2. პეტერბურგში 60-იანი წლების დასასრულს შედგა ჯგუფი სტუდენტებისა კ. ლორთქიფანიძის მეთაურობით, რომელმაც მოინდომა გამოეცა ცალკე წიგნებად ქართველი მწერლების ნაწერები. პირველად, 1869 წ. „კაცია ადამიანი?!“ გამოვიდა. შემდეგ აპირებდნენ **დანიელ ჭონქაძის** „სურამის ციხის“ დაბეჭდვასაც, მაგრამ იმ ხანებში იგი არ დაბეჭდილა.

3. „კაცია ადამიანი?!“ პირველად ჯიმშერიძის ფსევდონიმით დაიბეჭდა; 1869 წელს-კი ავტორის ნამდვილი სახელითა და გვარით არის დაბეჭდილი.

4. ი. ჭავჭავაძეს „კაცია ადამიანის?!“ წინასიტყვაობა ოთხ ვარიანტად დაუწერია. ოთხივე ვარიანტი გამოქვეყნე-

ბულია (იხ. ილ. ჭავჭავაძის ლექსები, პოემები და მოთხრობები ტ. I 1937 წ. გვ. 656—666).

13.

1. „გლახის ნაამბობის“ პირველი ნაწილი (ექვსი თავი) პირველად „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა (1963 წ. № 1). ავტორს ეს მოთხრობა იმ ხანებში არ ჰქონდა დამთავრებული, იგი დაამთავრა 1972—73 წლებში და სრულად დაიბეჭდა „კრებულში“ (№ 1, 2, 3. 1873 წ.). ამ წერილს დიდი მნიშვნელობა აქვს „გლახის ნაამბობის დაწერის თარიღებისა და ავტორის შემოქმედებითი პროცესის შესასწავლად. მასალების მიხედვით მტკიცდება, რომ მოთხრობა დაწყებულია 1859 წ. ხოლო მისი მეორე ნაწილი, მეშვიდე თავიდან დაწერილია 1872—73 წ.წ.

2. წერილს დართული აქვს სამი ლექსი. სამივე უსათაუროა. პირველი ასე იწყება: „ვიხილე სატრფო, იგი ცრემლს ღვრიდა...“ (იხ. ი. ჭავჭავაძის ლექსები, პოემები და მოთხრობები ტ. I 1937 წ. გვ. 26). მეორე—„ჩემო მკვლელო! ვიცი, ვიცი“ (იქვე. გვ. 63) და მესამე—„მაშინ დავსტკბები სრულის სამოთხით“ (იქვე გვ. 32).

3. იგულისხმება ნ. ბარათაშვილის უსათაურო ლექსი: „დაჰქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარიტანა ყვაგილი“, დაწერილი 1842 წ. (იხ. ნ. ბარათაშვილის თხზულებანი 1945 წ. გვ. 39).

4. **სერგეი მესხი** (1844—1883) პუბლიცისტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. 1867 წ. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. 1869 წ. გ. წერეთელთან და ნ. ნიკოლაძესთან ერთად შეადგინა „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფი. რედაქტორობდა გაზ. „დროებას“ 1869 წლიდან 1883 წლამდე. მძიმე სარედაქციო მუშაობის გამო დაავადდა ქლეჩით და გარდაიცვალა აბასთუმანში. დასაფლავებულია თავის სოფ. რიონში (ქუთაისის მახლობლად რაჭის მიმართულებით).

5. **უმიკოვი**—იგულისხმება პეტრე უმიკაშვილი (იხ. წერილი 22-ე, შენიშვნა 1).

6. „ზოგიერთი რამ“ აღრეა დაწერილი. იგი მხოლოდ 1876 წ. დაიბეჭდა პირველად „დროებაში“.

14.

1. ლაპარაკია ნ. ბარათაშვილის წერილებზე, რომელნიც პოეტს მიუწერია მაიკო ორბელიანისადმი. წერილები აღმოჩენილია ილიას დასა და სიძესთან (რომელთან არა ჩანს).

2. ნ. ბარათაშვილის ოთხივე წერილი დაიბეჭდა „კრებულში“ 1873 წ. № 1. რედაქციას ილიას თხოვნა შეუსრულებია და ეს შენიშვნა წერილების წინასიტყვაობაში დაუბეჭდია.

16.

1. „გლეხური სიმღერები“, ი. ჭავჭავაძის მიერ შეგროვილი, დროგამოშვებით იბეჭდებოდა „კრებულში“ შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვიდა.

2. 60—70-იან წლებში ორი ნიკო ჭავჭავაძეა ცნობილი. რომელმა ჭავჭავაძემ უმტრო ილიას, გაურკვეველია.

3. 70-იანი წლების დასაწყისიდან ილიას ახალი თაობა იწვევდა ბანკის თავჯდომარედ.

4. ნიკო ნიკოლაძეს იმ ხანებში ტყიბულის საქმეების გამო ჰქონდა პროცესი სასამართლოში. ილია, ალბათ, ამის შესახებ წერს.

17.

1. ლაპარაკია „გლახის ნამბოზის“ კორექტურაზე.

19.

1 დავით ერისთავი (1817—1890) შეიღი პირველი ქართველი კომედიოგრაფის და „ცისკრის“ რედაქტორის გიორგი ერისთავისა. დავ. ერისთავი იყო მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწე. სახელი გაითქვა ცნობილი დრამით „სამშობლო“ (ეს პიესა გადმოკეთებულია სარდუს ფრანგული პიესიდან). მანვე თარგმნა ჟოზეფის „პარიზელი ბიჭი“ და ოფენბახის „მშვენიერი ელენე“. გარდა დრამატული ნაწერებისა, აქვს აგრეთვე მოთხრობები და ლექსები, რომელნიც გაფანტულია ჩვენს პერიოდულ პრესაში.

2. „გამოცანები“ ილიამ დაწერა 1871 წლის 7 დეკემბერს და ამავე წლის 11 დეკემბერს გაუგზავნა დუშეთიდან დ. ერისთავს თბილისში.

გამოცანებში იგულისხმებიან: 1. მარშალი რევაზ ან. დრონიკაშვილი, 2. გიორგი კონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონი (1820—1877), სენატორი და შემდეგ სახელმწიფო საბჭოს წევრი, 3. ივანე კონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონი, ყოფილი გენერალი, 4. პლატონ იოსელიანი (1809—1875), 5. დიმიტრი ჯორჯაძე (1822—1883), კავკასიის მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი, 6. **იასე ჭავჭავაძე**—გუბერნიის სამმართველოს წევრი, 7. **ბესარიონ ლოღობერიძე** (1833—1879) და 8 პოეტი გრ. ორბელიანი (1800—1883).

გამოცანების დაწერა გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: 1871 წ. საქართველოში ჩამოვიდა იმპერატორი. თავდაზნაურთა ყრილობამ „თერგდალეულთა“ ჯგუფის გავლენით შეადგინა ადრესი, რომელშიც იმპერატორს სთხოვდნენ თბილისში უნივერსიტეტის გახსნას. მაგრამ რევაზ ანდრონიკაშვილმა (თავად აზნაურობის მარშალმა) გ. მუხრან-ბატონის, დ. ჯორჯაძის, იასე ჭავჭავაძის, ბ. ლოღობერიძის და მ. თუმანიშვილის შონაწილეობით შეადგინა სხვა ადრესი, რომელშიც მოითხოვდნენ თბილისში კადეტთა კორპუსის გახსნას.

თავის „გამოცანებში,“ გარდა ზემო ჩამოთვლილი პირებისა, ი. ჭავჭავაძემ გაამათრახა პლ. იოსელიანი და გრ. ორბელიანიც, რომელთაც, მართალია, ადრესის შედგენაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ თანაუგრძნობდნენ ადრესის ავტორებს.

„გამოცანების“ შემდეგ დაიწყო „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის მეორე ტური, რომელმაც მწვავე ხასიათი მიიღო.

3. **ვახტანგ თულაშვილი**—საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა 60-იან წლებში. იყო ჟურნ. „საქ. მოამბის“ აქტიური თანამშრომელი.

4. წერილი უნდა ეკუთვნოდეს 1871 წ., რადგან „გამოცანები“, რომელთა შესახებაც წერილშია ლაპარაკი, 1871 წელს არის დაწერილი.

1. დიკ. ერისთავმა „გამოცანების“ გარდა თარგმნა „პასუხი“ და „პასუხის პასუხი“ და მათ ხელნაწერის სახით ავრცელებდა თბილისის საზოგადოებაში.

2. **ლესინგი გოტჰოლდ ფრაიმ** (1729—1781) გერმანული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი.

3. იგულისხმება ილ. ჭავჭავაძის მეტლეს ოლა თადეოზის ასული გურამიშვილი—ჭავჭავაძისა.

4. ამ წერილის დაწერის თარიღად მიჩნეულ უნდა იქნეს 1872 წ., რადგან ლექსი „პასუხის პასუხი“, რომლის შესახებაც ილია წერილში ლაპარაკობს დაწერილია 1872 წლის 28 იანვარს.

1. **პეტრე ნაკაშიძე**, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ილ. ჭავჭავაძის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი. პ. ნაკაშიძე უახლოესი თანამშრომელი იყო ჟურნ. „საქ. მოამბისა“. პოემა „ქართველის დედა“ ი. ჭავჭავაძემ პ. ნაკაშიძეს უძღვნა.

2. **„ქართველის დედის“** ტექსტი, რომელიც ილიას პ. ნაკაშიძისათვის გაუგზავნია, წარმოადგენს ამ პოემის მეორე ვარიანტს. პირველი ვარიანტი შესრულებულია 1860 წ. ცენზორს იმდენად დაუმახინჯებია ეს პოემა, რომ მისი იდეა არსებითად შეუცვლია.

3. **ნ. ნიკოლაძე**—იხ. 34-ე წერილის 1 შენიშვნა.

4. „ძღვნობის ლექსი“, რომლის შესახებაც ილია სწერს პ. ნაკაშიძეს, შემდეგია: „აჰა, იმ დროთგან ერთი სახე ამოღებული, რომელიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ“ და სხვ. ეს მიძღვნა შესდგება ორი სტროფისაგან და წინ უძღვის პოემას.

5. ეს წერილი მიწერილია „ქართველის დედის“ ავტორგრაფზე. ავტორგრაფი დათარიღებულია 1871 წლის 19 მარტით, მაშასადამე, წერილის დაწერის თარიღადაც 1871 წ. 19 მარტი უნდა იქნას მიჩნეული.

1. პეტრე უმიკაშვილი (1838—1904) ლიტერატორი, პედაგოგი და ხალხური სიტყვიერების შემკრები. 1860 წ. დაამთავრა თბილისის გიმნაზია. 1864 წლიდან 1867 წლამდე სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე.

ლიტერატურული საქმიანობა დაიწყო 1861 წლიდან ჟურნ. „ცისკარში“. 1866 წლიდან თანამშრომლობდა „დროებაში“ და შემდეგ თითქმის ყველა ქართულ პერიოდულ პრესაში.

1874—1880 წლებში რედაქტორობდა „სასოფლო გაზეთს“. პ. უმიკაშვილმა გამოსცა ვახტანგის „დასტურლამალი“, „ბეჟანიანი“, „ვარდ-ბულბულიანი“, „ქალ-ვაჟიანი“, დავ. გურამიშვილის „დავითიანი“, ვ. ორბელიანის ლექსები, 1904 წელს შეუდგა ქართული სახალხო სიტყვიერების გამოცემისათვის ზრუნვას, მაგრამ სიკვდილმა აღარ აცალა. ეს სქელტანიანი წიგნი გამოიცა 1937 წელს ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით.

2. ილ. ჭავჭავაძემ სამსახური დაიწყო 1864 წელს. პირველად იგი დაინიშნა თბილისის მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელ შუაჰაკად. 1863 წლიდან 1873 წლის მაისამდე ილია მსახურობდა დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ. მიუხედავად იმისა, რომ ამ თანამდებობაზე მუშაობა ილიას დიდ დროს ართმევდა, აქ გატარებულ წლებს ილიასთვის უნაყოფოდ მაინც არ ჩაუვლია, რადგან ამ ხნის განმავლობაში ილია ახლოს გაეცნო გლეხობის ყოფა-ცხოვრებას, მათს ავსა და კარგს, რაც ნიჭიერად გამოიყენა თავისი შემოქმედებისათვის. საქართველოს სსრ. შ.სს. საარქივო სამმართველოს ფონდებში დაცულია რიგი დოკუმენტებისა, რომელნიც გამოაქვეყნა ა. იოვიძემ (იხ. „საისტორიო მოამბე“ ტ. III. თბილისი. 1947 წ.). ეს დოკუმენტები, განსაკუთრებით ილიას მიერ გამოტანილი განაჩენები, ნათელ წარმოდგენას იძლევიან, თუ რა სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ილია სოფლად გაბატონებულ თავადაზნაურობისა და ჩინოვნიკობის ძალმომრეობას, მიმართულს გლეხობის წინააღმდეგ.

1875 წლიდან 1881 წლამდე ილია ასრულებდა თბილისის საოლქო სასამართლოს ნაფიცი ვექილის თანამდებობას 1875 წლიდან იგი აირჩიეს თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარედ, რომელსაც ხელმძღვანელობდა 30 წლის მანძილზე. პარალელურად, 1879 წლიდან 1885 წლამდე ილია იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 1885 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ამ დაწესებულების გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

3. ეს წერილი ილ. ჭავჭავაძეს პ. უმიკაშვილისთვის მიუწერია 1872 წელს. წერილის კიდევ პ. უმიკაშვილს ასეთი მინაწერი გაუქეთებია: „მივიღე 21 თიბათვეს 1872 წ. დუშეთიდან.“

24.

1. ეს წერილი და თავისი ფოტოსურათი ილ. ჭავჭავაძეს დუშეთიდან გამოუგზავნია პ. უმიკაშვილისათვის პ. უმიკაშვილს წერილის თავისუფალ გვერდზე მიუწერია: „მივიღე დუშეთიდან 1872 წ. ენკენისთვის 1-სა პ. უმიკაშვილმა ეს წერილი და სახე ილიასი.“

2. „**კრებული**.“ ყოველთვიური ჟურნალი, წარმოადგენდა გაზ. „დროების“ დამატებას. გამოდიოდა 1871—1873 წ. წ. ჟურნალის დამაარსებელი იყო გ. წერეთელი. „კრებულში“ თანამშრომლობდნენ: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, კირ. ლორთქიფანიძე და სხვები.

3. მიუხედავად იმისა, რომ მეგობრები დაჟინებით სთხოვდნენ ილ. ჭავჭავაძეს თბილისში გადმოსვლას, იმ ხანებში ილიამ ეს ვერ მოახერხა. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე წერდა:

„ილია ჭავჭავაძეს დიდიხანია სრულებით მიტოვებული ჰქონდა ჩვენი ჟურნალ-გაზეთები. ის დუშეთში სცხოვრობდა, სადაც მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა, ჩვენი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყველა მაშინდელი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯირე—

დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დაუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ-მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871—1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსუღვართ დუშეთს „გროვით“ ქართული მწერლობის და აღორძინების მოტრფიალენი“... (იხ. ჟურნ. „განთიადი“ 1915 წ. №8. გვ. 21).

4. ილ. ჭავჭავაძეს დიდი შრომა დასჭირდა, რომ საკუთარი ორგანოს გამოცემა მოეხერხებინა. ამ მიზნით ილიამ ჯერ კიდევ 1876 წლის 18 ივნისს მიმართა თბოვნით კავკასიის საცენზურო კომიტეტს, რომ მისთვის ნება დაერთოთ 1877 წლის 1 იანვრიდან გაზეთ „ივერიის“ გამოსაცემად.

კავკასიის საცენზურო კომიტეტმა თავის მხრივ აღძრა შუამდგომლობა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსისადმი ი. ჭავჭავაძისათვის 1877 წლის 1 იანვრიდან გაზ. „ივერიის“ გამოცემის ნებართვის მიცემის შესახებ, რაზედაც კავკასიის მეფის—ნაცვლის მთავარმმართველობამ საცენზურო კომიტეტს 1876 წლის 17 სექტემბერს ასეთი მიწერილობა გაუგზავნა:

„По докладу вел. кн. паместнику, прошения коллежского регистратора кн. Ильи Чавчавадзе о дозволении ему издавать с 1-го января 1877 года в Тифлисе, согласно представленной им программе, научно-литературно-политическую газету на грузинском языке под названием „Иверия“, вместе с отзывом Цензурного комитета от 19-го минувшего июня за № 712 и представленными канцелярией соображениями, е. и. в. соизволил на просьбу кн. Чавчавадзе, с тем, чтобы все установленные цензурою правила были исполняемы в точности под непосредственным наблюдением Цензурного комитета.

Сообщаю об этом Цензурному комитету на зависящее распоряжение препровождаю при сем программу газеты „Иверия“.

Начальник Главного управления сенатор П. Клушин.“

ამრიგად, ილიას მხოლოდ 1877 წლის 1-იანვრიდან მიეცა საშუალება საკუთარი ორგანოს დაარსებისა.

საინტერესოა თვით პროგრამაც, რომლის მიხედვითაც უნდა გამოცემულიყო გაზ. „ივერია“. ეს პროგრამა ილიას მიერ არის შედგენილი.

ПРОГРАММА

газеты на грузинском языке „Иверия“

1. Передовые статьи.
2. Русская жизнь: куда войдет обзор важнейших явлений государственной и общественной жизни.
3. Местная жизнь: куда войдет обзор местных явлений в сфере административной и общественной жизни.
4. Иностранная жизнь: обзор политических событий и явлений государственной и общественной жизни.
5. Отдел корреспонденции: внутренней и заграничной.
6. Отдел научный: статьи по всем отраслям знания.
7. Беллетристика: повести, рассказы, стихотворения и т. п.
8. Критика и библиография.
9. Фельетон.
10. Судебная хроника.
11. Смесь.
12. Газетные известия.
13. Отдел частных объявлений.
14. Справочный указатель.

Коллежский регистратор кн. Илья Григорьевич Чавчавадзе.

ცენზურის რკალში ჩაქედილი „ივერია“ არა ერთხელ იქნა შეჩერებული და დახურული ხელი-სუფლების მიერ.

პირველად იგი საცენზურო კომიტეტმა შეაჩერა 1884 წ. ვითომდა ილიას თბილისში არ ყოფნის გამო, ხოლო 1896 წლის 10 მაისს მთავარმართებლის საბჭოს დადგენილებით „ივერიის“ გამოცემა 8 თვით იქნა აკრძალული (დაწვრილებით იხ. „საისტორიო მოამბე“ ტ. III გვ. 240—254).

5. აქ ილია ჭავჭავაძეს მხედველობაში აქვს გ. კ. მუხრან-ბატონის წიგნი „О существе национ. индивидуальности и об образоват. значении крупных единиц.“

ეს წიგნაკი გამოვიდა 1872 წ. გაზ. „ჭავჭავაძის“ დამატებად. ავტორი ამტკიცებდა წვრილი ეროვნული ერთეულების გაქრობის აუცილებლობას და ხოტბას ასხამდა მეფის რუსეთს.

გ. კ. მუხრან-ბატონის ამ ბროშურამ საშინელი აღშფოთება გამოიწვია პროგრესულად მოაზროვნე ქართველ ინტელიგენციაში (ჭავჭავაძე, ს. მესხი, დ. ერისთავი და სხვ.) და სასტიკი პასუხი გასცეს მას.

6. გაზ: „**დროება**“—დაარსდა 1866 წ. 1866 წლიდან 1869 წლამდე რედაქტორობდა გ. წერეთელი, 1869 წლიდან 1883 წლამდე ს. მესხი, ხოლო 1883 დან 1885-დე ივ. მაჩაბელი. დაიხურა 1885 წელს საცენზურო კომიტეტის განკარგულებით, როგორც არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგო მიმართულების მატარებელი ორგანო.

7. ხელნაწერი აქ წყდება. ბოლო მოხეულია მაგრამ ლექსის აღდგენა მაინც მოხერხდა. ეს ლექსი ილიას თხოვნის თანახმად ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ 1872 წ. № 35. მაგრამ ცენზორმა მეექვსე სტროფი მაინც ამოაგდო. ლექსი „რჩევა“ სრული სახით შეტანილია პ. ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით გამოცემულ ილიას თხზულებათა I ტომში (1937 წ. თბილისი).

8. 1872 წელს ანასტასია თუმანიშვილმა (გ. წერეთლის მეუღლე), ეკ. თარხან—მოურავმა (გაბაშვილმა), ეკ. მელიქიშვილმა (შემდეგ ს. მესხის მეუღლემ) და ელენე ყიფიანმა შეადგინეს ქალიშვილთა წრე და მოიწადინეს ევროპელი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებების თარგმნა ქართულ ენაზე და მათი გამოცემა პატარა წიგნაკებად. ქალებს გარკვეული მიზანი ჰქონდათ: მათ სურდათ გაეცნოთ ქართველი მკითხველისათვის ევროპული ლიტერატურა. 1872 წ. მათ კიდევ გამოსცეს ასეთი წიგნაკი: „თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა, გამოცემული ქართველი ქალებისაგან“ (წიგნი პირველი 1872 წ.) ილ. ჭავჭავაძე პ. უმიკაშვილს იმ წიგნის შესახებ სწერს.

1. ჩვენი—იგულისხმება ილ. ჭავჭავაძე და ივ. მაჩაბელი.

2. როგორც ცნობილია 1873 წლის გაზაფხულზე ილ. ჭავჭავაძე რუსეთში გაემგზავრა სათავადნაურო ბანკის წესდების დასამტკიცებლად და საბანკო საქმიანობის შესასწავლად. მაგრამ წესდების დამტკიცება საკმაოდ გაჭიანურდა და ილიას 1874 წლის გაზაფხულამდე მოუხდა რუსეთში დარჩენა. ამ წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა ივ. მაჩაბელი, რომელსაც უკვე დაწყებული ჰქონდა შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმნა (იხ. „დროება“ 1872 წ. ვას. მაჩაბლის წერილი). ილია შეუამხანაგდა ივ. მაჩაბელს და მათ ერთად იწყეს თარგმანზე მუშაობა. შექსპირის ნაწარმოების სიდიადემ იმდენად აღაფრთოვანა ილ. ჭავჭავაძე, რომ მან ინგლისური ენის შესწავლასაც კი მოჰკიდა ხელი. ამის შესახებ 1873 წლის 21 ნოემბერს ილია სწერდა თავის მეუღლე ოლგას: „ . . . აქაური ამბავი რა მოგწერო: მე უსაქმოების გამო ანგლიურის ენის სწავლას შევუდექი და შექსპირის ტრაგედიას კოროლ ლირს ვჰსთარგმნი სხვასთან ერთად. აქედამ რომ მოვალ, ანგლიური მეცოდინება იმდენად, რომ მსუბუქის თხზულების წაკითხვა შემეძლოს. სხვა არაფერი გასართობი არა მაქვს რა...“ (იხ. საქ. სახ. მუზეუმი ფონდი A:1720—15 ა).

ილ. ჭავჭავაძეს და ივ. მაჩაბელს „მეფე ლირის“ თარგმანი 1874 წლის პირველ იანვარს დაუმთავრებიათ. ილია თავის მეუღლეს სწერს: „აქამდინ ჩვენს თარგმნილს ლირს წაიკითხავდი. მომწერე როგორ მოგეწონა. მაგას კაი წაკითხვა უნდა, რომ კაცმა მოიწონოს. სწორედ ახალწლის პირველ დღეს სრულად გავათავეთ თარგმანი“ (იქვე).

რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ილიამ მოაწყო „მეფე ლირის“ საჯარო კითხვა. ამის შესახებ გაზ. „დროება“ იუწყებოდა: „ჩვენ დავესწარიტ“ „მეფე ლირის“ კითხვასა და მართალი უნდა ვსთქვათ, თარგმანი სწორეთ სამაგალითოა. არც ჩვენ, არც სხვებს არ გვეგონა, თუ ეს შესანიშნავი

თხზულება ასე მშვენივრად გადმოიღებოდა ქართულ ენაზედ“ („დროება“ 1874. № 420).

თარგმანს მაღალი შეფასება მისცა დიმ. ყიფიანმაც. ილიას მუშაობა „მეფე ლირზე“ მარტო მისი გადმოქართულებით და ამ თარგმანის საჯარო კითხვით არ ამოწურულა. როგორც ილიას ბიოგრაფი გ. ყიფშიძე მოგვითხრობს: „ილია ჰპრუნავდა „მეფე ლირის“ წარმოდგენისათვისაც ქართულ სცენაზედ. უნდოდა თვით მეფის როლი დიმ. ყიფიანს ეკისრა, მაგრამ ეს არ მოხერხდა. სცენის მოყვარულთ წარმოდგენეს „მეფე ლირი“ ბანკის დაარსების პირველ ხანს (1875 წ. ი. ბ.) და როგორც გაგვიგონია კენტის როლი ილიამ ითამაშაო“ (იხ. ილ. ჭავჭავაძის თხზულებანი ტ. I 1914 წ. გვ. LXV).

3. „მეფე ლირის“ პირველი მოქმედება დაიბეჭდა ჟურნ. „კრებულში“ 1873 წ. № 10 გ. 1—80.

26.

1. წერილს პ. უმიკაშვილის ხელით მოწერილი აქვს: „14 ენკენისთვის 1885 წ.“

28.

1. **ვახილ მაჩაბელი**—იურისტი, საზოგადო მოღვაწე, ივანე მაჩაბლის ძმა. ვ. მაჩაბელი მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა ილ. ჭავჭავაძესთან, ვიდრე დაიწყებოდა ბრძოლა ილიასა და ივ. მაჩაბელს შორის საბანკო საკითხების ირგვლივ.

2. **მდივანი** ასლან გიორგისძე, კაპიტანი, დიდი ქონების პატრონი.

3. **ბარიატინსკი** ალექსანდრე ივანეს-ძე მეფის ნაცვალის საქართველოში.

4. **ჩემი სიმამრი**—იგულისხმება თადეოზ გურამიშვილი, საგურამოს შეძლებული მემამულე.

5. **ვარვარა ილინიშნა** ილია ბატონიშვილის ასული, გრ. ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის მეუღლე.

6. გიორგი--ილია ორბელიანის შვილი, გენერალი.

7. წერილი დათარიღებული არ არის, მაგრამ იგი უნდა ეკუთვნოდეს 1873 წელს, რადგან ბანკის საქმეების გასაცნობად ილია 1873 წელს გაემგზავრა.

29.

1. ნიკო ლოღობერიძე (1838—1911), პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ—ფილოლოგიური ფაკულტეტი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ილ. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“ განაგებდა ჟურნალის ისტორიულ განყოფილებას. ნ. ლოღობერიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო გაზ. „დროების“ დაარსების საქმეში. 1879 წლიდან არჩეულ იქნა ქუთაისის ბანკის დირექტორად. 80-იანი წლებიდან ხელი მიჰყო შავი ქვის წარმოების საქმეს. უფრო დაწვრილებით ნ. ლოღობერიძის ბიოგრაფიული ცნობები დაბეჭდილია „ძველ საქართველოში“ ტ. II გვ. 12—20).

30.

1. იგულისხმება სანდრო ერისთავი.

2. ილიას სიმამრი თადეოზ გურამიშვილი.

3. დიმიტრი ხიმონიძე სტაროხელსკი, ილიას ქვისლი, 70-იან წლებში მსახურობდა მეფის ნაცვლის მოადგილედ საქართველოში, შემდეგ ბაქოში გუბერნატორად.

31.

1. იგულისხმება ივანე მაჩაბელი (1854—1898), ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე. უმაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგში (დაამთავრა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი), ცოდნის გაფართოების მიზნით რამდენიმე წელი დაჰყო გერმანიაში და საფრანგეთში. 1882—83 წ. წ. იყო „ივერიის“ თანარედაქტორი და მსახურობდა ქართულ საადგილამამულო ბანკში. 1883 წლიდან 1885 წლამდე რედაქტორობდა გაზ. „დროებას“. 1886 წლიდან ხელი მიჰყო შექსპირის ტრაგედიების დამოუკიდებელი თარგმნას. მის კალამს ეკუთ-

ენის მრავალი პუბლიცისტურ—პოლემიკური და ლიტერატურული ხასიათის წერილები, რომელიც მიმოზნეულია ჩვენს პერიოდული პრესის ფურცლებზე.

1898 წ. ივ. მაჩაბელი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

32.

1. ავალოვი—ნიკო ავალიშვილი (1844—1922) ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. რედაქტორობდა ჟურნ. „მნათობს“ თარგმანა შილერისა და შექსპირის პიესები.

2. დ. ჩუბინოვი—იხ. 39-ე წერილის მე-7 შენიშვნა.

3. პროფ. ალექსანდრე ცაგარელი (1884—1920), მკვლევარი, ლინგვისტი, ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი. 1872 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში განაგებდა ქართული ენის კათედრას. რევოლუციის შემდეგ კითხულობდა ლექციებს თბილისის სახ. უნივერსიტეტში. ალ. ცაგარელმა 1878 წ. რუსულად თარგმნა და გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. მის სხვა მრავალ ნაშრომთა შორის ყურადღებას იპყრობს „сравнительный обзор Морфологии Иберийской группы Кавказских языков“, „О грамматической Литературе Грузинского языка“, „Минутельские тексты“, და სხვა...

4. „Неделя,“ რუსული საკვირაო ჟურნალი, რომლის ტიპისაც იყო „ივერია.“

33.

1. იგულისხმება ელენე ყიფიანი (1852—1890), ერთ-ერთი პირველი ქართველი მსახიობი ქალი. გათხოვების შემდეგ გადასახლდა ქუთაისში, სადაც დააარსა ქალთა წრე, რომელიც სცემდა ჟურნალს „ქართული ბიბლიოთეკა“.

ელ. ყიფიანი ეწეოდა აგრეთვე მთარგმნელურ მუშაობასაც. მან ფრანგულიდან თარგმნა მოლიერის „პრანჭია ქალები“ და სხვ.

2. ივანე მუხრანსკი—იხ. 41-ე წერილის მე-6 შენიშვნა.

3. სტაროსელსკი—ილიას ქვისლი, ეკატერინე გურამიშვილის მეუღლე.

1. **ნიკო ნიკოლაძე** (1843—1928). ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. გ. წერეთელთან, კ. ლორთქიფანიძესთან და სხვებთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის იჯდა ჯერ პეტრე-პავლეს, შემდეგ კრონ-შტატის ციხეში. 1854 წელს გაემგზავრა საზღვარგარეთ. 1865 წ. გერცენის ჟურნ. „კოლოკოლში“ დაბეჭდა საყურადღებო წერილები სათაურით: „გლახთა გათავისუფლება საქართველოში“. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1869 წლიდან შეიქნა „დროების“, „ქრებულის“ და „თბილისის უწყებანის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი და აქტიური თანამშრომელი. 1878 წ. დააარსა საკუთარი ორგანო გაზ. „ოზ-ზორი“. ნ. ნიკოლაძე ითვლება „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფის ერთ-ერთ დამაარსებულ—ხელმძღვანელად, რომელიც შედგა 1869. წ. ამ ჯგუფში შედიოდნენ: ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვები.

2. **კირილე**—იგულისხმება კ. ლორთქიფანიძე.

3. **ერთი ჩვენი პოეტისაზან ნათქვამია**. იგულისხმება პოეტი ალ. ჭავჭავაძე. ილიას მიერ პროზით ნათქვამი პოეტის სიტყვები ამოღებულია ლექსიდან „მუხამბაზი ლათაიური“:

„რა ომის ცეცხლი ასტყდება,
ბრძენი სიფრთხილით წახდება;
მაგრამ ღლეული მაშინვე
ან მოჰკლავს, ან შეაკვდება!“

4. „აჩრდილის“ XVI ხანის (თავის) უკანასკნელი ოთხი სტრიქონი, რომლის დაბეჭდვის იმედი ილიას ჟურნ „ქრებულში“ ცენზურის სიმკაცრის გამო არ ჰქონდა, შემდეგია:

„გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან,
[მთავრის ღიმილზე—პატიოსნებას,
და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას].“

ილიას წინაგრძნობა გამართლდა: ზემო მოყვანილი სტროფის ბოლო სამი სტრიქონი ცენზორმა არც 1873

წლის „კრებულში“ გაუშვა და არც 1881 წ. „ივე-რიაში“ (№ 3).

საერთოდ, ამ პოემამ ცენზორის ხელში უმაგალითო წამება განიცადა. „აჩრდილი“ შედარებით სრული სახით მხოლოდ 1892 წ. დაიბეჭდა „ქართველთა ამხანაგობის“ მიერ გამოცემულ ილიას თხზულებათა კრებულში, მაგრამ 22-ე და 23-ე თავი ცენზორმა ამ შემთხვევაშიც დააკავა, რის შედეგადაც ეს თავები საბოლოოდ დაიკარგა და პოემის არცერთი ვარიანტით (4 ვარიანტია) მისი აღდგენა არ მოხერხდა.

36.

1. ილ. ჭავჭავაძის ეს წერილი დაწერილია 1873 წლის ბოლო თვეებში და გამოგზავნილია პეტერბურგიდან, სადაც იგი იმ ხანებში საბანკო საქმეებისათვის იყო გაგზავნილი. ეს კერძო წერილი გამოუწვევია ნ. სკანდელის (ნ. ნიკოლაძის) „დროებაში“ მოთავსებულ ფელეტონს: „მშვიდობით, მშვიდობით“ (იხ. „დროება“ № 45, 1873 წ. ან ნ. ნიკოლაძის „რჩ. ნაწერები“ ტ. II გვ. 107—110. 1932 წ.). როგორც „დროების“ წერილებიდან ჩანს, ნიკოლაძის ამ წერილს დიდი გამოხმაურება გამოუწვევია ახალ თაობის წრეებში. პეტერბურგიდანვე გამოგზავნილია წერილი „წიგნი რედაქტორთან“ (იხ. „დროება“ 1873 წ. № 404), რომელსაც ხელმოწერილი აქვს ფსევდონიმი **ჩვენ უჩინონი**. ამ „წიგნის“ არსებითი შინაარსი და სტილი ივსევა, რაც ილიას კერძო წერილისა. ნ. ნიკოლაძემ, როდესაც 1927 წ. ილიას ზემოთ დაბეჭდილი კერძო წერილი გადმომცა თავის არქივიდან, მითხრა, (აღნიშნავს ს. ხუნდაძე. ი. ბ.) ამ წერილთან ერთად ილიკომ პეტერბურგიდან გამოგზავნა რედაქციაში თავისი ხელით დაწერილი, მაგრამ პეტერბურგელი სტუდენტების სახელით „დროებაში“ დასაბეჭდი წერილი. ამრიგად, „წიგნი რედაქტორთან“ ილიას კალამს ეკუთვნის

„დროებამ“, რომელსაც მაშინ დროებით კ. ლორთქიფანიძე რედაქტორობდა, მკითხველების საპასუხოდ დაბეჭდა შემდეგი: „უფ. სკანდელი მხოლოდ, რამდენიმე მცირე ხნის ვადით მიდის საზღვარ—გარეთ. ის სრულებით არ სტოვებს სალიტერატურო

ასპარეზს ამ ცოტა ხნის განმავლობაშიაც.“
(„მკითხველებს“—„დროება № 400, 1873 წ.).

2. თავის წერილში ნ. ნიკოლაძე წერდა:

„დაღალული, დაქანცული, ილაჯგა-
წყვეტილი ვტოვებ მე ჩვენი მწერლობის
ასპარეზს და ჩვენი სამშობლოს ჰაერს, სრუ-
ლი ბედნიერებით ვეთხოვები ყველას, ვი-
საც ვძულვარ ან უყვარვარ, ვესალმები ყვე-
ლას, ვინც მებრალება ან მიყვარს, და მტერ-
მეგობარს ნეტარებით ვეუბნები—„მშვიდო-
ბით“ (იხ. „დროება“ № 45, 1873 წ.).

ეს აღგილი მაშინდელმა ახალთაობამ ისე გაიგო თითქო
ნიკოლაძე სამუდამოდ ეთხოვებოდა ქართულ მწერლობას.

3. ნ. ხკანდელი—ნ. ნიკოლაძის ფსევდონიმია.

37.

1. ალექსანდრე დიმიტრის-ძე საგინაშვილი, გენერალ-
ლეიტენანტი, მელიტონ ბარათაშვილის დის შვილი.

38.

1. კნენა ნინო—ნინო ზაქარიას ას. ანდრონიკაშვილი.

2. გურასპიშვილი—?

3. კნიაზ ილიკო—ილია ჯორჯაძე, კახელი მემამულე,
ნინო ანდრონიკაშვილის მეუღლე.

4. ოლიკო—ი. ქაჭკავაძის მეუღლე, ოლგა თადეოზის
ასული გურამიშვილი.

39.

1. კოტე ყიფიანი (1849 — 1921), დიმიტრი ყიფიანის
შვილი, მეტად მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწე იყო.
თავდადებით მუშაობდა ქართულ სცენაზე და ითვლებოდა
ერთ-ერთ საუკეთესო მსახიობად. კ. ყიფიანი ცნობილია,
აგრეთვე როგორც მწერალი, მთარგმნელი. მან ქართული
თეატრისათვის დაწერა და გადმოაქეთა ცამეტი პიესა კ. ყი-
ფიანი ეწეოდა მეცნიერულ მუშაობასაც. 1896 წ. დაბეჭდა

„რუსულ-ქართული საისტრონომიო, საზოოლოგიო და სამინერალოგიო ლექსიკონი“ (იხ. ა. ცაგარელი „კომედიები“ ი. გრიშაშვილის რედაქციით. თბილისი 1936 წ. გვ. 452 და ს. მგალობლიშვილი „მოგონებანი“ გვ. 249).

2. **Нина Егоровна**—კ. ყიფიანის მეუღლე.

3. **Дмитрий Иванович**—დიმიტრი ყიფიანი (1814—1887) ცნობილი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი—მთარგმნელი. მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, რისთვისაც მეფის მთავრობამ ვოლოგდაში გადაასახლა. საქართველოში დ. ყიფიანი 1837 წ. დაბრუნდა და სახელმწიფო სამსახურში შევიდა.

დ. ყიფიანს უანგაროდ უყვარდა სამშობლო, რის გამოც სისტემატური კონფლიქტი უზდებოდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტი იყო მიზეზი იმისა, რომ დ. ყიფიანის სიცოცხლე ტრაგიკული სიკვდილით დამთავრდა.

1886 წელს თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხულმა მოსწავლემ ი. ლალიაშვილმა ხანჯლით მოკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი. ჩუდეცკის მკვლელობამ საშინლად ააღელვა ეგზარხოსი პავლე; ჩუდეცკის დასაფლავების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში პავლემ დაწყევლა ქართველი ერი, რომელმაც, როგორც ის ამბობდა, წარმოშვა ისეთი ავაზაკი, როგორიც ლალიაშვილი იყო. (იხ. „Кавказ“ 1886 წ. № 139).

ეგზარხოს პავლეს გამოსვლამ საშინლად ააღელვა ქართველი საზოგადოება და მათ შორის დ. ყიფიანიც. ქართველი ერის ინტერესების დასაცავად დ. ყიფიანმა სასტიკად გაილაშქრა პავლეს წინააღმდეგ და მკაცრი წერილი გაუგზავნა მას (იხ. „საისტორიო მოამბე“ ტ. III პროფ. შ. ჩხეტია „მასალები დ. ყიფიანის მკვლელობაზე“ გვ. 433) ამ წერილმა გადაწყვიტა დ. ყიფიანის ბედი. დიდი ხნის წინათ ათვალწუნებული ქართველი მამულიშვილი მთავრობამ 1886 წლის 27 ოქტომბერს სტავროპოლში გადაასახლა, ხოლო 1887 წლის 24 ოქტომბერს ღამით; ქურდული მიპარვით, მიგზავნილმა აგენტებმა დ. ყიფიანი თავში გირის დარტყმით სიცოცხლეს გამოასალმეს.

არ ყოფილა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის არცერთი მხარე, რომ მასში დ. ყიფიანს მონაწილეობა არ მიეღო.

დ. ყიფიანი შექსპირის პიესების პირველი მთარგმნელია, მანვე შეადგინა „ახალი ქართული გრამატიკა“ და დაგვიტოვა საკმაოდ საყურადღებო „მემუარები“ (დაწვრილებით იხ. ს. ხუნდაძის „დ. ყიფიანი“ — მონოგრაფია. 1936 წ. თბილისი და „საისტორიო მოამბე“ ტ. III შ. ჩხეტია „დ. ყიფიანის მკვლევრობა“).

4. წერილი დაწერილია 1880 წელს. წერილს კ. ყიფიანის ხელით ასეთი მინაწერი აქვს გაკეთებული „Получил 2-го августа 1880 г.“

40.

1. ილია ოქრომჭედლიშვილი, ილ. ჭავჭავაძის საუკეთესო მეგობარი. ბავშვობაში მსახურობდა თბილისში ნოქრად. სწავლის სურვილით გატაცებული ცოდნას იძენდა თვითგანვითარების გზით. სიჭაბუკის ჟამს გაემგზავრა პეტერბურგში და დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. ნიჭიერი ახალგაზრდა გაჰყვა მეცნიერების გზას და მალე მოსკოვში, ლაზარევის ინსტიტუტში დაინიშნა ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორად. მოსკოვში ყოფნის დროს ხელი მიჰყო ხე-ტყის მრეწველობას. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ კვლავ განაგრძო ხე-ტყის მრეწველობის წარმოება. ამ საქმიანობის შედეგად საკმაო თანხა შეიძინა, რომლის ნაწილსაც ახმარდა ქართულ კულტურულ საზოგადოებრივ საქმიანობას. თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ პრესაში. გარდაიცვალა 1898 წ.

2. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსდა 1879 წელს ი. გოგებაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, დ. ყიფიანის ნ. ცხევედაძისა და ვ. თულაშვილის ინიციატივით. ეს საზოგადოება მიზნად ისახავდა სკოლების გახსნით, წიგნთსაცავებისა და სამკითხველოების დაარსებით და სხვა საშუალებებით წერა-კითხვა და ცოდნა გაეცრცელებინა საქართველოში, განსაკუთრებით მოსახლეობის დაბალ ფენაში. 80-იანი წლებიდან მთელი XIX საუკუნის დასასრულამდე წ. კ. გ. საზოგადოება წარმოადგენდა ერთ-ერთ

ქულტურულ დაწესებულებას და ნაციონალურ განმათავისუფლებელი მოძრაობის შტაბს საქართველოში.

3. **ვისრამიანი**, ძველი ქართული მწერლობის ცნობილი ძეგლი. პირველად გამოცემულ იქნა 1884 წელს ი. ჯავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილისა და პ. უმიკაშვილის რედაქტორობით. „ვისრამიანი“ საკუთარი ხარჯით დაბეჭდა ილ. ოქრომჭედ-ლიშვილმა.

4. **ვასო აბაშიძე** (1855—1926). ცნობილი ქართველი მსახიობი, ქართული მუდმივი თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1887 წლიდან სიკვდილამდე არ მოშორებია ქართულ სცენას. შექმნა საკუთარი სკოლა. მისი რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნ. „თეატრი“. მანვე გამოსცა კრებული „ჩანგი“ და პიესების კრებული „პანთეონი“. დაწერა და გადმოაკეთა რამდენიმე ათეული პიესა. 1922 წელს გადაუხადეს სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ქართველ მსახიობთა შორის მას პირველს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება.

5. **კოტე მესხი** (1859—1914). ცნობილი მსახიობი და საზოგადო მოღვაწე. ითვლება ფრანგული სკოლის წარმომადგენლად ქართულ სცენაზე. XIX საუკუნის ქართულ თეატრში მან პირველმა გადმონერგა ევროპული რეპერტუარი. 1885—1894 წ. წ. ხელმძღვანელობდა ქუთაისის თეატრს. ქართული მუდმივი დასის დაარსებიდან მუშაობდა თბილისში მსახიობად, რეჟისორად და დრამატურგად. 1906 წ. რედაქტორობდა „პატარა გაზეთს“, რომელიც მალე დაიხურა.

6. **ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი** (1857—1920), უდიდესი ქართველი მსახიობი და რეჟისორი. შექმნა არა ერთი და ორი დაუფიწყარი სცენიური სახე. (დაწვრილებით იხ. ა. ფალავას „ლ. მესხიშვილი“ 1938 წ. თბილისი).

7. **ჩუბინაშვილი (ჩუბინოვა) დავით იახეს-ძე** (1814—1891) დაიბადა თბილისში. სწავლობდა პეტერბურგის გიმნაზიაში და შემდეგ უნივერსიტეტში. 1839 წ. შევიდა სამსახურში საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიურ დეპარტამენტში. 1844 წ. დაამტკიცეს პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის დოცენტად. დ. ჩუბინაშვილი ცნო-

ბილია, როგორც ლექსიკოგრაფი და ფილოლოგი. იგი პირველი ქართველია, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში არჩეულ იქნა პროფესორად. 1853 წლიდან იგი ამ უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას გააგებდა, ხოლო 1863 წლიდან ქართული და სომხური ენებისა და სიტყვიერების კათედრის გამგედ იყო. 1871 წ. შეასრულა სამსახურის ვადა და კათედრას თავი დაანება.

8. წერილი დაწერილი უნდა იყოს 1881 წ. ამ თარიღის დადგენის საშუალებას იძლევა შემდეგი გარემოება: ილ. ჭავჭავაძე ილ. ოქრომჭედლისვილს სწერს: „ამ მოკლე ხანში ერთი დრამატიული აქტიორიც შეიძინეს კახელი ალექსიევ-მესხიევი“. ეს ალექსიევ-მესხიევი ვლადიმერ მესხიშვილია, რომლის გამოსვლაც ქართულ სცენაზე პირველად 1881 წ. მოხდა. მ. საფაროვა—აბაშიძისა თავის „მოგონებებში ამის შესახებ წერს:

„1881 წელს ჩვენი თეატრის ისტორიაში ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა: 10 ოქტომბერს პირველად გამოვიდა ქართულ სცენაზე ჩვენი შესანიშნავი მსახიობი ვლადიმერ სარდიონის-ძე მესხიშვილი, მან პიესა „შემოღილში“ შეასრულა ვოლკენის როლი“ (იხ. „მნათობი“ 1947 წ. № 5 გვ. 129).

42.

1. **იონა მეუნარგია** (1850—1919). ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე დაწერილი აქვს ნ. ბარათაშვილის, პლ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, გ. ერისთავის და სხვა ქართველი მწერლების ბიოგრაფიები (იხ. ი. მეუნარგია „ქართველი მწერლები“ წ. I 1941 წ. და წ. II 1944 წ. საბლიტგამი). ი. მეუნარგია თანამშრომლობდა თითქმის ყველა ქართულ პერიოდულ გამოცემებში. ფსევდონიმებად ხმარობდა: „ცაიშელი“, „ლელო“, „ი. მ.“

2. **ახალი გაზეთი** — იგულისხმება „ივერია“, რომელიც გაზ., დროების“ დახურვის შემდეგ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა. „ივერიის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1886 წ. 1 იანვარს.

3. იგულისხმება ნიკო ნიკოლაძე.

4. **სერებრიაკოვი**—იგივე ილია ოქრომჭედლიშვილია.

5. **Новое издание**—ყოველდღიური გაზეთი იყო, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1884 წლიდან.

6. **ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრან ბატონი** (1812 — 1895) გენერალ-ლეიტენანტი, დიდი მემამულე. 1854—55 წ. წ. სამეგრელოში სარდლობდა გურია სამეგრელოს რაზმებს ომერ ფაშას წინააღმდეგ.

7. **ოლიკო** — ილიას მეუღლე ოლგა გურამიშვილი (1843—1929).

43.

1. **პრინცესა**—იგულისხმება სალომე მიურატი (1848—1913), სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით ლევანის ძე დადიანის ასული, მეუღლე აშოლ მიურატისა.

44.

1. აკაკი წერეთელი ძირითადად თანამშრომლობდა „ცისკარში“, „დროებაში“ და „კრებულში“, ილ. ჭავჭავაძის ეს წერილი აკაკისადმი მიწერილია იმ წელს (1886 წ.), როდესაც გაზ. „დროების“ დახურვის შემდეგ („დროება“ მთავრობამ დახურა 1885 წ.) „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა.

45.

1. 1885 წელს დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობამ დ. ყიფიანი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად აირჩია.

ი. ჭავჭავაძის წერილს დ. ყიფიანმა წერილითვე უპასუხა, რომელშიც სწერდა:

„უძვირფასესო კნიაზო, ილია გრიგოლის-ძევ! ჩვენი საზოგადოების ყოველი წევრისათვის სასიქადულოა წიგნის მიღება თქვენებრი წევრისაგან და რაც თქვენგან მე გუშინ წიგნი მივიღე, ამისთანა წერილი-

სათვის მადლობა ხომ სწორედ გულის
სიღრმითგან არის ამოსაღები და შემოსა-
წირავი.

გამამხნევა, გამაცოცხლა ამ წერილმა
და გულდამშვიდებული მოველი ხეობილამ
გამოხმაურებას.

მაშინ იმისი იმედიც მექნება, რომ სა-
ზოგადოებას საწუხრად მაინც არ დაურჩეს
ჩემი წინ წამოყენება და არც თქვენ დაგა-
ნანებინოთ აგრეთი მხურვალე მოლოცვა.
თქვენი...

(ეს წერილი და აგრეთვე ილიას წერილი დ. ყიფიანი-
სადმი გამოაქვეყნა პროფ. შ. ჩხეტიამ, იხ. „საისტორიო
მოამბე“ ტ. III გვ. 406, 407).

2. დიმ. ყიფიანის თავადაზნაურობის წინამძღოლად არჩე-
ვას აღფრთოვანებით შეეგება აკაკი წერეთელიც რომელმაც
მგონობიარე სიტყვით მიმართა დიმ. ყიფიანს:

„ბატონო დიმიტრი! სხვა და სხვა ას-
პარეზზედ თქვენი მოღვაწეობა იმდენად
თვალსაჩინოა და საკმაოდ განთქმული, რომ
მათზედ მითითება და მათი ჩამოთვლა ყვე-
ლასაგან ცნობილი ამბის განმეორება იქნე-
ბოდა. ჩვენ მხოლოდ ვალდებულთ, თუ რა-
მოდენად არის დაფასებული თანამემამულე-
თაგან ის თქვენი ხანგრძლივი ღვაწლი:
უდიდესი ნახევარი მთელის საქართველო-
ისა—იმერეთი (ქუთაისის გუბერნია) დღეს
გულწრფელად დღესასწაულობს თქვენს არ-
ჩევას. დიდი და პატარა, მოხუცი და ყრმა,
ერი და ბერი—ყველა ერთად, შეთანხმე-
ბულად ლიტანიობს. ამ ლიტანიას წინ მი-
უძღვის მომავალი იმედები და უკან მოს-
დევს თქვენი ქვეყნისადმი ნამსახური, დიახ
გულწრფელად დაფასებული. ამგვარი პა-
ტივი თქვენთვის პირველი არ არის და
უცხო; პატივი და სიყვარული მოძმეთაგან

არასოდეს არ დაგაკლებთ, მაგრამ დღევანდელი კი უფრო მეტია და საორკეცო თავისის საგნით: აქ ჩვენ ვხედავთ საიმედო ნიშნებს მომავლისას; დღეს ჩვენი იმერთა ერთი სიყვარულით გეგებებათ თქვენ—უკეთეს მამულისშვილთაგანს. მიუხედავად ადგილისა და გვარტომობისა, საიდანაც უნდა იყოს, რომელი კუთხიდანაც მთელის საქართველოსა, ის მაინც შეგნებულად მიგეგებებათ და სიყვარულით მიგიღებთ, როგორც მამას, ძმას და საკუთარ შვილს. აი ეს არის ის პირველი, ახალი ნიბიჯი, რომელსაც მივეყვართ წარმატებისაკენ და რომელიც აორკეცებს და ამართლებს დღევანდელს ჩვენს სიხარულს... მიზეზი ამ სასიქადულო ნაბიჯის გამოწვევისა დღეს თქვენ ბძანდებით და ამისათვის ვისურვებთ თქვენს ხანგრძლივობას სრულის სიმართელით.“

აკაკი წერეთლის ზემომოყვანილი წერილი გამოაქვეყნა პროფ. შ. ჩხეტიამ. (იხ. „საისტორიო მოამბე“ ტ. III გვ. 405—406).

46.

1. **სოფრონ მგალობლიშვილი** (1851—1925) ცნობილი ბელეტრისტი, ხალხოსნური ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. თანამშრომლობდა ჟურნალ „იმედში“ და გაზ. „ივერიაში“. წერდა „გუნცაძის“ და „ერაძის“ ფსევდონიმით. მხატვრული ნაწარმოებების გარდა დაგვიტოვა მეტად საყურადღებო „მოგონებანი“.

2. ამ წერილის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ს. მგალობლიშვილი თავის „მოგონებებში“:

„1887 წ. მაისში—მოგვითხრობს იგი— „ივერიის“ № 92-ში დაიბეჭდა ჩემი ფელეტონი „რამე-რუმე“ (წერილ-წერილი ამბები). ამ ფელეტონში, სხვათა შორის, მოყვანილია შემდეგი სტრიქონები: „ახლა

ტფილისში რომ „ჰოი კვიცოს პოეზია“ და-
იბადა და ქუჩა-ქუჩა ხოტბას გაიძახიან კვი-
ცებისას რაჰველი მესტვირეები, განა ჩვენში,
ამ დალოცვილს გორში, „ქართლის მეთაუ-
რში“, აღარ იკითხავთ, თუ რა პოეზია დაი-
ბადა? ჰმ! ფას „ჰოი კვიცოს პოეზია“ და
ათასი სხვებიცა. გორულს ლექსს „ქალ-ვა-
ჟიანს“ ყველა პოეზია ენაცვალოს!“

ქალ-ვაჟიანი“ წარმოადგენდა მეტად უხამს პასკვილს,
მიმართულს რომელიღაც ქალისადმი. ანტონ ფურცელაძემ
დაარჩია ხმები ვითომც ეს ლექსი შეეხებოდა მარიამ კერე-
სელიძეს და ს. მგალობლიშვილის წინააღმდეგ ი. ჭავჭავაძე
საშინლად გაახელა. მაგრამ, როდესაც ა. ფურცელაძე დარ-
წმუნდა, რომ ს. მგალობლიშვილს სრულიადაც მ. კერესე-
ლიძე არ ჰყოლია სახეში, ურჩია ს. მგალობლიშვილს მიეწე-
რა „ივერიის“ რედაქციისათვის ახსნა-განმარტებითი ბარა-
თი, რომ „ივერიაში“ აღარ დაბეჭდილიყო მისი საწინააღმ-
დეგო წერილი, რომელსაც ილია ამზადებდა. ს. მგალობლი-
შვილმა მართლაც გაუგზავნა ასეთი ბარათი „ივერიის“ რე-
დაქციას 1887 წ. 4 ივლისს (იხ. საქ. სახ. მუზეუმის ფონდი
Q № 154/5, ან „მოგონებანი“ გვ. 135—136), მაგრამ ბა-
რათმა ილიას ვეღარ ჩაუსწრო და იმავე 4 ივლისს „ივერი-
ის“ 134-ე №-ში დაიბეჭდა მეთაური წერილი, რომელიც
ეხებოდა ს. მგალობლიშვილის „რამე-რუმეს“ და უხამს პას-
კვილს.

ს. მგალობლიშვილი საშინლად ააღელვა ამ წერილმა
და იმწუთშივე გამოგზავნა წერილი გორიდან „ივერიის“
რედაქციის (ილ. ჭავჭავაძის) სახელზე; მოგვაქვს ეს წერილიც:

4 ივლისი
1887 წ. გორი.

„ივერიის“ რედაქციას.

„ივერიის“ მეთაური წერილი, დაბეჭდილი № 134-ში,
წაკითხული არა მქონდა, როცა დავწერე მწარედ აღელვე-
ბულმა ის წერილი, რომელიც ცალკე გამოგზავნე გაზეთში
დასაბეჭდადა, უკეთუ რედაქცია უკანასკლად ნებას მომცემს

თავის მართლებისას. მაგრამ როცა „ივერიის“ მეთაური წავიკითხე, საშინლად გამაოცა, გამაოცა იმიტომ, რომ ის რედაქცია, რომელიც ჰქადაგობს მაღალ ზნეობას, ნამუსსა და პატიოსნების დაცვას, მე დანით მკლავს, ისეთ შეურაცყოფას მაყენებს, რომელსაც სახელი არ მოეძებნება არა რომელსამე ლექსიკონში. ბრალსა მდებთ იმისთანა საქმეში, რომელშიც არც ხორციით და არც სულით არავითარი მე დანაშაული არ მიმიძღვის. როგორა ჰგონია რედაქციას, განა მე იქნამდის ნამუსსზე ხელ-აღებული, იქნამდის ტვინდაბნეული, იქნამდის დაუნდობელი ვარ, იქნამდის არ ვაფასებ ძმობას, მეგობრობას, ჩემთვის ძვირფასს ადამიანებს, რომ განზრახ ჩავიდენდი იმ საქციელს, რომელშიაც რედაქცია ბრალსა მდებს? განა კალამს გავსვრიდი იმ ჩირქში, თუ მცოდნოდა პასქვილის შინაარსი, მცოდნოდა, თუ ვის შეეხებოდა იგი? რედაქციამ ისულსწრაფა—ბოდიშს ვიხდი, თუ გამწარებულს ზოგჯერ მწვავე სიტყვები წამომცდებდა—და არ მოითმინა ჩემგან ნამდვილი ამბავი შეეტყო ამ პასქვილის შესახებ. აქ პასქვილზე არას ვილაპარაკებ, რადგანაც პირველს წერილში ვრცლად მოხსენებულია მთელი საქმის გარემოება; მხოლოდ შევხები „ივერიის“ მეთაურსა, რომელიც, სხვათა შორის, მეც შემეხება.

„ივერიის“ № 134-ს მეთაურშია: „ყოველივე ეს გვათქმევინა, ერთმა შემადრწუნებელმა ამბავმა, რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს „ივერიაში“ ადგილი ჰქონია. ჩვენ მოგვივიდა ერთი მოთხრობასავით რაღაცა წერილი, საცა თურმე ჩამოთვლილია ზოგიერთი ამბავი ერთის ხელ-ნაწერის პასქვილიდამ ამოღებული. ჩვენ ვერ მიუხვდით ამ მოთხრობის აზრს და... ერთს საზიზღარს ცოდვაში ჩვენ, ჩვენდა უნებურად, მონაწილეობა მივიღეთ“. ცოტა ქვემოლ: „მაგრამ მაინც დიდად შემაწუხებელია, რა-კი შევიტყუეთ რაზედ არის აშენებული იგი მოთხრობა.“—ღმერთო შემიწყალე! რედაქციის ლაპარაკიდან ისე გამოდის, რომ მთელი ფელეტონი იმ აზრით არის სავსე, რათა ჩირქი დამეცხო პატიოსანი ქალისათვის, თუმცა კი ფელეტონში სრულებით სხვათა შორის არის მოყვანილი და ნახსენები ლექსი. თუ არ ახსოვს რედაქციას ის ბედუკუღმართი „მოთხრობა“, წაიკითხოს ხელ-მეორედ დასაწმენდლად იმისა, რომ „იგი მოთ-

ხრობა“ არ არის „აშენებული“ იმ აზრზედ, ე. ი. დედააზრი მისი არ არის იმაზედ დამყარებული, რომ ვისმეს განზრახ ჩირქი მოსცხოს. არც მისარგებლნია პასკვილით, რადგან იგი წერილობითად არ არსებობდა. მხოლოდ სიტყვიერად ლაპარაკობდნენ.

შემდეგ მეთაური წერილი ამბობს: „ჩვენ, ვიმეორებთ, ვერ მიუხვდით შინაგანს აზრს მოთხრობისას და იქ-კი საი-დამაც გამოგზავნილი იყო იგი მოთხრობა, ყველანი მიმხვდარან, რაც ამბავია“... როდის მიმხვდარან? მაშინ, როდესაც ჩემი მოთხრობა დაიბეჭდა, თუ დღეს, როდესაც ყველამ გავიგეთ საქმე რაშიც ყოფილა? რედაქციაც, მეც და აქაურებიც მაშინ მივხდით, როცა ანტონ ფურცელაძემ გითხრათ თქვენ და მე წერილი მომწერა თიბათვის 30-ს ამის შესახებ. იქნამდის ბავშვი არავინ არის, რომ ამისთანა ტურტლში ხელი გაესვარა და შეებღალა იმისთანა წმიდა წმიდათა, როგორიც არის რედაქცია.

მეთაური კვლავ ამბობს: „თურმე ნუ იტყვი, სდომე-ბიათ უბატიურად გაეხადნათ ნიშანში ამოღებულნი, ჯავრის ამოსაყრელნი გვამნი — და (ვითომ მე მდომებია იმისთანა ქალის ჯავრის ამოყრა, რომელზედ უკეთესი მეგობარი ჯერ არ შემიძენია ამ ოხერს ჭირიანს ქვეყანაში) ამით ხელნაწერად გავრცელებულ პასკვილისათვის გაზეთში გამოტარებულ სიტყვით ცოტათ თუ ბევრად გზა გაეხსნათ“. ვითომ რედაქციას ამისი თქმა უნდა, — მე გულით და სულით მსურდა გამეფრცელებინა ხალხში ლანძღვა გინება იმ მეგობრის, რომელიც დღესაც, ამ საქმის შემდეგ, ჩემზე უფრო სწუხს, ვინემ თავის თავზედა! ვითომ მე ვიცოდი, ხელთ მქონდა პასკვილი და განზრახ შეცთომაში შევიყვანე ის რედაქტორი, რომელიც ყველა ქართველისათვის თვალის ჩინია, შევბღალე და შევბილწე ის ტაძარი, ის წმიდა წმიდათა, რომელსაც რედაქციას ეძახიან და რომელიც ჩემთვის ყველა საუნჯეზე უძვირფასესია!! მაშ მე მე აღარ ვყოფილვარ! მაშ მე სოფრონი აღარ ვყოფილვარ და იმ დღეს რალაც მანქანებითა ეშმაკად და ქაჯად გარდავქმნილვარ!! აგერ ოცდათექვსმეტი წელიწადია ვსცხოვრობ ქვეყანაზე და ასეთი მეხი არსად დამტეხია თავზედ; ამ ხნის განმავლობაში იოტის ოდენადაც არ მიღალატნია სინიდისისათვის, საზოგადო საქმისათვის,

მეგობრობისათვის. ამას ჩემი მოსისხლე მტრებიც კი დაამტკიცებენ. დღეს კი „ივერიის“ სულსწრაფობის გამო, რომელიც—არვამბობ წინააღმდეგს—სამართლიანი გულის წყრომის ნაყოფია, მე უნამუსოც გავხდი, თუ ვყოფილვარ ეს აღარ ვიცი, უპატიოსნოც, სხვათა შორის, ქურდ-ბაცაცაც. მახლას! თურმე სიბერემდის კაცს სიქაჩლე სწერებია. რადგანაც რედაქციამ უნამუსო კაცად მიცნო, რომელიც ქურდულად იპარება და ჰბღალავს წმიდა ტაძარს სიტყვიერებისას, ამიტომ ვსწყვეტ „ივერიის“ რედაქციასთან ლიტერატურულს კავშირსა. რასაკვირველია ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ რედაქციას თავს ვამუნათებდე და ვყოყლოჩინობდე, რომ რაკი მე კავშირს გავსწყვეტ რედაქციას დედაბოძი გამოეცლება. არა! მე იმიტომ ვშორდები, რომ იქნება მართლა მავნებელი კაცი ვარ ლიტერატურისათვის და მე ვერ ვგრძნობდე.

მხოლოდ რაიც შეეხება ჩემს აგენტობას, პირნათლად გავუსწორდები რედაქციას, რომ ამაში მაინც უნამუსობა და ქურდბაცაცობა არავინ დამწამოს.

თქვენი უმორჩილესი **სოფრონ მგალობლიშვილი** (იხ. საქ. სახ. მუზ. ფონდი Q—154).

ასეთივე გულისწყრომით აღსავსე წერილი გაუგზავნა ს. მგალობლიშვილმა „ივერიის“ თანამშრომელს გ. ყიფშიძეს. (იხ. საქ. სახ. მუზ. ფონდი Q—154(4). „ივერიის“ რედაქციაში სამივე წერილი ერთდროულად მივიდა. ი. ჭავჭავაძის მიერ მიწერილი წერილი ს. მგალობლიშვილისადმი 1887 წ. 9 ივლისს, სამივე წერილის პასუხს წარმოადგენს.

„ამ მიწერ-მოწერის შემდეგ,—მოგვითხრობს ს. მგალობლიშვილი,—მე კვლავ განვაახლე თანამშრომლობა „ივერიაში“; როცა პირადად შეეხვდი (ილიას ი. ბ.), მაშინ ორთავენი გამოვტყდით, რომ ანტონმა შეგვიყვანა შეცდომაში„-ო („მოგონებანი“ გვ. 145).

3. იგულისხმება გაზ. „ივერია“. „ივერია“ დაარსდა 1877 წელს. მარტში გამოვიდა მისი პირველი ნომერი, რედაქტორობდა ი. ჭავჭავაძე. 1877—78 წ. წ. „ივერია“ წარმოადგენდა ყოველკვირეულ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთს, ხოლო 1879 წელს გადაკეთდა თვიურ ჟურნალად. 1880 წ. გამოდიოდა სამთვიურ კრებულად, როგორც გაზ.

„დროების“ დამატება. 1881 წლიდან გამოდიოდა თვეში ერთხელ. 1885 წ. მთავრობამ „დროება“ დახურა. ამით ისარგებლა ი. ჭავჭავაძემ და 1886 წლიდან „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადააქეთა. გაზეთი საბოლოოდ დაიხურა 1906 წ.

47.

1. **მარჯორი უორდროპი** (1869—1909). ინგლისელი მწერალი ქალი. ქართული ენისა და ლიტერატურის მოყვარული და პატივისმცემელი. მ. უორდროპმა საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა. 90-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში. ქართულიდან ინგლისურად თარგმნა და გამოსცა „წმ. ნინოს ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ხალხური ზღაპრები, სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“. მანვე ინგლისურად თარგმნა და გამოსცა ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“ მ. უორდროპს „განდეგილის“ გამოცემის ნებართვა უთხოვია ი. ჭავჭავაძისათვის. მოგვყავს უორდროპის წერილი სრულიად უცვლელად.

8 სექტემბერი 1894.

მოწყალეო ხელმწიფე!

ინგლისურად თარგმანი ვჰქმენ თქვენსა „განდეგილსა“, რომელსა უკეთესისა ლექსისა თქვენი მშვენიერი ენაში, რომ მე ვკითხვე, და რომელსა ქონება ყველას მწერლობას დიდება უნდა იყოს.

მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის სიამოვნება, რომელიც მე ამ ლექსმა მაგრძნობინა ამისათვის ვჰკადრებ თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი თარგმანი გამოცემად.

ვსცადე სიტყვით სიტყვითად მას გამოთქმა, მაგრამ ბევრი მისი მშვენიერება უნდა იყოს, საჭიროდ დაკარგული უცხო თარგმანში.

ჩემი ძმა დიდი პატივი ჰქონდა, რაოდენმე წელიწადნი უკან ტფილისში, თქვენი გაცნობა ქმნა, და მე დიდი იმედი მაქვს, რომ მეც მაგასთან მალე მოვალ საქართველოში, ქვეყანა რომელკენ მე გულწრფელი სიყვარული ვჰგრძნებ, და

სურვილი მაქვს რომ მერე მე შევქსძლებ პირდაპირ გამოთქმა უღრმესი პატივისცემა თქვენის ნიჭისათვის და დიდებულის მსახურობისათვის მიცემული საქართველოსათვის.

მე ვარ ბატონო, მომლოდინე ჩემთვის სასიხარულო ნებისა. თქვენი პატივისმცემელი

Marjory Wardrop.

(იხ. საქ. სახ. მუზეუმი ფონდი A: 172017).

ი. ჭავჭავაძის ზემო მოყვანილი წერილი წარმოადგენს მ. უორდროპის ამ წერილის პასუხს.

2. იგულისხმება **ოლივერ უორდროპი**—მარჯორი უორდროპის ძმა, დიპლომატი. იმოგზაურა საქართველოში. ამ მოგზაურობის შემდეგ დაწერა საყურადღებო შრომა: „საქართველოს სამეფო“ ო. უორდროპს ახლო ნაცნობობა ჰქონდა ი. ჭავჭავაძესთან.

48.

1. **ალექსანდრე ნანეიშვილი** (1857—1904). პუბლიცისტი და ჟურნალისტი. უმაღლესი განათლების მისაღებად წავიდა პეტერბურგში და მოეწყო მედიკო-ქირურგიულ აკადემიაში, მაგრამ კურსი არ დაუსრულებია. 1881—1883 წ. წ. თანამშრომლობდა ჟურნ. „იმედში“, 1883 წ. მთავრობამ დააპატიმრა, როგორც ხალხოსნური მოძრაობის მონაწილე და სემიპალატინსკში გადაასახლა. გადასახლებიდან დაბრუნდა 1887 წ. და განაგრძო პუბლიცისტური მუშაობა „ივერიაში“ და „ნოვოე ობოზრენიეში“. წერდა უმთავრესად „ა. ნალი“-ს ფსევდონიმით. მსახურობდა ქუთაისში სათავადაზნაურო ბინკის შემფასებლად, ხოლო შემდეგ შავიქვის მრეწველთა საბჭოს მდივნად.

2. იგულისხმება ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკი.

50.

1. **ლასხიშვილი გიორგი** (1866—1933). პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. ი. ჭავჭავაძის მიერ მიწვეულ იქნა „ივერიაში“, სამუშაოდ 1895 წ. დავით მიქელაძის (მეველე) რედაქციიდან გასვლის შემდეგ. ამის შესახებ გ. ლასხიშვილი თავის მემუარებში მოგვითხრობს:

„მეორე თუ მესამე დღეს ილიამ დამიბარა და გამომიცხადა:

— თქვენი საქმე სრულიად მოულოდნელად გათავდა; დღეს დილით ჩემთან იყო დავით მიქელაძე და „ოტსტავკა“ შემოიტანა, აღარ შემიძლიან გაზეთის საქმის წარმოება, პირადი საქმეები მაქვს, ქუთაისში უნდა გადავსახლდეო. ამნაირად თქვენ დარჩებით რედაქციის გამგედ და როგორც გინდათ, ისე მოაწყვეთ საქმე. მე თქვენი ფული არ მინდა, წარმოადგინეთ ხარჯთ-აღრიცხვა და მე კიდევ დავადებ რამდენიც დაგჭირდებათ ჰონორარებს, მხოლოდ იქონიეთ მხედველობაში, რომ ეს ფული მე ჩემი ჯიბიდან უნდა გავიღო და ძალიან არ გაადიდოთ ხარჯებიო...

მე მაშინვე შევუდექი ივერიის განახლებისათვის ზრუნვას... მივწერე წერილები ქუთაისში გიორგი ზდანოვიჩს (მაიაშვილს. ი. ბ.) და ალექსანდრე ნანეიშვილს...

ქუთაისიდან მალე მივიღე პასუხი გიორგი ზდანოვიჩისაგან. იგი კმაყოფილებას აცხადებდა, რომ „ივერიის“ გამგებლობა ჩემ ხელში გადმოვიდა. თავისი და ალექსანდრე ნანეიშვილის სახელით პრინციპიალურ თანხმობას მიცხადებდა გაზეთში მუშაობაზე, მხოლოდ უმატებდა: მე და ალექსანდრე (ნანეიშვილი) მოკლე ხანში ჩამოვალთ ტფილისში და იქ ერთად მოვილაპარაკოთ გაზეთის საქმეებზე და სვე-ბედზეო“ (იხ. გ. ლასხიშვილის „მემუარები“ გვ, 105—106).

აღ. ნანეიშვილმა თბილისში გაზეთს ველარ ჩამოუსწრო, რადგან 1896 წ. ცენზურამ ია ეკალაძის ფელეტონების გამო „ივერია“ რვა თვით დახურა. გაზეთი განახლდა 1894 წლიდან ალექსანდრე სარაჯიშვილის ფაქტიური რედაქტორობით.

51.

1. ილ. ჭავჭავაძის ეს წერილი შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია: 1897 წელს ბერძენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურებმა კუნძულ კრიტოსზე აჯანყება მოახდინეს თურქების ბარბაროსული მპყრობელობის წინააღმდეგ. პეტერბურგის ქართველმა სტუდენტობამ გადაწყვიტა ათინელი სტუდენტებისათვის გაეგზავნათ თანაგრძ-

ნობის წერილი, ან დეპეშა, მაგრამ მათ ამ ნაბიჯის გადადგ-
მა ვერ გაბედეს, ვიდრე ქართველი ავტორიტეტული პირე-
ბის აზრსა და რჩევას არ მოისმენდნენ. ამიტომ პეტერბურ-
გის ქართველმა სტუდენტობამ წერილი გამოუგზავნა ი. ჭავ-
ჭავაძეს, გ. წერეთელს და სხვებს.

აქ მთლიანად მოგვაქვს ქართველი სტუდენტების წერი-
ლი ილიასადმი, როგორც საუკეთესო დოკუმენტი პატრიო-
ტული გრძნობით გაჟღენთილი ქართველი ახალგაზრდობისა
და როგორც საბაზი ი. ჭავჭავაძის წერილისა ქართველი
სტუდენტებისადმი.

22 მარტი 1897 წ.
პეტერბურგი.

„ივერიის“ რედაქციას!

„კრიტოსი და საბერძნეთი!“ გაისმის ერთგან,—„კრი-
ტოსი“ და „ოსმალეთიო!“ გაისმის სხვაგან და ბოლო დროს
მთელი დედამიწის ზურგი, განათლებულ ევროპიდამ მოკი-
დებული, მხოლოდ იმის გონებაშია, თუ ერთის მხრით შე-
ვიწროვებულ, მაგრამ სულით ძლიერთა კრიტოსელთა, მას-
თან ბერძენთა და მეორეს მხრივ ბრიყვ, თავხედი და შეუგ-
ნებელ ოსმალთა საქმე რით დაბოლოვდება. კრიტოსელნი და
ბერძენნი—ეს განუყრელი ძმანნი, რომელთაც ესდენ დიდი
ძალა შესწევთ, რასაკვირველია სულიერი და არა სხვა (თო-
რემ ევროპის ძლიერ სახელმწიფოთა ჯარებს რა გაუმაგრ-
დებოდა?) საგმირო მოედანზედ გამოსულან, ევროპის წინაშე
ეროვნული თავისუფლების დროშა აღუმართნიათ და სა-
ყოველთაოთ აღიარებენ: „ერის თავისუფლებას პატივი
ეცით“-ო! ამათ თანაუგრძნობს ევროპის საზოგადო აზრი,
ძმურად ხელს უწვდის და გამარჯვებას უნატრის; ამხნევეს
და აათქეცებს გმირთა სიყვარულს თავისუფლებისა მიმართ,
რომლის პატივიც შეუგნებელმა და ბარბაროსმა ოსმალთა
ჯერ არ იცის, მაგრამ საზოგადოების აზრს პოლიტიკის
ბორკილი ადევს და ხელ-ფეხი შეკრული აქვს. უკეთეს მდგო-
მარეობაში არც ევროპის სახელმწიფოთა მმართველნი არიან,
გარდა ერთისა!... და ვგონებთ სწორედ ის ერთია მხოლოდ
მიზეზი რომ დღეს დიდი სახელმწიფონი სასაცილო თვალ-
ხუჭუნობას თამაშობენ. იმავე დროს-კი საზოგადოების აზრი,

სინილისი და სამართლიანობა მოსვენებას არ აძლევენ! ერთი სიტყვით დღეს მთელი ევროპის თანაგრძნობა მიმართულია საბერძნეთისაკენ, რომელიც ეროვნულს პრინციპს შევიწროვებულ ერთა თავისუფლებას საქვეყნოდ აღიარებს და მაგალითს გვიჩვენებს, თუ თავგანწირვა და სიკვდილი როგორ უნდა ამ საქვეყნო მადლის სადიდებლად.

დიდს სახელმწიფოებს, რომელთაც ერთის დამთქნარებით შეუძლიან საბერძნეთის მიწასთან გასწორება, ამ საზარელს ვეშაბი ბრძოლის საქმეებში, არ უფრთხიან ბერძნები და წარბ—შეუხრელად იმეორებენ: „ერი ერს ან არა და სიკვდილი“-ო! შემკრთალნი მთავრობანი ამ სამართლიანის მცნების წინაშე მორცხვენით ღუნავენ თავს და ჯერჯერობით მხოლოდ უაზროდ იფათურებენ ხელებს; კრთიან, მაგრამ სულ სხვა მიზეზით... აზრი საზოგადოებისა უკვე ცნობილია და ამ აზრს უერთდება ყველა, ვის ყურამდის კი კრიტოსის შვილების ამბავს მოუხწევია. ამ დიდებულს ხმას ერთა თავისუფლებისას ბანს აძლევენ ყველა ისინი, ვინც კრიტოსელთაებრ სხვის უღლისა ქვეშ ქედს იხრიან. მაგრამ მოვა დრო და ევროპა სულ სხვა სამართლის გზას დაადგება და აღიარებს ერთა თავისუფლებას.

[...] მის პეტერბურგის ქართველმა სტუდენტობამ გარდაწყვიტეთ: გაუგზავნოთ ბერძნებს (ათინელს სტუდენტობას) თანაგრძნობის წერილი ან დეპეშა და ამით ნათელვკყოთ, რომ ჩვენთვისაც ისთე ძვირფასია თავისუფლება, როგორც კრიტოსელებისათვის, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გაგვიგზავნია, რადგან გვსურდა დაგკითხოდით, თუ თქვენ რა აზრის ბრძანდებით ამ საგნის შესახებ და მეორეც უკეთესი იქნებოდა მთლად ყველა ქართველი სტუდენტობისაგან გაგზავნილიყო ასეთი თანაგრძნობის წერილი. ჩვენ სტუდენტებისაგან პასუხს მალე შევიტყობთ; გთხოვთ თქვენც ნუ დაგვიგვიანებთ პასუხს. ამასთანავე გვაცნობეთ რა მოსაზრებით იხელმძღვანელებთ საგნის გადაწყვეტის დროს. ეს ჩვენთვის აუცილებელი საჭიროა.

ამასთან გიგზავნით პირს იმ წერილისას თუ დეპეშისას, რომელიც განზრახულია გაიგზავნოს.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი პ-გის ქართველი სტუდენტობა.

ბასუხი ამ ადრესით: СІВ Екатириноѳскій пер. 15,
КВ. 6. ვიქტორ კალანდაძეს“.

სამწუხაროდ, ათინელი სტუდენტებისათვის გასაგზანი
წერილი არ შენახულა.

52.

1. ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე (1865—1919) პედა-
გოგი და საზოგადო მოღვაწე. 1888 წელს დაამთავრა ხონის
საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარია და იმავე წლის სექ-
ტემბერში დაინიშნა წყალტუბოს სკოლის მასწავლებლად.
წყალტუბოდან იგი გადაიყვანეს წინამძღვრიანთ-კარის სა-
სოფლო-სამეურნეო სკოლაში, ხოლო 1892 წ. კავკავის სკო-
ლის მასწავლებლად მიიწვიეს. 1906 წლიდან ლ. ბოცვაძე
გადაყვანილ. იქნა თბილისის ქართულ გიმნაზიაში, სადაც
მასწავლებლობდა სიკვდილამდე.

სამწერლო ასპარეზზე ლ. ბოცვაძე გამოვიდა 1893 წ.
მისი პირველი წერილი „პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო
სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ“, დაიბეჭდა ჟურნ.
„მწყემსში“ (1893 წ. № 5—6, 8, 10, 12, 13, 14, 20 და 21).
იგი თანამშრომლობდა აგრეთვე „ივერიაში“, „მოამბეში“,
„Вестник воспитания“-ში და სხვა... 1908 წ. დააარსა ყო-
ველთვიური სამეცნიერო, პედაგოგიური და სალიტერატურო
ჟურნალი „განათლება“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი
თვითონვე იყო.

ლ. ბოცვაძე ი. ჭავჭავაძესთან, ი. გოგებაშვილთან და
სხვებთან ერთად სასტიკად ილაშქრებდა რუსიფიკატორული
პოლიტიკის წინააღმდეგ ქართულ სკოლებში. ი. გოგებაშვი-
ლის გარდაცვალების შემდეგ იგი ხელმძღვანელობდა გოგე-
ბაშვილის სახელმძღვანელოების გამოცემას. მოკლე ნარკვევი
ლ. ბოცვაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გამოა-
ქვეყნა არკ. ხუნდაძემ 1944 წ.

2. წერილს ხელს აწერს აგრეთვე წერა-კითხვის გამავ-
რცელებელი საზოგადოების მდივანი დ. კარიჭაშვილი.

53.

1. ლ. ბოცვაძის რეცენზია საბავშვო ჟურნალ „ჯიჯილზე“
(1898 წლის № 1) დაიბეჭდა „ივერიაში“ 1898 წ. № 54.

ლ. ბოცვაძემ ერთგვარად შეასრულა ილ. ჭავჭავაძის

თხოვნა და 1898—1899 წ.წ. განმავლობაში „ივერიის“ ფურცლებზე მოათავსა ოთხი წერილი ჟურნ. „ჯეჯილის“ შესახებ. (იხ. „ივერია“ 1898 წ. № 78, 1899 წ. №№ 3 და 22).

54.

1. ანთიმოზ ივანეს ძე **ჯუღელი**—მასწავლებლობდა გასული საუკუნის 70—80-ან წლებში. მისი რედაქტორობით გამოვიდა პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი „წყარო“ 1881 წ. მანვე შეადგინა ქართული ანბანი (სახელმძღვანელო) და ქართული წერის დედანი.

სოხუმის ქალაქის თავის არჩევნებთან დაკავშირებით ა. ჯუღელი შესაფერისი კანდიდატის შერჩევის მიზნით წერდა ილ. ჭავჭავაძეს:

1899 წ. აპრილის 22 დღეს.

თქვენო ბრწყინვალეზავ!

დიდად-პატივცემულო,

ბატონო ილია გრიგოლის ძეგ!

ქრისტე აღსდგა! გისურვებ მრავალს ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომას დასწრებოდეთ... ამასთანავე ბოდიშს ვიხდი, რომ უამისოდაც მრავალ საქმით დატვირთულ კაცს, როგორც თქვენ ბრძანდებით, ამ წერილით მოგმართეთ და გეგვწებით ქვემოთ აღნიშნულ კითხვის პასუხს.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ თუ რა ცუდ პირობებშია ჩაყენებული ქ. სოხუმი და აქ მცხოვრები ქართველნი. დღეს ღმერთმა იწება და როგორც იყო, თვით-მართველობის შემოღების ღირსი გავხდით. ხმოსნებით უმეტესობა ჩვენები არიან, მაგრამ ესენი რის მაქნისი იქნებიან, თუ ქალაქის თავი ჩვენებური რიგიანი კიცი არ იქნა. ამის გულისათვის ჩვენ გვსურს თავად გვყავდეს **კარგი, როგორც ჭკუა-გონებით ისე მოქმედებით, მხნე და გამოცდილი კაცი**. ამას აქ ბევრი საქმეც ექნება. ბევრის თათბირის შემდეგ ჩვენ აქაური ქართველობა შევჩერდით ალექსანდრე სარაჯიშვილზე, რომელიც ამჟამად განჯის საგუბერნიო სამმართველოში მსახურებს და გადავსწყვიტეთ დაგეკითხოთ თქვენც ამ კაცის შესახებ,

რამდენად სასარგებლო იქნება იგი ჩვენთვის აქ. უკეთუ მიიღებთ შრომას ჩვენ საპასუხოდ იმ შემთხვევაში გთხოვთ ბარათი ჩემს სახელზე გამოგზავნათ სოხუმში. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამ ჩვენს თხოვნას უყურადღებოდ არ დააგდებთ და რაც შეიძლება დაჩქარებით გვაცნობებთ ყველაფერს, რადგანაც თავის სარჩევლად ძლიერ ცოტა ხანილა დაგვრჩა. ამ მცირე ბარათში მეტიმეტად ძნელია სოხუმის აწმყო და მომავალი დაგისურათოთ, ამიტომ ამ ბარათს ამით ვასრულებ და იმედოვნებ ვარ გულახდით გვირჩევ ჩვენი თხოვნის შესახებ.

მარად თქვენი პატივისცემელი და თქვენი დღეგრძელობის მსასოებელი

ანთიმოზ ივანეს-ძე ჯუღელი

ადრესი В Сухуми, Антимозу Джугели.

2. **ალექსანდრე ხარაჯიშვილი** (1851—1914),—საზოგადო მოღვაწე მკვლევარი. 1897 წლიდან ხელმძღვანელობდა გაზ. „ივერიას“.

55.

1. **კოლა ერისთავი**, ილ. ჭავჭავაძის მეგობარი, იყო დისწული ნიკ. ბარათაშვილისა. მეცენატი, დეკლამატორი; იმოგზაურა ევროპაში. პირველად მისი თანხით გამოიცა ნ. ბარათაშვილის თხზულებანი. განცხადება ზემდგომ ორგანოებში განჯიდან თბილისში ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების შესახებ კ. ერისთავმა და გრ. ორბელიანმა შეიტანეს, როგორც მახლობელმა ნათესაებმა.

61.

1. **ნიკო ხიზანაშვილი** (1851—1907) პუბლიცისტი, ისტორიკოსი, იურისტი და საზოგადო. მოღვაწე. 1870 წ. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, ხოლო 1876 წ. ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მსახურობდა ზანგეზურის რაიონის სოფ. გერიუსაში, ცხინვალში, სურამში, თიანეთში და ბოლოს თბილისში. 1879 წლიდან

გაზ. „დროებაში“ დაიწყო თავისი პირველი იურიდიული გამოკვლევის ბეჭდვა, სათაურით „ძველი ქართული ოჯახი“. 80-იან წლებში ნ. ხიზანაშვილი ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთ აქტიურ წევრად ითვლებოდა და ენერგიულად თანამშრომლობდა ხალხოსნების ორგანო „იმედში“. 1889 წლიდან იგი გახდა „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი. წერდა როგორც პუბლიცისტიკურ წერილებს საქართველოს საკირობოროტო საკითხებზე, ისევე ნაშრომებს საქართველოს ისტორიიდან და ეთნოგრაფიიდან. მისი ფსევდონიმები იყო „ურბნელი“ და „plebs“. მის კალამს ეკუთვნის მრავალი საყურადღებო ეთნოგრაფიული ნაწერები, რომელიც 1940 წ. გამოიცა გ. ჩიტაიას რედაქტორობით.

ნ. ხიზანაშვილი მეტად დაახლოებული იყო ი. ჭავჭავაძესთან. ი. მანსვეტაშვილი თავის მოგონებებში გადმოგვცემს:

„ჩემ დროს ყველაზე მეტად შელაზღანდარებული იყო ილიასთან ნიკო ხიზანაშვილი, კაცი ენაწყლიანი, სიტყვამოსწრებული, კარგი მოსაუბრე, ოხუნჯი, ამასთან ჭკვიანი, კარგად განათლებული და ბევრი ნაკითხი. სხვებისაგან ილია თუ წკიპურტს არ მიიკარებდა, მისგან ბევრს ითმენდა“-ო.

1907 წელს ნ. ხიზანაშვილი ვილაც უცნობმა მოკლა ქუჩაში.

62.

1. გ. ყიფშიძე—იხ. 66 წერილის 1 შენიშვნა.

2. საშა—ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი) (1862—1916), გ. ყიფშიძის ძმა. 1888 წ. დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1884 წ. 1889 წლიდან შეიქმნა „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი. მას ეკუთვნის საყურადღებო ისტორიული მონოგრაფიები: „მთიულეთი 1804 წ.“, „დიდებული მესხეთი“, „ამბოხება კახეთისა 1812 წ.“ „მთის არწივი შამილი“ და სხვ ..

1. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ფონდი A:1720,2) დაცულია გრიგოლ საყვარელიძის წერილი ი. ჭავჭავაძისადმი, რომელსაც ასე აღუშფოთებია პოეტი. მოგვაქვს ეს წერილი მთლიანად:

დიდათ პატივცემულო თავადო
ილია გრიგოლის ძე!

ეს მეოთხედი საუკუნეა, რაც მე თქვენი თაყვანისმცემელი ვარ, მაგრამ შემთხვევა არ მქონდა დამემტკიცებინა და მეც ვალი მიმელო თქვენგან; აი ეხლა მეძლევა შემთხვევა და ვსარგებლობ ამით, რომ პატარა ხარკი დაგადოთ. როგორც პროგრამიდანა სცნობთ, მე პეტერბურგში მივდივარ კონსერვატორიაში სასწავლებლად, რკინის გზის უფროსი ბ. ივანოვსკი ხელს მიმართამს და სამსახურში იქ გადავყევარ.

ეხლა სანიმუშო კონცერტს ვმართამ ბათუმში, ფოთში და ქუთაისში, რისთვისაც დახმარება მინდა ბილეთების გასყიდვაში.

თუ ამ წარმოგზავნილს ბილეთებს იწებებთ, გთხოვთ იგი ფულთანვე უკან დამიბრუნოთ, რომ მარკის ფული არ გადამხდევინონ.

გ. საყვარელიძე
Садовая ул. 290,
Г. Сакварелидзе.

ქ. ბათომი 17/IV

1. **გრიგოლ თეოდორეს ძე ყიფშიძე** (1859—1923) ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. ერთ დროს მასწავლებლობდა გორის მაზრაში და ეწეოდა ხალხოსნური აზრების პროპაგანდას გლეხობაში. თანამშრომლობდა ჟურნ. „იმედში“, შემდეგ „დროებაში“. თბილისში გადმოსვლის შემდეგ მუშაობდა ქართულ თეატრში მოკარნახედ. 1886 წ. როდესაც „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, გ. ყიფშიძე მიიწვიეს

ჩედაქციის მდივნად. იგი ითვლებოდა საუკეთესო სტილის-
ტად და მთარგმნელად. მისი წერილები ისტორიისა და კულ-
ტურის საკითხებზე გაფანტულია „ივერიაში“ და „მომბეში“.
მიხ. გედევანიშვილის მიერ გამოცემულ ი. ჭავჭავაძის I ტომს
(1914 წ.) დართული აქვს გ. ყიფშიძის მიერ შედგენილი
ილიას ვრცელი ბიოგრაფია. (გ. ყიფშიძის შესახებ იხილე
ს. ხუნდაძის „სოც. ისტ. საქართველოში“ ტ. II. ს. მგა-
ლობლიშვილის „მოგონებანი“ და ი. მანსვეტაშვილის „მე-
მუარები“, აქვე. ლ. ასათიანის შენიშვნები გვ. 255).

2. პოემა „გოგოთურ და აფშინა“ დაიბეჭდა „ივერიაში“
1887 წ. № 181.

67.

1. ანასტასია თუმანიშვილი—წერეთლისა (1849—1932).
საბავშვო მწერალი და საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილი“-ს რე-
დაქტორ—გამომცემელი. 1893 წლიდან თავის მეუღლესთან,
გიორგი წერეთელთან ერთად სცემდა ყოველ კვირეულ პო-
ლიტიკურ-ლიტერატურულ გაზეთ „კვალს.“ 1884 წელს მისი
ინიციატივით თბილისში დაარსდა მასწავლებელ და აღმზრდელ
ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოება და სახალხო
ბიბლიოთეკა.

68.

1. მაჩხანელი—დიმიტრი ნადირაძე (1861—1903). საზო-
გადო მოღვაწე, პოეტი, პუბლიცისტი თანამშრომლობდა
„ივერიაში“, აკაკის „ქრებულში“ და „ცნობის ფურცელში.“
ეკუთვნოდა ხალხოსნურ მიმართულებას.

69.

1. ილია სერებრიაკოვი იგივე ოქრომჭედლიშვილია.

70.

1. ლაპარაკია გრიგოლ გველესიანის წერილზე, რომელიც
ავტორს 1890 წლის 31 იანვარს გამოუგზავნია ილ. ჭავჭავა-
ძისათვის „ივერიაში“ დასაბეჭდად. წერილი გაზეთში არ
დაბეჭდილა და არც ავტორაფს მოუღწევია ჩვენამდე.

1. **ნიკოლოზ ზეზელეს ძე ცხვედაძე** (1845—1911) პედაგოგი, სახალხო განათლების დიდი მოამბა. 1865 წ. დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია და უმაღლესი განათლების მისაღებად გაიგზავნა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, სადაც 1870 წ. დაიცვა დისერტაცია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ამავე წელს იგი დაინიშნა მასწავლებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში. ნ. ცხვედაძე მთელი 40 წელი დაუღალავად ემსახურა ქართველ საზოგადოებაში კულტურისა და განათლების დანერგვისა და გავრცელების საქმეს. იგი იყო ქ. შ. წერაქითხეის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი. მისი ხელმძღვანელობით აშენდა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა. ნარკვევი ნ. ცხვედაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გამოაქვეყნა ვ. ქაჯაიამ 1946 წ.

2. 1900 წელს ი. ქავკაძემ დაიწყო ავადმყოფობა. გული აწუხებდა პოეტს. ივნისის პირველ რიცხვებში სოფ. საგურამოში ილია გულდასმით გასინჯა ექიმმა ნიკ. ჯანდიერმა. პოეტს გულის ასთმა და სკლეროზი აღმოაჩნდა. მეგობრებისა და ექიმების რჩევით ილია იმავე წლის ივნისის შუარიცხვებში გერმანიაში გაემგზავრა სამკურნალოდ. ამ შემთხვევით ისარგებლა ილიამ და საფუძვლიანად დაათვალიერა გერმანია და ავსტრია. საქართველოში ილია 3—4 თვის შემდეგ დაბრუნდა თითქმის სავსებით გამოჯანმრთელებული.

3. **ლეიდანო**—პროფესორი, ექიმი თერაპევტი, რომელიც მკურნალობდა ილიას ბერლინში საკუთარ კლინიკაში.

4. **ლათიკო სარაჯოვი**—**ლავით სარაჯიშვილი**; 1871 წელს დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი და მიიღო ქიმიის დოქტორის ხარისხი. საფუძვლიანად შეისწავლა მეურნეობა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ (80-იან წლებში) ხელი მიჰყო კონიაკისა და სპირტუელობის წარმოებას. მოგების დიდ ნაწილს იგი ახმარდა სხვა და სხვა კულტურულ საქმიანობას. დ. სარაჯიშვილის ბინა წარმოადგენდა ერთგვარ ლიტერატურულ სალონს, სადაც თავს იყრიდნენ ქართველი

მწერლები და იმართებოდა მათ ნაწარმოებთა კითხვა — განხილვა. 1882 წ. დ. სარაჯიშვილის ბინაზე იქნა წაკითხული ილიას მიერ პოემა „განდეგილი“, ხოლო 1887 წ. „ოთარაანთ ქვრივი“.

დ. სარაჯიშვილი გარდაიცვალა 1911 წ.

5. **ეკატერინე ივანეს ას. ფორაქიშვილი**, დ. სარაჯიშვილის მეუღლე.

6. **ლევან ჯანდიერი**, ილიას სკოლის ამხანაგი, მსახურობდა ჯერ თბილისის მაზრის, ხოლო შემდეგ სოხუმის ოლქის უფროსად.

7. **ქრისტეფორე იოსების ძე მამაცაშვილი** — გენერალი.

8. **იაკობ ხვიმონის ძე გოგებაშვილი** (1840—1912) გამოჩენილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი და ლიტერატურის კრიტიკოსი. მან შეადგინა ცნობილი სახელმძღვანელოები „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „Русское слово“ და სხვა, რომლებზედაც მრავალი თაობა აღიზარდა (დაწვრილებით იხ. დ. კასრაძის „ი. ს. გოგებაშვილი“ (ბიოგრაფია), 1940 წ. თბილისი და ი. გოგებაშვილის რჩ. ნაწერები ტ. II ზ. კიკნაძის მიერ შედგენილი ი. გოგებაშვილის ბიოგრაფია).

9. **ლეისტო არტურ** (1852—1927) გერმანელი მწერალი, ჟურნალისტი. დაიბადა ბრიუსელში. შეისწავლა ქართული ენა და 1884 წ. ი. ჭავჭავაძის და ივ. მაჩაბლის დახმარებით გერმანულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რაც 1890 წ. გამოიცა დრეზდენში. ლეისტმა გერმანულად თარგმნა აგრეთვე ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, რაფ. ერისთავის და სხვათა ლექსები, რომელიც 1887 წ. ცალკე კრებულის სახით გამოსცა ლაიპციგში სახელწოდებით „ქართველი პოეტები“. 1904 წ. დრეზდენშივე გამოაქვეყნა საყურადღებო შრომა: „ქართველი ხალხი“, რასაც გამოეხმაურა საფრანგეთის, იტალიისა და ინგლისის პრესა. ქართულ ენაზე ა. ლეისტის შრომა საქართველოს შესახებ დაიბეჭდა ორ ტომად („საქართველოს გული“ წ. I 1923 წ. და წიგნი II 1927 წ.).

1923 წ. საბჭოთა ხელისუფლებამ ა. ლეისტს 40 წლის მოღვაწეობის იუბილე გადაუხადა. დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

10. ტ. ქიქოძე—საგუბერნიო ექიმი, რომელიც მკურნალობდა ილიას.

80.

1. ალექსი გულისაშვილი—მღვდელი, ცხოვრობდა ერწოში.

81.

1. მიხ. ჩიკვაძე—იხ. მე-9 წერილის მე-6 შენიშვნა.

2. პეტრე გრუზინსკი—საადგილმამულო ბანკის მოხელე.

3. ბაბაღე ბარათოვისა—ბარბარე გიორგის ასული ჩოლოყაშვილი.

82.

1. იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანი, გენერალი, ტასო აგლაბჯიოს ძმა.

2. სანდრო ორბელიანი—სამხედრო პირი, კაპიტნის ჩინით გამოვიდა სამსახურიდან და ხელი მიჰყო მამულის შემუშავებას.

3. ლიზო—ი. ჭავჭავაძის და ელისაბედი.

83.

1. ელისაბედ გრიგოლის ასული საგინაშვილი, ილიას და.

2. გრიგოლ ორბელიანი (1880—1883) პოეტი.

3. ლევან მელიქოვი—ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი (1817—1892) სამხედრო პირი, ნიკ. ბარათაშვილის ამხანაგი გიმნაზიიდან. იყო მთავარმართებლის მოადგილის თანაშემწე კავკასიაში. სახელმწიფო საბჭოს წევრი.

4. გიორგი ერისთავი—(ატამანი)—გიორგი ევსევის ძე ერისთავი. გენერალი, დიდ კნიაზად წოდებული. ერთ დროს იყო თავადაზნაურთა წინამძღოლად.

5. ივანე მუხრანსკი—იხ. 42-ე წერილის მე-6 შენიშვნა.

6. ალექსანდრე საგინაშვილი, ილიას დის ელისაბედის მეუღლე.

84.

1. ოლიკო—იგულისხმება ილიას მეუღლე.

2. ნიკო მანსვეტაშვილი—იაკობ მანსვეტაშვილის ძმა.

3. დიმატრი ვეზიროვი — დიმიტრი გიორგის-ძე ვეზირიშ-ვილი, ოსიაურელი მემამულე, გენერალი, ნიკ. ბარათაშვილის დის ბარბარეს მეუღლე.

85.

1. ილიას დუშეთში ყოფნის დროს დუშეთის მაზრის უფროსად მსახურობდა ივანე იაგორის ძე ზუბალაშვილი, რომელიც ოჯახით დუშეთში ცხოვრობდა. წერილში ილია მათ შესახებ წერს.

87.

1. ზალიკო — ზაალ ჭავჭავაძე, ილიას ნათესავი.

89.

1. იასე ჭავჭავაძე — მემამულე ყვარელიდან.

90.

1. ნიკო ჭავჭავაძე? —

2. წერილი დაწერილი უნდა იყოს 1873 წელს. სწორედ ამ წლის 29 იანვარს ი. ჭავჭავაძე სწერს კ. ლორთქიფანიძეს: „ნიკო ჭავჭავაძემ ბანკის თაობისა გამო მიმტროო“.

91.

1. რევაზ ანდრონიკაშვილი — გენერალი.

93.

1. მიხ. ჩიკვაძე — იხ. მე-9 წერილის მე-6 შენიშვნა.

95.

1. იასე — იასე ჭავჭავაძე.

99.

1. ეკატერინე გურამიშვილი — სტაროხელსკისა — ილ. ჭავჭავაძის მეუღლის ოლგას მკვიდრო და.

2. ცაცო, ზალიკო — თადეოზ გურამიშვილის შვილები, რომლებიც თადეოზს შეეძინა მეორე ცოლისაგან (მეორე ცოლად ჰყავდა დიასამიძის ქალი). როგორც ცაცო, ასევე

ზალიკო დეფექტურნი იყვნენ. მათ შესახებ. ი. მანსვეტა-შვილი წერს „ქალს (ცაცოს ი. ბ.) კიდევ ცოტაოდენი ნიშან-წყალი ედო ჰკუისა, აზროვნებისა, ვაჟი კი, ზალიკო, სრულიად გამოთავყვანებული იყო, ჰკუა შერყეული“ (იხ. ი. მანსვეტა-შვილის „მოგონებანი“ გვ. 158).

3. **დიმიტრი სტაროსელსკი**—გენერალი, ილიას ქვისლი (ეკატერინეს მეუღლე), მსახურობდა ბაქოს გუბერნატორად, შემდეგ კავკასიის მთავარმმართველის თანაშემწედ. მან დიდი როლი ითამაშა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების დამტკიცების საქმეში. (იხ. ლ. პ. ბერიას სახ. სოხუმის სახ. პედისტიტუტის შრომები ტ. IV ი. ბოცვაძე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების ისტორიისათვის“).

4. **კნენას ძმა დიასამიძე**—იგულისხმება თადეოზ გურამიშვილის მეორე ცოლის ძმა, ნიკო დიასამიძე.

100.

1. ეს წერილი ეკ. სტაროსელსკისადმი გამოაქვეყნა ა. იოვიძემ. (იხ. „საისტორიო მოამბე“ ტ. III გვ. 191—192).

101.

1. სამსახურებრივი მდგომარეობის გამო დიმ. სტაროსელსკის ოჯახითურთ ბაქოში მოუხდა ცხოვრება. მის მეუღლეს—ეკატერინეს მეტად მოეწონა ბაქო, რაც ჩანს ილიასადმი მიწერილი წერილებიდან. „ურჯულეთად“, რომელსაც ილია წერილში იხსენიებს, ბაქო იგულისხმება.

2. **ციმბარელი შალიკოვი**—იგივე იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილია, კახელი მემამულე, რომელმაც შემდეგ ცოლად შეირთო დიმ. სტაროსელსკის ქალი, ნინო.

102.

1. **მოსე ოტიახ ძე მემარნიშვილი** ილიას მოურავა იყო საგურამოში. იგი მოაკვლევინა დიმ. ჯაშმა 1907 წ. 7 ივნისს, რომ თვითონ დამდგარიყო ილიას მოურავად და უფრო

მოხერხებულად განეხორციელებინა ილიას მკვლელობა მეფის ოხრანკის დავალებით.

107.

1. **სანდრო**, ილიას მოურავი იყო საგურამოში.

111.

1. **ნოშრევან ჯაფარიძე**, ილიას მოურავად იყო ყვარელში.

112.

1. **კოშკი**, რომლის შესახებაც ამ წერილშია ლაპარაკი, კარგა ხანს იდგა ილიას სახლის ეზოში, ყვარელში. როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის განმავლობაში და ნაწილობრივ XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც, ხშირი იყო ლექთა თავდასხმა კახეთის სხვა და სხვა სოფელზე. ეს კოშკი ილიას წინაპრებს თავის შესაფარებლად აუგიათ. ილია განსაკუთრებით ზრუნავდა კოშკის დასაცავად დანგრევისა და გაფუჭებისაგან, რომელიც მისთვის საქართველოს ტანჯვის უტყვე მოწამეს წარმოადგენდა.

116.

1. **გიგო აფხაზი** ილიას მოურავად იყო ყვარელში.
2. **დუგანა და შარაბანი** ცხენების სახელებია.

117.

1. **გიორგი ჟურული** ბურჟუაზიულ ნაციონალისტური მიმართულების წარმომადგენელი იყო. თანამშრომლობდა „ივერიაში“, წერდა გ-ლის ფსევდონიმით.

2. **მიხაილოვი**—სახაზინო პალატის მმართველი.

3. **მიტო ჩოლოყაშვილი**—იგივე დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი, კახელი მემამულე.

4. **დოქტორი გედევანოვი**—ეჭიმი მიხეილ გედევანიშვილი, რომელმაც 1914 წელს გამოსცა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი ტომი.

5. ილიას მართლაც არ მოეშენენ და საქართველოს თავადაზნაურობამ იგი ერთხმად აირჩია სახელმწიფო საბჭოს წევრად. პეტერბურგში ჩასულმა ილ. ჭავჭავაძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავადაზნაურობამ, სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევსწირავ ჩემს ღონეს“. ილიამ გაამართლა თავის ნათქვამი. (იხ. „საისტორიო მოამბე“ ტ. III ა. იოვიძე ი. ჭავჭავაძე—დოკუმენტალური მასალები).

პიკთა საძიებელი*)

აბაშიძე ვასო 62.

აღამა 96.

აგალოვი 47.

ალიაშვილი გრიგოლ 103

ანდრონიკაშვილი ნენე 11, 14, 16.

ანდრონიკაშვილი ელენე 13.

ანდრონიკაშვილი ეკატერინე 14, 16.

ანდრონიკაშვილი ვანო 14.

ანდრონიკაშვილი ლელო 14.

ანდრონიკაშვილი დიმიტრი 14.

ანდრონიკაშვილი რევაზ 114.

არჩილ მეფე 98.

აფხაზი ნინო 19, 20, 21

აფხაზი კობტა 19.

აფხაზი გიგო 133.

ბაგრატიონ-მუხრანბატონი ი. კ. 68.

ბარათაშვილი ნიკოლოზ 6, 30, 31, 32, 55.

ბარათოვი ბაბაღე 104.

ბარიატინსკი 42, 43.

ბედუქაძე 128.

ბერძენიშვილი გიორგი 8.

ბიჭნიაშვილი სოლომონ 103.

ბოცვაძე ლუარსაბ 88, 89.

*) საძიებელი შესულია წინასიტყვაობაში და წერილებში მოხსენებული პირნი. რიცხვი აღნიშნავს გვერდს.

ბედავანიშვილი (გედევანოვი) მიხ. 135.

გიგლო 19, 20.

გიორგი 44, 46.

გოგებაშვილი იაკობ 100.

გოზალიშვილი შალვა 9.

გრიგოლია კონსტანტინე 8.

გრუზინსკი მიხეილ 104.

გრუზინსკი პეტრე 104.

გულისაშვილი ალექს. 103.

გურამიშვილი ოლგა (ოლიკო) 6, 60, 68, 107, 109, 111, 112, 113,
115, 116, 117, 118, 120,, 121, 123.

გურამიშვილი ცაცო 118, 119, 120.

გურამიშვილი ზალიკო 118, 119, 120.

გურასპიშვილი 59.

ღასამიძე ნიკო 119.

ერისთავი შალვა 27.

ერისთავი დავით 33, 34.

ერისთავი სანდრო 41, 46, 47.

ერისთავი კოლა 92, 93.

ერისთავი გიორგი (ატამანი) 106.

მაჟუ-ფშაველა 95.

მარვარა ილინიშნა 44, 46, 50.

მაჩნაძე ანიკო 15, 16.

მახვანიშვილი (მახვანოვი) რევაზ 108, 109.

მეზრიშვილი (მეზიროვი) დიმიტრი 107, 118.

მოლკოვი 42.

მოლფი 32.

მორონცოვი მიხეილ ნიკოლოზის-ძე 75.

ზაგურსკი 97.

ზაქაროვი კონსტ. 45.

ზახაროვი ელენე 45.

ზისერმანი 121.

ზუბალაშვილი (ზუბალოვი) 97.

ზუმბერიძე 27.

მათქარიძე ლუარსაბ 55.

თულაშვილი ვახტანგ 33, 34.

თუმანიშვილი ანასტასია 96.

თუმანიშვილი (თუმანოვი) იოსებ. 121.

თუმანიშვილი მიხეილ 17.

იაკოვლევი ა. გ. 43.

ივანოვი 32, 33.

ინგოროყვა პავლე 6.

იოსელიანი პლატონ 119.

იურა 132.

ქერესელიძე ივანე 27.

კიკოძე (ქიქოძე) ტ. 100.

კოლა 20.

კორდელია 49.

ლაზარე 129, 130.

ლასხიშვილი გიორგი 84.

ლევარაშვილი ლაზარე 103.

ლეიდენი 99, 101.

ლეისტი არტურ 100.

ლეონიძე გიორგი 7.

ლესინგი 35.

ლირი 41, 47, 51.

ლორთქიფანიძე კირილე 6, 24, 27, 29, 30, 31, 32, 33, 52.

მამადაშვილი თევდორე 103.

მამაცაშვილი (მამაცოვი) ქრისტეფორე 100.

მანსვეტაშვილი (მანსვეტოვი) ნიკო 107, 112, 113.

მასლოვი დანიელ 126.

მაყაშვილი სანდრო 132.

მაჩაბელი ვასილ 9, 42, 44, 45, 48, 50, 51.

მაჩაბელი ივანე (ვანო) 41, 46, 47, 51.

მაჩხანელი (ნადირაძე დიმიტრი) 96.

მგალობლიშვილი სოფრონ 76.

მდივანი — 42, 43.

მელიქიშვილი ლევან 106.

მემარნიშვილი მოსე 124, 125, 126.

მესხი კოტე — 62.

მესხიშვილი (ალექსიევ-მესხიევი) ელ. 62.

მეუნარგია იონა 65, 67, 68.

მინკევიჩი 122.

მიურატი სალომე (პრინცესა) 71.

მიხაილოვი 135.

მიხაკო 19, 20.

მოლაყბე 16, 17.

მორთულაძე ზურაბ 40, 124.

მუხრან-ბატონი გ. კ. 40, 68.

მუხრანსკი ივ. 49, 106, 119, 121, 122, 123.

ნაკაშიძე პეტრე 36, 37.

ნანეიშვილი ალექსანდრე 83.

ნიკოლაძე ნიკო 6, 9, 32, 36, 44, 52, 53, 55, 68.

ნიკოლოზ 19, 21.

ორბელიანი იოსებ 104.

ორბელიანი სანდრო 105, 106.

ორბელიანი გრიგოლ 106.

ოსკანოვი 130, 131.

ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ილია 61, 63, 68, 96

პერფილიევი 43.

პოლტარაცკი ივანე 27.

შურული გიორგი 134.

რუსთაველი 52.

საგინაშვილი ალექსანდრე 57, 106, 107, 108, 111, 112, 113, 114, 115, 117.

საგინაშვილი (ჯამბაკურ-ორბელიანი) ლიზა 24, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 115, 116, 117, 118.

სანაქსაროვი 50.

სანდრო მოურავი 127, 128.

სარაჯიშვილი ალექსანდრე 91, 92.

სარაჯიშვილი (სარაჯოვი) დაეით 99, 100, 102.

საყვარელიძე გრიგოლ 95.

სისიკო 15.

სტაროსელსკი 45, 49.

სტაროსელსკი გივი 120.

სტაროსელსკი დიმიტრი 118, 120.

სტაროსელსკი ეკატერინე 117, 118, 120.

სტაროსელსკი კოლა 120.

სტაროსელსკი სენა 120.

სტევანე 132.

სულხანიშვილი გ. 16.

ტერმინასოვი 103.

შმიგაშვილი პეტრე 30, 36, 41, 42, 83, 84.

უნდლაშვილი 126.

უორდროპი მარჯორი 81.

ფოაქიშვილი (ფორაქოვი) 75.

ფოაქიშვილი ეკატერინე 99.

ღაბაშიძე 97.

ღღობერიძე ნიკო 9, 44.

ღღონიაშვილი გ. 133.

შაზბეგი 52.

ყიფიანი დავით 49.

ყიფიანი დიმიტრი 61, 72.

ყიფიანი კოტე 36, 60.

ყიფშიძე ალექსანდრე (საშა) 94.

ყიფშიძე გრიგოლ (გიგა) 94, 95, 96, 97, 98.

ყრუ გიორგა 128.

შალიკაშვილი (შალიკოვი) იოსებ 123, 124.

შოთნიაშვილი ოქრო 128.

ჩერკასკი ვ. ა. 43.

ჩიკვაძე მიხეილ 27, 103, 115, 116.

ჩოლოყაშვილი ილია 13, 20.

ჩოლოყაშვილი დიმიტრი (მიტო) 135.

ჩოლოყაშვილი კიაზო 103.

ჩოლოყაშვილი ნატალია 107.

ჩუბინაშვილი (ჩუბანოვი) დავით 47, 62.

ცაგარელი აღ. 47.

ციმენი 51.

ცუცუნა 134.

ცხვედაძე ნიკო 99, 100, 102.

წერეთელი აკაკი 67, 71.

წინამძღვრიშვილი ილია 24.

ჭავჭავაძე ზაალ (ზალიკო) 109, 110.

ჭავჭავაძე თეიმურაზ 22.

ჭავჭავაძე იასე 112, 117.

ჭავჭავაძე კატო 110, 111.

ჭავჭავაძე მაკო 110, 111.

ჭავჭავაძე მაკრინე 22, 23.

ჭავჭავაძე ნიკო 13, 32, 57, 112, 113.

ჭავჭავაძე საშა 132.

ხერუმოვი გაბო 96.

ხიზანიშვილი ნიკო 93, 94.

ხუნდაძე სიმონ 6.

ჯანაშია სიმონ 6, 7.

ჯანდიერი ლევან 100.

ჯაფარიძე ნოშრევან 129, 130, 131, 132.

ჯიმშერიძე 29.

ჯუღელი ანთიმოზ. 91.

საკრეპი

წინასიტყვაობა	5—9
ილ. ქავეკაძის ავტოგრაფი	9

წერილები:

1. ადრეული ბარათი (1875 წ.)	11
2. ჩენე ანდრონიკაშვილისადმი (1858 წ. 13 მარტიამობისთვე)	11—15
3. ანიკო ვაჩნაძისადმი (1858 წ. 13 აგვისტო)	15—16
4. გ. სულხანიშვილისადმი (1858 წ.)	16
5. ნინო აფხაზისადმი (1859 წ. 18 თებერვალი)	19—20
6. მასვე (1873 წ.)	21
7. მაიდა მაკრინესადმი (1860 წ. 14 მაისი)	22
8. მასვე	23—24
9. ილია წინამძღვრისადმი (1860 წ.)	24—27
10. კირილე ლორთქიფანიძისადმი (1864 წ. 24 აგვისტო)	27—29
11. მასვე	29
12. მასვე (1868 წ. 19 დეკემბერი)	29—30
13. მასვე	30
14. მასვე (1872 წ. 9 დეკემბერი)	31
15. მასვე (1873 წ. 29 იანვარი)	31
16. მასვე (1873 წ. 29 იანვარი)	32
17. მასვე (1873 წ. 14 მარტი)	32—33
18. მასვე (22 ივლისი)	33
19. დავით ერისთავისადმი (1871 წ. 11 დეკემბერი)	33—34
20. მასვე (1872 წ.)	34—35
21. მასვე	36
22. პეტრე ნაკაშიძისადმი (1871 წ. 19 მარტი)	36
23. პეტრე უმიკაშვილისადმი (1872 წ. 21 ივნისი)	36—39
24. მასვე (1872 წ. 1 სექტემბერი)	39—40
25. მასვე (1873 წ.)	41

26. მასვე (1885 წ. 14 სექტემბერი)	41
27. მასვე (1890 წ. 31 მარტი)	42
28. ეასილ მაჩაბლისადმი (1873 წ. 3 აგვისტო)	42—44
29. მასვე (1873 წ. 21 აგვისტო)	44
30. მასვე (1873 წ. 25 აგვისტო)	44—45
31. მასვე 1873 წ. 1 სექტემბერი)	46
32. მასვე (10 მარტი)	46—47
33. მასვე (15 მარტი)	48—50
34. მასვე (15 ივნისი)	50—52
35. ნიკო ნიკოლაძისადმი (1873 წ. 18 იანვარი)	52—55
36. მასვე (1873 წ.)	55—57
37. ალ. საგინაშვილისადმი (3 ოქტომბერი)	57
38. ნინო ანდრონიკაშვილისადმი (3 აგვისტო)	58—60
39. კოტე ყიფიანისადმი (1880 წ. 27 ივლისი)	60—61
40. ილია ოქროშქელიშვილისადმი (1881 წ. 7 ნოემბერი)	60—61
41. მასვე (5 იანვარი)	63—67
42. იონა მეუნარგიასადმი (1885 წ. 20 დეკემბერი)	67—68
43. მასვე	68—71
44. აკაკი წერეთლისადმი (1886 წ. 5 იანვარი)	71—72
45. დიმიტრი ყიფიანისადმი (1885 წ. 28 აგვისტო)	72—75
46. სოფრონ მგალობლიშვილისადმი (1887 წ. 9 ივლისი)	76—81
47. მარჯორი უორდროპისადმი (1894 წ. 20 სექტემბერი)	81—82
48. ალექსანდრე ნანეიშვილისადმი (31 აგვისტო)	83
49. მასვე (5 სექტემბერი)	83—84
50. მასვე (31 ოქტომბერი)	84—85
51. პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი (1897 წ.)	86—88
52. ლუარსაბ ბოცვაძისადმი (1897 წ. 13 ენენისთევ)	88—91
53. მასვე (1898 წ.)	91
54. ანთიმოზ ჯუღელისადმი (1899 წ. 5 აპრილი)	91—92
55. კოლა ერისთავისადმი (23 თებერვალი)	92
56. მასვე	92
57. მასვე	92
58. მასვე	93
59. მასვე (25 ოქტომბერი)	93
60. მასვე	93

61. ნიკო ხიზანიშვილისადმი (2 ნომბერი) .	93—94
62. მასვე (19 ოქტომბერი)	94
63. მასვე	94
64. მასვე (5 დეკემბერი)	94
65. გრიგოლ საყვარელიძისადმი	95
66. გრიგოლ ყიფშიძისადმი	95
67. მასვე	95—96
68. მასვე	96
69. მასვე	96
70. მასვე (1890 წ.)	97
71. მასვე	97
72. მასვე	97
73. მასვე	97
74. მასვე	97—98
75. მასვე	98
76. მასვე	98
77. ნიკო ცხველაძისადმი (1900 წ. 14 ივლისი)	99—100
78. მასვე (1900 წ. 19 აგვისტო)	100—102
79. მასვე (1 ოქტომბერი)	102
80. ალექსი გულისაშვილისადმი (14 ნომბერი)	103
81. მიხეილ ჩიკვაიძისადმი (4 ივლისი)	103—104
82. იოსებ ორბელიანისადმი (15 იანვარი)	104—106
83. ელისაბედ საგინაშვილისადმი (29 იანვარი)	106
84. მასვე	107
85. მასვე (23 მაისი)	107—108
86. მასვე (9 ივლისი)	108—109
87. მასვე (18 ივლისი)	109—110
88. მასვე (22 სექტემბერი)	110—111
89. მასვე (1873 წ. 18 აგვისტო)	111—112
90. მასვე (1873 წ.)	112—113
91. მასვე (1874 წ. 15 ოქტომბერი)	113—114
92. მასვე (1874 წ. 15 დეკემბერი)	115
93. მასვე (14 თებერვალი)	115—116
94. მასვე (1907 წ. 24 აპრილი)	116
95. მასვე (19 აპრილი)	117
96. მასვე	117

97. მასვე		117
98. მასვე		118
99. ეკატერინე სტაროსელსკისადმი (26 თებერვალი)		118—120
110. მასვე (1875 ან 1876 წ. 17 მარტი)		120—123
101. მასვე		123—124
102. მოსე მემარნიშვილისადმი		124—125
103. მასვე (1905 წ. 8 მარტი)		125
104. მასვე		125—126
105. მასვე (1906 წ. 2 თებერვალი)		126
106. მასვე (1906 წ. 26 აპრილი)		126—127
107. მოურავისადმი (სანდროსადმი)		127
108. მასვე		127—128
109. მასვე		128
110. მასვე (21 მარტი)		128—129
111. ნოშრევან ჯადარიძისადმი (1904 წ. 12 აპრილი)		129
112. მასვე (1904 წ. 29 მაისი)		129—130
113. მასვე (1904 წ. 9 ივლისი)		130—131
114. მასვე (1905 წ. 10 ივნისი)		131—132
115. მასვე (1907 წ. 1 აგვისტო)		132—133
116. გიგო აფხაზისადმი (27 თებერვალი)		133—134
117. გიორგი ურულისადმი (1906 წ. 6 მარტი)		134—135
შენიშვნები		139—194
პირთა საძიებელი		195—201

რედაქტორი პროფ. შ. ჩაღიანი.

ყდა კ. გოგორიშვილისა.

ვი00231. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3 VIII-1949 წ. მოცულობა 13 (აგტ 9) ნაბეჭდი ფურცელი. ტირაჟი 4650. შეკვეთა № 1929.

აფხაზეთის სახელგამის სტამბა.

ПИСЬМА
ИЛЪИ ЧАВЧАВАДЗЕ

Редакция, предисловие и
комментарии *И. Л. Боцвадзе.*

Редактор проф. *Ш. Радвани.*